

1970
2014

ბუნებისა და
ეთნოგრაფიის
მუხრანი

№5 (13)

თბილისი, 2014 წელი
ფასი 2 ლარი



საქმე

ახალი

ახალი თარგმანები

ფრანს კაფკა
ტელ ჰიუსი

არტი

ხათუნა ხაბულიანი
დავით ჩიხლაძე
ნინო ბერიძე ირეკლი მენსელთაძე

ნომრის ავტორები

ანდრო ბუაჩიძე & პატრიკ ვუდკოკი

კოფი

ზურაბ ჯიშკარიანი
ნინო ნადირაძე
ზურა მელიქიძე

პროზა

ზურაბ გოგიძე
დათო ყანაშვილი

კრიტიკა & ესეისტიკა

ლელა კოდლაშვილი გიორგი ლოგაშვიძე
ეკა ქვენიშვილი გოგი გვახარიაშვილი და ნინო ხარატიშვილი
ოქტავი ქაჯუშვილი ნიკოლოზ მინიშვილი
პაატო შამუგია ლევან დოგელაშვილი
ბექა ყორშიაშვილი შან შანიაშვილი

PATRICK WOODCOCK



ჟურნალი „ახალი საუნჯე“ 2014 წლიდან
შეგიძლიათ გამოიწეროთ ელვა.GE-ზე

3 თვე – 5.50 ლარი

6 თვე – 11 ლარი

მის.: ქ.თბილისი, იოსებშიძის ქ.49

elva@elva.ge

ტელ.: (+995 55 32) 2-38-26-74; 2-38-26-73;

2-38-26-76; (+995 55 32) 38-08-774



საქართველოს კულტურისა
და ძეგლთა დაცვის
სამინისტრო

ჟურნალი გამოდის საქართველოს
კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს
გზარდაჭერით

ანდრო ბუაჩიძე

თეა თოფურია – ანდრო ბუაჩიძე: დიღმის მასივი – იოკნაპატოფა 5
ანდრო ბუაჩიძე – ლექსები 4; 9 – 10
ქეთევან ბეზარაშვილი – ურბანისტული ხილვები XX საუკუნის საქართველოში 11
ანდრო ბუაჩიძე – თარგმანებიდან 16
ანდრო ბუაჩიძე – ბზა (მოთხრობა) 18
შაქლინ სირაძე – მსახური ანგელოზის გოდება 19
შოთა იათაშვილი – აკვიატებების წიგნი 24

პატრიკ ვუდკოკი

შოთა იათაშვილი – წინათქმა
ვანდა უოტარმანი – საუბარი პატრიკ ვუდკოკთან
(ინგლისურიდან თარგმნა მანანა მათიაშვილმა) 26
ჯუდით ფიცჯერალდი – დღევანდელი დღის პოეტი: პატრიკ ვუდკოკი
(ინგლისურიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ) 28
პატრიკ ვუდკოკი – ლექსები
(ინგლისურიდან თარგმნეს შოთა იათაშვილმა და თამარ ამაშუკელმა) 28-31; 36
„ქალ ღვთაებადი და გღვთა მთიერი“ (ინგლისურიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ) 32
ინტარკიუ პატრიკ ვუდკოკთან (ინგლისურიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ) 33
მარინ პარსონსი – მათი ბრძოლის მონღე
(ინგლისურიდან თარგმნა მანანა მათიაშვილმა) 35

პოეზია

ზურაბ ჯიშკარიანი 38
ნინო ნადირაძე 44
ზურა მელიქიძე 45

პროზა

ზურაბ გომიძე – (ამირამი და ფიდეღვანდერი) ჯადოსნური მთისა 49
ჩემი „სომეგრადია“ 50
დათო ყანჩაშვილი – არა იმრუშო 52

პრიტიკა & ესეისტიკა

ლელა კოდლაშვილი – წუთიერი შეხება შიშველ ავტორთან 63
ეკა ძეგანიშვილი – „ცრამლიანი სათვალე“ უცრემლოდ 66
იპოვე შენი „ჟუჟა“ 67
ოძბაძე ძაბაშვილი – ფიქრები სამშობლოზე 68
პაატა შაფუზიძე – დეტალების ეშმაკი 71
ბექა ყორშიძე – ჟან ჟენეს გზა 72

4

მთავარი რედაქტორი: ლელა კოდლაშვილი
შოთა იათაშვილი

პროექტის ავტორი:
ვახა წონაშელაშვილი

რედაქტორი-სტილისტი
ლელა კოდლაშვილი

დიზაინი და დაკაბადონება:
ნიკა ხვედელიძე

სარედაქციო კოლეგია:
დავით ანდრიაძე
გიგა ეშხვარაძე
დათო ტურაშვილი
ეკა ძეგანიშვილი
ზაზა შათირიშვილი
დავით ჩიხლაძე
გიგა ხაღორი

ნომერზე მუშაობდნენ:
ანდრო გუჩიძე
თეა თოფჩია
ქეთევან გუზარაშვილი
ჟაქლინ სირაძე
თამარ კოჭრიკაძე
მანანა მათიაშვილი
თამარ ავაშუკელი
ზურაბ ჯიშკარიანი
ნინო ნაღრაძე
ზურაბ მელიქიძე
ზურაბ გოგიძე
დათო ყანაშვილი
ლელა კოდლაშვილი
ეკა ძეგანიშვილი
ოძბაძე ძაბაშვილი
პაატა შაფუზიძე
ბექა ყორშიძე
დავით კირკიტაძე
ზვიად რატიანი
ხათუნა ხაბუღიანი
დავით ჩიხლაძე
თათია კახალაშვილი

ახალი თარგმანები

ფრანც კაფკა – მოთხრობები
(გერმანულიდან თარგმნა დავით კირკიტაძემ) 76
ტიმ ჰიუზი – ლექსები წიგნიდან „ყვავი, მისი ცხოვრება
და სიმღერები“ (ინგლისურიდან თარგმნა ზვიად რატიანმა) 81

არტი

ხათუნა ხაბუღიანი – სივრცული ოდისეა
ოპტიკური ილუზიებით 91
დავით ჩიხლაძე – ფეშენი – პარალელური ხელოვნება 93
თათია კახალაშვილი – ქარვამი არეკლილი ირონია
(ინტერვიუ ირჟი მენცელთან) 98

გამომცემლობა – „საუნჯე“

მის.: ალ. ყაზაგის 32/34

ტელ.: 2141214, 2395587, 2397188

Skype: saunje_saunje


ელ-ფოსტა: saungeo@gmail.com

Facebook: გამომცემლობა საუნჯე/Saunje publishing <http://www.facebook.com/saunjee>

www.saungeo.ge

1

საგარეო საზღვარი



ლამის ქალაქი

ლამის ქალაქო, ლამის ქალაქო, განათებული თეთრი სხივებით,
 აი, მე ვწევარ შენს ფილაქნებზე, აი, მე ვწევარ და ვიღიმები.
 ლამის ქალაქო, მე არ ვიცოდი, შენი დამზრალი ქვაფენილიდან
 ვარსკვლავებს თვალს თუ ავაყოლებდი და ავხედავდი ასე ირიბად.
 ლამის ქალაქო, ლამის ქალაქო, განათებული სუსტი სხივებით,
 აი, მე ვწევარ შენს ფილაქნებზე, აი, მე ვწევარ და ვიღიმები.
 ვერ გამიგია, ვერ გამიგია, ჯოჯოხეთია ეს თუ ედემი,
 როგორ ანთია ქვაფენილებზე ელნათურების ნიშანსვეტები.
 როგორ გადატყდა ჩემი ბავშვობა, როგორ განერთხა მიწას ლერწივით
 და როგორ დავრჩი ლამის ნიაღში შუქ-ჩრდილებისგან გამოძერწილი.
 რატომ მიმღვრევდა დაუსრულებლად სულს ამ სხივების ცივი ციმციმი,
 როცა ეფინა შუალამეულ ოთახს ქუჩიდან შუქი სიგრძივი,
 ანდა რა იყო, რა მოვისურვე, რა მანვალებდა, რისთვის დამჭირდა,
 თვალი ხანგრძლივად რომ გავადევნე დამრეც ქვაფენილს ვინრო ფანჯრიდან.
 ლამის ქალაქო, ლამის ქალაქო, გადამწურა შენი იმედი,
 და მაინც ვწევარ შენს ფილაქნებზე, და მაინც ვწევარ და ვიღიმები.

ანდრო ბუაჩიძე:

დიღმის მასივი – იოკნაპატოფა

დავიბადე თბილისში, 1957 წელს. ვიზრდებოდი თბილისის ერთ-ერთ უძველეს და ულამაზეს უბანში – სოლოლაკში, მაღალი მთის ძირას. ალბათ ბედის საჩუქარი მხვდა წილად, რომ ამ მომწესხველ ადგილსამყოფელში ავახილე თვალი. ახლა, როცა გარეუბანში ვცხოვრობ და ჩემს ოთახში მჯდომს მესმის, ჩემი თერთმეტი წლის ქალიშვილი კატო როგორ ასრულებს ფორტეპიანოზე შუშანის პიესას, ჩემს მახსოვრობაში შენახული ხატები და ხმები ცოცხლდება და თვალნათლივ მეცხადება ამალელების ქუჩა, მთვლემარე, „დიდი შუადღე“, აკაციის ჩრდილები ქვაფენილზე, გამჭვირვალე სივრცე.

ბავშვობაში ან ეზოში ვთამაშობდი, ან ჩვენი უზარმაზარი ფანჯრებიდან ვიყურებოდი. ეს ფანჯრები, დაბალი აკაციების გასწვრივ, ამ ხეების სიმაღლეზე იყო ჩამწკრივებული. მოგვიანებით, როცა თომახ ვულფის „მოხედე შენს სახლს, ანგელოზო“ და „დაკარგული ბიჭი“ წავიკითხე, ჩემ თვალწინ ისევ გაცოცხლდა სოლოლაკი. ლამით ეს ბინა ედგარ პოსტელ აშერების სახლის საიდუმლოებას ამჟღავნებდა, დღისით კი ვერმეერისეულ ინტერიერს ჰგავდა, სადაც ოთახში ჩრდილებია ჩამოწოლილი და ქალიშვილი შეყვარებულის წერილს კითხულობს.

სამწუხაროდ, ბავშვობის ეს ენითაუწერელი გარემო მალე დაეტოვე. ჩვენი დიდი ოჯახი გაიყო, მე მშობლებთან ერთად დიღმის მასივი გადავიდი საცხოვრებლად, დედაჩემის მშობლები, ბებია და ბაბუა ვაჟა-ფშაველას გამაზირის მიდამოებში გადასახლდნენ.

– ამბობენ, რომ მეგაპოლისში ძნელია ადამიანი პოეტად გაიზარდოს.

– თბილისი ადრე უფრო პასტორალური იყო, ახლა აღარ. გარეუბნებში ეს უკეთ ჩანს. ისე, 60-იანი წლების ბოლოს დიღმის მასივი ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული უბანი. მაგრამ უკვე ყალიბდებოდა. იქაურობა ფოლკნერის „იოკნაპატოფას“ მოგაგონებდათ, ათასი ჯურის ადამიანი ტრიალებდა: ხაბაზები, მენვრილმანები, დუხაბორები, ჯიბაგირები, ლოთები, შავი მუშები, გლეხები და ა.შ.

დიღმის მასივი არაჩვეულებრივი ადგილი იყო – გაშლილი, ვეება სივრცე, უშველებელი ლაფგარდი, აქ ყველა საცხოვრისი აშვეტილი ალვის ხეებით და ატეხილი ჭალებით

იყო გარშემორტყმული, დიღომი ჩრდილოურ ლანდშაფტს ჰგავდა: გაშლილი სივრცეები, ტყეები და ტრიპლ ვაკეზე, მინდვრებში, მდელოებში თითქოს ოქრო მონვეთავდა. „ჭილყავები მოფრინდნენ“ – ასე ჰქვია ერთი ცნობილი რუსი მხატვრის ტილოს. დიღომიც ამ ნამუშევარს მაგონებდა, მითუმეტეს, რომ ალვის ხეები იქაც ჭილყავებივით იყო გადამავებული.

ამ ტყიან და ტრიპლ სივრცეში რამდენიმე ოთხსართულიანი „ხრუშჩოკა“ ჩაედგათ თან-მიყოლებით და ერთ-ერთში ჩვენმა ოჯახმა დაიდო ბინა.

ყოველივე ამას იმიტომ ვყვები, რომ თუ სოლოლაკი უშფოთველ ქალაქურ ყოფასთან და ბავშვობასთან იყო გაიგივებული, დიღმის გარეუბანი შემოიჭრა ჩემს ბავშვურ ცნობიერებაში, როგორც ბუნების წიაღი, მაგრამ ამავე დროს ინდუსტრიული წარმონაქმნი, სოციალური მაგივრანობით დასახლებული პანოპტიკუმი. არადა, ბუნება მართლაც არაჩვეულებრივი იყო. ამავე კონტრასტმა წარმოშვა ჩემს უკვე ადრინდელ ლექსებშივე ურბანის ტყელი გარეუბნის თემა, რომელსაც სამყაროში გადასაროლი ადამიანის ექსისტენციური მოტივიც ახლდა.

სამოცდაათიან წლებში ოთხსართულიან სახლებს ლოკებიც და აივნები მოაშენეს და ჩვენი მყუდრო ბინიდან ვხედავდი, როგორ დახტოდნენ აივნის მოაჯირზე ციყვები. მანამდე კი, ჯერ კიდევ სამოციან წლებში, ამ ტყეში ჩარგულ სახლში სამაზარეულოს მაგიდასთან მიმჯდარი მამაჩემი, ოცდაათი წლის ახალგაზრდა ფილოსოფოსი თაზო ბუაჩიძე, წერდა ფილოსოფიურ ტრაქტატს – „ჭეშმარიტების ობიექტურობის შესახებ“ და გვერდით ვიტგენშტაინის, რიკერტის და სხვა





თაზომ კი ისეთი შეკითხვები დაუსვა თავის დასს, რომ პასუხებს მთელი ცხოვრება ეძებდა...

ქართული

– ალბათ, თქვენც უსვამდით საკუთარ თავს ასეთი კითხვებს და მერე პასუხებს ეძებდით...

– კი, რა თქმა უნდა, მაგრამ ყოველივე ეს მოხდა მოგვიანებით, როცა უკვე უნივერსიტეტი დავამთავრე და რედაქციაში დავიწყე მუშაობა. როგორც უკვე ვთქვი, გარეუბნის ლანდშაფტი მკვეთრად შემოიჭრა ჩემს ცნობიერებაში, მაგრამ უკვე არა როგორც უბრალოდ პეიზაჟი, არამედ როგორც ურბანისტული სივრცის ის ნაგლეჯი, რომელშიც ქალაქიდან განდევნილი თუ გადაყრილი ნამუსრევი გროვდება. ამ ლანდშაფტში კონტრასტული აქსესუარი თანაარსებობდა, თანდათან ერწყმოდა და ეთავსებოდა ერთმანეთს: ტრიალი მიწ-ორი, ქარხანა და მაღალი საკვამური, მდინარე, ნასახლარები და მავთულხლართები, ალვის ხეები და ახლადნამოშართული, ერთმანეთს მიბჯენილი კოლოფები. მათვარი კი იყო განწყობა, რომელიც ჩემში აღმოცენდა და დამთხვა გარეუბნის ამ სურათს.

დიღმის მასივი ჩემი იოკნაპატოფა გახლდათ. ოთხმოცდაათიან წლებში ეს იოკნაპატოფა, ისევე, როგორც მთელი ქალაქი, ჩაბნელები. მანამდე კი, ზუსტად 1990 წელს, ჟურნალ „მნათობში“ ჩემი ლექსები გამოქვეყნდა. ოცდაცამეტი წლის ვიყავი და უკვე მქონდა ბედის თუ ბედისწერის გამახვილებული მეგრძეობა, რომელიც შესატყვისი ფორმით უნდა გამოვლენილიყო. ბავშვობიდან ეწერდი, მაგრამ ჩემი ნაწერების მიმართ გულგრილი ვრჩებოდი. ეწერდი სტუდენტობის წლებშიც და მამი-დაც გვრძნობდი, რომ ჯერ კიდევ არ იყო აბსოლუტი ზედამხედველ სათქმელი. თანდათან იკვეთებოდა კონტურები, ღამის ქალაქის ირიბი შტრიხები, რომელსაც ხმების ვიბრირება ახლდა. ადამიანი რაც უფრო დიდ ქალაქში ცხოვრობს, მით უფრო უჭირს. უკვე იყო მარტოობის, სიცარიელის განცდა. მე ეს ჯერ კიდევ სტუდენტობისას ვიგრძენი და არამარტო მე. მეც და ჩემ მეგობრებსაც, ეს განცდა ყველას გვექონდა.

– ახლა აღარ არის ასეთი განცდა?

– ახლა უფრო მეტად არის.

– და რისი ბრალი იყო, ან ახლა რისი ბრალია?

– ნამდვილი ღირებულებების, სიყვარულის ნაკლებობის. მე-19 საუკუნე რომ დამთავრდა, ნიცშემ თქვა: „ღმერთი მოკვდა“, ანუ მაღალმა ქრისტიანულმა ღირებულებებმა მნიშვნელობა დაკარგა და ადამიანი გამოცარიელდა. ყველა ერთ თარგზე არ არის გამოჭრილი, მაგრამ უმრავლესობას მაინც ასეთი განცდა აქვს. ეს ახლა უფრო გამოჩნდა. სარტრი ამბობს, რომ ადამიანი დაწყვეტილია თავისუფლებით. ჩემი მთავარი ლექსების წერა სწორედ 80-იანი წლების ბოლოს დავიწყე.

– ერთია ის გარე სამყარო, რომელზეც საკმაოდ ბევრი ისაუბრეთ, და რაც თქვენს მსოფლმხედველობას აყალიბებდა. მაგრამ მეორეა ლიბერალური, ხელოვნება. ამ კუთხით რამ მოახდინა თქვენზე გადამწყვეტი გავლენა?

– ფოლკანგერის რომანებმა, ალბერ კამიუს „უცხოში“ და ანტონიონის ფილმებმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა

ფილოსოფოსების გერმანული წიგნები ეწყო. რა თქმა უნდა, ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ სოციალური ინდუსტრიალიზაციის ხანაში, ხრუშჩოვის ეპოქაში, ახლადამენებულ „ხრუშჩოვკაში“ ცხოვრობდა კაცი, ფაქტობრივად ბიჭი, რომელიც არამარტო შთაგონებული იყო იმანუელ კანტის და მარტინ ჰაიდეგერის ფილოსოფიით, არამედ თვითონვე წერდა ფილოსოფიურ ტრაქტატებს. რომ არა ცხოვრების პარადოქსულობა და აბსურდულობა, ამ კაცს მაჩაბლის ქუჩაზე უნდა ეცხოვრა, სადაც მამამისი ცხოვრობდა, მაგრამ ბედისწერის ქალღმერთებმა, მოირჩებმა, სხვაგვარი ხედვრი არგუნეს მამასაც და ვაჟი-ვილსაც. მამა საკუთარი კაბინეტიდან (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი იყო) მინსახკომელებმა „აიყვანეს“ და მცირე ხნის შემდეგ თბილისის სახელოვნო დახვრიტეს, ვაჟიშვილი კი დალუქული ბინის კარებთან დატოვდა გოგონებული. ამ სამუდამოდ დაკეტულ კართან შეყვარებულ შვიდიოდე წლის თაზოს ისეთი კითხვები დაებადა, რომლებზეც პასუხის გაცემა სიბრძნისმეტყველების ცოდნის გარეშე შეუძლებელი იყო. ბინას ლუქი მალევე მოხსნეს და იქ მინსახკომელი დასახლდა.

ჩემზე. ერთხელ სადღაც ამოვიკითხე, რომ ანტონიონი კამიუს „უცხოის“ გადაღებას აპირებდა, მაგრამ მერე გადაიფიქრა. ამან ძალიან ამაღელვებ. მასსოვს, ოთხმოციან წლებში კინოთეატრ „თბილისში“, რომელიც დილმის მასივში ჩემი სახლის წინ იყო, ვნახე ანტონიონის ფილმი „პროფესია: რეპორტიორი“, რამაც კიდევ უფრო გაამძაფრა ჩემი შთაბეჭდილებები. ამ ფილმის ფინალი ჩემი ცხოვრების მთავარ შთაბეჭდილებად იქცა. დღემდე ასე მგონია, რომ ანტონიონიმ ერთ კადრში მთელი თავისი სათქმელი მოაქცია. მთავარი გმირი, თავისი ცხოვრებიდან გაქცეული და ყველასაგან დევნილი დევიდ ლოკი, რომლის როლსაც გენიალურად ასრულებს ჯეკ ნიკოლსონი, უკვე დაღლილ-დაქანცული, გარეუბნის ერთი პატარა სასტუმროს კარს შეადებს, საწოლზე წამოწევა და გარბნდება წვეს წეხს. ის უკვე არსად აღარ აპირებს გაქცევას. კამერა ინაცვლებს ფანჯრისკენ, ფანჯრიდან ჩანს სასტუმროს გარე ხედი, კადრი დროში ხანგრძლივდება. სასტუმროს ფანჯარა პირველ სართულზეა, გარეთ სრული სიცარიელით აღბეჭდილი ლანდშაფტი ჩანს. მოპირდაპირე სახლის კედელთან უცნობი კაცი ზის, მას უახლოვდება მარია შნიადერი, და რაღაცას ეკითხება, ეზოს ბავშვი გადაკვეთს, უდაბნოსებური სივრცეა და ხმები, დახშული ხმები, თითქმის დრო გაჩერდა, ან უფრო ნელა იწყო სვლა. სწორედ აქ, ამ მონაკვეთში ამ ეტყვევებდა ყველაზე მძაფრად კინოენა და შენ გრძნობ, რომ დევიდ ლოკის ცხოვრება სხვა განზომილებაში გადავიდა, ანუ დამთავრდა. ამ ფილმის ფინალში ხვდები, რომ ადამიანი გად-აგდებულია სამყაროში და დატყვევებულია თავისი უფლებით.

ექსისტენციალისტი მოაზროვნეები და ხელოვანები ყველაზე ახლოს იყვნენ ჩემს მსოფლგაგებასთან. ოთხმოციან წლებში დაწერილ ლექსებში ეს სიახლოვე უკვე მძაფრად იგრძნობოდა და ცხადია, 1990 წელს „მნათობში“ გამოქვეყნებულ ლექსებშიც აღიბეჭდა. ოთხმოცდაათიან წლებში ყოველივე ეს უფრო გამძაფრდა, ვინაიდან პირდაპირი მნიშვნელობით ჩაბნეულ ქალაქი და გაუსაძლისი გახდა ცხოვრება. ამ პერიოდში ქალაქის სხვადასხვა ნერტილებში მინევდა სამსახური,

მეტწილად რედაქციებში და ლამის საათობრივ შინ გამობრუნებული, იმ ხანგრძლივ გზას გავდიოდი, რომელიც წყვილიდით ზგოვ/მთკვარე/ლი. ეს სიბნელე ჩემს ლექსებში შეტაფორად იქცა. მოგვიანებით ამ თემაზე დაენერე ტელეკრესიკა და მოთხრობა.

– ისე, რა უფრო ადვილი დასაწერია, კარგი ამბავი თუ ცუდი?

ასე მგონია, თუ ადამიანს რამე არ აწუხებს, მან არც უნდა აიღოს კალამი ხელში. რა აწუხებდა ადამიანს? ის, რომ რაღაც ბზარი შენიშნა სამყაროში.

– შეიძლება ბზარი არა, მაგრამ რაღაც ახალი დაინახა?

შეიძლება, მაგრამ აი, რილკე სწერს ერთ ახალგაზრდა პოეტს, ნუ დანერ სიყვარულზე, რადგან ეს მაინც გაცვეთილი თემაა და რთულია მასზე დაწერო. თანაც ცხოვრება არ არის ასეთი „კარგი“, ცხოვრება, თუ სიღრმეში ჩაიხედავ, პარადოქსულია, უცნაურია. მე მიყვარს სიღრმე. ზედაპირზე რაც არის, ის არაა საინტერესო. ადამიანსაც, იმას უფრო ენდობი, ვისაც სიღრმეში ჩაუხედავს. ცხოვრებას თავისი ლოგიკა აქვს და რაც უფრო ასაკში შევიდვარ, ვხედავ, რომ ეს ლოგიკა თან სამშენი და თან საინტერესო. რილკე ასეთ რამეს ამბობს: „ლექსები გამოცდილებანია“. ჩვენთან კი მიღებულია, რომ ლირიკული ლექსები ახალგაზრდობაში იწერება, მაგრამ ეს ახალგაზრდობა ხანდახან 40 წლამდე გრძელდება.


– რა უნდა უშველოს ადამიანმა მარტოობას?

– ერთადერთი შველა არის სამყაროს სწორად დანახვა. ადამიანმა თვალს უნდა გაუსწოროს სინამდვილეს, რადგან რაც ასაკი მოემატება, მით უფრო მკაფიოდ დაინახავს ამ სიციფეს, სიღრმეს და სიკვდილის გარდუვალობას.

– და სიკვდილის გემინიათ?

– გემინია, რადგან ძალიან მიყვარს სიცოცხლე. ძალიან მიყვარს ბუნება, ადამიანები, ის ადამიანები, რომლებიც აღარ არიან. ჩემ გარშემო ძალიან ბევრი საინტერესო ადამიანი იყო. მაგალითად, ზურაბ კაკაბაძე. არაჩვეულებრივად ესმოდა ფილოსოფია, მუსიკა, პოეზია და მიკვირს, როცა ასეთი ადამიანი მოულოდნელად ქრება. 56 წლის იყო, რომ წავიდა ამ ქვეყნიდან. ახლა მივხვდი, რა უნდა ეწერიო და უცებ გაქრა. რაც უნდა დაენერა, ისიც თან წაიყოლა.

– ფიქრობ, რომ სიკვდილით ყველაფერი მთავრდება?



დილმის მასივი

ყველაფერი მთავრდება, რადგან ყოველი პიროვნება განუმეორებელია. იმქვეყნად არაფერი არ არის. სამწუხაროდ, ასე ვფიქრობ. არ შემოძლია, სხვანაირად ვიფიქრო. ამიტომ, რაც დრო გადის, მით უფრო მიყვარს სიცოცხლე. სახლში ჩემი ფანჯრიდან ერთი უბადრუკი ქლიავის ხე მოჩანს და აი, ახლა ისე მინდა იმ ტოტების დანახვა...

ძალიან მიყვარს ფანჯრები. ყველა ფანჯარა მასოსვს, საბავშვო ბაღისაც კი. მეზობლებოდა საბავშვო ბაღი, კარაქის ბურთულების გადაყლაპვას გვაძოულებდნენ, მაგრამ ფანჯრიდან ძალიან კარგი ხედი იყო და სულ გარეთ ვიყურებოდი. ჩემს ერთ ნიგნს „ელნათურები“ ჰქვია. სოლოლაკში რომ ვცხოვრობდი, ჩემი ფანჯრიდან ელნათურების მწკრივი ჩანდა და ისიც ძალიან მიყვარდა.

— თქვენი ნიგნების შესახებ მოგვიყევით.

1992 წელს გამოიცა ჩემი პირველი პოეტური კრებული „გარეუბანი“, ოთხმოცდაჩვიდმეტში — „საუბარი წყვდიადში“. ამ ორ


ნიგნში გამოჩნდა ის, რომ ცხოვრება თვითონ მკარნახობდა სათქმელს — ლამის სიერცემი სიარული, ხიდზე გადასვლა, მტკვარი, კვარტალებში გზის გაგნება, გზა, მიმავალი მინი საკენ. დროის ამ მონაკვეთში არაერთი ჩემი უახლოესი ადამიანი წავიდა უდროოდ ამ ქვეყნიდან, რამაც მკვეთრი გამოძახილი ჰპოვა ლექსებში. ამ მონაკვეთმა თითქმის ადრეული შთაბეჭდილებები თავის ორბიტაში მოაქცია, ერთ მთავარი განწყობად შეკრა და აღებქდა ჩემში. ფორმა სპონტანურად იქმნებოდა, შინაარსი, სათქმელი, თვითონ ქმნიდა ფორმას. ვთქვათ, ჩვეულებრივი ათმარცვლიანი ლექსი ჩემთან არ არის ჩვეულებრივი ათმარცვლიანი ლექსი, ვინაიდან აქ მთავარი ბგერაა, ხმაა, რომელიც ლირიკული თხრობის ინტონაციაში გაბოსჭვების. ყოველ შემთხვევაში, მე ამას, ანუ ჟღერადობას ვანიჭებ მნიშვნელობას. ჟღერადობა გადმოსცემს განწყობას, განწყობა შთაბეჭდილებას და ა.შ. აქ მთავარი მძაფრი განცდის გამოშხატველი ირიბი ხაზებია, ტეხილებია, ლექსიკური და ფრაზოლოგიური. ამას კარგად გრძნობდა ჩემი უახლოესი მეგობარი, ამ ქვეყნიდან 2007 წელს წასული ძალიან ნიჭიერი მწერალი ზაზა თვარაძე. ის ჩემი ლექსიდან იმ ფრაგმენტს წარმოთქვამდა, სადაც შემჭიდროებული ინტონაციის მეშვეობით რაღაც გრძნობა, დარდი ან წუხილი იყო გამჟღავნებული. მას მუსიკალური სმენაც არაჩვეულებრივი ჰქონდა და ლიტერატურულიც. ახლაც ჩამესმის მისი ხმა: „საწოლის უკან გადაგდებული, ჩემო ლექსების ძველო რეგულო“...

ძალიან მომწონს პოლ ვალერის გამოთქვამი: „მწერლობა სიტყვიერი ხელოვნებაა, უკეთესია ის, ვინც უკეთ ფლობს თავის ენას“. აქ ენის ცოდნა, ლექსიკის მარაგი ან სხვა ასეთი რამე კი არ იგულისხმება, არამედ ენის ფლობაზეა ლაპარაკი. ზაზა შესანიშნავად ფლობდა ქართულ ენას, რაც ცხადად გამჟღავნდა მის ორ საოცარ პროზაულ ნაწარმოებში: „სიტყვები“ და „მონტებულსუ ანუ ელის არაჩვეულებრივი მოგზაურობა“.

1990 წელს „მნათობში“ გამოქვეყნებულ ჩემს ლექსებს (ეს პირველი უბუბოკაცია იყო, მანამდე არაფერს არ მიბეჭდავდნენ) გამოეხმაურა კარლო კაჭარავა. ის შემხვდა უნივერსიტეტის პირველ კორპუსში, ერთმანეთს არ ვიცნობდით. თვითონ მოვიდა ჩემთან, გამეცნო და დიდხანს მესაუბრა, ეს იყო ძალზე შთაბეჭდავი საუბარი. ჩემთვის მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ ვინ გამოთქვამდა ჩემს ნაწერებზე აზრს. მთავარი ის იყო, რომ ჩემი ესმოდათ...

ჩემი ყველაზე უფრო სრული ლექსების კრებული გამოსცა გამომცემლობა „პალიტრამ“ 2012 წელს. უახლოეს ხანებში გამოიცემა ჩემთვის უაღრესად მნიშვნელოვანი პოეტის, ვლადიმირ ხოდასევიჩის ჩემეული თარგმანების ორენოვანი ნიგნი. ასევე ვამზადებ უცხოური პოეზიის თარგმანებსაც. გამოსაცემად მომზადებული მაქვს მოთხრობების კრებულიც...

ჩაიწერა თვა თოფურიაშ



ნუკრის, კახას, ზაზას

როგორ მომინდა, მომესურვა თქვენთან სერობა
ნასალამოვებს, თქვენთან ჯდომა უბრალოდ ქვაზე
ან ხმელ კუნძუზე. თუნდაც ტყისპირას
ქალაქგარეთ, სადმე წყნეთის მიდამოებში,
როცა ღამდება და ბურუსი ეცემა ტაფობს,
ქალაქის ტაფობს, დამსუხრებელს ამაოვრებათ.
სერობა, ქვაზე ძველ გაზეთში გამოსვეული
პური, ყველი, ძეხვის ნაჭერი და თან მდელი
იქ, ტყისპირას, სადმე წყნეთის მიდამოებში
საში ბოთლი, სამი ბოთლი ცხაური ღვინო.
უბერავს სიო, მახლობელი ტყის ნიალიდან
აღწევს გრილი წყვილი სუნი. მაგრამ
ჯერ არ დაღამებულა. როგორღაც მოგზავით აქ
შემოხვევით. და ასე ვსტეფავთ ზოგი ქვაზე
და ზოგი კუნძუზე. ალბათ ახლა არა აქვს აზრი
რაზე ვსაუბრობთ და არც ჰქონია აქამდისაც.
ჩვენ ბურუსის ნაფლეთში მოგზავით და ამ
ბინდუნიდის თხელ გარსში ვართ გამოხვეული,
თბილისის ახლოს, აქვე წყნეთის მიდამოებში...
ხანგამოშვებით ჩაიქროლებს გზაზე მანქანა
და უცაბედად გადაისვრის ჩვენს ხმებს ბურუსში,
ხოლო მეჩე კი ჩვენ ხელახლა ვინცებთ ცხოვრებას,
ხელახლა ვამბობთ სათქმელს,
თითქოს წარსულს ვისხენებთ.
თითქოს ვიცინით, თითქოს ვტირით,
თითქოს ვკამათობთ.
თითქოს არ გვინდა ჯერაც წასვლა და აქ ვახანებთ,
თითქოს რაღაც ერთი სიტყვა ავიკვიტეთ
და გამოვდებით ვუტრიალებთ ამ სიტყვას ირგვლივ,
ველარე კი ვაძინებთ ირგვლივ როგორ შემოგვალამდა,
როგორ აინთო გზისპირებზე ელნათურები,
რომლებიც ქალაქს მოთმინებით გადასცქერიან.
და თითქოს წამით, თითქოს წამით წყნდები საუბარს
და გადავყურებ ელნათურას, იმ ვინორ სივრცეს
იმ ტყისპირას და გაზატყვეილის მომცრო მონაკვეთს
ეს ელნათურა ზედ რომ აფენს ყვითელ სინათლეს.
ხომ შეიძლება, რომ აქ დარჩე გაქვავებული
და აქ რომ იდგე სიყვითლე მთელი ცხოვრება,
იქნებ ეს არის მონაკვეთი მარადისობის –
ყოველივეს და ყველას მიმართ განურჩეველი,
მაგრამ ეს აზრი იმავე წუთს ჩამომცოდნება
და ვუბრუნდები მე ბურუსში მოსაუბრებს...
უკვე დავლიეთ დასალევი, დროც გადავიდა,
გამოვეფინეთ ტრასაზე და გზას დავადევით,
თითქოს ჯერ კიდევ ადრე იყოს, ნელა მოვდივართ,
თავქვე ვეშვებით გაფანტულნი ქალაქისაკენ,

უკან, ტყის თავზე რჩება დიდი, ბრძოვალა მთვარე,
რომელიც არცერთ ჩვენთანაა არ შემუშენივია.
და ჩვენ ვბრუნდებით ვინორ გზაზე გამოფენილნი...
მაგრამ მითხარით, სად მივდივართ, გზა საით გვიდევს,
შეღვივებულს, დაფანტულს, ფეხარულს,
ჩვენ ხომ შინ უკვე ვერასოდეს ვერ დავბრუნდებით,
რადგან შინ ყოფნა აღარასდროს არ გვინერია
მას აქეთ, რაც კი ზაგზოვიდან გამოგვაძევებს.
იქნებ სახლია ჩვენთვის მთელი ყოფიერება
და ამიტომაც უკვე არსად არ გვეჩქარება...
ტყის ნიალიდან აღწევს გრილი წყვილი სუნი
და გაზაფხულის სუნთქვაც იძვრის იმავე წყვილადში
ჯერ კიდევ სუსტად, მაგრამ მაინც უკვე საგრძნობი,
ალბათ ვილაც ღვთისნიერი წამოგვეწევა,
ალბათ მანქანას გამოვეყვებით ქალაქისაკენ,
მაგრამ არ ვჩქარობთ,
მიუყვებით ფეხით გაზატყვეილს...
როგორ მომინდა, მომესურვა თქვენთან სერობა
ნასალამოვებს, თქვენთან ჯდომა უბრალოდ ქვაზე
ან ხმელ კუნძუზე, სადმე ტყისპირას,
ქალაქგარეთ, აქვე წყნეთის მიდამოებში,
როცა ღამდება და ბურუსი ეცემა ტაფობს.
სადა ხართ, ძმებო, სად წახვედით ამ ბურუსიდან?

ისმაილ კადარას რომანი „კვდარი არმიის გენერალი“

როგორ გაძელით ჩვენ მათ გარეშე,
საოცარია, – როგორღაც ვძლებდით,
როცა ესევენ სხვა ქვეყანაში
ჩვენი შვილების დამზრალი ძელები,
ჩვენი მამების დამზრალი ძელები
და ბაბუების დამზრალი ძელები.
აჰა, ვიძინებთ, სინათლეს ვაქრობთ,
სინათლეს ვაქრობთ, ვაქრობთ და ვწვები
და გვეცხიმრება შორს, არცთუ ახლოს,
მარხია ჩვენი ძვირფასი ძელები.
ჩვენი ძვირფასი ძელები მარხია
და ჩხრიალებენ თითქოს ეს ძელები
და თითქოს გვიცქერს ვილაც თვალლია,
და თვალზე ადგას კამკამა ცრემლი.
კამკამა, როგორც მედალიონი,
ყველა მებრძოლს რომ დაჰკიდეს ყელზე,
რომ ყოფილიყო ძებნა იოლი,
ვინც მათ ეძებდა და ვინც მათ ეძებს.
და სადღაც მთაზე, ანდა მთის თხემზე,
იქ, სადაც ფარა ირევა ცხვრების,
სხვა ქვეყანაში, სიზმრებში ვეძებთ
ძელებს და წყვილადში ელავენ ძელები.

თუმცა მრავალი გავიდა წელი
და გაივლიან კვლავ მძიმედ წლები,
კვლავ საიდანალავ ყვირიან ძვლები,
ყვირიან და თან გმინავენ ძვლები...
ჩვენ კი ძილის წინ სინათლეს ვაქრობთ,
სინათლეს ვაქრობთ და უმძოდ ვნევებით
და ვხედავთ სიზმრად – ცარიელ თხემზე
გაყურებული ფარა დგას ცხვრების.

* * *

როდესაც ქუჩებს ედები მთვრალი
და ფეხით თელავ უცხოთა ცრემლებს,
როცა სავსე ხარ ქალაქის მთვარით,
რომლის სხივებიც რაღაცას წერენ,
რაღაცას წერენ და თვითონ შლიან
და ნაწილ-ნაწილ უაზროდ ფლეთენ
და ხეებიდან ამოსულ შრიალს
შემოახლიან სახლების კედლებს,
შენ ისევ ქუჩებს ედები მთვრალი
და ხედავ უცნობ ადამიანებს,
რომელთაც სახე სავსე აქვთ მთვარით
და ხის შრიალი ადარდიანებთ.
შენ ხედავ ხელებს, ბეჭებს და ზურგებს
და ნაწიმიარზე სველ ნაფეხურებს,
რომელიც ქარმა ნაშალა უკვე
და ახლა მთვარე ცალყბად შეჰყურებს.
როდესაც ქუჩებს ედები მთვრალი,
როდესაც ქარი ტყდება სახლებზე,
ადამიანი, ნატანჯი მთვარით,
ქარით და წვიმით, საშველს დაეძებს.
ადამიანი – წვიმაზე ცოტა,
ქარზე პატარა, სხივებზე სუსტი,
რაღაცნაირად წაგაგვს ფოთოლს,
რომელიც ქარის დაბერვას უტყდის.


* * *

საწოლის უკან გადაგდებულო,
ჩემო ლექსების ძველო რვეულო,
შენ ხომ ყველაზე უკეთ გეგულობ,
რას ამბობს ღამით სამზარეულო.

ვიდრე გაქრება, უნდა შემცირდეს
დარდი, სხივივით მოუთოკავი,
ისევ შენ ისმენ ასე წვეთინვით,
რას ჭირვეულობს ღამით ონკანი.

რა ამოვიღო ჩემი ყოფნიდან,
რა ამოვწერო მწუთხე იღბლიდან,

არ ვიცი, რაღაც ისმის სოფლიდან,
ამ ხმაგაკენდილ სოფელ დილიდან.



საწოლის უკან გადაგდებულო,
ჩემო ლექსების მკრთალო რვეულო,
შენ ხომ ყველაზე უკეთ გეგულობ,
სად არის ღამე გამორღეველი.

იქნებ იქ ცვდება ჩემი იღბალი,
გადაგდებულ ხარის ტყავივით,
იმის ნაგდებზე მალე იხარებს
საზარლად მქისე სუნის ყვავილი.

არ ვიცი, ჩემო ძველო რვეულო,
და დამტვერილო მკრთალო ფურცლებო,
უკვე მე თვითონ ვეღარ ვგებულობ,
რატომ ცახცახებს სხივი უმწეოდ.

რა სასჯელი აქვთ მაგ კეიპაროსებს,
ასე მკაფიოდ ბნელში აშვეტილით
და რატომ ისმის სამარადისოდ
ყვფა, – წყევლაა ეს თუ საშველი?

ჩემო ლექსების ძველო რვეულო,
ირგვლივ მტვერი რომ შემოიკრიბე,
მანადვე, სოფელში, სახლის ერდოზე
მინავლებული შუქი ლიფლიფებს.

ღამის ნათელი თავს დასცახცახებთ
ბნელში დაყრილებს, როგორც ჭერებებს,
იქნება სძინავთ უკვე გამძღარებს,
რომ იქორწინეს, ან იქელეს.

ყასაბმა ბანრით მიბმულ უშობელს
ამ დილით ყელი გამოაღარდა,
მაყუთს ანყოზდნენ, მერე მრუშობდნენ,
მერე კი თავი მისცეს საღათას...

მოზეზრებია ასე კირთება
დიღმის ველობზე ჩამჯდარ მიკოტს,
ალბათ იმასაც ვილაც სჭირდება,
რომ სიბნელეში გზა გაიკვლიოს.

თავს ვეღარ ვართმევ მძიმე ძილ-ბურანს,
ჩემო ლექსების ძველო რვეულო,
და ვატყობ უკვე, კვლავ შემობრუნა,
წყვდიადს რომ ვეძებ ან შევეუდლო.

შრბანისტული სილვები

XX საუკუნის საქართველოში

ქართული
ენათმეცნიერება

ქეთევან ბეზარაშვილი

სამყარო, როგორც დანგრეული სახლი; ქალაქი, როგორც გარდაუვალი განაჩენი; უცხოობა, როგორც ბუნებრივი მდგომარეობა – აი, ასეთია XX საუკუნის ბოლოს „დაშლილი კაცის“ ცნობიერებაში აღბეჭდილი სინამდვილე. ანდრო ბუაჩიძის პოეზია აღბეჭდილია ამორტიზებული სულის ხედვით, ჭეჭყინა გუბეში თავდაყირა მდგარი სამყაროს:

„მე ვხედავ იმას, რასაც სხვები მალავენ,

როგორ დაძრწის ძუ მგელი ტყეში,

მითარე როგორ უნათებს ბილისკ“.

„საგნები სამყაროს შიგნითაა დამწყვედეული“, სივრცე – ჩაკეტილი, უსიხარულო, უშეო, სადაც „ადამიანი დაეძებს ადგილს“ და ვერ აგნებს მას, სადაც „ქვეყანა – ცის ქვეშ გამოლილი სეფაა“ და კაცი – „გამალბებული საკუთარი დარდის დარაჯი“, „უაზრობაში გადალაგებული“.

თეთრი ცხენები აღარ მიჰქრიან ზეცისკენ, როგორც ასე ნაცნობი ლურჯა ცხენები (გალაქტიონი), „თეთრ ცხენებს გზა აბნევიდა, წყვდიადი ნთქასე“, „ტყეში გაფანტულ ცხენების რემებს / შიში ძრავს დანის, ხიფათის, ელღის“.

სააკაო „ცხოვრება საბედისწერო დანებით ცეკვაა“, „თოვლი აივსება წითელი სისხლებით“, სისპეტავე – ცოდვით.

„ბოლომდე გაავსებს სტაქნები სტომაცებს,

სტომაცებს – სტაქნები, სტაქნებს – სტომაცები

და ღვინით მოსვრილი თეთრი გორაკები

და სასაფლაოზე სულ თეთრი მისდგმში

ცხენები ნისლეში, ნისლეში, ნისლეშში...“

ოცნება და სინამდვილე რომ დიდი ხანია გათიშულია (რომ აღარაფერი ვთქვათ ზეცისა და მიწის, რწმენისა და ადამიანის ოცნების გათიშულობაზე), რახანია გვამცნო კლასიკურმა პოეზიამ, მაგრამ გათიშულია ადამიანსა და ოცნებას, პოეტსა და ოცნებას შორის კავშირიც. კაცი გულგრილი გახდა მისდამიც. „მეშუტავი ელნათურები – ოცნებებით წერვებაპოლინი“ და ადამიანი – „დარჩნენ სხვადასხვა მხარეს თავჩაქიდულნი“.

„თქვენ თქვეთვის და მე კიდევ ჩემთვის“

ქ ნიგეზი სასევა უშიშარი სურვილით, იხილოს ის, რაც არ უნდა იხილოს და რასაც სხვები მალავენ, ვერ უსწორებენ თვალს:

„უნდა ენახო ჩემს ფანჯრებში ჩასული მზე“

ყველაფერი კი იმით იწყება, რომ „ქვეყნიერებას ატყ-

ვია ბზარი, რადგან ვილაცას გაუტყდა რწმენა“. რწმენა გაუტყდა არა მხოლოდ ვილაცას – ერთეულს, ცალკეულ ადამიანს ან პოეტს, არამედ მთელ სამყაროს და ამ ურწმუნოებისაგან ქვეყნიერებას დაჩენილი ბზარი ჩვენ თვალწინ იზრდება და უფსკრულის პირდაყრენილ ხახად გადაცეცვით იმუქრება. დარღვეულია არა მარტო მარტივი და სადა, გულუბრყვილო იდილია, არამედ დარღვეულია გულისგული და არსის არსი – პირველქმნილი ჰარმონია და წონასწორობა, დაკნინებულია სულიერი ზეციური სახე ადამიანისა, მკვდარია ღვთიური სანყისი – ადამიანის ნამდვილი ბუნება და არსი. ადამიანი კი ესლა დარჩენილა – „ზორცი და ძვალი, მიწის ბრტყელ ზურგზე მოთავსებული“, მინაზე „მიშველი ნეწიო“ (მისი განსხვავებული არსით) შეხებული, ქვემოთ დამეხებული, ზეც-ადაკარგული, სულ- და ძალაგამოცოცლილი, შიშით, ავის მოლოდინით სასველ და მოცახცახე, ამ სოფლის „ტუსალი, უჩინო, უნდო და უსახო“:

„მე დავკარგე ჩემივე თავი, ღმერთო,

რა მეშველება, ელნათურის ქვეშ აღანძლო

დავტოვე ჩემი თავი

ბნელ ოთახში მოსიარულე...“

და მერამდენედ ისმის გადაუჭრელი კითხვა:

„რა ეშველება უძველეს ნაღველს,

ადამიანს გამო გაჩენილს?“

აი, ერთი უძველესი და მარადიული, ღვთიური წესით დადგენილი პასუხი ამ კითხვაზე:

„რომ იბადება ადამიანი, თვითონვე მოაქვს

თავისი ცოდვა,

რომ იბადება ადამიანი, თვითონვე მოაქვს

თავის ნაღველი“.

მაგრამ განა მარტო პირველცოდვის ამ პიროვნული ცოდვების გამოა არეული გზა-კვალი? აკი ღმერთმა თავად დასაბა გზა მათგან ხსნისა ძის განკაცებით და ჯვარცმით? მაინც, როგორ და საიდან იშვა „XX საუკუნის დაშლილი კაცი“?

ზეციური სამთიხიდან, პირველქმნილი ჰარმონიიდან განდევნილი ადამიანი (ანუ ღვთისგან დაცილების გამო თავის სულში ამ ჰარმონიას მოკლებული ადამიანი), რომელიც თავს იტყუებდა, სამყაროს გვირგვინი და მის ცენტრში მყოფი ვაჟო, დარწმუნებული თავისი გონების, ინტელექტის ყოვლისშემძლეობაში, სამყაროს გარეუბანში აღმოჩნდა გადასროლილი.

სამყაროს ეს გარეუბანი შვავს ქალაქის გარეუბანს, რომელიც თითქმის ქალაქ, კულტურას, ცივილიზაციას არტყია გარს, მაგრამ მაინც მისგან დაცილებულია, მისი

უსახური ანარეკლია რუხი, უფორმო სახლებით თუ სახლების მსგავსი უშიშროების მასივებით, დისპარმონიით, უსივრცეობით, მდებარე ყოფიერებით, ყოვლისნაშთი-ეკავი გულგრილობითა და უსუნობით, უაზრო, უმიზნო ფუსფუსით, ცრუ საქმიანობით:

„ვერ გაეცევი რისხვიან ქალაქს“,
„ამ ქალაქს სინგლის ფსკერზე სძინავს“,
„ქალაქის ხედი – შემზარავი დუმილით სავსე“,
„ქალაქში ცოლმა მოკლა ქმარი, ქალაქის რომელიღაც უბანში, მოვიდნენ ქმრის ამხანაგები და მრავალსართულიან სადარბაზოში ალაპოთი გამოფინეს დროშასავით...“
„ვერ გაეცევი რისხვიან ქალაქს“,
სადაც „მრავალი აგდია ქალაქგარეთ, თითქოს იქ დაბარუნესო, საიდანაც იშვია...“
სადაც „ადამიანმა ადამიანი გადაადგო მატყანიდან და შინ წავიდა...“

„ვერ გაეცევი რისხვიან ქალაქს“,
სადაც „მაღალ მინებში გადატყდა სასო“,
სადაც „სიბნელეში ვიღაც ასკდება ნერვებს“
და ღამეს ველურ ყვირით არღვევს“,
სადაც „ვიღაცა დაეძებს ნუგესს...“
ვერ გაეცევი რისხვიან ქალაქს“,
სადაც „(ცარიელია სახლი, წვიმა, ნალღველი“,
სადაც „ათვის სახლებს, ოჯახებს“,
დამზარალია ადამიანის სული,
სადაც სახურავებზე დაღლილია გაითითოკაცებულ ადამიანთა სვე-ბედი და
„სადაც ბუნებრივი კატა ტირის...“
„ვერ გაეცევი რისხვიან ქალაქს“,
სადაც „რესტორნებში აქეთ-იქით იყრება ბოლნი სიტყვები“,

სადაც „იკვანძება უსინდისო ინტრიგები“,
სადაც „ფეშენებელურ“ ატმოსფეროში შეიძლება მოხდეს მკვლელობა,
როგორც ძალან ძელი, პირველყოფილი აქტი“. მასალებზე, ბატონობს ინსტინქტები და მომკვდავი შვის სხივებში სწრაფად ბერდება და კვდება სული, ხოლო „უბნო და იღია იცქიბა რესტორნის ფარდებში“ და შეუმჩნეველი რჩება ადამიანთათვის,
სადაც „მაკლერები ჰვანან ქრისტეს ჯვარზე გამკვრელებს“,

სადაც „ტყალეტის სარკესთან სასაპნში დევს საპონი“, როგორც „სასონარკვეთილების პანა ნალღვეა“,
„ვერ გაეცევი რისხვიან ქალაქს“,
სადაც „მეც დავდივარ ამ ქალაქში, როგორც ტუსალი, ეპატარავლები მე უჩინო, უნდო, უსახო“.

ქალაქი აღარაა კულტურის კერა და ცივილიზაციის (თავდაპირველი მნიშვნელობით) გამოუმხატვლო იმგვარი უზრალოებით, როგორც ფრესკებისა და ხატების ფონზე იყო სიმბოლურად ტაძრებითა და შენობებით გამოსახული. იგი რისხვიანია, თავად იგია უკვე გარეუბანი – კულტურას, ღვთაებრივ სინათლეს მოკლებული.

გარეუბანია სოფელიც, ისიც აღარაა დიდი სოფლის სარკე და ხატი, ისიც გაუცხოებულია, სადაც ქორწილიც სახედაკარგულია და ქელებიც, სიხარულიც უსუნდგურა და მწუხარებაც.

ქორწილები იქნება „ცეკვები დანებით, ცოფები კაციური, ჩხუბები და დაჭრა ღვიძლების, იქნება სმები იქნება რწყევები...“ მკვდარი დამარხავენ გულგრილად, იქნება ქელები როყი მთვრალებით, მითის კორტოხზე კი დარჩება ბნელი ბორცვი, სადაც „მთვარიან ჯვრებზე წეის სიჩუმე არანაირი...“

არა სავსე და მეტყველი დუმილი, არამედ ცარიელი და „არანაირი“.

„მოხუც ცოლ-ქმარს დაბალ ტახტთან უდგას დოქი ტუჩმოტეხილი და ფიცრის სუნით სავსე სახლში ჟონავს ნალღველი“...

სადაც ღვთის მადლიერი და მისი მადლით სავსე ანტიკური იდილია მოხუცი წყვილის – ფილემონისა და ბაკიდაის (რომელთა უძველესი მნიშვნელობა, მაგალითად, როგორც უახლესი ისტორია, აღწერილია პუბლიუს ოვიდიუს ნაზონის მეტამორფოზებში); სადაც ბიბლიურ ხანდასასულ ცოლ-ქმართა – ზაქარიასა და ელისაბედის (ლუკა 1, 7-41) და მისთანათა ღვთიური რწმენა, სასო და საყვარელი (რომლითაც შესაძლებელი ხდება შეუძლებელი), ჩვენთვისაც იმედისმომცემი.

და მაინც, საყვარელია ფიცრის სუნი და ნალღველით გაუღვინილი სახლი, როცა „სანუთრო წარბს არ იტოკებს“, როცა ბუნებაც კი დისპარმონიის გამომხატველია, როცა „ნებებიც კი გიგეზებით დგანან“, როცა მთვარი კი არ „დაგვნათის თავზედა“, როგორც არამიწიერი მშვენიერება – „ნაზად მოარე“, „შუქმიზინდული“, „ჯვრეთ უმანკო“, ანუ შეურყეველი სულიერი სამყაროს მკვიდრი (მდრ. მთვარის ხატება ნიკოლოზ ბართაშვილთან – „შემოღამება მოანმინდახედ“ ან გალაკტიონთან – „მოთან-მინდის მთვარე“), არამედ „ნაძვებს ანევა“, ანდა „ცაზე ნახრილი სისხლიან მესერს ანათავს“, ანდა კიდევ სისხლიან წარმართულ სარიტუალებ ტაბლავო იღვრება და იგლისება. წინასწარმეტყველებასავით გაისმის სიტყვები:

„შეუმჩნეველი იქნება მთვარი, არ შეიძლება ვინმეს დასჭირდეს“.

„[შეუმჩნეველი მთვარისათვის] მდრ. აგრეთვე ერთ-ერთი ძველი ანტიკური მნიშვნელობა: „ჩაესვენა მთოვარე და მთიები / დადგა შუალამე; / ფაში მიედინება/ მე კი მარტოვდ მძინავს“. საფო – ლორია, ძველბერძნულიდან თარგმნა ნანა ტონიამ, თბ., 1977)

„ღამე საშინელია“ და რა ხანია, შორსაა რომანტიკოსთა მეფარისანი სიხვედისაგან, შუქთა მართალი მიძვები-საგან, გამოუთქმელი საიდუმლოსაგან. ადამიანი კი, „ნატანჯი მთვარიით, ქართი და წვიმით, სამეფლს დაეძებს“.

ერთი სიტყვით, სააქაო ისეა დაქინებული, რომ შემოქმედის მშვენიერი ქმნილების – ქუმარტის მშვენიერების ხატების, სიმარტივესა და უბრალოებაში გაცხადებული ღვთაებრივი სისასის და სიდიადის ნაცვლად, ის ზეციურის მხოლოდ უსუსური და უსახი ანარეკლია,



სტუდენტობის პერიოდი

არა მისტიურ შუქში დანახული, არამედ ფერგაცრეცილი და სახედაკარგული წვიმიანი ქუჩის გუბები:

„გუბე ქანაობს და ვცახცახბს სააქაშო“;

„ცხოვრება, როგორც მონაწილე და მოგონილი, მიუტიციტივებს თვალწინ დაშლილ ნოეს კიდობანს“.

სადღა გალაკტიონისეული მისტიკური ჭვრეტა, „სხვაგვარად ამეტყველებული“, ბავშვური, უცოდველი თვალთ ხედვა რაღაც გასაცარისა, ზეციური სოფლის ღვთაებრივი ბინდისა მიწიერი სოფლის უზრალო სურათით, ისეთით, როგორც წარმოდგენილია გალაკტიონის „ჭარხალში“?!

რაღა რჩება ღვთიური რწმენიდან უღმერთო სასო-ნარკვეთილების გარდა? და ასე იკიდებს ფეხს რწმენის გარეუბანიც:

„როგორც არ უნდა გაიყოს სივრცე, ცხოვრების გარდა ვერსად შევხვდებით“.

დამდაბლებულია თითქოს საღვთოც და ეკლესიურიც: „ბნელია ხატები“ მის წინ მლოცველთათვის, მღვდელი კი „მუნჯად აწიებს სანთელს ძველი ფერსკების გასანათებლად“ და რწმენის გადასარჩენად.

ადამიანს ადამიანი ეუცხოება, სცივა და ყვირილით არღვევს ლამეებს, ცხოველვით სძინავს და ბინიერებაში მკვიდრად ჩაფლულს კი აღარ ხიბლავს, არამედ აკრთობს მითარის დიდი სისრულე და მშვენიერება, ან კიდევ მის წმინდა ნათელს ურწმუნო ხელებით სინჯავს. ადამიანის ტვინში – მატერიის ამ ვითომდაც უმაღლეს ქმნილებაში,

მხოლოდ ინსტინქტებით მცხოვრებ „უზენაეს ინსტანცი-აში“ წყდება „ნაცრისფერი სამყაროს ბედი“ და, რბადება ყველაზე მომაკდინებელი ცოდვა:

„მინდა მათუღს შევახო ხელი“

ამგვარ ყოფაში ყველა ცალ-ცალკე ცდილობს „შე-უნგრისოს საწუთროს ძვიდ“, გააღწიოს დაბნული სივრ-ტიდან; ტირილით, ნუხილით „ფარდასავით გადასწიოს პაერი“, რადგანაც „მთელი ცხოვრება კლავენ / და ასე ებრძვის კანეი კანეს“.

უფლისგან „ქარის საცემად და სანვინრად გამოქოფოლი“ და „თიხის დოქვით ამოყვანილ“ სხეულში მრუმე წყვიდადი ებრძვის გვაში ჩაბრუნებულ და აწრიალებულ ნათლის ხეფულს უსურვილობისა და სიცივის გარემოცვაში.

ჩაკეტილია ერთმანეთთან მისასვლელი გზები, ვერ უცვნია გულს გული და რწმენდაკარგული ადამიანი აღმოჩნდება არა მარტო სამყაროს გარეუბანში, არამედ სიყვარულის გარეუბანში გადასროლილი, რომელმაც არც კი იცის მისი (სიყვარულის) გულისგულის გემო, ანდა დიდხანსა დაღიწყნა იგი, რათა მისით მაინც მიი-ლოს არსობის პური (მდრ. პარუირ სევაკი: „რა კარგი არის, სიყვარულის გარეუბანში რომ არ იცხოვრე, მხოლოდ ცენტრი რომ იცი მისი“). პარუირ სევაკი, „იქმენინ ნათელი“, სომხურიდან თარგმნა გივი შაჰნაზარმა, თბ., 1979)

ანდრო ბუაჩიძის ლექსები არის უცხოობაზე, რომელ-იც „ქვეყანაზე ათასგვარი სიყვარულით“. ცრემლებიც უცხოა, საკუთარი სახლიც, ქუჩაც და ხეებიც, ცარიელია სახლის ფანჯრები. ადამიანი ექებს ძველ მეგობარს და მიქრის სულ სხვა მხარეს – „არა პირდაპირ, სახლები-საკენ, არამედ დასავლეთისაკენ, წყვიდადისაკენ“. უცხოა ამ სოფლისათვის და ყველა სოფლისთვისაც გარდაცე-ლილი მეგობრების შემცივნული სულები. ერთ-ერთს კი ეს „უცხოობაც შეუშენვია“ და სოფლის გარეთ დაუწათა ცეცხლი. მაგრამ „ჯერ ადრეა მისი მობრუნება“, კაცი არ არიან მზად ამისათვის – მისი სინმინდისა და სიმა-რთლის, მისი სინათლის მიღებისა და წმინდა ხედვით ჭვრეტისათვის. ვერსად ჰპოვებს თავისი „მარადქალური ღირსების და სიმორცხვის სამაგიეროს“ „უკეთილადავი“ და სათნო უქმრო გოცირიძის ქალი, გარდაცვალების შემდეგ თითქოს ვაკუუმის დამტოვებელი, მაგრამ პო-ეტის მიერ ნაგარნიობა და გასაწნებელი.

ანდრო ბუაჩიძის პოეზიაში ურბანისტული მსოფლ-განცდა – მიეღი სამყაროს თუ სიყვარულის გარეუბანი უფრო გამძაფრებულია, ვიდრე სამოციანელთა პოეზიაში და თითქოს უფრო მორგებულია, ვიდრე შინაგანად უარ-ყოფილი.

უცხოობა წამომდგარა ქალსა და კაცს შორის – მარა-დიულად რომ ემტვიან ერთმანეთს და მაინც ამოუხ-სნელნი რჩებიან ერთმანეთისთვის, უცხოობამორგე-ბულნი, ერთმანეთის ნაცვლად ხეებს ეწყვილებიან და ეკეცებიან, ხეებს – ბუნების სინმინდებს, რადგან ამავე სინმინდის გერ ხედავენ და ვერ ამჩნევენ ერთმანეთში. ყოველდღიური გულგრილობით, წეროლმანითა და კომ-პლექსებით დაღლილი, ერთხელ მაინც გააშთმელებენ

თავიანთ ნამდვილ არსს: „ტერფები დავკარით მიწაზე გლეხურად“.

„კედობამდე ვეცეკვე ფერდობზე არყის ხეს და მერე ქალები ნალევლით აიგნენ, მიწდორობი მისროლეს ღონიერ მაჯვებით და თან შეუკურთხეს არყის ხეს გაჩენი“.

ფონი კი ეკლესიაა, სინმინდუმუმწმენველი: „ეკლესიასთან სივრცე რომ შედგედა, გამოვფენინეთ და ვიცეკვეთ ხეებთან“.

საკრალური წმინდა ადგილიც კი აღარა უკვე ქრისტიანობის აკენის, უფლის საყდრის, წმინდა ოჯახის ადგილსამყველი, როგორც, მაგალითად, ნიკო სამადაშვილის პოეზიაში, სადაც ბავშვობის, ანუ სინმინდის წიაღთანაა დაკავშირებული ტაძარი – ერთადერთი გადარჩენილი ნაწილი სამყაროს:

„ქრისტემ ბავშვობა აქ გაატარა და ღვთისმშობელი უფადივ დაეცა“.

საგულისხმოა, რომ ამ საოცარი სიმყუდროვისა და სიმშვიდის შეგრძნების გვერდით, ნიკო სამადაშვილის პოეზიაშიც ჩნდება ერთგვარი განცემის განცდა წარმართული წარსულის გამო (შდრ. სერგეი ბულგაკოვისეული ერთიანი განსხვავებული სიყვარული ქრისტიანული ტაძრისა, სახლისა, დედისა, მარადიული წმინდა დედისა, მიწიერი და სულიერი სამშობლოსი, ღმერთის).¹

ეკლესია ამავე დროს ხომ გამოსახულებაა პირველქმნილი ჰარმონიის, ზეცისა და მიწის, ღმერთისა და ადამიანის, ცოლისა და ქმრის – ქალისა და კაცის ღვთიური კავშირის. პავლე მოციქულის მიხედვით, ქმარი თავია ცოლისა, როგორც უფალი / ქრისტე (სიმე) ეკლესიისა (სძლის / სასძლისი. იხ. 1 კორნ. 7, 1–40; 11, 7–16). ეს კავშირი გაცნობიერებულ, ნებელობით, სასურველ მორჩილებას გულისხმობს და არა მორწმუნე, ბრმა მორჩილებას, რომელსაც ასე ეწინააღმდეგება და რომელსაც ასე გაურბიან სწორად გაუცნობიერებელი ადამიანები. ეს კავშირი ღვთიური მორჩილების გამომხატველია, რომელსაც მორწმუნე ჭეშმარიტი ღვთაებრივი სულიერი თავისუფლებისაკენ მიჰყავს და არა სულიერი მონობისაკენ. იგი გულისხმობს ადამიანის ნების ღვთისკენ წარმართვას, ღვთის ნებისადმი დამორჩილებას. მაგრამ დარღვეულია და დაზიანებული ეს ჰარმონიული და ღვთიური კავშირებიც. ადამიანი კი, მისი ურწმუნოებიდან და უსიყვარულობიდან გამომდინარე, აქაც გარეუბანშია – ეკლესიის, ეკლესიურობის, ღვთისაგან დადგენილი წესის (ნესრისის) გარეუბანში; ეკლესიაში კი არ დგას, არამედ „ეკლესიასთან“ – მის გარეთ არის დარჩენილი. თუთუ უკვე გარდავიდნენ „უკანასკნელი ქრისტიანებიც“ – „რჯულდანწყვეტილი ქართიველინი“ მაგრამ იქნებ ამ პირველი ნამდვილი სულიერი საწყისების, სულიერი სამშობლოს მოგონების და ჭეშმარიტი თავისუფლების მომნიჭებელი ჰარმონიული კავშირის თავისებურად აღდგენის გაუცნობიერებელი და დაფარული სურვილია მიწიერი ჟამისა და ვნების გაღვი-

ძებაში – წარმოსახულ იდეალურ წყვილებთან, ხეყვანა ცეკვაში გამოხატული?

და რა საწარმო და ოდნავ მაინც მბუჭტავი წარსლის მომტყინი უნდა იყოს ამ გაუცხოებაში გახსნილ, საეჭატა, პირველქმნილი სიმარტყითა და ლოცვებით კაზმულ სულთან შეხება!

„მე კი ვწვევარ და ვნატრობ შენს სხეულს და სულს, თეზივით ამოპრუნებულს“...

„შენს სულს წყნარ მიჯნებს თავადვე უბრეც, ლოცვებით კაზმავ, გიჭირს შელევა.“

„მიდი, შეურთე ეგ სული ღრუბლებს, გაჰყვედი ღამის საშინელებას.“

ამგვარი სული ყოვლისმყოფელა თავისი შინაგანი სინრფელიდან გამომდინარე. ამგვარი სული ცნობს თავის „სულით... ტოლს“ (ბართაშვილის მსგავსად), „იცის“ იგი (მოთა რუსთაველის გავებით):

„შენ ჩემში იმ წერტილიდან შემოიხედე, საიდანაც არაყის არ შემოუფედვს“.

ამგვარი სული ხედვას „სულით ტოლის“ გასაჭირს და ცილობას უწამებს მას:

„შენ შენშივე ჩემში უზარმაზარი ჩამტყვეული ხიდი, ლიანდაგიდან ამოვარდნილი მატარებელი და ნაღმის ნატყვი“;

„შენი სინდისის ჩარჩოში ჩემი გატყვილი სურათი შევნიშნე, ტანჯვით აღსავსე მთვრალი სახე, ნერვებადცეკული“.

ამგვარ მოალერსე სულს საყვარელი ადამიანი ისევე ბავშვის ნახატის მსგავსი ჰგონია და ცოტა უკეთესიც („მე ვგავდი ბავშვის დახატულ ადამიანს, გვერდზე ნახრილს“). ბავშვის ნახატი კი ყველაზე მართალია და წრფელი. ამგვარი სული ვერ ამჩნევს, თუ არ ამჩნევს „სულით... ტოლის“ გატყვილ სურათს – ტანჯვით აღსავსე მთვრალ სახეს, ნერვებადცეკულს...

„სულით ტოლისათვის“ სიყვარული აღარა უკვე სიხარული, ვთქვათ, XIX საუკუნის შესანიშნავი რუსი პოეტის, ათანასე ფეტის გრძნობისმგავარი: „Я пришел к тебе с приветом...“.

„მოვედი შენთან გახსნილი გულით...“, არამედ „სიყვარულის განსენება“ მხოლოდ:

„უნდა მითხრა შენს სუნთქვაზე უფრო მთავარი, რას მომიყვები ნეტავ ისეთს, რასაც შენი მარტობა ვერ მომიყვება, ან რითი უნდა მტანჯო ისი, როგორც დამტანჯავს შენივე ტანჯვა“...

სწორის ტანჯვით ტანჯვა აქ უმთავრესია და მაინც: „ჩვენ უცხოში ვართ ერთმანეთისთვის. შენი გაშლილი თმების სიმუქე ნიშნავს ჩემს სიკვდილს და ხეების მუდმივ სიცოცხლეს“.

იქნებ, ამ უცხოებაში განდობა უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე მისი არცოდნა და მისით მოგვრელი სიცოცხლე ზრობა? ეს ხომ უკვე სითბოა და მშობლიური განცდისკენ მიბრუნებაა უძლიერ შვილისა. ისევე მშობლიურია

¹ იხ.С.Н. Булгаков, Моя родина; Религия человекобожия в русской революции; Религия и политика (1871 – 1944), » Новый мир», 10, 1989.

იგი, როგორც სადარბაზოში მხოუტავ პატრუტთან სიბ-
ნელმოდ „მითრთოლვარე მამის ხელა“, როგორც „მკედარი
და უზადრუკი სინაოლის დარცხენა“...
„და გაანათებს ცარიელ წყვდიადს
მხოუტავ პატრუტით ღერჯვენა მამის“ –
ის კი „ნიგნით და ღვინით, ფიქრით და ნალვლით“
თავისი გზით მიდიოდა მარადიული სამშობლოსაკენ,
სინათლისაკენ:

„შენ კი დლოცავ ყორნისფერ ხეებს,
რადგანაც გეცხო ცხოვრების მადლი,
რადგან მზის შუქზე ითბობდი ხელებს
და მიაპობდი ღამეებს სანთლით“.
ამ გაუსაძლის, რწმენდაკარგულ ყოფაში „ვილაც
მაინც ანათებს ჩვენს არსებობას“ – ვილაც – მუდამ ჩვენ-
გან დაკარგული და მუშუწნეველი (ღმერთი, სატრფო თუ
უზრალო ადამიანი).

„სინათლეში კი სჭვიოდა ცრემლი
ვილაც უზრალო ადამიანის“.
და განა ასე ძნელია, ადამიანი იყოს „თოვლივით უზრა-
ლო“? (მღრ. ბორის პასტერნაკი: „И жить, не засоряясь
вперед./ Все это – небольшая хитрость“). „ასე უზრალოდ
იხსოვრო ქვეყნად/ ბინის გარეშე – არ არის ძნელი“).

იგი ხოშ „ნათლის სვეტოვით“ არის ჩანერილი „ტალ-
ლოვან დროში“:

„მოსახვევებში ერთმანეთით განათებული
ადამიანები დადინა
და ანათებენ ერთმანეთის ზურგებს, ხელებს, სახეებს“,
ცოცხლებან ერთმანეთის ფარული იმედით... ამ
იმედის წყნარ, მშვიდ ნათელს დანახვა და შეცნობა
სწავრია...

კაცი ღმერთისა და სულიერი ადამიანის ძიებასთან
ერთად დაეძვრა თავის ბავშვობას, რადგან სამივე (ღმერ-
თი, სულიერი ადამიანი, ბავშვობა) ერთად იყრის თავს,
როგორც ყველაზე სრულყოფილი გამოხატულება პირ-
ველქმნილი პარმონიისა, სინმინდისა და სულის სამოთხისა –
როცა კაცი ჰგავს ბავშვის მიერ დახატულ ადამიანს,
როგორც შექმნა იგი უფალმა და როგორცაა ხედვას მას
მამა, მეგობარი და „სულით ტოლი“.

„ჩემი თავი იქ დავტოვე,
მიტოვი გზრუნდები სიზმრებში
და ვუვლი ირგვლივ
იმას, რაც მართალია.“

ეს წიგნი ამ რთული შინასამყაროს გახსნის წარმატე-
ბული ცდაა ყოფილობის მრუმე, მძიმე ფონზე და მისი
საშუალებით. ავტორს არ ეშინია ღვთაებრივ, ჭეშმარიტ
სიხარულს მოკლებული დანგრეული სულის ბნელ სილ-
რმეებში ჩახედვისა (მღრ. ფოდორ ტოუტეჩვი: „He pilot,
а дух растлился в наши дни.../ Приди на помощь моему
неверию...“).

როგორც ა. ტარკოვსკის ფილმი „ანდრეი რუბლიოვი“
მხატვრის თვალწინ და ჩვენ თვალწინ ჩაივლის მთელი
ეპოქის რუსეთის ისტორია და ყოფა თავისი ხასიათით,
სიხარულითა თუ მწუხარებით, სინმინდითა და ბიწით,
რწმენითა თუ ურწმუნოებით, უფრო კი სიმძიმეებით,

ჭეუჭეითა და სიმდაბლით, ისე, რომ ერთი სიტყვაც, ერთი
კადრიც კი არ გვხვდება მთელი ფილმის მანძილზე შემო-
ქმედის (ხელოვანის) ღვთიური, ზეციური, ამაღლებული
სამყაროს და შთაგონების გამოხატულები, ისე, როგორც
ამ ფილმში განზრახა ამოტრიალებული სამყარო და
მისი ფსევდორეალისტური ნარმოქმნილი, რათა შემდგომ (ფილმის
ბოლოს) ავტორმა ზეცა დაგვანახოს – რუბლიოვის
ცხოვრებისეული გამოცდილებითა და ღვთიური შთაგონ-
ებით შექმნილი ხატები და ფრესკები – ასეთივეა ანდრო
ბუაჩიძის პოეზიაც. აქ არის ცხოვრების, სამყაროს, ამ
და იმ სოფლის, სიყვარულის, რწმენის, სასოების გარეუ-
ბანი – ყოფითი კადრები სულიერი გაუცხოებისა, როცა
ალარ იცოდნობა და აღარც კი ახსოვთ ერთობა ქრისტეში;
„ცხოვრების მადლცხებული“ პოეტის მიერ წარმოდგე-
ნილი მასში (ცხოვრებაში) დამარბული მარგალიტის
გალსაცხელებად, რათა იგი ფრესკებით გამოზო-
რწმენდეს ჩვენდა საწუგემოდ სააქაოში (რადგან გვინდა
გვეგრძოვდეს, რომ ჩვენს ურწმუნო დროშიც პოეტი, რაც
კი უნდა უჭირდეს, ჯერ ისევ არის ცისა და მიწის, ღმერ-
თისა და ადამიანის დამაკავშირებელი და შუამავალი).

ყოფიერებიდან სულიერებისაკენ მიმავალ კაცთა ამ
გზაზე და მრუმე ყოფიობაშიც კი ჩუმი სიზივთ გაცისკ-
როვნებზე ადამიანებზე წერს კიდევ ერთი თანამედროვე
რუსი პოეტი იური ლომოვი:

„Таких – вас лелеял Рублев
в печалином своем веке.
Как воск, как слово „любовь“
Пахнут его человеки“.

„თავს გვევლებოდათ ამგვართ რუბლიოვი
თავლოვან თავის საუკუნეში.

ცვილივით, სიტყვა „სიყვარულივით“
სურნელს აფრქვევდნენ მისი კაცები“.

ისევე, როგორც იური ლომოვიც, და, ვფიქრობ, უფრო
მძაფრადაც, ანდრო ბუაჩიძე გვაძიულებს დაეფიქრდეთ,
თუ ვინ არის იგი – პოეტი, საკუთარი გულის მზილავი
და სხვათა გულთამზილავიც? და ვინ ვართ ჩვენ, მისი
მიტოვებელი?

ანდრო ბუაჩიძის პოეზია გვიჩვენებს იმას, რასაც ჩვენ
ვერ გვხვდით, მიგვანიშნებს იმაზე, რასაც ვერ ვამჩნევთ
და გვხსნის იმას, რაც არ ვიცით.

დაბოლოს, ამ დანაწევრებულ სამყაროში, ანდრო
ბუაჩიძის მხოლოდ ტკივილიანი პოეტური სიტყვით რომ
მთლიანდებოდა, მაინც შენარჩუნებულია (რა თქმა უნდა,
ტრანსფორმირებული სახით) ის მსოფლგანცდა, ბიბლი-
იდან რომ იღებს სათავეს. სამყაროს გარეუბანში გადას-
რეოლილი პოეტის ურბანისტულ ხილვებში ღვთაებრივი,
ჭეშმარიტი სიხარულის იმგვარი მონატრება იკითხება,
ახლა მხოლოდ სულის ბნელ სიღრმეში რომ შეიძლება აღ-
მოაჩინო. სწორედ ამიტომაც ანდრო ბუაჩიძის ლექსებში
დახატული ფიზიტენიციალური სამყარო ერთდროულად
საშიშიც და ახლობელიც, დანგრეულიც და აღდგენილიც,
ფრაგმენტულიც და მთლიანიც.

მიხაილ კუზმინი

„ალექსანდრია“ – მეტყვიან და ვხედავ მაშინვე სახლს და თეთრ კედლებს, ქათქათა კედლებს, ლეკვიონის კვლებს და ბაღის პანანკინტელას, შეროდგომის მზეს, ქანცმოდულს საღამოს პირზე და შორეული ფლიტების ჟღერა ჩამესმის.

„ალექსანდრია“ – მეტყვიან და ვხედავ მუდმივად ვარსკვლავიან ცას მიყუჩებულ ქალაქის თავზე, კუმტ კვარტალბში მობანცალე მთვრალ მეზღუაურებს, მროკავ ქალიშვილს, ტანს რომ არხეც თავგამეტებით და მესმის ხმები დირის და დავიდარაბის.

„ალექსანდრია“ – მეტყვიან და ვხედავ მკაფიოდ მწვანე ტალღებში მენაშული მზის ჩასვენებას დიდრონ, მკბენარა, გამეჩხრებულ ვარსკვლავთა კრებულს, ლამაზ წარბებქვეშ ნაცრისფერი თვალების ნათელს, რომელთაც ვხედავ მაშინაც კი, როცა არავინ არ მეუხენება ამ ერთ სიტყვას – „ალექსანდრია“.

იოსიბ ბროდსკი

ოქსიფის ტალღებზე

დასრულდა უკვე ტროას ომი, ტელემაქ ჩემო, ვინ გაიმარჯვა, აღარ მახსოვს და აღარ ვიცი, ალბათ ბერძნებმა, ვინაიდან მხოლოდ მათ ძალუძთ სხვათა მინაზე თავის მკვდრების ასე გაფანტვა. გრძელი გამოდგა მეტისმეტად გზა შინისაკენ, ვიდრე იქ უქმად ვირჯებოდით, მანამდე თითქოს პოსეიდონმა გამაღებით გაჭიმა სივრცე, და ახლა უკვე ველარ ვიგებ, სად ვიმყოფები, რალაც ჭანჭრობი კუნძულია, ეკალ-ბარდებში ჩაფლული ბაღი, ფიცრულები, ღორის ქყვიტინი, ქვა-ღორღი ყრია, კიდევ ვილაც დედოფალია... ყველა კუნძული ერთმანეთს ჰგავს, ტელემაქ ჩემო, როცა ნიადაგ გზაში ხარ და ხარ მოგზაური, თავგზა გებნევა, აბა, ტალღებს რა დათვლის ზღვაში, როცა პორიზონტს გააჭურებ და ცრემლი გვის თვალზე შორსგანდენილი მზერისაგან. ყურთაშინაგანს კი ზღვის ცხოველების გამეყიანა ხმა ეფეთება, არა, არ მახსოვს, რით დამთავრდა ომი, ტელემაქ, და შენ რამდენი შეგისრულდა, აღარც ის ვიცი.

ჩემო ტელემაქ, გაიზარდე, მოისხი მადლი, კაცმა არ იცის კიდევ სადმე თუ შევეყრებით, შენ აღარა ხარ ის ყმაწვილი, რომლის თვალწინაც მე მომიწია დაურება მძევინარ ხარების, აღარ ვართ ერთად პალამედეს გამოისობით,

თუმცა ეს იქნებ ყველასათვის უმჯობესია: ოიდიპოსის ვნებათაგან შენ თავდახსნილი უცოდველ სიზმრებს ხედავ ახლა, ტელემაქ ჩემო.

რაინერ მარია რილკე

შამოღგომის დღე

უფალო, დროა, ზაფხულს უკვე უნევს მიღევა, დე, უკვე შენმა ნიავკარმაც იქროლოს მინდვრად, და შეღამებაც განაფინე უგრძეს ჩრდილებად.

ბრძანე, ბოლომდე რომ დამნიფდეს ნაყოფი შენი, რადგანაც უკვე გალია ჟამი ყოველი, ოროდე დღე და მერე კი დაუყოვნებლივ მიძიმე ღვინოში ჩაანურე უტკბესი წვენი.

მარტოსული კი ვერ მოირჩენს ძველ ნაიარევს და ამიტომაც არ იქნება ის უშფოთველი, წერს გრძელ წერილებს, ვიდრე დღის შუკი იალებს, ივლის ცარიელ ხეივანებში, იხეტიალებს იქ, სადაც ქარმა დააფინა ხმელი ფოთლები.

ჰერმან ბროხი

არცა ერთმანეთს ვახვეოქი

უკვე ერთმანეთს ჩახვეულებს გვესმოდა, მგონი, აპოკალიფსურ ბედაურებს ზათიკ გაჰქონდათ, გვესმოდა კი? დიხ, გვესმოდა მიძიმე ფლოქვების თქარათქური მოღნეული შორი სივრციდან გვესმოდა, მაგრამ არ ვაგდებდით აინუნშიაც, თითქოს რადიოს ხმა იყო და სხვა არაფერი.

მე ეს ცხენები ადრეც ხშირად ამდევნებია, მაგრამ საკვირველ ბედისწერის გამოისობით გადაჭრეწილვარ უნეალებლად, უზიანებლად და ამიტომაც სიკვდილიც კი დამეწყინება, ზო, ის სიკვდილი, მე რომ ყელზე მაბჯენდა დანას.

და უწყებანი მოღნეულნი რადიოტალღით გამოქებაულთა კედლებივით გარემო გვერტყა და რა ნუთშიაც გავინდენდით მზერას, მაშინვე ცეცხლი გვაკროთოდა ქალაქიდან გამოღნეული.

ჩვენ ხომ თვალები შოშის გამო არ დავციხუჭავს და არც სენია არ დავცხუშობია მხოლოდ იმიტომ, რომ სხვისი დარდი და წუხილი არად მიგვანდნა. მარტოობაც ხომ იმიტომ არ მოგვსურებია, რომ გაქცევა და თავისდახსნა მოვინადნეთ.

არა! ყოველმა ჩვენთაგანმა უნდა იცოდეს, ვის გაიხსენებს საბოლოო აღსასრულის წინ, რომ უაზროდ და აბსურდულად არ დაიღუპოს.

ო, გთხოვ, განგებავ, აგვარიდე უაზრო ხევდრი, ბევრმა დათრგუნა სწეულება უკურნებელი და თვით სიკვდილიც ჩაწიხლა და გააცამეტვერა, მაგრამ ყველაზე მწარე ბედი იმას ხვდა წილად ვინც კაცი იყო და წამებამ მხეცად აქცია!

მეც ეს ხევდრი მხვდა და შენ ამას უღაგოდ მიხვდი! დიახაც მიხვდი, როცა ჩემთან ეშურებოდით, და ამიტომაც ვეხვეოდით ერთმანეთს ალბათ, ხოლო შორიდან კი ისმოდა აპოკალიფსურ ცხენების ფლოქვთა თქართეთური და ჩვენ ვიცოდით, რომ ეს ფლოქვები თავისქალების აცამეტვერებდნენ.

იოზეფ ვაინშტერნი

პენსიონერები

რატომ დადიან უთავბოლოდ, ნელა, ტაატიო, რა უნდათ ნეტად მოსიკრე პენსიონერებს შოინბრუნის მთავარ ხეივანში? დრო მიწნურა! ჭლაროსნების ვნებათაღელვა წყალმა წაიღო და გარდასულით ახლა სულს თუ მოიბრუნებენ, სხვა რა უნდა ქნან? სეირნობენ დილასისხამზე.

მოზომილია ჩუმი, დინჯი, მჭიდრო ნაბიჯი, ვესტ-მიმიკა ხომ ნასწავლია, სიტყვა – ჩვეული, სხვა რაღა არის: ჩინი, წონა, თანამედრობა, მჭიდვ პროტეზი, სიბაბუნე, ქათმის სიბრმავე, რესპექტივითაა აღბეჭდილი მათი ცხოვრება, მიმოხვრა, პენი, დახვეწილი რევერანსები.

მზე იღვინთება მწვანე მოლზე და სიმშვიდა, ძელსკამზე სხედან, უმთავრესი არის პრესტიჟი – მავანთა შორის წარსულშივე გამორჩეული პენსიონერი სულ უეცრად იმარჯვებს ბეჭედს, რომელიც თურმე უსასხოვრა იმპერატორმა და ფსალმუნითი ისმის მისი ჩუმი ჩურჩული.

მავანი კიდევ საათობით დაყუდებული ცდილობს, აღუძრას წართმეული მადა ბელურებს, ცდილობს, ჩიტები საიხლოვეს შემოიტყუოს და, როცა ფრთოსნებს დააპურებს, ამბობს ყვედრებით: უჩემოდ ალბათ სხვა ვერაგინ დააპურებდა ამ სულწანყმედილ და საცოდავ ჩიტბატონებსო.

გარდასული დღით უდგათ სული ხანმოზათევეებს, გავიდა დრო და წყალს გადაჰყავა ვნებათაღელვანი, შოინბრუნის ფართო ხეივანქვეშ დილასისხამზე ჭლარაშერთულთ და ერთთავად მოხეტიალეთ რა რჯით, რა უნდათ, ღმერთო ჩემო, პენსიონერებს, რატომ დადიან უთავბოლოდ, ნელა, ტაატიო...

პარტ კრინი

ზოგადი სახელი

პეპლების კროთმას და ფუტკრების ქროლვას ხვეულად განგებამ ცოცხალით მოუბოძა მოკლე საწუთრო და მათი ფრთები სახელებით არ შერხეულა, უსახელოა, ჩვენ კი გვინდა, რომ გავაცუდოთ

განგების ნება და, ამგვარად, პეპლებს ცალ-ცალად, სწორედ ამიტომ ფრთებს უბეში ხელით ავნანაოთ, საკუთარ სახელს უსახელო ფრთების ნაცვლად ავამბეურებთ და ფუჭია ეს ცრუ ნაცვლო.

ო, რომ ძალგვიდდეს საკუთარი სახელის წაშლა და დავიწყება იმის, რაც კი დავიდეთ შინად, არ ვიფიქრებდით, რომ განგება ამოდ დაშვრა და ზოგად სახელს მოვძებნიდით წილში ყამათ.

ფედერიკო გარსია ლორკა

ბალადა ზღვის წყალზე

ზღვისყურე ილიმის ლიმლით მდაგველით, კბილები ჭაფის და ლაფვარდის ბაგენი...

გოგოს ვეკითხები ბრინჯაოსმკერდიანს: – დარდით რად გიღვვის თვალები ცინცხალი?

– წყალს ვყიდი, ბატონო, ეს წყალი ზღვისაა, ო, ჩემო ბატონო, მე ვაჭრობ ზღვისწყალით.

– ჭაბუკო, შენს ტანში ასე რა ხმაურობს, რით გიდულს მაგ სისხლის ყოველი წინწკალი?

– სისხლი და წყალია, რომ მიჩქეფს ძარღვებში, ასე რომ მიშხუის, ეს არის ზღვისწყალი.

– ო, დედავ, რა მალაშე მდინარედ ქცეულა, შენი ცრემლები ტალღებად ისწრაფვის.

– ეს არის ზღვისწყალი, ო, ჩემო ბატონო, ჩემი ცრემლებია, ეს არის ზღვისწყალი.

– ო, გულო, მითხარი, საიდან ასეთი წუხილი, დარდი და ბალღამი დიდალი?

– ძალიან მწარეა ზღვისწყალი, ბატონო, ძალიან მწარეა, მწარეა ზღვისწყალი.

ზღვა კი ილიმება ლიმლით მდაგველით, კბილები ჭაფის და ლაფვარდის ბაგენი.



ანდრო ბუაჩიძე

ისინი ისხდნენ ეკლესიის გვერდით, გალავანთან ჩადგმულ ქვის სკამზე და დაღამებამდე საუბრობდნენ. ბერს მშვიდი სახე ჰქონდა და ხშირად ფოთლებში გამოსხლეტილი ელნათურის სხივი წამით უნათებდა დიწვე გამორტყევილებას. ქალიშვილი სტუდენტი იყო და ძალიან უჭირდა ცხოვრება. ასეთ დროს კი ბერადღაღვეცილს რომ დაიმართებლებდა, გაუთავებლად ლაპარაკობდა, თითქოს ვინმე არ აცლის და სათქმელის მოსწრებას ლამობსო. ქალიშვილს სალომე ერქვა, ბერს – მამა კონსტანტინე. ახლობლები ძველებურად კოტეს ეძახდნენ. კოტე ადრე იგოეთში ცხოვრობდა და იქვე მუშაობდა ძირების ფერმაში. მერე იქაურობას გაეცალა და ქალაქში წამოვიდა. ეკლესიაში იმასაც ამბობდნენ, ამ კაცმა ნაჯახით საკუთარი ცოლი მოკლაო. „დაუჯერებელია“ – ამბობდა სალოსი მამა გაიოზი, „დაუჯერებელია“ – კვერს უკრავდნენ სხვებიც. „საფლავზე დამთვრალა ბზობადღეს, მემრე შინასკენ მოდენილა, ხელში ქაღალდში გახვეული ბზის ტოტები სჭერია, მემრე ცოლი უნახავთ მკვდარი... ჰოი, მოგიტყვევ, უფალო, ცოდავნი ჩვენნი“ – ჩიფიფებდა სალოსი გაიოზი. მამა გაიოზს ერთი ბილილი შერჩენოდა პირში და მისი ხმამალაღი იფიჩიფი ძალიან აკვირებდა ქალიშვილს. ეკლესიაში ყველაფერი მიმზიდველი და სხვანაირი იყო – მჭუტავი სანთლები, ბურუსში ჩაძირული დიდი ხატები, საკმევლის სუნი, მლოცველი ადამიანები, მუდამ წარბშეკრული მამა კონსტანტინე, ქადაგად დავარდნილი მოჩირიფე გაიოზი. აქვე მსახურობდა ერთი მონაზონი ქალი, რომელიც ფეხპარკოვით დაბოივებდა გამჭვირვალე ბურუსში.

სალომეს ძალიან უჭირდა ცხოვრება. მისი არავის ესმოდა. ამიტომ ყველაზე მეტად ის წუთები უყვარდა, როცა მწუხრის ნორვის შემდეგ მამა კონსტანტინესთან ერთად ჩამოჯდებოდა და საუბარს მისცემდა თავს. მრევლე უკვე გაკრფილიყო. საუბარში ისე სწრაფად გადიოდა დრო, რომ სალომე ვერც კი ატყობდა, როგორ ქრებოდა ეკლესიის ყვითელ კედელზე დღის ხალიჩანი სინათლე და როგორ ირეკლებოდა ელნათურების ხელოვნური სხივები.

„რა ვიცი, მე სიკვდილს ვერა ვგრძნობ, ბავშვობაში კი თითქოს ვგრძნობდი. ახლა ცოცხალი ვარ თუ არა, იმასაც ვერა ვგრძნობ.“ – ამბობდა სალომე და უკვე სიტყვებს მნიშვნელობას აღარ ანიჭებდა. მთავარი იყო, რაღაც ეთქვა, მამა კონსტანტინე მთელი არსებით უსმენდა და უჯერებდა. მერე ბერი იწებდა საუბარს და

არც ახლა ანიჭებდა სიტყვებს მნიშვნელობას სალომე. აკი ისედაც ჩანდა, რომ ამ საუბრის აზრი ერთი ვრცელი, გაუთავებელი ნუგეშისცემა იყო. მხოლოდ აქა-იქ ლაპარაკი მამა კონსტანტინეს „შვილო ჩემო“ დასცდებოდა და ეს „შვილო ჩემო“ ყურს ჭრიდა სალომეს. „შვილო ჩემო, პავლე მოციქულს უთქვამს, სიყვარული უშურველიაო“, – იტყოდა კონსტანტინე და მერე სალომე სასოებით მოელოდა ამ ნათქვამზე ასხმული მოძღვრების დაბოლოებას, რათა თავისი სევდიანი აღსარება განეგრძო.

მეორე დღეს სალომეს აღარც კი ახსოვდა წინადღის საუბარი, ოღონდ ვერ ხვდებოდა, რისი ბრალი იყო ყოველივე ეს, მღელვარების თუ გაფუჭებული მახსორობისა. დანარჩენს ყველაფერს იხსენებდა, როგორ მივიდა ლექციების შემდეგ ეკლესიაში, როგორ დაესწრო ნორვაგალობას, როგორ დასხდნენ ის და მამა კონსტანტინე ქვის სკამზე სასაუბროდ... და მერე როგორ გააჩერა ტაქსი, როგორ წამოვიდა შინ, როგორ დახვდა ბაბუა.

სხვა დროსაც ასე იყო, საუბრის შინაარსი არ ახსენებოდა, მხოლოდ მამა კონსტანტინეს მშვიდი სახე ედგა თვალწინ და ელნათურების მკვედარი სხივებით განათებული ეკლესიის ყვითელი კედელი.

ერთხელ, გვიან ღამით, სენაკის სარკმლიდან მონაზონმა გამოიხიდა და, მოსაუბრებს რომ შეეცოდა, თვალს შეჰკივლა. როგორღაც ამ მოკლე და ხმადაბალ შეკივლებასაც არ მიანიჭა სალომემ მნიშვნელობა. „შვილო ჩემო, პავლე მოციქული ამბობს, სიყვარული უშურველიაო“ – იმეორებდა კონსტანტინე, სალომე კი თავისას ფიქრობდა: „ნუთუ ამან მართლა მოკლა თავისი ცოლი ბზობა დღესო“, ფიქრობდა და ეს ფიქრი უცნაურ იერს სძენდა ბერადღაღვეცილს, ისეთივე უცნაურს, როგორიც იყო ეკლესიაში ყველაფერი – მჭუტავი სანთლები, ბურუსში ჩაძირული ღვთისმშობლის დიდი ხატი, საკმევლის სუნი, მლოცველები...

ორმამათ დღესაც გვიან დაბრუნდა შინ სალომე. ლექციების შემდეგ მეგობრის დაბადების დღეზე მერჩა გვიანობამდე. კარი რომ გააღო და დერეფანი გამოიარა, ბაბუა დანახა, – შუა ოთახში იდგა და რაღაცას უყურებდა დაღონებული. მერე თავი ასწია და უთხრა: „შენთან მღელვანი იყო წელან, ძოგის იდგა ფეხზე ისეთი მთვრალი, ბზობის მაღლი შეგენითო...“ აი, ეს გამოძევრინა ანაფორიდან – ბაბუამ მაგიდისკენ გაიმვირა ხელი. მაგიდაზე ბზის ტოტები ეწყო, ქაღალდში გახვეული.

მსახური ანგელოზის გოდება

(ფრაგმენტები ფილოსოფიური ესეიდან)

ჟაკლინ სირაძე

ვინმე შეიძლება შეცბეს და გაღიზიანდეს კიდევ, როცა პოეტზე ინერგება მსახური ანგელოზი, და ეს მით უფრო, რომ მისი პოეტური სამყარო იმ უღმერთო სამყაროს განსახიერებს („და მზერას აბუჯნ ცის ჩამკვდარ კიდეს...“ ან „ქვეყნიერებას ბტყვია ბზარი, / რადგან ვიღაცას გაუტყდა რწმენა“ ან „სადაც არის ღმერთი და/ ამავე დროს არც არის, / სანთელი დაიღვინთა, / გაიქექა ნაცარი“), რომლის წყვდიადიდან მოისმის თავზარდამცემი სასონარკვეთა და გოდება ამ პოეტისა – ანდრო ბუაჩიძისა.

მაგრამ განა ასე არ იწოდებოდა პოეტი მარადფაშ? – მსახური ანგელოზი. ალბათ, ამ ზრით დააკისრებს ოქტავიო პასი პოეზიას ასეთ მიძიმე დაგვლებას: „პოეზია ეს ცოდნაა, ეს სულის სრულყოფაა, ეს ძალაუფლებაა, ეს შთაგონებაა. მასში ასევე ჩადებულია ქმედების პოტენცია, რომელიც სამყაროს გარდაქმნას ისახავს მიზნად, რადგან თავისი არსით პოეზია ხომ რევოლუციურია“. და იქვე მექსიკელი პოეტი და ესკისტე პოეზიის ასეთ დასაზღვრებას გვთავაზობს: „პოეზიაში, როგორც ზღვის ნიუარამი მომწყვდილი ზღვის მუსიკა და მისგან მოისმის მისი რიტმები და რითმები, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ზღვის პარმონიის გამოხატვა და ამ პარმონიასთან თანხმობა“.

მაგრამ რა პქნას პოეტიმა თუ სამყაროში აღარ იგრძნობა ზღვის პარმონია? თუ ღმერთმა მიატოვა სამყარო, და პოეტის ლექსი ვეღარ იქნება სიმღერა სილამაზეზე და სიკეთეზე? თუ მისი სიტყვებით ვეღარ გაიუფერებენ პარმონიული მუსიკიდან გამომხმოილი იმ სიტყვებით, ადამიანის სულს რომ სრულყოფს და პოეტი ვეღარ იქნება სამყაროს საგანთა ამაყი, მედღდური თვითმპყრობელი მფეფ, შესაბამისად, ის ვეღარ იწოდება უგვირგვინო მეფეფ პოეზიისა და ვეღარ დაიპყრობს ჩვენს გულებს, როგორც წინასწარმეტყველი ან ქურუმი და ვერ გაგვიძვლება როგორც რომელიმე რელიგიის დამაარსებელი, ანუ ის ვეღარ იქნება შთაგონებული სამყაროს მწვენიერებითა და მისი მაღალი იდეალებით. არამედ იქნება გაუცხოებული სამყაროს საგანთა, უაზროდ დიდ და ტლანქ საგანთა ქვეშ „გასრესილი“ და ის მხოლოდ და მხოლოდ უგონო და აბსურდულ საგნებზე „მთხრობლად“, ანუ „მწარე ფაქტების კონსტანტაციით“ თუ შემოიფარგლება. და ისე გაუსაძლისია მისი მიძიმე ხედვრი, რომ მას ძალა აღარც კი შესწევს, გარდაქმნას ეს სამყარო, რადგან ის ამ აბსურდული სამყაროს მსხვერპლი შექნა, მსხვერპლი, რომლის ერთადერთი მისიაა უერთგულის ამ აბსურდულ ყოფიერებას და მხოლოდ ეს ერთგულება იქნება მისი ცოდნაც, ძალაუფლებაც და შთაგონებაც – შთაგონება, რომელიც მხოლოდ იმას დასაყვრდება, რომ გამოსახავს აბსურდულ ყოფიერებას ისე, როგორც ის არის და მეტიც არც არაფერი.

და თუმცა მე, თანამედროვე პოეტს, ანდრო ბუაჩიძესაც ვუნოდე მსახური ანგელოზი, მაგრამ არა ჩვეული გაგებით. რადგან მისი ტრაგედია, როგორც თანამედროვე შემოქმედისა, იმაში მდგომარეობს, რომ ის ველარასოდეს იხილავს თავის ანგელოზს ისე, როგორც ეს გერმანელ პოეტ შტეფან გიორგესთან გვხვდება. და ასევე, აქ არ ხდება ანგელოზისა და პოეტის ის იდენტიფიკაცია, რასაც ისევ შტეფან გიორგესთან მოვიძიებთ და, რომლის წაკითხვისას ჩვენ ლეთაბრივის სიახლოვე ისე შეგვაკერთობს, რომ მისგან გამომხმოილი მღელვარება გონებასაც კი დაგვაკარგვინებს. შტეფან გიორგე წერს: „და მისი ხმა თითქმის ჰგავდა ჩემსას...“ ან მეორე ფრაგმენტი გავისცნოთ:

„მას ჩაუფარდა ლოლიები და მიმოზებო

და მათ ასაკრეფდა რომ დავიხარე,

მანაც დაიოქა...“

სულ სხვა გრძნობა გვეუფლება აკაკი წერეთლის ლექსების კითხვისას. ჩვენ თითქოსდა ვერც კი ვგრძნობთ იმ ურთულეს გზას, რაც შემოქმედს აკისრია, რადგან მგლოვიარე პოეტიმა ყველაფერი იღონა, რათა პუბლიკის წინაშე წარდგომის წინ საზუიოდ, უმწვენიერესი ფერად-ფერადი სამოსით შემოსულიყო და მოჩვენებითი უდარდელობით ემღერას:

„ხან უგნური ვარ, ხან ბრძენი,

ხან არც ისა ვარ, არც ისა!

გარემოების საყრიც,


არც მინისა ვარ, არც ცისა“.

მაგრამ როცა პოეტი მოულოდნელ განაცხადს აკეთებს, სადაც იკითხება მისი სიამაყე იმის გამო, რომ მას – პოეტს ღვთაებრივი ძალა განკარგავს:

„სულ სხვა ჰყავს ხელისუფალი

ამ ჩემს გონება-გრძნობას“.

უნებურად გავგახსენდება თამარ კოტრიკაძის მიერ მარინა ცვეტაევის ლექსის «Новогоднее» მიხედვით გაკეთებული არაჩვეულებრივი ინტერპრეტაცია: „მას (ანგელოზს – ჟ. ს.) ადამიანი თითქოს ნაპირიდან ნაპირზე, ზღურბლიდან ზღურბლზე გადაჰყავს... თუკი ამ იერარქიის უზენაესი საფეხური ჩვენთვის ღმერთია, მაშინ ანგელოზი ღვთიური არსის ქვედა საფეხ-



ურს წარმოადგენს, ხოლო თუკი ადამიანი (არა უბრალოდ ადამიანი, არამედ შემოქმედი, ხელოვანი) ამ იერარქიის ქვედა საფეხურზეა, მაშინ ის თავისი სულიერი პოტენციალის მაქსიმალური გამოყენებით თავად ხდება ანგელოზი...

და ჩვენ გავიზარებთ, რომ აქ მოხმობილი აკაკის პოეზია მსახური ანგელოზის მაცნეობის დადასტურებაა. პოეტი – მსახური ანგელოზია? პოეტი – დაბრმავებული ანგელოზი? მაგრამ საგანგაშო აღბათ ისაა, რომ თანამედროვე პოეტი ანდრო ბუაჩიძე არც არასოდეს აღიარებს, რომ ის შეიძლება ანგელოზის, დაბრმავებული ანგელოზის უფუფულო მისიას აღსარულებს. და მაინც, რას ნიშნავს, რომ პოეტი ანდრო ბუაჩიძის მსახური ანგელოზი დაბრმავდა? აღბათ იმას, რომ მარადიულობის ილუზიისგან განძარცვულ აბსურდის ამ სამყაროში, პოეტს სათანადოდ ისიც კი ვერ გაურკვევია, სად არის. ვერა და ვერ გაურკვევია, რადგან „დღეს“ მისი სული გოდებს, გმინავს, მრისხნავს, ძრწის, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ მღერის. ანდრო ბუაჩიძე წერს:

„შენ კი საღდაც ზღურბლზე იდეცი
არც ამ ცხოვრებას ეკუთვნოდო
და აღარც იმას.“

ან:

„დღეს ჩემს პატარა და ბნელ ოთახში
ისევ გაუვლედ კარს ჩემს ძაქავებს,
და კიდევ ერთხელ გადმოიკალებს
ჩემს დღეებს, ყელზე გადაწაკანრებს“.

ლექსში „ღამე სოფელში“ ერთ ფრაზას მხოლოდ და მხოლოდ ის – დაბრმავებული ანგელოზი – დანერს, და მხოლოდ იმისთვის, რათა პოეტის სულიერი შეჭირვება აღწეროს:

„და მეც აქვე ვარ, მოწმე ამ ღამის
სიწუმეს მირღვევს ქროლა ქანქარის,
უნაპიროა ღამე, ვით ხრამი
და ფურცლის კიდეს ავსებს ფანქარი“.

მე, ჩემდა თავად, დაბრმავებული ანგელოზის საუკეთესო ინტერპრეტაციად მიმაჩნია ფრანგი ეგზისტენციალისტი ფილოსოფოსის, ალბერ კამიუს ეს კითხვა: „დღესდღეობით მარტო ერთი კონკრეტული პრობლემა მაღელვებს, უღმერთოდ თუ შეიძლება წმინდანად ქცევა?!“

როცა გერმანელი ფილოსოფოსი მარტინ ჰაიდეგერი თავისი წამოშობის სათაურად გამოიტანს ჰოლდერლინის „ელეგიაში“ გაუღერებულ კითხვას: „რისთვის ვიმღერო ამ ბერს საუკუნეში?“ უკვე თავად კითხვაში, ფილოსოფოსის მიერ სასონარკვეთილი ნოტიი წარმოითქმულ ამ კითხვაში იგულისხმება და მოიაზრება, რომ ამ კითხვას ძალუძს მოიძიოს პასუხი. ეს პასუხი ასე უღერს: ბერს საუკუნეში შეუძლებელი ხდება სიმღერა. და ეს მაშინ, როცა თანამედროვე პოეტმა, ანდრო ბუაჩიძემ, აბსურდის დამთრგუნველ და

გაუსაძლის სასონარკვეთაში მყოფმა, „არც კი იცის“ ეს კითხვა, რადგან მისთვის კითხვის დასმაც კი შეუძლებელი გამოდგენა.

* * *

თანამედროვე სამყაროს ამოყირავებულ მოდელში თითქმის უკვე დიდი ხანა დაადგინეს, რომ პოეტმა და ფილოსოფოსმა ერთმანეთს ადგილიერ გაეცაღეს, რაც იმასაც გულისხმობს, რომ პოეტი უფრო მეტად ფილოსოფოსობს, ვიდრე პოეტობს, უფრო მეტად აზროვნებს და მსჯელობს, ვიდრე სხვა საუკუნეებში პოეტები, ისინი ვინც ღვთაებრივი ექსტეზაში ალტაცდებულნი და შეპყრობილნი, არაცნობიერის ელვარე ბილიკს მიედევნებოდნენ და ასე მღეროდნენ.

და როცა მე ფილოსოფოსის შესახებ ვწერ, მასში სულაც არ მოვიზარებ იმ ფილოსოფიას, რომელსაც ლექსიკონის ქრესტომათული დასაზღვრა გვთავაზობს. არა, ეს ის ფილოსოფიაა, რომლის დეფინიციის ძიებაში გერმანელი ფილოსოფოსი მაიოდ ცილიობს შესაბამისი სიტყვა მოიძიოს და ბოლოს პოულობს კიდევ უხერხულ სიტყვას: უგუნურება. ის შემდგომ უფრო დაამკონერტებს უგუნურების ხასიათსა და შინაარსს და უკვე თამამ განაცხადს აკეთებს: შემლილობა. საინტერესოა, რომ რუსი მთარგმნელი ჰაიდეგერის მოყვანილ ფრანგულ სიტყვას une folie-ს უცვლელად გადმოიტანს თარგმანში.

შემლილობა, რადგან როგორც გერმანელი ფილოსოფოსი განმარტავს, ეს არ არის ცოდნა ჩვეული გაგებით, ანუ ეს არ არის ცოდნა რაიმე საგნის შესახებ, რომელიც შესაძლოა შემეცნების ჩვეული გაგებით მოვწყოთ, ან ყველა ჩვენ მიერ დასტოვებული პასუხი გავცეთ და ბოლოს, წერტილი დავსვათ. რაც იმასაც ნიშნავს, რომ სრულიად უსარგებლოა ამ ცოდნის გამოყენებაზე საუბარი. მარტინ ჰაიდეგერი ფილოსოფოსის შემლილობის ერთ-ერთ მტკიცებულებად იმასაც მიიჩნევს, რომ ფილოსოფია, როგორც აზროვნების წესი, ერთგვარად მოულოდნელი სტუმარივითაა, რომელსაც შეუძლია სამყაროს არსებობაშიც კი ეჭვი შეიტანოს. და რაც ყველაზე მეტად ნიშნულია ამ სტუმრისთვის, ის სალი გონების პრაქტიკოსის ნებისმიერ ნააზრევსა თუ ქმნილებას, სამყაროს რეალურ საგანთა „ობიექტურ სიმყარეს“ თავისი „შემლილი“ აზროვნებით, უფრო მეტიც, ალტაცებული აზროვნებით თლიანად წაშლის და ამ „შემლილის“ კითხვების ქვეშ უკვე სათუო ხდება ყველა ის ცოდნა, რასაც ზუსტი მეცნიერება და ბეჯითებით ამტკიცებს ლოგური არგუმენტებით. ამ „შემლილი“ აზროვნებას დაბეჯითებით არც არასოდეს შეუძლია ირწმუნოს, რომ საგანი საგანია, ან რომ ადამიანია – ადამიანი.

თანამედროვე პოეტი ანდრო ბუაჩიძე ფილოსოფოსობს, მაგრამ არა აზროვნებით, არა განსჯით, მაშასადამე, არა გონებით, რომელიც თანამედროვეობაში დიდი ხანა უუკუაღოდ, როგორც უსარგებლო ინსტრუმენტი დამანულ დილეგში მომწყვდეული სულის შესაღებად. რადგან თუ სასონარკვეთას შეხსენეს უნარი აზროვნების სული თლიანად გააღვიძოს, გონებასა და მის განუყრელ მსახურს, დაეჭვებას კი მოულოდნელად ის შესწევს, სააზროვნოდ აღძრას ადამიანი. და თუ ანდრო ბუაჩიძემ უარყო სულის ეს ყალბი მეგზური, გამოადის, რომ ის, პოეტ-ფილოსოფოსი, მთავოვნების კარიბჭესთან კი არ შეყვინდა, არამედ იმ ზღურ-

¹ შემლილობა, ჭკუიდან გადაცდენა.



ბლთან გააშუშეს და გაახვევს მრისხანების, სასონარკვეთის თუ ტანჯვის დემონებმა, რომლის გადალახვისას ის იმ სამყაროში მოხვდება, სადაც პოეტ-ფილოსოფოსი თავისი ვარსკვლავის აბსურდულ ბრწყინვას იპოვის:

„ერთი ვარსკვლავი გაანათებს შენს ჩამქრალ ბინას, საბედნიერო, კურთხეული ერთი ვარსკვლავი, სხევინი რომ დარჩათ დაკიდული და ახლა ბრწყინავს წყვილიაღის ყელზე ბანარითი გასანასკვავი. შეიძლება ასეთი ფილოსოფოსის „შემოილი აზროვნების“ ნიმუშად მივიჩნიოთ ლექსი „ღამე სოფელში“. ჩვენ ყურს მოგვჭრის და დაგვაფიქრებს ის ფაქტი, რომ ლექსში ერთი და იგივე ფრაზის ოთხჯერ განმეორება-ვარიერება ხდება მცირეოდენი ცვლილებით.

და თუმცა თავისთავად ეს ფრაზა, ერთხელ წარმოთქმული მის შემთხვევაში, მხოლოდ და მხოლოდ ბუნების ჩვეულ კანონზომიერებას თუ გამოხატავდა და მეტი არც არაფერი: „და სოფელმა დამარბა მკვდარი“. მაგრამ პოეტი „ფილოსოფოსობს“, ანუ თავისი „შემოილი აზროვნებით“ – იოცებს, იკვირებს ბუნების ჩვეულ წესს და ეს გაოცება-გაკვირება თავზარდამცემი ძრწოლაში გადადის კიდევ, როცა ამ ფრაზას პოეტი-ფილოსოფოსი ოთხჯერ გაიმეორებს, თანაც „ხმამაღლა“, თავისი „შემოილი აზროვნებით,

რადგან მისთვის უჩვეულოდ დაუჯერებელია, რომ ადამიანი მოკვდა და სოფელი...¹ ეროვნული მოიაზრება, როგორც საზოგადო მსოფლიო ან კაცობრიობა, სულაც უგრძნობელი რჩება ამ ფაქტის გამო.

და ლექსში ჩნდება სოფლის უგრძნობელობის დამადასტურებელი ფრაზა: „მთის კორტოხზე ბნელი ბორცვი წამოიზიდა“. და ეს ფრაზა წარმოითქმის ხაზგასმულად, მშრალი ინტონაციით, როგორც კითხულობენ, მაგალითად, საგაზეთო განაცხადს.

მაგრამ ისევ და ისევ განმეორდება, რომ გაოცება-გაკვირებიდან თავზარდამცემი ძრწოლამდე აეტორს მკითხველი მიჰყავს მხოლოდ და მხოლოდ იმით, რომ ერთი და იგივე ფრაზა ოთხჯერ მეორდება. „და სოფელმა დამარბა მკვდარი“. ამ შეიძლება ასოციაციით გაგვახსენდეს დანიის პრინცი ჰამლეტი, რომელიც შეძრწუნებული იკვირებს, რომ სამყარო არ განიცადა „მამამისის სიკვდილი“, უფრო ზუსტად კი, როცა სამყარო აგრძელებს თავის „ჩვეულ“ არსებობას, ის წარმოითქვამს ცნობილ ფრაზას: „ბოროტი კაცი დანიაშიც ბოროტი არის“. ამ წონსწრით ის სამყაროში მომდარი კონკრეტული ბოროტების წინაშე კი არ დგება, არამედ ის დგება იმ თავზარდამცემი რეალობის წინაშე, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ საერთოდ არსებობს ბოროტება.

ანდრო ბუაჩიძის ზოგიერთ ლექსში ჰამლეტის უკვე მოხმობილი ამ ცნობილი ფრაზის ეკვივალენტიც კი შეიძლება მოვიძიოთ: „მე მინდა, მინდა, დავინახო ამ ღამის ბოლო“. ან:

„მე მნადია შეგნოშო ქარი, ხევში ხევს რომ ააშრილებს და მგელს დააფრთხობს, წამიერად ბილიკზე შემდგარს...“

მისი ლექსებიდან მოისმის თანამედროვე სამყაროს ხმა, თავზარდამცემი ძრწოლა, სასონარკვეთა და მრისხანება:

„რა ნაღვლიანად გროვდება ბინდი და ფანჯრებს მიღმა ანთებულ წაღებს უთქმელისადმი ძრწოლა და რიდი მოაქვს და მწარეს მიტოვებს ნაღველს“.

ერთგან ამ მძიმე და სასონარკვეთი ფილის შესას ისე უჭრის პუეტს, რომ ლექსის სათაურად ციკ გამოითქვას მას: „მაღლად ღმერთს, რომ ისევ გათენდა...“

„მე საკუთარ თავს ღამეში ვაგნებ.

ღამეა, ღამე – უძირო ხრამი

და ეკარგება ფორმა იმ საგნებს,

აჩრდილებით რომ მახლავს ღამით“.

ჩვენ ამოვიკითხავთ პუეტის ლექსებში სასონარკვეთას იმის გამო, რომ მშობლიური სახლი არ არსებობს, რომ ის უსახლკაროა, და რომ მას სამშობლო არ გააჩნია, რადგან:

„ხედავ? ცხოვრება მარტო ერთი დერეფანია და ამ დერეფნის შესასვლელში

ბუფეტის ნათურა,

ერთი ფანჯარა, ერთი კარი, ერთი მთავარეა, ხედავ? ცხოვრება მხოლოდ ერთი დერეფანია“.

პოეტ ანდრო ბუაჩიძის სამყაროში გაუცხოება და სასოწარკვეთა თითქმისდა ერთგვარ ასოციაციას აღძრავს მარტის ჰაიდვეგის, სორენ კიეკე-გორისა და კარლ იასპერსის ფილოსოფიასთან, რადგან სასოწარკვეთა და ძრწოლა, – ესაა მისი ლექსების ერთ-ერთი მთავარი თემა. და მასთან გერმანელი ფილოსოფოსის, მარტის ჰაიდვეგის სიტყვებით რომ ვთქვათ: „ის, რის გამოც „ძრწოლა ძრწის“, არის თვითონ „სამყაროში ყოფნა“.

თანამედროვე პოეტის მარტობას ამ შეიძლება გაუზნდეს რაიმე საყრდენი ან რაიმე საზრისი, რომელიც გაუცხოების მწარე გემოს განაშორებს და იმ სამიმ გრძნობას დააძლევინებს, რომელიც პოეტს ამ ყოფიერებაში, აქ მყოფი ქვესენების სიცივის და ადამიანთა შორის არსებულ უზარო და გულგრილ ურთიერთობას დაავიწყებს. იმ სამყაროში, სადაც სინყარე არ არსებობს, უფრო ზუსტად კი, იქ, სადაც სინყარე ვეღარ იქნება სინყარე:

„...ლაშქ კანკალებს და წუხილს ახშობს,

სინყარე დაძრწის და მწარედ კივის,

აკავებს პირქუშ საგნების ხარხარს“.

სასოწარკვეთა, მერისხანება, ნაღველი მისთვის სულაც არ არის სულის მოსამზადებელი ის მდგომარეობა, რომლის იქით მორანს სულის გამოთიანება, ამიტომაც ასეთი ინტერპრეტაცია მცდარ გზაზე გაგვიყვანდა. ანდრო ბუაჩიძე აბსურდის იმ საზღვრებში ეწყვედება და რჩება, სადაც აბსურდის მიმიზე მძიმე შეგრძნება ბოლომდე განადგურებს. ამიტომაც თავზარდამცემაში გაუცხოება მოისმის მის ლექსებში, რომლის განმარტებას შეუძლია ერთგვარი უხერხულობის განცდა დაგვიტოვოს:

„აქ, ამ ქალაქში, სადაც იცინა

შენი სახეც და შენი სახელიც

და სულ არ უკვირთ, მხოლოდ შენ გიკვირს

უცაბედად რომ დაგვიახლებენ“.

რადგან პოეტის ძრწოლით დაღლილ სულში, სადაც მას თავისი თავიც ვერ უცნია, ერთგვარ საკვირველებად, უფრო კი კომიკურ ფარსად მოიანს, რომ ვიღაცას შეუძლია სახლით მიმართოს მას. ეს შეუძლებელი უხერხულობა, ერთგვარ ირონიას ინვესტს პოეტში. თუმცა მისი ძრწოლისგან დაღლილ სულს არც იმის თავი აქვს, რომ ეს ირონია გაამჟღავნოს. ამიტომაც ის უბრალოდ ისევ და ისევ ფაქტის კონსტატაციით შემოიფარგლება. აბსურდის ადამიანისთვის არ არსებობს გამოსავალი, რაც იმასაც ნიშნავს, რომ ადამიანთა შორის აღმართულ კედელს ვე-

რავინ გაეცევა. შენ – ვერ გაეცევი შენს გარემოს, შენ – ვერ გაეცევი შენს ქალაქს, შენ – ვერ გაეცევი აბსურდს და სწორედ ეს არის აბსურდი. ამიტომაც ინერგა მის მიერ:

„ვერ გაეცევი რისხივან ქალაქს და შენს ნაბიჯებს, ვით ნაბიჯებებს, ცხელი ჰაერი რაკალით ჰკლავს და მერე ისევ უკან გიბრუნებს“.

ვერ გაეცევი, – ამბობს პოეტი, – რადგან აბსურდული ადამიანისთვის უღირსი საქციელია გაეცევა ან დაძლევა აბსურდისა. და თუმცა პოეტ ანდრო ბუაჩიძის სამყაროში პირდაპირ არასად დაისმება ადამიანისთვის ყველაზე არსებითი კითხვა, ის უმთავრესი კითხვა, რომელიც ჯერ კიდევ ფრანგმა ეთნისტ-ცილისტმა ალბერ კამიუმ „სიზიფის მითში“ დასვა: „ცხოვრება განა ღირს იმად, რომ ბოლომდე გალიოს კაცმა“.

* * *

პოეტ ანდრო ბუაჩიძის უსიხარულო დღეები, ყოველგვარ ნათელ და სიხარულიან გრძნობასა და ცილებული და ის, როგორც მონაზონი, ერთგულია თავისი მონასტრის ასკეტური შინაგანანებისა, – აბსურდული ყოფის აბსურდისა. იგი თავისმონასტრად თავისი ქვეყნის გაუბედურებულ, გამომიგულ ყოფას მიიჩნევს. შეიძლება ისიც კი განეცხადოს, რომ არაფის უერთგულია აბსურდისთვის ჩვენს ქვეყანაში ისე, როგორც ანდრო ბუაჩიძეს. ის, როგორც ასკეტი, სვამს ღვინოს, ან სვამს ლუღს მხოლოდ და მხოლოდ როგორც აბსურდის შეგრძნების, მამასადამე, მართლაც ნამდვილად მისი მეცნიობის, მისი ერთგულების სასმისი. ჭიქაში დატოვებული, სასმისის მწკლარზე გემოს ძირში ის დაიცემივნებს აბსურდის საშინელ და გამაუცხოებელ გემოს და ასე შეიცნობს აბსურდს, ადამიანთა გაუცხოების სიმძიმესა და საშინელებას.

გაუცხოების საშინელებას, რომელიც მან განიცადა თავისი ყოველდღიური ცხოვრებით და არა ზაროვნების სირთულეთა და სიფრთხილით, რომელთა შორის, ისევ და ისევ ხაზგასმით და კატეგორიულად განეცხადება: გადაუღახავი უფსკრული!

სასმისის მწკლარზე გემოს ძირში ის სივრცე შემოიხაზება, რომელზედაც ალბერ კამიუ დანერს თავის „სიზიფის მითში“: „ისიც საცოდნელია, თვითმკვლავს იმ დღეს მეგობარი გულგრილი კილით ხომ არ ელაპარაკა“.

ამიტომაც, ამ სამყაროში ისეთ დანაშაულზე საუბრობენ, რომელიც შესაძლოა სასამართლო კოდექსით ვერც კი დამტკიცდეს (ვერ დაფიქსირდეს). აი, მაგალითად, ისეთი დანაშაულის მსგავსი, რაც ალბერ კამიუს „უცხოში“ წარმოითქმება: „მე ვადანაშაულებ ამ კაცს, რომ დედა დანაშაულის გაყინული გულით დაასაფლავა“. ამიტომაც ინერგა პოეტის მიერ:

„რა საჭიროა მოვიდეს მკვლელი, –

ანდა იქნევდეს ნაჯახს ჯალათი,

თვითონ ტრილებს ცხოვრების კვერი

და თავისთავად მოაქვს ღალატი“.

სამყაროს ამ აზოყარებულ, პარადოქსალურ სივრცეში, ყოფიერების საგანთა კიდებზე აღბეჭდილი ადამიანის უსაზოგო სასოწარკვეთა:

„და ტულუტის სარკესთან სასაპნეში დევს საპონი,

როგორც სასოწარკვეთილების პანია ნაგლეჯი“.

და აღარც კი უნდა გაკვირვებდეს ის ფაქტი, რომ მხოლოდ და



მხოლოდ „უუმცირესი სამყაროს“ პარადოქსალურ სივრცეში ვიხილავთ პოეტის ჩაბატულ პორტრეტს და ეს უჩვეულო პორტრეტი იხატება „შენის სინდისის ჩარჩოში“, რომელიც, ცხადია, სულაც არ წარმოადგენს პორტრეტს ჩვეული გაგებით, არამედ არის პოეტის Alter ego-ს, „შენის სინდისის“ მიერ ხილული:

„შენ ჩემში იმ ნერტილიდან შემოიხვედ, რომელიდან არავის არ შემოუხვდავს“.

პოეტის დანახვა, როგორც ეს აბსურდული სამყაროში შეიძლება მომხდარიყო „შემთხვევით“, არის განპირობებული, მაგალითად, უბრალოდ როცა პოეტი „სკამთან დაიხრება“. ლექსში იწერება:

„მე დავიხრე სკამთან და ამ დროს შენ შენიშნე ჩემში უზარმაზარი ჩამტვრეული ხიდი ლიანდაგიდან ამოვარდნილი მატარებელი და ნაღმის ნატეხი“.

ეს სამი ერთმანეთისავე დიამეტრალურად დაპირისპირებული ხილვა, ანუ: „უზარმაზარი ჩატეხილი ხიდი“, „ლიანდაგიდან ამოვარდნილი მატარებელი“ და „ნაღმის ნამსხვრევი“ კუბისტურ სურათის ქმნის, რომელიც პოეტის Alter ego-ს მიერ არის დანახული. ის არც ნათელხილვის ნიჭით არ არის განპირობებული და არც შთაგონების პრეროგატივით, არამედ ქირომანტიის სფეროს უფრო განეკუთვნება. რაც მაინიშნებს, რომ ეს „ნიჭი“ ცოდვით არის დაღდაძმული. ეს ცოდვა, ისევ და ისევ ადამიანს და ევას ცოდვას შეგვასხენებს სამოთხეში, სადაც მათ ეშმაკის ცოუნებით სიკეთისა და ბოროტის ხიდან აკრძალული ნაყოფი შეტყამს. პოეტი ცოდნის ცოდვადანობის შესახებ წერს ისე, როგორც უბრალოდ ფაქტს აღნიშნავენ:

„მე მჯერა შენი სულის ბნელი ქირომანტიის შენი ჩაკეტილი ვაშლი კი დევს სანერ მაგიდაზე და ნატეხი ნელა ედება ჟანგს“.

და შეიძლება ასე დავასრულოთ ამ „უუმცირესი სივრცეში“ ხილული პოეტის სურათზე საუბარი: „შენი სინდისის ჩარჩოში ჩემი გატეხილი სურათი შევინიშნე“. ამ სივრცეში ადამიანთა შეხედრაც არ ექვემდებარება ბუნებრივ კანონს, აქ ავტორი ისევ ამ „უუმცირესი სამყაროს“ სივრცეში წარსულის მესხიერებაში შეხედება გარდაცვლილ მამას:

„და გამახსენდება, რომ ამ ოთხიოდე წლის წინ შენც უსმენდი შუაღამის რადიოს და მოულოდნელად იქ წააწყდი ჩემს ხმას...“

.....
მე ვუსმენ რადიოს, რომელსაც შენ აღარ უსმენ“.

კანონზომიერია, რომ სიტყვა „შემთხვევა“ იწერება აბსურდის განცდით დაწერილ მის ლექსებში, კერძოდ, ერთ-ერთ ლექსში ავტორი მას სათაურდაც კი გამოიხატავს. ლექსში გადმოცემული ამბავი იწყება იმით, რომ ქალაქში ცოლმა მოკლა ქმარი, მაგრამ ლექსში არამცდარაზმაც არ იწერება – რატომ? არ იწერება – რისთვის? ან არ ამბავი უძლავად წინ ამ გვევლინება. მოკლედ, შემთხვევითი ამბავი ასე გადმოიცემა, მოკლა ცოლმა ქმარი და მძაკაცები მოდიან, ეს გულგრილი, აბსურდის პერსონაჟები. მათი გული და ტვინი, გრძნობა და განსჯა უფრნობადღეა ღუმეს. მაგრამ მათი „მხრები“ გადაწყვეტენ არაყი დალიონ. არაყი გალუქილები კი ვერც ვერაფერს გრძნობენ, როგორც უკვე გარდაცვლილი მძაკაცი ვერაფერს გრძნობს. ამ აბსურდულ ამბავს მხოლოდ მთავარ განიცდის – და პოეტი ვირტუოზულად წერს:

„მთავარ იყო ნახევარი და ნახევარზე უფრო ცოტა“.

და ჩვენ ყურადღებას მივაქცევთ ფრჩხილებში განთავსებულ ფრაზას – „ესე იგი, ეს მხოლოდ მისითი“. და უნებურად ამოგიტივტივდება აბსურდული კამიუს პერსონაჟი მერსო და ის შემთხვევაც, როცა სრულიად უმიზეზოდ, შემთხვევით კლავს მერსო ვინმე არაბს.

პროკურორის კითხვა როკიოდ ჩამოეციდება ამ მოთხრობის სივრცეში: „მამ, წერილი, რომელმაც ეს ტრაველია გამოიწვია, რატომ იყო მერსოს დაწერილი“. ხოლო აქვე ამავე ნაწარმოების სხვა პერსონაჟი რაიმონდის პასუხობს: „ესეც შემთხვევის ამბავია“.

ანდრო ზაფიძის ლექსებში არც არავინ სვამს კითხვას და არც არავინ პასუხობს. აქ, მხოლოდ და მხოლოდ პოეტის Alter ego – მთავარია, რომელიც საშინლად განიცდის არა მარტო მკვლელობის ცივ სისასტიკეს, არამედ ამ სისასტიკის შემყურე საზოგადოების გამხრნელ გულგრილობას. ამ საზოგადოებას, ისევ ავტორის ორიონებით, მძაკაცები განსახიერებენ, ისინი, რომელთა „მხრებმა მიიღეს საქმიანი იერი“. დანაშაულის ნამდვილი მიზეზის შესახებ ვერც ვერაფერი მოგვიყვება რამეს, რადგან ის მხოლოდ მკვდარს, მოკლულ ქმარს შეეძლო მოეთნობა. მაგრამ გარდაცვლილი „უუმცირესი ღუმეს“ და ესეც აბსურდია.

პოეტი წერს:

„ქმარს არაფერი არ უთქვამს ამხანაგებისათვის, რადგან სიკვდილთან შეიკრა პირი“.

როგორც ალბერ კამიუს „უცხოში“, აქაც, საზოგადოება – მძაკაცები – განიკითხება მკვლეულს. პოეტი ამის შესახებ ტყუნად წერს. აბსურდული აქ კიდევ უფრო თვალსაჩინოა, რადგან ჩვენ არ ვიცით, რატომ მოკლეს ქმარი, ან რატომ გადაწყვიტა ცოლმა მისი მოკლა. მაგრამ რადგანაც პოეტმა ამბის „მნიშვნელობის“ ხაზგასასმელად სათაურად გამოიტანა სიტყვა „შემთხვევა“, ეს იმასაც ნიშნავს, რომ ლექსში მოთხრობილი ამბავი აბსურდის ერთ-ერთი ნიშაა, აბსურდული ნაქდევნი აბსურდული ცხოვრებისა და მას აბსურდული ცხოვრება შეჰია. აბსურდის უფრო, გულგრილი ნაკადში მოქცეული პოეტი უაზრო წრე-ბრუნვაში მოქცეული წერს:

„ვერ გაეცქვე, რადგან ავბოცმა მარადილობას მიაგდა კიბე“.

მარადილობასთან აღმართული კიბე უშალ გაგვასხენებს აბრაამის სიზმარს. როგორც ბიბლიის ცნობილი განცხადებელი ა. პ. ლოპუხინა წერს: „ძილქუში დევცა აბრაამს“. – ღმრის ტექსტში ეს სიზმარი აღნიშნულია იგივე ტერმინით „ტარდება“, როგორითაც ადამის ძილი, როდესაც ღმერთი ქმნიდა ქალს (გვ. II, 21). აქედან გამომდინარე, ეს არ არის ჩვეულებრივი ძილი, არამედ იგი ზებუნებრივი, უჩვეულო ძილია, უფრო სწორად ის მდგომარეობაა, რომელშიც ადამი-

ანის ყოველნაირი ნიჭი, ძალა, შესაძლებლობანი არა თუ დუნდება, არამედ უფრო ძლიერდება. „...და აბა, დიდმა შიშმა და წყვდიადმა მოიცვა იგი“. ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს აბრაამის სუბიექტურ მდგომარეობასთან და გაპირობებული იმით, რომ უახლესი დროის განმავლობაში მას მატერიალურად უნდა მოეცლინოს ღმერთი (იობი. IV, 14-17)“.

ანდრო ბუაჩიძის ლექსში კი თავგანაშობა, გამოცხადებული და უსიყვარულო სამყაროში – სიყვარულით, სიბრძნითა და რწმენით აღსავსე პიროვნების ნაცვლად ავხორცი ალმართავს კიბეს მარადისობასთან. და ჩვენ შეგვეშინდება დავსვათ კითხვა კი: – ვინ არის ავხორცი? პოეტ? თუ მისი თანამდევი ბიროტი, თავზარდამცემად გულგრილი სულიგაციებელი ტუჩებით ამოა სიტყვათა ნაკადს რომ ჩასწორებული კიბეს და აიძულებს ჩაენწყვედეს აბსურდის უსახო სივრცეში და არც არასოდეს შეეცადოს მის გარღვევას? ის ავხორცი, რომელიც იმ ძალას განასახიერებს, რომელიც გულგრილობის მორევში ხევს ადამიანებს ძალას აცლის და ასე დაუძლურებული მათ კითხვების დასმაც კი აღარ ძალუძთ. რადგან მათ აღარ გააჩნიათ ის ჩვეული განცდა, რაც ადრე გააჩნდათ ადამიანებს.

პოეტი კი გრძნობს, რომ ამ სამყაროში, სახარების ენა რომ მოვიშველიოთ, ის ვეღარ იქნება ის თესლი, მიწის პოხიერ ნიადაგში რომ მოკედება, რათა გამოიღოს ღვთისთვის სასრე ნაყოფი – ხე მსხიაროდ, არამედ მუდამ იქნება ქარიშხლიან გაყინულ ნიადაგზე დაგდებული ბერძნ თესლი, ვით ბერძნ ეპოქის – უნაყოფობა და უმიზნობა, და როგორც გაუცხოებული ადამიანის საუბარი და ცხოვრება.

და ჩვენ შეძრწუნებასთან ერთად ერთგვარი მორიდების და სირცხვილის გრძნობაც გავგვიწნდება, რომ ჩვენ დამსრუნი ვხდებით პოეტის იმ მიმზე დავალებისა, რასაც უფსკრულში ჩასვლა და ამ გაუსაძლისი სივრცეში ჩხის მოწვევნა შეიძლება ვუნოდოთ:

„ასე ჩასობის მწარე ნერგივით მოგესალტება ტანზე უფშირი, ზოგჯერ ცარიელ ლაფვარდს შეჰკივი და ზოგჯერ ზიხარ მხრებმრეფულად“.

„ცარიელ ლაფვარდს შეჰკივი“ – არ არსებობს ამაზე უფრო დიდი გოდება, ვიდრე ის, რომ მარადისობის, ღვთაებრივი მშვენიერებისაგან დაცარიელებულ ზეცა-ლაფვარდს გავქცა პოეტი, რადგან ის იქ ვეღარ მღერის, რადგან ის ვეღარ ჭყრეტს სილამაზად და ჰარმონიას. ის გოდებს, ის ქვითინებს, მაგრამ აბსურდის ენაზე ყოველგვარი ტირილი აზრს კარგავს და ცრემლდამბრალი პოეტი მხოლოდ და მხოლოდ შეჰკივის ლაფვარდს.

აკვიატაჰუის ნიგნი

შოთა იათაშვილი

ეს ის შემთხვევაა, როცა ოსტატობა დიდოსტატობაში გადადის და ამით ნანარმოების ფორმალისტურ ღირებულებებს (რა დიდიც არ უნდა იყოს ისინი) უკან სწევს – თითქმის არამნიშვნელოვანს ხდის, იმდენად მეტი აღმოჩნდება ხოლმე ის, რისთვისაც გაისარჯა ეს დიდოსტატობა – ადამიანის განუმეორებელი ხედვა, განუმეორებელი ემოციურობა, განუმეორებელი აკვიატებულობა... ჰო, აკვიატებულობაც, ვინაიდან ამ ნიგნის ერთ-ერთი ყველაზე სიმპტომატური თვისება (და შეიძლება თემაც) აკვიატება: რამდენიმე ნივთის, რამდენიმე აქტის, რამდენიმე მოვლენის, რამდენიმე განწყობილების, რამდენიმე მეტაფორის... სინამდვილეში ყველა ადამიანი ასეთია – უბრალოდ, ისინი ცდილობენ ამის მიჩქმალვას, ცდილობენ, რაც შეიძლება მრავალფეროვნად მოაჩვენონ საზოგადოებას თავი – ანდრო ბუაჩიძე კი სწორედაც რომ საპირისპიროს სწამს – აქცენტს სვამს საკუთარ აკვიატებებზე, გვეუბნება: აი, სინათლის სხივი, ფილაქნები, მავთულხლართები, ელექტროკენაძები, ნასვამი ადამიანები, დამე, დილომი, ისინი განმეორდებიან ჩემს ლექსებში ასჯერ, ათასჯერ, მილიონჯერ, იმიტომ, რომ ეს ყველაფერი ასჯერ, ათასჯერ, მილიონჯერ მეორდება ჩემში და პირიქით, მეც ვმეორდები მათში ექოსავით ასჯერ, ათასჯერ, მილიონჯერ და თან ვიმსხვერვეი, იმიტომ, რომ ეს ყველაფერი იმსხვერვა, ტყდება, იშლება ჩემ ირგვლივ, ჩემს ცნობიერებაში, ჩემს ლექსებში... მსხვერვეის მოტივი გამჭოლია ანდრო ბუაჩიძისათვის, მსხვერვეა მთავარი აკვიატება მისი კრებულისა, მეტიც: სწორედ ეს მსხვერვეა ამთლიანებს ნიგნს, ქმნის მეტაფორას. და კიდევ, ქმნის პრეცედენტს – დღევანდელ ქართულ პოეტურ სივრცეში ასეთი ნიგნის გამოჩენა თითქმის საკვირველია: გარეგნულად თითქმის ჩვეულებრივი, ათასჯერ გადაღებული ფორმები ოთხსტრიქონიანი, ასონანსურად გართმული სტროფებით არაფერ ახალსა და საინტერესოზე არ მიგვანიშნებს, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად. სინამდვილეში აქ გასაიკურ ფორმაში გამოწყობილ თანამედროვე პოეზიასთან გვაქვს საქმე. კონცეპტუალურად გათვლილი ფორმის უბრალოება, უსაშველოდ განმეორებადი სიტყვები და სახეები, ლექსიკის მოჩვენებითი სიმწიფე (სინამდვილეში, უბრალოდ ლექსიკის უჩინარობა, რომელიც ჩუმად არსულებს თავის ფუნქციას) დიდოსტატობისა და უდიდესი ემოციური მუხტის გამოისიბით გარდატყდება ფერადოვან, სათქმელითა და სურათ-ხატებით დახუშმულ ნიგნად, ისეთ ნიგნად, იოლად რომ არ ინერება.

„სტუდია“ №2, 1997 წ.



კანადელი პოეტი პატრიკ ვუდკოკი თბილისის XVI წიგნის საერთაშორისო ფესტივალის სტუმარი იყო. მასთან ორი შეხვედრა მოეწყო: დიდუბეში, ექსპო-ჯორჯიაზე, სადაც ფესტივალი ბოლო წლებია იმართება და მწერალთა სახლში. ორგანიზატორების თხოვნით მისი ლექსები მე ვთარგმნე და ამ საღამოებზე მასთან ერთად წარმოვადგენდი კიდეც. მაშინდელ ემოციურად გადატვირთულ დღეებში ბევრი ურთიერთობა არც მოგვისწრია, მაგრამ მას მერე, რაც პატრიკმა თბილისი დატოვა, ნელ-ნელა გონებაში ამომიტვტივდა ყველაფერი ის, რამაც მასთან ურთიერთობისას იმ დღეებში ჩემზე ზემოქმედება მოახდინა: არასტანდარტული ცხოვრების წესი, რაც მისი ლექსების ბუნებას განაპირობებს, ერთგვარი ჩაკეტილობა და დეპრესიულობა, მაგრამ ამკარად არამანერული, და ამავე დროს სრული ღიაობა სამყაროსადმი, და ის გამჭოლი, ტრაგიკული მზერა, რითიც იგი, დედამიწის ზურგზე მონანალე პოეტი, აკვირდება გარემოს, ადამიანებს, საკუთარ თავს... ყოველივე ეს რომ დავინახე, მივხვდი, იგი ძალიან საინტერესო უცხოელი „ნომრის ავტორი“ იქნებოდა ჟურნალისტისთვის. მაშინვე მივხერხე, ყველაფერი აუხსენი და აი, ახლა პატრიკი თქვენს წინაშეა – სამყაროს მანანალა, კანადიდან ხან ქუთაისტანში აღმოჩენილი, ხან რუსეთში, ხან ბოსნიაში, და არა რამდენიმე დღით, საფესტივალოდ, არამედ საცხოვრებლად, უცხო ადამიანების ცხოვრების წესის თუ პოეტური სულის უკეთ გასაგებად. ამჟამად ბაქოშია დამკვიდრებული და წიგნის ფესტივალის წლებანდელი სტუმრობა მისი მესამე ჩამოსვლა იყო თბილისში. ჟურნალის სტამბაში გაშვებამდე რამდენიმე დღით ადრე მომწერა, თებერვალში თუ იქნები თბილისში, კიდეც ჩამოვდივარ და სასაფლაოებზე ვიაროთ ერთად, დავლიოთ, ძალიან მიყვარს ეგ ამბავი, დაბადების დღესავით მიყვარსო, მიყვარს იმ სასტუმროს შემოწმება, რომელსაც ერთხელ უნდა ვესტუმროო... ვიქნები ალბათ მაგ დროს აქ, თან სამწუხაროდ საკმაოდ ბევრი ჩემი მეგობარი-პოეტია, იმ სასტუმროს უკვე რომ ეწვია, დალევაც მიყვარს მეც მასავით და წაიყვან, მივიყვან იმათ საფლაოებზე, მოუფყვები მათი ცხოვრებისა თუ პოეზიის შესახებ რაღაცეებს, და დავათვალიერებთ კიდეც ერთხელ, უფრო მძაფრად ვიგრძნობთ, თუ როგორია ის სასტუმრო, სადაც ადრე თუ გვიან ჩვენც მოგვინებს გაჩერება...

ვანდა უოტერმანი

პატრიკ ვუდკოკისთვის პოეზია საშუალებაა იმისა, რომ დოკუმენტურად ასახოს ადამიანური ტანჯვა ომგამოვლილ ქვეყნებში – ეს ერთგვარი პოეტური დოკუმენტალისტიკაა. (იხ. მისი პოეტური კრებული: „ექოს ღვთაებები და მდუმარე მთები“, რომელიც ეფუძნება ერაყის ქურთისტანში გატარებულ პერიოდს).

პოეტმა იპოვა დრო, ექსპუსა ვანდა უოტერმანის კითხვებზე იმის შესახებ, თუ როგორ გამოდის პოეტი ტანჯვის მაყურებლის მდგომარეობიდან, რაც მისი შემოქმედებითი ცხოვრების აუცილებელი გარემოებაა. ქურთებს შორის ცხოვრება მისთვის იყო ერთი ასეთი გამოცდილება.

ტანჯვის სურათებისგან გათავისუფლება

არ ვიცი, რატომ, მაგრამ ნელს ძალიან გამიჭირდა რაღაც-რაღაცებთან შეგუება. კადრები, რომლებსაც თავის დროზე ძლიერ არ შევეუწხებოვარ, ახლა ჩნდებიან ჩემ სიზმრებსა და კოშმარებში და ყოველ ჯერზე რამდენიმე დღით გამოვყავარ მდგომარეობიდან. და თუმცა ერაყის ჩრდილოეთში მცხოვრებ ქურთებთან ბევრი რამ იყო კოშმარული, კეთილი იმედის კონცხი ჩრდილო-დასავლეთ ტერიტორიებში და აზერბაიჯანი ჩემთვის გაცილებით შემაშფოთებელი აღმოჩნდა.


ბაქოს გარეუბანში ფოტოების გადაღების მიზნით მოვი-ნახულე ბავშვთა რამდენიმე სასაფლაო და ახლა ვფიქრობ, ნეტავ, არ მენახა. ბაქოს ჩრდილოეთით მდებარეობს ქალაქი სუმგაითი. ერთი კოლეგისგან ვიცოდი, რომ იქ იყო დიდი ბავშვთა სასაფლაო. ქალაქში არსებული უზარმაზარი ინდუსტრიული დაბინძურების გამო ამ ქალაქში დაუფერებლად დიდია მკვდრადშობილთა და თანდაყოლილი დეფექტით დაბადებულთა რაოდენობა, მაღალია მცირეწლოვანთა სიკვდილიანობის პროცენტიც. ამგვარად, დავიქირავე ტაქსის მძღოლი, რომ იქ წავეყვანე, მაგრამ მას გზა დაებნა და კითხვა-კითხვით სულ სხვა ადგილას აღმოვჩნდი. ეს იყო პატარა ქალაქი სარაი, სადაც მოვებნეთ სასაფლაო. წარმოუდგენლად სამწუხარო იყო იმის დაჯერება, რომ ბავშვებისათვის სადღაც სხვა სასაფლაოც არსებობდა. როცა დავედიოდი და ფოტოებს ვუღებდი საფლავის ქვებსა და საფლავის ქვებზე გამოყენებულ ხის ნაჭრებს, შევინიშნე ხვრელი მიწაში. ეს იყო კურდღლის სოროს ზომის ხვრელი, რომლის გარშემო არავითარი ნიშნული არ იყო. ავდექი და ხელი ჩავყავი სოროში, კამერა ჩავუშვი და რამდენიმე ფოტო გადავიღე, რომ მენახა, რისთვის იყო ეს ხვრელი. ძალიან მზიანი დღე იყო და ვერ გავარჩიე, რას გადავუღე ფოტო, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი აპარატის ეკრანს დავყურებდი. სახში რომ დავბრუნდი, ფოტო ავტვირთე და მივხვდი, რომ ეს ალუნიშნავი საფლავი იყო – ხვრელი ჩადიოდა პატარა ბავშვის სხეულთან, რომელიც მოკუნტული და თეთრ ზეწარში

გახვეული ესევნა. ძალიან ნალვლიანი ფოტოა, მაგრამ მისი „ნაშლა“ არ შემიძლია. შემდეგ, რამდენიმე კვირის განმავლობაში, ეს ბავშვი მესიზმრებოდა და იმ დღისა და მისგან მოგვრილი შთაბეჭდილებების შესახებ ორი ლექსი დავეწერე ჩემი ახალი წიგნისთვის.

ქურთებთან ცხოვრებით მიღებული გამოცდილება

ჩემი მოგზაურობების დროს შევხვდი სამ კაცს, რომლებმაც უზარმაზარი გავლენა მოახდინეს ჩემს ცხოვრებაზე. პირველი, ეს იყო ჩემი ყოფილი გერლფრენდის მამა პოლონეთიდან, სასიამოვნოდ ექსცენტრული ადამიანი – თავის პროვინციაში სოლიდარობის პარტიის ლიდერი; მეორე იყო ჩემი მეგობრის მამა დუშოკიდან, რომელიც 82 წლის იყო, როცა გავიცანი. მას ორი ინსულტი ჰქონდა გადატანილი და სადამ ჰუსეინის რეჟიმის პირობებში ღარიბული ცხოვრება გამოეცადა, დიდხანს ყოფილა ფეშმერგა – თავისუფლებისთვის მებრძოლი. ძალიან კეთილი და თავაზიანი კაცი იყო. მისი ყურება სოფელთან ახლო მდებარე მთებში





ლოცვის დროს ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი სანახაობა იყო, რისთვისაც ოდესმე მიყურებია. ლექსი "მეტი, ვიდრე მთები" მას მიუძღვნენ. ბედნიერი ყიყიე, როცა შევინტყვევ, რომ ეს ჩემი ლექსი ქურთულად უთარგმნიათ, მისთვის მოუსმენინებიათ და მას გულწრფელად მოსწონებია. ერასის ქურთულ ჩრდილოეთში მე მართლაც მყავს ბევრი ქურთი მეგობარი, რომელთაც ყოველთვე ვეკონტაქტები. სასიამოვნო მეგობრობა მაკავშირებს ქურთ მწერალ ავა ჰომასთანაც, რომელიც ახლა კანადაში ცხოვრობს, მაგრამ წარმოშობით ირანიდანა. მიუხედავად იმისა, რომ წლების განმავლობაში ბევრი მეგობარი შევიძინე სხვადასხვა ქვეყანაში, ქურთ მეგობრებთან მაინც რაღაც სხვა, რაღაც განსაკუთრებული მაკავშირებს, რასაც ვეთავყვანები. მესამე ადამიანს, მას ჩემი მომდევნო წიგნისთვის შემოვიწახავე.

შემოქმედების აუცილებელი პირობები

ბოლო ორი წლის განმავლობაში მთელი შეგნებით დიდი ძალისხმევა გავწიე იმისათვის, რომ რაც შეიძლებოდა, გამემარტივებინა ჩემი ცხოვრება.

ჩემი ნაწერები და ჩემი ჯანმრთელობა გათქვევლია ერთმანეთში – ერთიმორეზე ძლიერ ზეგავლენას ახდენენ. ჩემგან პოეზია ითხოვს დიდ დროს, მოთმინებას და კილომეტრებს. მე მჭირდება, ვიყიად რაც შეიძლება მეტი დრო, რათა შევძლო ბოლომდე მივიყვანო ის, რასაც ვაკეთებ. ამის შემდეგ კი შეიძლება გადავერთო ძილის რეჟიმში. არასდროს მესმოდა დასავლური მენტალობის გამომხატველი შეგონება: „მოკვდი ახალგაზრდა და დატოვებ ლამაზი სხეული“. რატომ? ჯერ რა გინახავს? რა გინახავს? რა შეგიქმნია? მინდა, მოვკვდე რაც შეიძლება ბებერი და დავტოვო ისეთი გაცვეთილი და უამრავამაგამოკანრული სხეული, რომ ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ამ სხეულს ნახავს, ინანებდეს, რომ პაბში არ მჯდარა ჩემთან ერთად.

როცა პირველად გადავედი პოლონეთში, 24 წლის ვიყიე. ერთი ჩემი უახლოესი მეგობართან განი იყო ექსკურტული ბრიტანელი ექსპატრი-ატი, რომელიც 70-ს უკაუნებდა. მასთან ერთად ყოფნა სჯობდა კინოთეატრში ჯდომას ან საუკეთესო ლაღვერების თვალიერებას. ძალიან მეტყუარება ის და მისი ანარქისტული თავგადასავლები. სედიანი და უცნაური კაცი იყო, მაგრამ ამავედროულად, ძალიან საყვარელიც. მასთან ვიყიე იმ დღეს, როცა მან 15 ლუდი

დალიამხოლოდ იმ მიზნით, რომ გადახდის დრო გაეგო, რომ ის ლუდი ალკოჰოლის მართლაც არ შეიცავდა. მაშინველე მისე გაგულისება იყო წმინდა პოეზიის საგანი.

მომავალში

ჩემი ახალი წიგნი დასათაურებულია ასე: „მათ ყველას ვერ დამარხავ“, დაიბეჭდება 2016-ში. ვფიქრობ, ეს პირველი წიგნი იქნება, რომელიც მართლაც „შეეკმენი“. ასეთი რამ ადრე არ განმიცდია – წერის დროს სიცხადის ასეთი შეგრძნება. ყველა სხვა წიგნი გამოქანასავით იყო თავიდან ბოლომდე. მათ ყველას ვერ დამარხავ“-შია 100-დან 110-მდე ლექსი და ერთი ერთმოქმედებიანი პიესა. გეოგრაფიულად ის დაიწყება ერას-ის ქურთული ჩრდილოეთიდან, მერე გადაინაცვლებს კეთილი იმედის კონცხზე ჩრდილო-დასავლეთ ტერიტორიების „დენეს“ პატარა კომუნაში – არქტიკული წრიდან საშხრეთით 500, 20 კმ-ზე რომ მდებარეობს, სადაც მოხალისედ ვიყავი კომუ-ნის უხუცესებთან ერთად თითქმის 11 თვე, და დამთავრდება კავკასიით, ძირითადად, აზერბაიჯანით – სადაც ახლა ცხოვ-რობ და კიდევ ვიცხოვრებ 2 წელი. ამ წიგნში ცვდილობ, შევხე-ო ყველა იმ თემაზე, რომლის მიწუმათებასაც ცდილობენ ცალკეუ-ლი ინდივიდები, სხვადასხვა გაერთიანებები და მთავრობები. მე ვსაუბრობ არა მხოლოდ მათზე, რომლებიც ასაიდუმლოე-ბენ საკუთარ ჩავვრას მათი ასაკის, სოციალური სტატუსის, დაბადების ადგილის, ეკონომიკური დაღმასვლის, გეოგრაფიუ-ლი მდებარეობის, რწმენის, კანის ფერის ან სექსუალური ორი-ენტაციის გამო, არამედ იმათზეც, ვინც მიამიტურად ახშობს საკუთარ ბედნიერებას და კეთილდღეობას – მოგესალმები, კანადა! – და მერე ცდილობენ, დაარწმუნონ საკუთარი თავი, რომ მძიმე ცხოვრება გამოიარეს და მათი „ტანჯვა“ დღემდე გრძელდება.

კანადაში მინახავს ხალხი, რომელიც უკიდურესად გაფუ-ფუნებულია და ჯანმრთელი ცხოვრებით ცხოვრობს. ასეთმა მშობლებმა იციან, რომ მათ შვილებს ხელი მიუწვდებათ იმ-აზე, რასაც საშუალოზე გაცილებით ძვირადღირებული ჯან-დაცვა ჰქვია, ხელი მიუწვდებათ მსოფლიოს ყველა სასურველ საგანმანათლებლო და თანამდებობივ სივრცეზე. ისინი ყო-ველდღე იღვიძებენ უზარმაზარი შესაძლებლობებით აღსავსე სამყაროში, მაგრამ სწორედ ისინი არიან, ამავე დროს, ყველაზე საცოდავი, მუდმივად მოწუწუნე ერთთურედიათები, რომლებსა ამის მოსმენასაც ოდესღაც ძლიერ შეეწუხებოდათ. არ ვამ-ბობ, რომ კანადელებს ჩივილის უფლება არა აქვთ – რა თქმა უნდა, ჩვენ გვაქვს ეს უფლება და ჩვენი პრივილეგირებული სტატუსის გამო ჩვენ რეალურად ყველაზე მეტსაც უნდა ვწუ-წუნებდეთ და ვჩიოდეთ, მაგრამ წუწუნის საგანი უნდა იყოს მეტი, ვიდრე თეატრალური მოთქმა – ეს უნდა იყოს სამყაროს გაუმჯობესების გულწრფელი მცდელობა და არა პათეტიკური და ერთპიროვნული თავის გამოტირების სისულელე, რაც ახლა ასე ხშირად მესმის.

ინგლისურიდან თარგმნა მანანა მათიაშვილმა

დღევანდელი დღის პოეტი: პატრიკ ვუდკოკი

ჯუდიო ფიცჯერალდი

პოლ ვერმერში: პატრიკ ვუდკოკმა თავისი ზრდასრული ცხოვრების დიდი ნაწილი უცხოეთში გაატარა, სკოლის მასწავლებლად მუშაობდა ისეთ ადგილებში, როგორიცაა პოლონეთი, ისლანდია, ბოსნია, ომანი, საუდის არაბეთი, კოლუმბია, ამჟამად კი ერაყის ქურთებით დასახლებულ ერთ-ერთ რეგიონში ცხოვრობს. მსოფლიოს გარშემო მოგზაურობები ამ კანადელი ავტორის შემოქმედებისათვის მთავარ მასაზრდოველ წყაროდ იქცა. ეს ხეხუა კანადაში და მის ფარგლებს გარეთ გამოქვეყნებულ მის ტექსტებსა და უკანასკნელ წიგნსაც „მუდამ დედაშენზე ადრე მოკვდი“, რომელიც ულამაზესად გამოსცა პრესტიჟულმა კანადურმა გამომცემლობამ ECW Press.

რამდენიმე წლის წინ, რომდესაც ვუდკოკი საუდის არაბეთში ცხოვრობდა, მის ოჯახს ტრაგედია დაატყდა თავს. მისი დედა სიუზანი, რომელთანაც განსაკუთრებით თბილი გრძნობები აკავშირებდა, სიკვდილის პირას იყო: მანამდე, რამდენიმე ხნის განმავლობაში, ძალზე ვაჟკაცურად ებრძოდა სიმსივნეს. ვუდკოკი სასწრაფოდ ჩავიდა მასთან და ბოლო წუთებამდე არ მიუტოვებია. ამის შემდგომი მძიმე პერიოდი პოეტმა კოლუმბიაში გაატარა, სადაც ადგილობრივ სკოლებში ასწავლიდა და ახალ წიგნზე მუშაობდა.

მდინარე ამაზონზე მოგზაურობისას უეცრად ვარდისფერი დელფინების გუნდს გადაეყარა. მანამდე უკვე შესწავლილი ჰქონდა ადგილობრივი ლეგენდები და თქმულებები, რომელთა თანახმად, მოკლე ხნის წინათ გარდაცვლილ ახლობელ ადამიანთა სულები ვარდისფერ დელფინებში სახლდებიან. ვუდკოკი ჯერაც უმაღრესად განიცდიდა დედის დაკარგვას და ამ თქმულებებმა არა მხოლოდ ნუგეში მოუტანა, არამედ ახალ კრებულში შესული ეს ყოვლად საოცარი ლექსიც დაანერჩინა.

The Globe and Mail, 30 აპრილი, 2009 წელი.

ინგლისურიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ

ცურა პარდისფერ დელფინებთან ერთად და ჩემი მკვდარი დედა

გვემატება ასაკი და სულ უფრო განსხვავებულად ვაშუქებთ.
არაერთხელ შეიცვალე შენ ფერი. მახსოვს,
როგორ იყავი ჩალისფერი, როგორ იყავი თეთრი –
ქათახთა. ვარდისფერი დელფინები კი, რომელთან ერთადაც დავცურავ,
ხან ლურჯები იყვნენ, ხან მწვანენი, ხან ნაცრისფრები. არადა, ალბათ მაინც სჯობს,
ვარდისფერი მოკვდე. მე არ ვიცი, რა ფერი მედება –
გამონაყარი კანზე შესაძლოა ტვიდის კოსტიუმის გამო მაქვს.
შენ ხომ მუდამ მოგწონდი ჩემს ირლანდიურ სამოსში.
როცა ამაზე ვფიქრობ, ვაგრძელებ ცურვას. ჩვენ ისინი პირველად
ერთი საათის წინ დავინახეთ. პუერტო-ნარინოს მუზეუმს თუ დავუჯერებთ,
ეს დელფინები თავს დაეცნენ მოცურავეებს
და მეთევზეებს. მაგრამ მე ახლა ერთ ადგილას ვტივტივებ და ჩვენს სხვადასხვა
სამყაროებზე ვფიქრობ. დელფინები კი წრეებს მარტყამენ
და გიდი მიყვირის: „ამოდი, ამოდი უკან, კანოეში“
მაგრამ მე ასვლა არ მინდა – ასე თავს შენთან უფრო ახლოს ვგრძნობ:
როცა ერთ ადგილას ვტივტივებ და აზრებს თავის ნებაზე მივუშვებ ხოლმე...
ყიამეთი ღამეა, დე, და მე მდინარეს თავქვე

მიუყვები ფეხით. აღარ მინდა, რომ ვიყო მარტო.

ვფიქრობ, თუკი დელფინებს ეს ძალუძთ, მეც შემიძლია. და როგორც კი წყალში შევდივარ, მაშინვე ერთ-ერთი მათგანი ვხდები. მე მათ კუდში მიყვები, ასეულობით, ათასეულობით მათგანს ვანაცოფიერებ.

ვემნი დელფინების არმისა, რათა გადამიყვანონ

ჩემი სამყაროდან შენსაში. ჩემი შვილების ზურგებზე შემჯდარი

მოვალ. დე, როდესაც გავიღვიძე,

მდინარე ამაზონის სული ჩემი პირიდან გადმოჩქეფდა.

და ისევ წყალში შევედი, მაგრამ ამ დროს მზე ჩავიდა. მე ფეხები მაქვს,

და ვცდილობ, მათ ხელახლა პოვნას. არ შემიძლია, მთელი დღე ველოდო,

როდის გამოჩნდება ჩემი ოჯახი. ვილაც მჭირდება. აღარ შემიძლია, რომ ვიყო მარტო.

დე, ერთ-ერთი მათგანი ჩემ წინაა, მშვენიერი თვალებით.

მე ვიცი კოშმარების ხანგრძლივობის შესახებ, მაგრამ ეს მშვენიერი თვალები

უკანასკნელი რამაა, რაც მასსოვს. შენ წამოგეჭი ლოგინში.

შენ იცოდი, რომ ამას აღარასოდეს იზამდი. შენ ტიროდი. შენ ფერი

შეიცვალე. მე კი ჩაგხედე თვალებში და ეს სამუდამოდ დარჩება

ჩემს კოშმარად. ამ დღეს მე დაგკარგე, შენ კომაში ჩავარდი.

უნდა გამეხსნა უკანა კარი და წამეყვანე ტბისაკენ.

შენ იცვლებოდი, ტოვებდი ჩემს სამყაროს, და მიდიოდი იმ სამყაროში, რომელიც უცხოა ჩემთვის.

დე, გთხოვ, იყავი ერთ-ერთი ის დელფინი, რომელიც ახლა წრეს მარტყამს.

მომანყვიტე ერთ-ერთი მკლავი. ქენი რამე. იარსებე ჩემთან ერთად აქ.

პაპიას ცხედარი

ლია კუბოა სარაევო და ისინი პარლამენტის შენობას
მოსავენ, როგორც ბებიარემის ცხედარს.

მალე აქ იქნება ასაქაჩი გორგოლაჭები, ხარიხები, და იქნებიან მამაკაცები,
რომლებიც იმუშავენ მასზე ისე, როგორც ბებიარემის კაბასა და თმაზე.

და მალე ის გაპატიოსნდება თავისი აკრული პირით,
გაპატიოსნდება ცივი და მკვდარი ანარეკლი იმისა, რაც იყო ადრე.

კიტი და კირკჯაგი¹

ეს რეიკიავიკის ცენტრთან ახლოს ხდებოდა ხოლმე,
სასაფლაოზე, სადაც ხალხი შუალამისას
ხავსის ფუმფულა ლეიბებზე თან ცეკვავდა და თან მღეროდა,
რადგან იპოვეს მათ იქ კირკჯაგი.

იქ ხეობიც კი იყო, მართლა, ჰო, მართლა იყო,
საფლავებს შორის კი გრილვებდა ხმა კონტრაბასის,
გემის ცხირივით, ხმელეთზე რომ მიჩოჩავს და მიხრიალებს და
მინას წყლისკენ მიათრევს წელა.

გნამს შენ მათი ბუკ-ნალარისა?

¹ დიდი პლასტიკური სანაგვე ყუთი, რომელშიც ხმელ ფოთლებს ყრიან. კიტი – მისი ახლო მეგობარი. როცა სასაფლაოზე ძალიან თერებოდნენ, ფოთლებით სავსე ამ დიდ სანაგვე ყუთებში იძინებდნენ ხოლმე.

ისინი სიმღერებს აშენებდნენ
ქეცგან, ტყვიცგან.

და ლოცულობდნენ მთელი გულით, რათა გალობა
გაუმარჯოს ნაგვის ყუთებს, მკვდრების სამსჯავროს
გაუმარჯოს ნაგვის ყუთებს, მკვდრების სამსჯავროს
ყოფილიყო სამყოფი მათთვის

სისხლი, ნავთობი და ხელოვნება

შერვან ფათაჰს

თუ გსურთ იცოდეთ რატომ არ ვიფინები გალერეებში და პაციენტები საავადმყოფოებში
რატომ მიმანია ჩემს ერთადერთ და ნაღდ პუბლიკად თუ გსურთ იცოდეთ რატომ ვიყენებ
სისხლსა და ნავთობს ზეთის საღებავების ნაცვლად თუ გსურთ იცოდეთ რატომ ავირჩიე
საავადმყოფო რომელიც კირკუკის ყველაზე დიდი ნავთობკომპანიის წინაა გამოქიშული
და თუ გსურთ იცოდეთ რატომ ვწმენდ იატაკს სუდარით
როცა ინტრავენური ხსნარის გადასხმისას ჭურჭელი იცლება და თუ ეს მართლა ისაა რაც გჭირდებათ
მაშინ მე თქვენ უბრალოდ გეტყვით მანამ სანამ ჩვენი ქალაქი ზის ნავთობზე
ჩვენ ვიჯდებით სისხლში მანამ სანამ მე ვარ არტისტი
დავვფრთ სისხლსაც და ნავთობსაც მანამ სანამ ჩვენ უარს ვიტყვით შევიგნოთ რაღაც
ჩემი ტილოები იქნება აქ საავადმყოფოს იატაკზე გამოფენილი

ჰიმიმი²

და ფანჯრიდან იოანე პავლე მეორის სახე მოჩანდა ღია ბარათზე
და ოთხი კაცი მაგიდას უჯდა ჭიქას წევდა და თან მღეროდა
და ჩვენ ლობის ძირში ვისხედით და ძაღლები ქათმებს დასდევდნენ
და მიმტანი გოგონები ამბებდნენ სასმელს მღეროდნენ და იცინოდნენ

და ოთხი კაცი მაგიდასთან ჭიქას წევდა და თან მღეროდა
და ორმა კაცმა გაუღიმა ჩემს მეგობარს – მუქარიანად
და მიმტანი გოგონები ამბებდნენ სასმელს მღეროდნენ და იცინოდნენ
და ცალხელა ბიჭმა ესროლა ქვა ჩვენს მანქანას

და ორმა კაცმა გაუღიმა ჩემს მეგობარს – მუქარიანად
და ყველაზე მაღალი კაცი შეეცადა ყვავისათვის რომ წაემღერა
და ცალხელა ბიჭმა ესროლა ქვა ჩვენს მანქანას
და მეზობელმა ქერივმა ნახშირი ნიჩბით ჩაყარა თავის სარდაფში

და ყველაზე მაღალი კაცი შეეცადა ყვავისათვის რომ წაემღერა
და მეგობარი დაშინებული ჩაჰყურებდა საკუთარ ჭიქას
და მეზობელმა ქერივმა ნახშირი ნიჩბით ჩაყარა თავის სარდაფში
და ფანჯრიდან იოანე პავლე მეორის სახე მოჩანდა ღია ბარათზე

² ბარი პოლონეთში

ბეტონის კიბესთან დგას ერთი ქალი.
და როცა სუნთქავს, თითქოს ვეშაპი ცდილობს ავეჯის ამოხველებას,
სამუშაო მაგიდას კი აბოყინებს თითქოს ზეცისკენ.

ხოლო როცა თანდათანობით უწყნარდება ფილტვები, იგი
საკუთარი აჩრდილით ორად ყოფს ხეივანს და ამბობს, რომ
ასატანია აუტანელი მუსიკა, მაშინ გულს რომ გაზიდებს.

ის ნარნარით მოსრიანებს მოაჯირზე და თან მღერის,
აჩრდილს ხომ ძალუძს იცეკვოს, თუკი ხელს წაავლებს დროულად რამეს!

ის დგას ძველთაძველ კიბეებთან, ამიტომაც
მოუჩქარეთ კიბეებთან, ვიდრე ბოშები მეორეს არ მოისვრიან აქედან დაბლა.

* სარაევოში ერთ-ერთი ბარის მფლობელი ქალის სახელი

ქალიან ნაღვლიანი მელანი

სერგეი ესენინის ხსოვნას

არ ვიცი, რა იქნა გამოყენებული მელნის
მისაღებად, არ ვიცი, როგორ გახდა ხორცი
სიტყვა, ან ამ სიტყვებისგან რამდენი იყო საჭირო
ღია წითელი ფერის რეასტრუქციონიანი ლექსის დასაწერად,
მაგრამ ვიცნობ ერთ მოხუც რუსის ქალს,
რომლის მუზეუმამაც მტვერს მიუგდო ის ლექსი.

ინგლისურიდან თარგმნა შოთა იათაშვილმა



პატრიკ ვუდკოკის მერვე პოეტური კრებულის, „ექოს ღვთაებაჲი და მღუშარე მთეჲი“ პირველ ნაწილში შესული ლექსი, „თოთხმეტი ღია ბარათი“ მინიატურაში წარმოგვიდგენს წიგნის მთლიან ჩანაფიქრს. ლექსში პოეტი მიმართავს ევლურ ძალღვებს, ქვიშის ქარიშხლებს, ბავშვებს, რომლებიც მანამ იცინიან, ვიდრე თვალებზე ცრემლები არ მოადგებათ და კიდევ სხვა პერსონაჟებს და ამ მრავალფეროვნებით, სახეებისა და სცენების ცვალებადობით განსაზღვრული ადგილისა და მისი მაცხოვრებლების გამაფრებელ განცდას გვიქმნის. ამ კონკრეტულ შემთხვევაში აღწერილი ადგილი ჩრდილოეთ ერაყის ქურთული რეგიონია, პოეტის მიერ გამოსახული ადამიანები კი – მისი მოსახლენი: ქალი, რომელმაც ერთიმეორის მიყოლებით დაკარგა ქმრები და ძმები, ვიოტი თარჯიმანი, ლილიპუტების საზოგადოების თავმჯდომარე, ამ სიჭრელის ცენტრში კი გაფაციცებული და წინააღმდეგობრივი გრძნობებით შეპყრობილი კანადელი პოეტი დგას. მათი ცხოვრების ისტორიების, მათი ინდივიდუალური ხმების აულერებით პოეტი გვაცნობს დედამისის იმ ღვთისაგან მიუწეებელ კუნჭულს, რომელიც, უკეთეს შემთხვევაში, ამერიკულ საზღვრო ანგარიშებში ერთადერთხელ თუ გაივლევს. ვუდკოკი, რომლის უფრო ადრეული წიგნები კოლუმბიაში, სარაევოში, რუსეთსა თუ სხვა ადგილებში დაიწერა, თავისი შემოქმედებით, როგორც ჩანს, ხალხებისა და პიროვნებების სწორედ ამგვარ უგულვებელყოფას ებრძვის.

კრებულის თემატური ერთიანობა ამავედროულად ტექსტის ფორმებისა და თხრობის პერსპექტივის მონაცვლეობის ფართო საშუალებებს იძლევა.

წიგნის პირველ ნაწილში, რომელსაც უბრალოდ, „ექოს ღვთაებები“ ეწოდება, მრავალი პერსონაჟი გვესაუბრება; საამიოდ შერჩეულია როგორც მკაცრი, ისე თავისუფალი პოეტური ფორმები. აქ შეხვდებით სონეტსაც, მალაური ლექსის, პანტუნის ერთგვარ ვარიაციასაც, ლექსის გახსნილ ფორმებს საგანგებოდ შემუშავებული რითმების სქემებით, გართიმულ პნკაერებთან მონაცვლე გუნდურ მისამდგომლაც და თეთრი, ანუ თავისუფალი ლექსის ვარიანტებსაც. წიგნის ამ ნაწილში გამორჩეულ ყურადღებას იპყრობს ლექსი „თეთრი ფეხსაცმელები“, რომელიც თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს ფორმის შინაარსთან, გარემო მზერის შინაგან განცდასთან დაპირისპირებასა და მათ პრადოქსულ პარადოქსს. მისი 56 ტერცეტი პირველი პირით მოვითხრობს ნაბახუსევს მონყობილ ექსკურსიას საშხმელებათა მუზეუმში, რასაც, დამთავანხმებით, მსუბუქ და სასიამოვნო გამოცდილებას ვერ ეწონდები.

წიგნის მეორე ნაწილი, „მღუშარე მთეჲი“, უკვე გადაჭრით შორდება ფორმალურ ლირიკას და გვთავაზობს ცხრაგვერდიან ლექსს პროზად, სადაც ნათქვამია: „აქაური საუბარი ყველა მხარეს ისევე იფანტება, როგორც კალაბუქრის ბურთზე დაცემული სეტყვის კალები.“ ამ ვრცელ ლექსში ერთსა და იმავე დროს უძრავი უამრავი ხმა, სხვადასხვაგვარული მოვლენები, აქვე ავტორი გვიზიარებს მგზავრის ჩანაწერების სტილში გამოცემულ მოსაზრებებს.



მესამე ნაწილი წარმოადგენს პერსონალურ პოემას, რომელიც ქურთი მწერლის სხონისადმი მიძღვნილი. მას წოდება „სარდაშტ ოსმანი არ მომკდარა“ და ის შემდეგი სიტყვებით იწყება: „დედა, ორი ტყვია მესროლეს პირში / გუშინ. ახლა კი თითო ხელში თითო ტყვია მიჭირავს...“ და ამ სიტყვებით მთავრდება: „მე არ ვარ მკვდარი. მე არ ვარ მკვდარი. მე / მხოლოდ მაშინ ვიქნენ მკვდარი, თუკი ჩვენი გენეოლოგიები გვიმტყუნებ.“ ამგვარი პასაჟები წარმოგვიჩენს პოეტის უნარს, უაღრესად ღრმა ტრაგედია პოლიტიკური კონტექსტის ზუსტ განცდას შეუთავსოს და, ამავე დროს, ნამდვილი ხელოვანის ალღი და გემოვნება შეინარჩუნოს. მერწმუნეთ, ეს არცთუ ისე ცოტაა.

კრებულის მსვლელობაში ვუდკოკი ამაყვანებს წამიერი გარდასახვისა და იდენტობის შეცვლის უიტმენისეულ უნარს, როდესაც თავს ხან ტურისტად შეიგრძნობს, ხანაც მისიონერად. მის სოციალურ მგრძნობელობასა და პოლიტიკურ პრინციპულობას აწინასწარებს თავმდაბალი იუმორი და ქუჩური ჟარგონისა და სლოგანებისკენ მიდრეკილება. ლექსში „საჩაი“ ის ამბობს: „ამაღლელებელია ერის დაბადებისათვის მიყურადება. / შესანიშნავია, როცა რამდენიმე ერის გადასასწავლა შეგიძლია.“ ხმების, ფორმებისა და იდეების ასარკვით და აგრეთვე ნამდვილი შემოქმედებითი ოსტატობით „ექოს ღვთაებები და მღუშარე მთეჲი“ რიგითი წიგნების დონეს სცილდება და უსათუოდ გამოიწვევს მრავალი მკითხველის აღტაცებას.

BJ Soloy. CutBank Literary Magazine. 2012

ინგლისურიდან თარგმნა თამარ კოტირაძემ

როგორ მოხვდით ჩრდილოეთ ერაყში?

თავიდან ირანში ვაპირებდი გამგზავრებას, მაგრამ წინ იმდენი დაბრკოლება დამხვდა, რომ მათი დაძლევა რამდენიმე თვეს დამაკარგვინებდა. დიდი ხანია, რაც ცენტრალური აღმოსავლეთისაკენ მიმინევდა გული, მსურდა ერთხანს დამესვენა იმ ხმაურიანი და საზეიმო ცხოვრებისაგან, რასაც კოლუმბიაში ვწევოდი. ამიტომაც ერაყში გამგზავრების შანსი როგორც კი გამომიჩნდა, მაშინვე დავთანხმდი. კაცმა რომ თქვას, ეს ბუნებრივი გაგრძელება იყო იმისა, რასაც უკანასკნელი თვეების მანძილზე ვაკეთებდი. რაიმე მკვეთრი ცვლილება მჭირდებოდა და სწორედ ეს მივიღე კიდევც. ამ რეგიონის, მისი კულტურისა და ისტორიის შესახებ თითქმის არაფერი ვიცოდი და ამგვარი სიახლეც მუდამ ძალზე ამალეღვებელია.

სამყაროს იმ ნაწილის შესახებ წერთ, კანადელთა უმრავლესობისათვის თითქმის სრულიად უცნობი რომაა. რატომ აირჩიეთ საამისოდ პოეზიის ჟანრი და არა, ვთქვათ, დოკუმენტური პროზა?

პოეზია მრავალი მიზეზით მირჩევნია. პირველ რიგში, იმიტომ, რომ ეს ჟანრი უბრალოდ მიყვარს. ეს ჩემი ცხოვრების უდიდესი საყრდენია და სწორედ ის სტიმულია, რომელიც ახალ ძალას მანიჭებს, როდესაც დაცლილი და იმედგაცრუებული ვარ.

ყოველთვის მიზიდავდა ის ქვეყნები, გარდასახვისა და მუდმივი ფორმირების პროცესში რომ იმყოფებოდა. ამგვარ ქვეყნებზე დაწერილი დოკუმენტური პროზა ძალზე სწრაფად



კოლუმბიაში მედელინის საერთაშორისო პოეტურ ფესტივალზე

კარგავს აქტუალობას. ჯერ არასოდეს წამიკითხავს ასეთ ჟანრში დაწერილი წიგნი ისე, რომ გამჩენოდა სურვილი, მასში ასახული ქვეყანა მენახა. მაგრამ მითხარო, ესენინისა და მაიაკოვსკის წაკითხვის შემდეგ როგორ შეიძლება არ გაგიჩნდეთ რუსეთში გამგზავრების სურვილი?

გარდა ამისა, პოეზია საშუალებას გვაძლევს, სრულად ავითვისოთ სუფთა ფორგულის, როგორც სუფთა ტილოს, შესაძლებლობები; გვანიჭებს სივრცით, ენითა და რიტმით თავისუფალი მაინპულირების საშუალებას. მისი წყალობით ვახერხებთ ისეთი წამის მოხელთებას, რომელიც დოკუმენტურ პროზაში დაიკარგებოდა. ლუის მაკინისის სიტყვებით რომ ვთქვათ, პოეზია „საგანათ მრავალსახეობით გვათრობს და გვაჯადოებს.“

ზოგიერთ ლექსს გარეშე მაყურებლის პოზიციიდან წერთ. სხვაგან ის ადამიანები გამოკცავეთ, ყოველ სინამდვილეში ხვდებით და თვითონვე იცოცხლებთ თავიანთ ამბავს. რას გაძლევთ რაკურსის ამგვარი შეცვლა?

დიდი ხნის წინათ მივიღე ეს გადაწყვეტილება: თუკი წერა მსურს, უნდა ვიმოგზაურო. ჩემთვის აუცილებელი იყო ჩემი მყუდრო სამყოფელი მიმეტოვებინა და საკუთარი თავი გამომეცადა, რაც შეიძლება მეტი სურათი, ბგერა, სურნელი და გემო შემეგროვებინა. სანყის ეტაპზე ფორმა არ იყო მთავარი: ის მოიცდიდა. უპირველეს ყოვლისა, შინაარსის შეგროვება მაინტერესებდა. ასეთ დროს ხშირად განსმდგომი მაყურებლის თუ მსმენელის პოზიციიდან ვწერდი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც უცხო ენასთან მიწევდა შეხება. მაგრამ რაც უფრო დიდხანს ვცხოვრობდი ერთსა და იმავე ადგილას, მით უფრო ნაკლებად ვგრძნობდი თავს გარეშე დამკვირვებლად. ჩემი არაერთი ტექსტის პერსონაჟთა ხმებს უერთდება პირადად ჩემი განცდა, თუ ის გამოცდილება, რაც მეგობრებსა თუ კოლეგებთან ურთიერთობისას შევიძინე, აქ ის ღრმად სერიოზული თუ გამოგონებლად ბავშვური თემები ცოცხლდება, რასაც ჩემს რეალურ ცხოვრებაში შევხები-

ვარ. თუკი მას, ვის შესახებაც წერა დავაპირე, მეტიმეტად თავშეკავებულად უჭირავს თავი და ჩემთვის უცხოვდ რჩება, მაშინ გარედან აღწერ, ხოლო თუკი მასთან მეგობრობა და სულიერი ნათესაობა მაკავშირებს, თუკი მასთან ერთად რამდენიმე თვე მაქვს გატარებული, მაშინ მთხრობელისა და პერსონაჟის სახეები ერთმანეთს ერწყმის.

როგორ დაინერა პოემა „ზახოს ხიდი“? რა იყო ამის წინაპირობა?

ზახოს ხიდი თურქეთის საზღვრის მახლობლად, ამავე სახელწოდების პატარა ქალაქშია განლაგებული. დღისით ქალაქგარეთ მდებარე უნივერსიტეტში ვკითხულობდი ლექციებს. მისგან ქალაქის საკონტროლო პუნქტამდე ნახევარი საათის საგალი ხრიოკი ქვიშიანი მიდამო იშლებოდა. ჩემი იქაური მეგობრების უმრავლესობა უნივერსიტეტისაგან მოშორებით ცხოვრობდა და საღამოობით, როდესაც სიცხე უფრო იოლი ასატანი იყო, მათთან შესახვედრად ფეხით მივემართებოდი ხოლმე ქალაქის ცენტრში. დღის გარკვეულ დროს უამრავი ხალხი იკრიბებოდა ხიდიდან და თვალს ადევნებდა ახალგაზრდებს, რომლებიც ხიდიდან წყალში ხტებოდნენ. ეს ტექსტი სტილისტურად ჩემი წიგნის უმარტივეს ნაწილს წარმოადგენს: ის არაფრითაა შემკული. ხიდს არანაირი მოაჯირი არ გააჩნია და მასზე გადასვლა საკმარისად საშიშია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მზე თვალს გიბრმავებს, ანდა გვიან საღამოს, ბინდში.

სხვა ავტორების პოეტური კრებულებიდან ყველაზე მეტად რომელი გიყვართ?


ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლებელია. სხვათა შორის, იგივე მიზეზი მაკავებს სვირინგისაგან. ის, რაც დღეს მომწონს, ვიცი, ხვალ აღარ მომეწონება. თუმცა, რამდენიმე უცვლელი იდეალიც მაქვს, მაგალითად სტეფან მალარმეს ლექსები და ევტუშენკოს მიერ შედგენილი „XX საუკუნის რუსული პოეზია: ვერცხლი და ფოლადი“ – ეს საუკეთესო ანთოლოგიაა, რაც კი ოდესმე წამიკითხავს (მოსკოვში ყოფნისას ბიბლიასავით სულ თან დავატარებდი). რობერტ ლოუელისა და იოსებ ბროდსკის ყველაფერი მომწონს. შესაძლოა, ჩემმა ახლანდელმა ადგილსამყოფელმა განაპირობა ის, რომ კვლავ დავუბრუნდი პიტერ ტრაუერს. ერთხანს დამავიწყდა კიდევ, რამდენად დიდი პოეტიკა...

დაბოლოს: რა არის თქვენთვის პოეზია?

პოეზია უსასრულო შესაძლებლობათა გამომდებელი დუღილია.

CBC Books, 2 აპრილი, 2012 წ.

ინგლისურიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ



ქურთისტანში

მარნი პარსონსი

პატრიკ ვუდკოკის ახალი პოეტური კრებული „მუდამ დედაშენზე ადრე მოკვდი“ აერთიანებს ნაწერებსა და ფოტოსურათებს ბოსნიამი, რუსეთში, პოლონეთში, ისლანდიაში, კოლუმბიაში, ლიეტუაში და სხვა ადგილებში ავტორის მოგზაურობებიდან. ბევრი ლექსი ატარებს, ფოტოების მსგავსად, განკერძოებულ ნაშთებს; ეს ლექსები კონტექსტისგან დაკლილია, პირდაპირ მიზანში ხვდება, ძირითადად, მოკლე სტროფებითა და აღნიშნავენ იზოლირებულ მომენტებს, ვერბალურ დისლოკაციებს. დიახ, ისინი კონკრეტული დროისა და ადგილის კონსტრუირებას უფრო წარმოადგენენ, როგორც ამას მიგვანიშნებს წიგნის ბოლოში დართული „ლოკაციების“ მისათითებელი. ეს განკერძოებული ნაშთებია კრებულს დაძაბულობას მატებს, აქცევს მას ზოგჯერ ქმედითუნარიანად, ზოგჯერ შორეულად და ბუნდოვანად, და ზოგ შემთხვევაში, ერთდროულად ორივენიანად წარმოგვიჩენს.

ვუდკოკი დიდ თემებს ირჩევს: სიკვდილი, ძალადობა, დანაკარგი, სიღარიბე, ჯანყი, ცხოველებს უკონტროლო „ამოვარდნები“, რომლებიც ადამიანს შეარყევენ და შეაჯანჯლარებენ. ამ ლექსებიდან ზოგიერთს მართვად მკაცრი, ფორმალური საზღვრები გააჩნია, რაც პოეტურ ფორმას „აძალებს“ პოტენციურად უფრო მოგვცდა-გამოცდილებებს. ამ ფორმალისტური ექსპერიმენტებიდან ყველა როდია ისეთი წარმატებული, როგორც მისალოდნელი იყო: ხანდახან კონტრასტი შინაარსსა და ფორმას შორის თვალშისაცემია, არჩეული რიტმი ბოლომდე არ არის გატარებული გარკვეული ნიუანსების ნაკლებობის გამო, ისე, როგორც ეს შეიმჩნევა ლექსში „ნებაზე მიშვებულ ადამიანზე“! ჩამოყალიბებული სტრუქტურიდან გადახვევა თვალშისაცემად მტყველებს იმაზე, რომ მიუხედავად მისი სიმბოლური იმპლიციტური შინაარსისა (ადამიანი ფონოლოგიურად, ფორმალურად და მეტაფორულად, ლექსის ბოლოს ნებაზე მიშვებული ჩანს), ლექსის ეფექტიანობა შეზღუდულია.

თუმცადა, არის შემთხვევები, როცა ვუდკოკის ფორმალისტური ლექსი მართლაც მშვენიერად ჟღერს. მაგალითად, „კიმიჩი“ რომელიც აგებულია თითოეული კატრენის მეორე და მეოთხე, და მომდევნო სტროფის პირველი და მესამე ტაქების გამეორებაზე, ლამაზადაა მოწოდებული. ვუდკოკის გადამწყვეტილება, დაეწყო ამ ლექსი თითოეული ტაქი „და“ კავშირით, ისედაც თვალშისაცემ ფორმას კიდევ უფრო მეტ სიტხვევებს მატებს.

კრებულის სათაური გამოძახილს პოეებს თითოეული ლექსის ფონურ ინფორმაციაში, რამდენადაც ნებისმიერი რეგიონული, ეროვნული და გლობალური გადართილება, საბოლოოდ, მილიარდობით ინდივიდუალური ტრაგედიისგან შედგება. თანაც, ვუდკოკი თავადაც არის ერთი ასეთი ტრაგედიის განმცდიელი. ეს ლექსები ირიბად და შეფერული ეხმარება კრებულის ფინალურ ლექსებს, რომლებიც პოეტის პირად ტრაგიდიას, დედის დაკარგვას, შეეხება.

ამ დანაკარგით გამოწვეული განცდილია „შემოსილი“ პოეტი, როცა მოგზაურობს და ხედავს სისასტიკით, აბსურდულობითა და უსამართლობით გაზულუქებულ სამყაროს, მაგრამ ის გამოსავლის პოვნის პირზე ჩანს კრებულის ბოლოსწინა ლექსში „ცურვა ვარდისფერ დელფინებთან ერთად და ჩემი მკვდარი დედა“. აქ ტრანსფორმირებულია პოეტის გამოცდილება – მიღებული ამპიზონი მდინარის ვარდისფერ დელფინებთან ცურვის დროს. ადგილობრივი ლეგენდის მიხედვით, ამ დელფინებს სახეცვლა შეუძლიათ, შეუძლიათ ადამიანის სახის მიღება, ქალების შეცდნა და ხალხის შეტყუება წყალქვეშა სამყაროში. პოეტის გამოცდილება ტრანსფორმირდება ყოვლისგამომხატველ ხევენს-მუდარად, რაც ერთგვარად აკავშირებს მას გარდაცვლილ დედასთან და იმაზე მიანიშნებს, რომ პოეტს ესაჭიროება გათავისუფლება დედის სიკვდილში დანაშაულის შეგრძნებისაგან:

„ამ დღეს მე დაგარგე, შენ კომაში ჩავარდი. უნდა გამეხსნა უკანა კარი და წამეყვანე ტბისაკენ. შენ იცვლებოდი, ტოვებდი ჩემს სამყაროს, და მიდიოდი იმ სამყაროში, რომელიც უცხოა ჩემთვის.“

მდინარეში დელფინებთან ერთად ცურვის დროს პოეტი მკვდარ დედასთან სიახლოვეს გრძნობს, საკუთარ თავს წარმოიდგენს სახეშეცვლილს ახალ სამყაროსთან შესაგუებლად – ისეთი არსება ხდება, რომელსაც დელფინებთან ერთად ცურვა შეუძლია და ასეთ მდგომარეობაში თავს დედასთან ახლოს გრძნობს. ის წერს:

„დე, გთხოვ, იყავი ერთ-ერთი ის დელეგირებული, რომელიც ახლა წრეს მარტყამს. მომანყვითლე ერთ-ერთი მკლავი. ქენი რამე. იარსებე ჩემთან ერთად აქ.“

ეს ხვეწნა-მუდარა გადამდები და ემოციურია, და, ფაქტურად, ეს სწორედ ის მიმართებაა, რასაც უფრო კოკი-პოეტი ამყარებს იმ ადამიანებთან და ადგილებთან, რომლებსაც ამ კრებულში წარმოგვიდგენს: ის არსებობს ხანმოკლედ, პოეტურად მისმიერვე აღწერილ ადამიანებთან და ადგილებთან ერთად და ამ გზით ახერხებს, რომ დაამონმოს მათი ტანჯული ყოფა, ხოლო თავისთვის სამომავლო პერსპექტივა განჭვრიტოს.

„დეილი რევიუ“, 27 აგვისტო, 2009 წელი

ინგლისურიდან თარგმნა მანანა მათიაშვილმა

ლოსის ტყავი

მიტოვებული ლოსის ტყავი

ასეთს ვერ ნახავ ვერასოდეს, აი, ყველაზე სევდიანი რამ –
მატლებით დაფარული ქუდი, არაფერი მეტი,
მერე მარცხნივ ვატრიალებ და ვხედავ, ვეშაპი მიცურავს მშვიდად
მაკენზისაკენ, იმ მიზნით, რომ მოკედეს დიდი ქვით

პირში, იქ სადაც წყალი არის საშინლად მეჩხერი.
ერთი ბოლო რომ გავასწორო, ის გამოდგება
ბუშტად, რომელმაც გამომიტაცა მავნე ჩვევები
და გააქანა ჩრდილოეთით, სამშობლოსკენ. ან კიდევ ბავშვად

ჩემს მკლავებში, ის მკვდარია ან მომაკვდავი, რომელიც მიჰყავთ
მდინარისაკენ, შერცხვენილი, რადგან არც ისე საყვარელია,
შემეძლო, მე ის დამეფარა, მასზე ქვეები გადამეგორებინა
მოტეხილი ტოტებით, როდესაც იასამინისფერი მწერები და რტოები
იგორგლებოდნენ და არაბესკებს ხატავდნენ.

არასწორად შერჩეული პირანდო

ასირიული რელიეფების წინ, მთაზე რომ ავდიოდი, დავეცი.

ერთი ხელი, დამსხვრეული, ხავსმოდებული, წვრილი,
მინაზე ეშვება და ქვებზე ღვრის სისხლს,
მეორეში კი ჰყავს ობოზა, შეწუხებული რომ ეძებდა ჩრდილს.

ვილაცეები ქვემოთ სვამენ, კრატერებზე და მანქანებზე,
თან უყურებენ, როგორ იშლება, იფურჩქნება მისი მკერდი,
ის კი ახველებს, ხმაურიან სიმღერებს აფრქვევს მისი ყელი.

პირს ვერ იბრუნებს, ვერ მიატოვებს ვერაფრით ახლა
ქურთებს და მეფეებს – თავის მსმენელებს, ეფლობა ფარსში
და სიგარეტებში, თან ელოდება მზის მზუუტავ ჩასვლას.

ინგლისურიდან თარგმნა თამარ ამაშუკელმა

2

პირველი



ზურაბ ჯიჟყარიანი

დუმილის ალთჟა

როცა ადამიანებს არაფერი აქვთ ერთმანეთისთვის სათქმელი, ისინი ძირითადად ლაპარაკობენ ამინდზე, მოსალოდნელ აპოკალიფსზე, სხვა ადამიანებზე, მაგ. პრეზიდენტზე. მოსაწყენად ეწევიან სიგარეტს, ღილინებენ უცერად აკვიატებულ ნაწყვეტებს უცნობი სიმღერებიდან, იყურებიან მაღლა, მარჯვნივ, დაბლა და მარცხნივ, მზერით აშტერდებიან შემთხვევით არჩეულ საგნებს, მტვერს ტუფლებზე, ყავის ლაქებს მაგიდაზე, ტარაქებს კედელზე... როგორც საბჭოთადროინდელი რუსი ჰიპნოტიზიორები – კამერის ობიექტივს, რომლის იქით სხვა ქალაქში დგას ბავშვი და ტირის –

დაშინებული

დაჟინებული მზერით

ლურჯი ეკრანიდან.

როდესაც როგორც იქნა ეს ადამიანები იშლებიან და ცალ-ცალკე მიდიან სხვადასხვა მიმართულებით, ერთ-ერთი მათგანი ასე ფიქრობს მეორეზე: რა უცნაური ადამიანია ეს მეორე, რამდენი ათასი სიტყვა ვისწავლე დაბადებიდან, რამდენი ათასი კომბინაცია დამილაგებია ცხოვრების მანძილზე, რამდენი ათასი საათი მუშაობდა ჩემი პირის აპარატი, ბიოკომუნიკაციის ეს მინი-ქარხანა, ზღვის ტალღებით მოუსვენარი ენა ეხეთქებოდა კბილებს, ყელიდან ჰაერის გამოტუმბვით, ხორხის ვიბრაციებით ვქმნიდი ბგერებს, წნევით ვაპობდი ჰაერის რიფებს, ვყეფდი და ვხაოდი, ვლულულულებდი და ვმარცვლავდი, ვგალობდი და ვჭურჭრულებდი, რომ მეთქვა სხვებისთვის ყველა სიტყვა, რაც მისწავლია, ამას კი ვერაფერი ვუთხარი...

დღეიდან მე არ ვილაპარაკებ.

ეს დედა.

რადიო, საიდანაც ისმოდა განთიადი, ლუპზე გაშვებული სიგნალი მოკლე ჩართვებით.

დედაჩემი ტელეკოპია: ღამესავით შავი თვალი, რომელიც აკვირდება ჩვენკენ მომავალ სიცარიელეს სამყაროს ჰორიზონტებიდან...

მისი წლიური ანგარიშები და სტენოგრაფიული გამოთვლები არის ჩემი გენეტიკური კოდი.

ეს მამა.

ცაში აშვერილი კალაშნიკოვი, რკინის ყვავილი...

მან იცის – ეს ტყეები ვერასოდეს გაარღვევენ სტრატოსფეროს, მაგრამ მაინც დაუნდობლად ისვრის სუპერნოვების მიმართულებით. მარადიული ომის დასასრულს ის აღნიშნავს ახალი ომით...



მამაჩემი უცნობი ქალაქების მონატრებაა, რომელიც უკვე ყელში მანევრებს და ლამისაა გადმოიღვაროს – მარგალიტის მდინარეებად ჩემს თვალბში ჩაზრდილი ვიდუოკამერებიდან.

ერთელ ის და მისი მეგობრები პატარა კომეტის ჩამოვარდნას შეესწრნენ ზღვისპირას, დიდხანს უტრიალეს ციურ სხეულს ყაყაჩოს წვენიტ გაბრუებულებმა, შემდეგ წაიღეს მანქანის საბარგულით და ჩემი დიდი ბაბუის, ერასტოს გვერდით დამარხეს.

ესე წვანან ეხლა
 მინის სიღრმეში –
 ერასტო და ციური სხეული:



მეფაიტონე, რომლის შესახებ არაფერი ვიცი და კომეტა, რომელიც სამყაროს დასაბამიდან დაფრინავს სიზმრისეულ ტრაექტორიებზე და ბოლოს ქალაქის სასაფლაოზე აღმოჩნდა, თავზე დადგმული ხის ჯვრით.

ზღვის რბილი ხმაური არხევს რბილ ბალახს ჯვრის გარშემო, მილიარდი ვარსკვლავი ციმციმებს მის ფონად.

ეს მე ვარ.

სამარე, საიდანაც, როგორც დედას და მამას სჯერათ – ოდესმე წამოვა თოვლი.



სველი ძილიდან მსუბუქი ყვირილით ახლადგამოღვიძებული
ნუ იყურები გასანმენდი ფანჯრიდან
ქალაქის სიღრმეში.

მოღუნებული სიამოვნების დეტექტორებს

ნუ ამოძრავებ

სახლის ტარაკნების ანტენებით – კედლის მიკროსკოპული ნაპრალებიდან.

ყოველი შენი მოძრაობა, აჩქარებული გულისცემა ამ უცხო საწოლში:

ინვეს უცნობ მანქანათა საეჭვო გადაადგილებებს ბნელ ჩიხებში,

უეცარ უსიამოვნო სატელეფონო ზარებს მძინარე კორპუსებში,

ავტომატურ აფდევითებს უცხო სოციალურ ქსელებში,

ათასი სახეობის [ჯურის] სიზმრებისა და სიამოვნებების,

ნახმარი ტექნიკისა და მოყვასთა სხეულების იაფად გადაყიდველთა გააქტიურებას

ქალაქის რუკის ზერელედ შევსებულ ტერიტორიებზე.

ნუ წრიალებ ჰაბლის ტელესკოპით მოუქნელი.

ნუ ხმაურობ.

სანოლი შენი ერთადერთი დედაა

[ა] საზეიმო ფერების განთიადამდე [ბ] დაკუჭული გაზეთისფერ გათენებამდე.

ნუ ეძებ ჩართულ ტალღას,

რომელიც წაგიღებს,

მხოლოდ საკუთარი შიშინით დაიმშვიდე ის ხელი, ტუჩები,

გენეტიკური რეპროდუქციის ზონები.

ფანჯრიდან დანახული აეროპორტის 24 საათიანი რეჟიმი,

თვითმფრინავების მონოტონური ციმციმი

წარმოსახვით საჰაერო რელსებზე – საუკეთესო მულტფილმია ახალი ძილისთვის,

აეროპორტში ღამისმთეველთა გამომეტყველებების წარმოდგენა –

საუკეთესო სედატივია ხელახალი ძილის წინ.

მოწყენილი დოკუმენტალისტიკა,

შენი ვიდეოთვალებისა და აუდიოყურების დაბალი ხარისხით –

მოუსვენარი ღამის რბილ ფირზე.

და ვინც არ უნდა შეეცადოს

შენი გულისცემის გამოწვევას ქალაქის ქუჩებში –

ნეონის ჩირალდნები ასნიოს მაღლა, პირველყოფილი სიხარულით,

იფიქროს, რომ დაგატყვევია, როგორც ტრასაზე გადამრბენ კურდღელს ატყვევებენ მონადირეთა ფარნები –

შენ არ აყვები.

გამოიცვლი სველ მაისურს, რომ არ გაცივდე და როგორმე დაიძინებ.

ზუსტად.

როგორმე ძილი! – არის შენი პასუხი ყველა კითხვაზე.

ХОЧЕШЬ ПОПАСТЬ В АМЕРИКУ?



ПОСТУПАЙ В РАКЕТНЫЕ ВОЙСКА!

გამარჯობა, გვირო,
 როცა ძველ სატელეფონო ცნობარებში
 ეძებდნენ შენს გაცრეცილ სახელს
 ხვალინდელი ზეცის არქივებისთვის –
 მე მეძინა.

შენ უბრალოდ უნდა აგეკრიფა 022
 და გეტევა რომ –
 ხეების სუნი ასდის კედლის,
 რომ კატებმა ისევ მოისაქმეს საწოლის უკან,
 რომ ფრაქტალური გეომეტრია გასათვალისწინებელია ქალაქის დაგეგმარებაში –
 მაგრამ ქარხანებმა გაგიტაცეს და ცეკვავდნენ შენთვის,
 როგორც ვარსკვლავები და ცხოველები კრიშნას გარშემო.
 სამყარო მოსაწყენია ორშაბათობით, გეთანხმები.


აი ასეთი მოულოდნელია ჩვენი ტრანექტორიები
 დილის მალეობიდან საღამოს კლუბებამდე
 დილის ყავიდან საღამოს ზახოდებამდე
 დილის ცივი ტრანსპორტებიდან ღამის კომფორტულ საწოლამდე
 სევდიანი, გვირული და ელევანტური ორგაზმით
 ორ (ან მეტ) ხმაში.

შენ საახალწლო ჩინური მაშხალა ხარ გვირო!
 იაფად ნაყიდი ჯადოქრობა ღარიბი კვარტალის ბავშვებისთვის.
 როცა დღეები იწვებიან როგორც სიგარეტი ჩემს თითებში,
 შენ იცი – ქარხნების სუნი ასდის საყვარელ ადამიანს
 შენ იცი სადაც ამზადებენ მისნაირებს.

შენ ალბათ ცუდ ვარსკვლავზე გაჩნდი,
 იმიტომ რომ უკვე კარგა ხანია გამაზე საკუთარი სპეც. რეპორტაჟი
 (რომელიც არის ცხოვრებაში ერთხელ და მერე არასდროს, ისიც თუ გვირად დაიბადე)
 ვინაიდან მათ უკვე გამოირთეს თავიანიტი ტელევიზორები, შეჭამეს კაბელები და წავიდნენ სამსახურში.

არა უშავს. სამაგიეროდ
 ჩვენ დაგვრჩა – ყველა სახის ჯანქი და უამრავი ფერადი სათამაშო
 სატელეფონო ხაზები და ამ სიხშირეები
 იარაღის სანყოფნები და რემბრანდტის რეპროდუქციები.

გარდა ამისა
 მე შევძელი გადამენახა რამდენიმე უცნაური ნოტი
 რომელიც საბავშვო პიესიდან
 ფორტეპიანოსთვის.



„უბრძანებს მათ შენთვის
და უფლის ანგელოზები გატარებენ ხელით,
რომ ქვას ფეხი არ წამოკრა.
ტერმინატორი მოვა შენს სახსნელად ავი თვალისგან მომავლიდან.“

როდესაც შენ დაიბადე
წამოვიდა თოვლი საბჭოთა რაკეტები
სერავდნენ სტრატოსფეროს
უზარმაზარი კომპიუტერები ითვლიდნენ ვარსკვლავებს.

მამაშენის პისტოლეტით დასდევდი პეპლებს სათამაშო მოედანზე.
არაფერი შეცვლილა.

შენ გამზადდებდნენ მარსის კოლონიზატორად.
უცხო ქალაქში გიხაროდა ცივი ყავა
მოგვიანებით.

ნათესავარ რადიოში


ვუსმენდით შენი ფეხის ნაბიჯებს
სველ ასფალტზე.
წარსულის უზარმაზარი კომპიუტერებივით ვითვლიდით ვარსკვლავებს
არ ვმზავდით სატელევიზიო რეკლამებს
ჩუმად ვსაუბრობდით მეზობლებთან ცყიდულობდით წამალს გამოგვექონდა
ნიგნები ბიბლიოთეკიდან.

ნესტიან კორპუსებზე
ეჩხანინდით შენს სახელს.
გახსენებდით ძილის წინ
როცა ვწვებოდით ერთად განთიადზე ამაყად და უაზროდ
იდგნენ
ანტენები.

მილიონი ვერსია არსებობს
იმის თუ რატომ არ მოხვედრი
ან სად ნახვედი
და ყველა სწორია.

ამბობენ რომ
ანთებულ ფანჯრებს ღამის ქალაქში
შენ კითხულობდი როგორც ინსტრუქციებს
შემდეგი ნაბიჯებისთვის
და იქნებ ვილაცამ არაა ეს ტექსტები?
ან იქნებ ვილაცას დროზე ადრე ჩაეძინა,
დროზე ადრე გაღვიძა,
დაავინწყდა ტელეფონის ნომერი, მობეზრდა თამაში?

ამბობენ, რომ შენ თავი გაწირე
ჩვენი ცოდვების და სახელმწიფო ეკონომიკისთვის
და იქეცი ნავთობის უღვევ მარაგად



რომელიც ეს-ესაა ამოხედავს
კახეთის მოსაწყენ უდაბნოებში.
არავინ იცის.

იმასაც ამბობენ, რომ
შენ და სინათლის სხივები უკვე მერამდენე წელია
სწავლობთ აბონენტების სიას
წინასწარ დასახოცი მოციქულების ამოსაცნობად.
ჩემი ნომერია 276 69 –

რა დარჩა

ჩვენმა მისამართებმა მიატოვეს ჩვენი სახლები
ჩვენმა მეგობრებმა როგორც იქნა ისწავლეს ფარული ფრანგული ამბორები გეთისიმანიის ბალებში
ჩვენი ყოფილი შეყვარებულები ჩვენს ყოფილ ფანებთან ერთად
მიორთმევენ დილის ყავას
ჩართული ტელევიზორით და საუბრებით არაფერზე...
ჩვენი მოსაწვევები გატრუნდა.

ჩვენი სიცილი სულ უფრო ემსგავსება ტირილს, როცა არ იმჩნევ.
ჩვენი სანოლები აჯანყდნენ და საზოგადოებრივმა ტრანსპორტებმაც უცებ შეიცვალეს რეისები,
არც ტაქსისტებმა, არც პასაჟირებმა არ იციან როგორ ან რა.
ასე რომ საერთოდ გაჭირდა დანიშნულების ადგილამდე მისვლა.
ჩვენი მომავალი პრეზიდენტები წავიდნენ პოლიტიკიდან და გალოთდნენ.
ჩვენი შვილები არა და არ იბადებიან.
ჩვენი ქვეყანა დიდია და ლამაზი.

ჩვენი საყვარელი რადიოტალღები დიდი აფეთქების ექოს ტრანსლირებენ,
რაც პრინციპში არაფერში ნაგავადგება,
ჩვენი ბარიერები დაიჭირეს, დაყარეს ასფალტზე, როგორც ფოთლები შემოდგომის, წაიყვანეს სადღაც შორს.
ჩვენი საყვარელი პოეტები უკვე დიდი ხანია პოეტები არ არიან.
ჩვენი ოცნების ანერგია ფილმებია როკ-ვარსკვლავების შესახებ ბანდ საიტებზე, დენზელ ვაშინგტონის ენერგიული
პახოდცა, საშიში პატარა ქალაქები სერიოზულებიდან.
ჩვენი ნარკოტიკები ვერ გადიან საბაჟო კონტროლს.
ჩვენი საყვარელი მულტფილმების გმირები დაიხოცნენ გაურკვეველ ვითარებებში.
სიზმრები გადაიქცნენ გიფ-ებად, ოცნებები სპამად ბანძი ფასვორდებით დაცულ მეილებზე.
ჩვენმა მამებმა გაუფრთხილებლად მიგვატოვეს ბავშვობაში და
წავიდნენ შორს შორს შორს... ვარსკვლავებისკენ.

ჩვენი წვიმები მხოლოდ ოთახებში მოდიან.
ჩვენი აფთიაქები ხურდებიან გვატყუებენ, მაგრამ გულუხვები არიან სხვა რამეებზე.
ჩვენი მეტეოროები ყოველდღე
ჩუმად და ლამაზად ეცემიან მთვარის ზედაპირზე.

რა დარჩა შენგან
ან ჩემგან

ან იმათგან, ვინც აქამდე მოვიდა?

მონწეილი შემოდგომა

მონმნდილი ცის ნაფლეთებით.

უპკე დავინწყებული ტელეფონის ნომრები გაუცხოებული სახლებით.
მეტწიკური, ინერციული კოცნები. ცოტა ზიზლი, ცოტა სიყვარული.
ნოტიფიკაციები ივენეტებზე. ორგაზმის ინსცენირება.



ნინო ნადირაძე

* * *

ჭერზე სინათლის ხაზი გამორბის.
ყოველდღე ერთად ვიმშუშნებით
თხელ ძილ-ბურანში.
როცა იღვიძებ, შენ ვერ ამჩნევ,
როგორ ცურდება ჩემი მზერა შენს ლავინებზე,
შენ ვერ ამჩნევ ჩემს მოძრაობას,
და არც ხმა გესმის, ისე, როგორც მე ვლაპარაკობ.
ჭერზე სინათლის ხაზი წაიქცა,
ფანჯრისკენ ქროდა.
შენ ჩემკენ იწევ. დრო ცოცხალია.
ცაზე შემთხვევით დაქცეული ლურჯი კბერნე,
შავი მოცხარო.
ღრუბლები – ქარის ოდალისკები.
ქუხს.
და მაინც,
დღეს მე უფრო,
ვიდრე სხვა დროს,
ვიდრე შენ, და ვიდრე ოდესმე.

ბაბუაშენი

ყანაში შედის საღამო და სიმინდებს ითვლის.
მზე მინდვრებისკენ აცეცებს ხელებს.
შენ მღვიძარე ხარ ამხელა ძილში,
და ელოდები სხვების უხმო გამოღვიძებას.
მინა იმახსოვრებს ფეხისგულებს,
მინა ცხელია და იმახსოვრებს
ფეხისგულებს შვილიშვილების.
ალბათ არასდროს დაკვირვებია
სად მთავრდება შენი ყანა –
იქ, სადაც ახლა საღამო დგას, სიმინდებში,
და ჩუმი კაცი, ერთი თვის წინ გარდაცვლილი – ბაბუაშენი.

სულში შებრუნება

ამაზე მეტად არ არსებობს,
ამაზე მაღლა არ არსებობს.
ამ თვალებდათხრილ ქალაქებში
ვინ შეისმინოს, ვინ ხედავდეს.

მან გადანყვითა გაზაფხული,
მან გადანყვითა შენთან ახლოს,
რომ ძილის ძაფზე გადავლისას ფეხი დაუცდეს და
ჩაიყოლოს
შენი ზღვებიანი სიყვარული
და დამტვერილი სახლი.

მან გადანყვითა გაზაფხული,
მან გადანყვითა ახლა,
როცა ადვილია სხელიდან გამოცოცება,
როცა სულიდანაც ადვილია გამოცოცება.
უკან გზა მუდამ არის სასიკვდილო,
შეუძლებელი და მყიფე.

სულში შებრუნება სიცოცხლეა,
შენი ხელებით, სიცოცხლეა,
დაუსაბამო და მწიფე.

როგორ დავარიგო მკვდრები,
როგორ დავაბარო მომკვდრებს,
რომ გასვლა სულიდან არ გაბედონ,
რომ შეიძლება მომკლას
მამაჩემის სუნმა კარადაში,
მამაჩემის ხმამ ძილბურანში,
მამაჩემის ხმამ მომკლას.

საქმე მკვდრისა არაფერია.
მისვლა საწოლთან და ჩამოჯდომა,
მისვლა ცოლთან და ხმადუმითი,
მისვლა დედასთან დათოვლი.

საქმე მკვდრისა ის არის, რომ
არაფერია.

როგორ დავარიგო მკვდრები,
რომ სულიდან გასვლა არ გაბედონ,
რომ გასვლა ასე საშოშია,
დაბრუნება კი – მიძიმე.

ამ თვალებ დათხრილ ქალაქებში
მხოლოდ და დღის ჩემი სიყვარული,
შენი თავით შენი.

ჩვენ ბევრი რამ არ ვიცით.
საკუთარ დურბინდში რასაც ვხედავთ,
მხოლოდ იმის გენამს.
(ღმერთი დურბინდში არ ეტევა)
ჩვენ არ ვიცით,
რომ შეიძლება რომელიმე წმინდანი
სამზარეულოს იატაკზე იწვეს,
იქვე ვისკის გამოცარიელებული ბოთლი
ეგდოს,
პირიდან სასმლის სუნი ამოსდიოდეს
და გამოღვიძება აღარ უნდოდეს.
სწორედ ამაზე ვამბობდი ზემოთ,
ჩვენ ბევრი რამ არ ვიცით-მეთქი.

თუ თვალები ფართოდაა გახელილი,
დახუჭვაც ღირს.

აქამდე მხოლოდ სიზმარი იყო,
ხილვა, ვხედავდი.
ახლა ცხადია:
შენს ზურგზე ჩემი შიშველი მკერდი,
ჩემს თმაში შენი ხმა და თითები.
გაქრა ყველა ხე ალვის, რაც იყო.
მხოლოდ მთა ფუჯის დგას, მდუმარეა.
ვთვლებ და სიზმარში ნელა ფითრდება
თეთრი სატინა, ზღვა და მარილი.



ზურა მელიქიძე

იმისათვის, რომ ჩაიცვა ჯინსი...
აილე ჯინსი...
ჩაიცვი ჯინსი...
ჩვენ არ გვაქვს საზღვრები და ამიტომ,
უზარმაზარი აკვალანგით დავეშვით ფსკერზე...
გამუდმებით გვდევნიან საკუთარ თავში აღმოჩენილი
უცხო სხეულები...

მეები...
გააღე კარი...
ჩაიხედე სარკეში...
დახურე კარი...
იმისათვის, რომ შეინარჩუნო ჩრდილი იატაკზე,
ოთახში...
ნუ დანანალებ...
ჩრდილი გაცვდება ასფალტზე ხახუნით...
ძონძია ისედაც ჩრდილი...
უბრალოდ, ბაცი...
როდესაც ნევხარ, ჰორიზონტი ვერტიკალზეა...
აილე ჰორიზონტი...
დაკეცე ჰორიზონტი და ადი ავტობუსში...
ხალხი...
აქ წყდება საფეთქლების მაწუნებლობა...
თუ აფეთქდება,
ისიც მხოლოდ საკუთარ თავში...
ყურსასმენს იძრობ...

ვადაგასული აფიშები გვაუწყებენ ცირკს...

შენიანია ეს ქალაქი, თავისი ნაცრისფერი ხალათით...
შენიანია მეგობარი, ყოველი კუნთით...
თხელი სიჩუმის ანათაღი, ძველი დაღმართი...
შენიანია ახლა, როგორც არავინ არსად...
შენი სახლია ეს კარავი, ეს პატარა სკა...
ჩრდილი გზაზე და თხრილში მთვარე,
შენიანია...
დრო საფეთქლებში, აფეთქების ლოდინის რეკა...
იმის ცოდნაც, რომ ეს სიჩუმე „შენი ბრაღია“,
შენიანია...

ყველა ოთახს რომ შევიწვო კანში, მე გაფრინდები...
უშუცლო ბავშვებს.. გახსნილ გამაშებს გაუფრთ თვალებს...
მე ვითამაშებ საბუხრის თავზე ძველ გარინდებს...
ჩემი წინდები მეტყვიან, რომ, მჭირდება ქალი...
ეს მე მჭირდება!

მას შემდეგ, როცა აფეთქებამ ბევრად დაგვშალა...
მე არ მაქვს ძალა, მოვთრიო ბეჭებით სახლი,
ჰორიზონტებზე გადატანილ პირველად ძალას
გუშინინდელი ნაწლავებით გადავხლართო...
დილის მაშხალა...

ჩავწვე ქვიშაში... ნიკოტინის საფენით სასა
დავიღბო,
ტანში მოარული წერტილით მოვრჩე...
ვიყო სამივე სამიდან და თან რომ არ ვიყო,
რომ არ გავიყო, დავყრუვდე და თავიდან მოვკვდე...
აი, ამიტომ!

* * *

პოეტები და პროზაიკოსები კვებავენ ერთმანეთს,
მაშინ, როდესაც ყველაზე გაყიდვადი სპორტული გაზეთია,
რომ ხალხმა ტოტალიზატორის კუში შეამონმოს...

თეატრის კრიტიკოსებს უყვართ ცხვირში თითის შეყოფა.
აღბათ, ამით იმის თქმა უნდათ, რომ ცალი ნესტოთიც შეუძლიათ იყვნენ
შენზე „მაგარი“...

დილის ექვსზე და შვიდის თხუთმეტ წუთზე
ნარინჯისფერი მეფეზოვეები არ მიფრინავენ ცაში თავიანთი ცოცხებით,
რომ ჩვენ თანაბრად ვყაროთ ასფალტზე ნამწვი და ზნეობა...

სამარშრუტო ტაქსების მძღოლებს ღრმად სწამთ, რომ
თუ ერთ-ერთი მათგანის ბიჭს ხელზე „მანიკური“ უსვია,
მეტრაკეა...

სკვერების მობინადრეები, დაბურული სათვალის მიღმა, თვლიან, რომ
ვალდებული ხარ, აძლიო სიგარეტი,
იმიტომ, რომ უცნაური ხარ...

მოზილური ოპერატორები ყოველ ღამით გთავაზობენ მოკლე ტექსტურ
სარეცხის მანქანას ან მაცივარს,
ისინი თავაზიანები არიან...

მეზობლის ბავშვები საუბრობენ სუპერ გმირებზე,
ლაზერული აქტივაციით და დროში პორტირებით...
მე კი ჯერაც სახურავის ბინადარს ველოდები, ფანჯარასთან მოკალათებული...


ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო გვაფრთხილებს, რომ
მონევა მავნებელია ჩვენი ჯანმრთელობისათვის,
არადა, მოსაწვეი ისევ არ არის...

და ყველა ასე, ქრონიკულად
ბედნიერი ვართ!



3

ვარკა



გამოსვლა

ზურაბ გოგოძე

(ამირამი და ფიდელვანდერი) ჯადოსნური მითისა

- რანარია სხვა ქვეყნები, ფიდელვანდერო? - ჰკითხა ამირამმა, როცა ბანაკად მყოფნი ღამის დაძინებას აპირებდნენ.
- გააჩნა რომელი. ზოგი ერთნარიია, ზოგი სხვადასხვანარიი.

- მაიმე რომელიმე, რაც კი ყველაზე უფრო უჩვეულო გინახავს.

- უჩვეულო? მოდი, პირიქით, ყველაზე უფრო ჩვეულებრივ ამბავს გიამბობ, ჯადოსნური მითისას. კარგი ამბავია, უნდა მოგეწონოს, - და თხრო მოგზაურობა უჩვეულოს მაგიერად ამბავი ჯადოსნური მითისა:

- ერთხელაც ჩვეულებრივ მივფრინავდი ცის ლაყვარლებში ჩემი ერთგული ვერცხლის ფრინველებით და ერთი მთაც დავინახე. შორიდანვე შევატყვე თითქოს რაღაც უცნაურობა: ერთიანად ფუთფუთებდა, თითქოს რაღაც ჭიანჭველა დააცოცხვად უთვალავი. ნეტავ რა არის? ახლოს მივფრინდი და ვხედავ, სულ ადამიანები ყოფილა ის უთვალავი ჭიანჭველა და ფუთფუთი. ძირიდან მწვერვალამდე მჭიდრო-მჭიდრო მწკრივებად, წრიულ საფეხურებად დახვეოდნენ მთას და მთლიანად დაეფარათ. თითს ვერ ჩაყოფდი იმათ სიმჭიდროვეში. უკლებლივ სახით მწვერვალისკენ ჩამსხდარიყვნენ თავიანთ მწკრივებში, თავები დაბლა დაეყობ და მთასა ჭამდნენ, ძოვდნენ.

მქონდა გაცოინდი და მივხვდი რომ სწორედ ეს იყო ჯადოსნური მთა, რომელიც კლდისა და მიწის კი არა, საჭმელად ნოყიერი ნიადაგისგან იყო შემდგარი, რაიც, რამდენიც არ უნდა ჭამო, არა თავდება და არა ცოტაფდება. იქამდე არცა მჯეროდა ეს ამბავი, მაგრამ აპა, უკვე ცხვირწინ მედო უტყუარ სანახაობად!

ჭამდნენ ხარბად, გატაცებით, შეუსვენებლად. წესრიგი ჩანდა იმათში, შესაბამისი და სახარბილო: ყოველ უკანა მწკრივს თავისი წინას ტრაქტთანა ჰქონდათ თავები ჩაყოფილი და ნოყიერი მთის ნიადაგთან ერთად იმ მოწინავეთა მოვზულებსაც მხიარული გატაცებითა ჭამდნენ. ქვემოთ და ქვემოთ მწკრივებში, მთის კალთის სულ უფრო ფართო სივრცეებში ხალხის რაოდენობაც მატულობდა ყოველ მწკრივზე და საჭმელ ნიადაგში მოვზულების შემცველობაც. ყოველი მოწინავე მწკრივი კი უფრო ნაკლებრიცხოვანი იყო, უფრო მსუქნებისა, უფრო სუფთა და ნაკლებდაჯემულ ნიადაგსა ძოვდა ჯადოსნური მთისას. და სულ მწვერვალში ძოვდა მთლად ბედნიერი ამათი, ხელმწიფე თუ ბელადი, რაც იყო.

ნოყიერ საჭმელს ხომ სიბინძურე შერეოდა, მაგრამ ზედებიც და ქვედებიც ერთნაირად გულმოდგინედ ძოვდნენ, ჭამდნენ, თქელფდნენ ღორბივით, ნუთითაც არა ჩერდებოდნენ. საამური ზმუილი იდგა ამათგან.

მხარამბარა, ტრაქტარაკ მჭიდროდ დარაზმულებს მჭირვ კედლებად შეიკრათ თავთავიანთი მწკრივები და ერთი მუხუცდოდ მოიმევენა რომ ეს იყო მარადიული და უჩვეულო წესრიგი ამათი. მაგრამ რაკი დავაკვირდი, მაღეც შევნიშნე ცოტაოდენი მოძრაობები, გადაადგილებები. თითო-თითო ცალად ზოგი ზედა მწკრივიდან ქვედაში ვარდებოდა, ზოგი პირიქით, ზევით მიცოცხვდა. და კიდევ რომ დავაკვირდი, მივხვდი, რომ ეს დადანაცვლებები იყო ნამდვილი ომი ამათ შორის, სასტიკი და ულმობელი.

თანამწკრიველი მეზობელს, ტრაკით მიბჯვინდი მოძმეს და ამხანაგს მუფლუფუნს უთავაზებდა, წინა მწკრიველი უკანას ნიხლს ჩაარტყამდა და უკანა მწკრიველი წინას ფეხზე მოქაჩავდა და უკან ითრევდა. გამოძრობოდა წესრიგი უღიბლო მჭამელი და დაბლა ვარდებოდა, აცოცხდებოდა იმის ადგილას ყველაზე მარჯვე ქვემომწკრიველი.

ადვილად მიაღწევნდი თვალს ყველაზე მაღალი მწკრივებიდანაც როგორ დაცურდებოდა თითო-ორილა, ვიდრე თუნდაც მთის სულ ძირამდე, ან კიდევ როგორ მოხერხებულად მიცოცხვდა მავანი დაბალ დაბლობიდან საუკეთესო სიმაღლეებამდე.

და ძოვდნენ და ჭამდნენ და ჯვამდნენ. მიღვანებოდნენ ამას გაუთავებლად, თავაულებლად. აღტაცებული სიძულვილით ვაკვირდებოდი ამ ძალიან ჩვეულებრივ სიბინძურეს და უღმერთობას, ამ უაღრესად ადამიანურ ღირობას. და მაშინ მიხაროდა ჩემი ფრენა, მიხაროდა, რომ ფრენაში გავტყეოდი ყოველივე ამას ცოდვილი მხელთიდან.

არ მივდიოდი, ნელი ფრენით წრეებზე დავადიოდი მთის თავს. მიხაროდა ამათზე უაუტესობა და ძალიან ვცდილობდი, არ შემზრუნებოდნენ.

ერთიც ვნახო, ამათმა მთლად ბედნიერმა, მწვერვალის ერთპიროვნულმა მოვეცლმა, ჭამას თავი ანება, ნაკუზული თოხლობიდან ამას ნაშოვდა, ერთხანს მუცელს ეფერა უზომო კმაყოფილებით და ცეკვა დაიწყო. რა თვალი მოკრეს ბელადის ცეკვას, სულ ზედა მწკრივებმა კიდევ უხალისოდ, მაგრამ მორჩილად ანებეს თავი ძოვას, თავები ასწიეს და მუხლებზე დგომით ტაში უკრეს იმას, კაი საცეკვაო. ხომ უხალისოდ იწყებდნენ, მაგრამ მეორე წხთარ უკვე ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ მხიარულებამი იმ მთლად ბედნიერის

საამებლად. და ვიდრე ხელები ტაშით ჰქონდათ დაკავებული, ტრაკებითა ებეჯინებოდნენ და ებლაუჭებოდნენ ერთმანეთს მწკრივის გამაგრებად, რომ უკანა რიგიდან ვინმეს არ ეტაცა ხელი და მალაწლიყური საძოვარიდან არ მოეწყვითა.

ცეკვავდა მთლად ბედნიერი. აღარ მინდოდა იმათი ყურება. ერთი დაეაფურთხე ჯადოსნურ მწვერვალს. იქიდან ვეფრენინე ვერცხლის ფრინველებს, შორს იქიდან. აღარც სიცოლი მინდოდა იმ სასაცილო უკუღმართობაზე: კარგად ნაცნობი ხომ სასაცილოც აღარ გაცილებს კაცს. შენ კი გეტყვი მაინც რაც იყო ყველაზე სასაცილო: რა და, ხომ გამოუღვევად ქონდათ საკვები ნიადაგი, რომ არა თავდებოდა და არ ცოტავდებოდა ჯადოსნური მთა საქმელი, ხომ ყველა იმყოფებდა რომ მოენდომებინათ, მაგრამ მაინც მთის მისადგომებთან ეყარნენ ამათი სხეები, შიმშილით მკვდრები, გამოგდებულები და განწირულები თანამომქმეთაგან, სულ უკანასკნელი მწკრივიდანაც, ყველაზე ბიძქოთი ლუკმიდანაც გაგდებულები, — თხრობა დაასრულა ფიდეღვანდერმა.

ამირამს არ გაუცინია ამ ბოლო სასაცილოზე. ფიქრასავით. აკი ბრეყვი იყო საბრალო, აკი სათუთა სწორად მიმხდარიყო, რომ თვითონაც იმ შიმშილითმკვდართაგანი იყო დაბადებითვე, რომ თვითონაც ადგილი არა ქონდა და არც ლუკმა ცხოვრების ჯადოსნურ მთაში და მხოლოდ ბედისწერის სასწაულით სულდგებულნიყობა. მაინც სამართლიანად შენიშნა გულში და გარეთაც გამოთქვა:

— იმათ არა ჰქონიათ ჩემნაირი ჯადოსნური ბაღიში და კაპიკიანები.

- ვის იმათ? — ვერ მიუხედა ფიდეღვანდერი.
- შიმშილით მკვდრებს.
- ჰო, იმათ არ ჰქონიათ.

ჩემი „სომეგრავია“

პურსა ვკბიჩავდი ორივე ყბაში და თავ-ხახვს ვჭამდი დაფცქენილს, მარილს ვაყოლებდი. იმ პურისჭამაში ღვინო ვერაფერი დამელია, რომ არა მქონდა. მხოლოდ ცარიელი ყანნი მედო ფეხებთან. ტივის კიდევ ვიჯექ თათრულად, ჩემთვის ეჭვიფობდი, მარტოკა, უღვინოდ, უმწვადბოდ და უდამკვრელობად. დოლი და ზურნა-დუდუკი ტივის მეორე მხარეს ენყო, ტყუილა-უზნალოდ, უმუსიკოდ, უმატრონოდ.

მაგრამ დღე კარგი იყო, ცა კრიალა და მდინარე კამკამა. ნაპირი კლდე იყო მზეუბდაფენილი და იმას გავცქეროდი. პური ბლომად მქონდა, ხახვი და მარილი. ლუკმებს არსადა ეჩქარობდი. მდინარეში ვყრიდი ხახვის ნაფცქვენებს.

მდინარე დავლიო? უღვინოდ მჭამელს მომწყურებია. ლუკმა ჩაყვლაზე, თავი ჩაყვი მდინარეში ამოსალევად.

გხედავ, თავთხელია უჩვეულოდ, სულ ერთი ცხვირის ჩაყოფაზე მოჩანს თეთრი-თეთრი ქვეტი მდინარის ძირზე. „ტივი როგორ დადის აემ ძალიან თხელში?!“ ჩემ თავში მიკვირს. ნავეყუდე მაინც, მოვლი, აკი მწყურდა. ჩემი ფიქრი იყო და ნამოედო ტივი, დადგა ფსკერზე. იმის დაჯახებამ ამიღო

და წყალში მომისროლა. სველი იყო წყალი, ცივ-ცივი. გამომაღვია, ერთი შეგინება მოვასწარი და ისე გავიღვიძე.

დოლის მაგივრად ჯერაც ღამე ბნელდა ჩემ გაღვიძებულ თავზე. „სიზმრისა რატომ გამიძვირდეს, აკი ცხადშიც ყოფა ასე უკულმა დაწკრიბოს: ყველასგან ცნაზე, უამხანაგო და უდაკვრისმიღერო, ღარბ ლუკმიდანაც მალამალე მოსროლილი. „მახლას!“ ესა ვთქვი თავში. ცივი წყალი აღარაფერი სველობდა მა, გაღვიძებულში, მაგრამ ციოდ კი. მიმოვიხედე, ფანჯარა ყოფილიყო ღიად დარჩენილი, ის მაცივება თურმე. კიდევ შევიგინე, მიველ ფანჯარას, დაეხური.

ცუდი სიცივე მიღის, რალაც დამდგარი, უმოძრაო. ცივი სარდაფის სუნიქვას ჰგავდა იმ სიცივის სუნი. ცა კი სუფთა იყო, ვარსკვლავებით გაჭედული. მაგრამ გასაოცარი ის იყო, რომ გარეთ მალასა გარდა დაბლაც ცა მოჩანდა, აი, სადაც რომ ეზო, ქუჩა, ხმელეთი მასსოვდა და მეგულებოდა — იქაც ცა. ვითომც არაფერი, ვარსკვლავები იჭყიტებოდნენ დაბლადაწევს.

„იქნებ წელანდელი ჩემი სიზმრის მდინარე გამოიარა ქუჩაზე, იქნებ სარკედ გავეინა და ცას თავის თავში მაყურებენბს?!“ ჩემთვის ვფიქრობდი და თვალზე გამოცვენამდე ვძაბავდი, რომ მზერიტ რამე გამომეცნო. არც ყურში რამე ბეგრა-ჩქამი არა მწვდებოდა: არა ქროლვის, არა ფრთხილის, არა დინების, არა გავლა-გამოვლის, არა მხეცის და არა სულიერის.

„რად მეჩვენება ესე უკულმა?! ცა დაბლა ვის გაუგია? კარში გავიდე, ფეხი ჩაევდა, რა ვენა?“ თავში ვამბობდი, „ფეხით მინა მოვსინჯო, რამე გამოვიცნო“, მაგრამ ვერა ვებდავ: კარი გავალი, მერე რა იცი უკიდევანო ცაში ჩაიმივადეს ფეხი, იქიდან ხომ ველარც ამოვიალ. ამასა ჯობს ისევ დავიძინო. გათენებამდე ხომ კიდევ ადგილებზე დაეწყობა ქვეყნიერება და მაშინ ხმელეთიც ადგილზე დამხვდება.

ფანჯარა დაეხური, ნაველ სანოლად და იმ ბნელში ვხედავ, ვილაც გულალმა გამოტილა ჩემ ადგილას, ვილაც პატარა ტანი, ბნელში ბნელად გამოსატული.

„ვინა? რად არის აქა? ამ ვისთან მეძინა ნეტავ? რად არ მახსოვს?“ ტვინი მოვიწყლიტე და წუხანდელისას კი ვერაფერს ვიხსენებ. „მეიფე დედაკაცი მომიყვანია?! მერედა ფული მქონდა განა? იქნებ შეყვარებული გა-

ვიჩინე, ან სულაც ცოლი მომიყვანია?" ხელის ცეცებით ვიპოვე და სანთელი ავანთე, იმის შუქზე კი კარგად ვხედავ: არც დედაკაცი, მე თვითონა ვარ ის გამოტოლი, გულალმა და გაუხელდაკრეფილი!

"მა, მოკვდი?!"

სახეს დავანათე და დავაკვირდი. თვალები დახუჭული მაქვს მე-იმას, ერთი არსად არაფერი მიტოკდება, ვდევარ შემსავით.

შევიგინე. ხელი მოვიკიდე ხელზე — შევაცანყალო, გავანძრიო, იქნებ არც მკვდარია. მაგრამ უკვე გახევებული ყოფილიყო გვამი, არსაით დამაყოლა თავისი კიდურები.

არ მესიამოვნა იმისი სიმკვდარე. რა უნდა ვუყო ამას? მე სადღა დავიძინო მამაძალი?! არც ბევრი მიფიქრია, ფეხებში დავავლე და ძირს გადავართე მკვდარი მე. დაბრახუნდა, დაგდგო იატაკს. წამოვწევი იმის ჩემს ადგილზე, მაგრამ რა დაიძინებს ამ ყოფაში!

სანთელი გავაქრო? იქნებ სიბნელეში უფრო დამეძინოს, თორემ სინათლეში თვალი უნებურად მკვდარზე გამიბრის და ვერ მომიხუჭია. თუ პირიქით, სიბნელის უფრო შემეშინდეს? ვერა უნდადვდი ჩაქრობას და თვალს ვერ ვაშორებდი. „იქნებ არც უნდა გადავდგმო? იქნებ ვაწყენინე კიდეც? მაგრამ რა უნდა მექნა, ფეხზე მდგარი ხომ ვერ დავიძინებდი? სულაც მაგისთვის უფრო სულერთი არ არის იატაკზე გდება?!"

კარგა ხანს ვენჯელე უძილობას და გაგებე ბოლოს, ჩავაჭყე სანთელი. თვალები დავხუჭე, მაგრამ გავახილე. ვერ დავიძინებ, ვერა ვარ გუნებაზე. „ვაწყენინე? გამიბრახდება ვითომ?“ არ მეშვებოდა აზრი.

და გაიბრახუნა არაჩქე! სისხლი გამეყინა, თვალები დავაჭყე. ნეტავ იტყვირო! ბნელოდა და შავ სიბნელეში შავი მოხაზულობა წამოიწია ჩემ ფეხებთან. წამოიწია და აიშარათა მკვდრული, მოუქნელი მოძრაობით.

დამბლა მეცა, ყინულად მექცა სხეული, პირლია გავხვე-დი ნელანდელი ჩემი გვამითი. ჩემზე მოდის მკვდარი ჩემი თავი. საიდანაც სანთელი უჭირავს უკვე თვითონ, ვხედავ იმის სახეს, დიდის სიძულვილით მაკვირდება. არა თუ მრისხანებით, არა თუ შეუარით, მაგრამ სიძულვილით. ადვილად ვიგნობ ამ სიძულვილს, ეს საწაოლადან გადავდგების წყენა როდია. ეს მთელი გამოვლილი ყოფის უკუღმართობის გამოა სიძულვილი, ზუსტად, კიბით კიდემდე გაცნობიერებული.

ხომ შიშით გაყინული მაქვს ქსუა და გამოცნობა, მაინც ბრალსა ვცნობ, ბრალს ვალაჩივს ისევე ღიეთ კიდემდე გაცნობიერებით: ბრალია არაფრის და არავისი, თუ არა ჩემი.

დამბლად ვადგივარ ისევ ისე სისხლგაყინული, მამინებს ისევ სიძულვილი ჩემ მიერ ჩემი.

კიდევ გამეღვიძა, მაგრამ.

სველი ვიყავ გაღვიძებული, ცივ-ცივი ოფლი მესხა. თავი ავიღე და უაზროდ წინ გავიხედე. შევიგინე. ელდანაკრავი ვიყავ, ძლივს გაუსთქვამდი.

სანერ მაგიდად მიმეშინებოდა, თავით რვეულში. ფანჯარაში ჯერაც დღის შუქი იყო. მაგიდაზე, თაროებზე და ია-

ტაკზეც ყველგან ჩემი ხელნაწერები ეყარა, ყველა გადახაზული, დაჭოჭოწოლილი. ^{ხელნაწერები} ~~გადახაზული~~ ეული. დაწუნებული ყველა.

ხვალ ბინად გამოსახლება მაქვს, მე კი დღესაც ვერაფერი დავწერე ვარგისი რომ გახვითიდან სამი-ოთხი კაპიკი მაინც მიმელო. კედლის საათს უკვე საღამო მოუახლოვია. სახლის პატრონის ხვალისდელი ღირფვა და აღმასრულებელი ჩინოვნიკის სიფათი წარმოვიდგინე. ძალაუფლებურად თოკი გამახსენდა, მაგიდის ქვედა უჯრაში რომ მქონდა ჩატენილი და ძალაუფლებურადვე უჯრაც გამოვალე. ცარიელი კი დამხვდა.

თოკი რა იქნა? და კიდევ ძალაუფლებურად ქერში ავიხედე, სად ნაჭლარ ადგილას კარგი კაუჭი იყო დარჩენილი. ვხედავ, ქერში კიბია ჩემი თოკი მარყუჟად დაგრეხილი. გამეცინა. ჩემ თავში კი არა, ცხვირ-პირზე გამეცინა ბოროტ მხიარულებად.

— ყოჩაღ ბიჭოს! როდისღა ჩამოვაბი? ყველაფერი შზადა მქონია მაშ!

და კიდევ რომ გამეღვიძა, აი, იქ იყო მხიარულება, თუ იყო. სრულ სიბნელეში, სივაროვები შეპოქილი ვინცე გულალმა. ეჭვი არ იყო: მკვდრად ვეფულე მიწაში. ჰოდა, იქ იყო ძრწოლვა და იქმნა დრობლით ყივლი, გულის გახევა და ფიტვტის ტკივილი, ფიცრებზე მიხლა და ფარ-თხალი, ოფლი, ჩაჯმა და ცხცახი. ფრწხილებით კანწრა ფიცრისა სისხლის დენამდე. ჯაჯგური და ალიაქითი უმწეო და ამაო სრულად.

რად დამფვლეს შობელაძლებმა, რატომ წინამდე არ დამქლეს დასაფლობა!

ისევ გულმა მომანოდა შვება თვითონ გახეულმა და განურულმა: მალევე გამომწოვა, გამომოლია, დამაყრუა და დამაბუფა, დამაუძლოვარ, გამათავა — მიხსნა იმ სასონარკვეთილ ალიაქითს.

დაძაბულ-გახეყილი ფიცრის კედელს ეყვრი, ძლივსა ვნაწვენკავებ ნელანდელი ყივლის ნაცვლად, ველარაფრსა ესუნთქავ, ხელს ვერ გაბრძოლებ. ძალა მეცლება, მიცოტავდება აზრი და გრძნობა.

თავში ვიგინები უმყარლესად, ფიცრის ნარჩენებში ერთადერთიღა მასსოვს, გინება და ჩაძაღვების სახელოვ კიდეც მამშვდებს უკვე. მამშვიდებს როგორღაც ბოროტი გაცნებებით იმაზედ, რომ უკვე მკვდარს შიშისა აღარ მეშინება და აღარ მოკვდები.

რაც არის არის, ჯვანიც გავარდეს, ერთხელაც გაგიღვიძებ.

არა იმრუპო

დათო ყანაშვილი

ის-ის იყო თენდებოდა, როცა პალიკოს ფეხის ხმა მოესმა. ხელით მოისინჯა ქამარში გაჩრილი იარაღი, რომელიც პირველად უნდა გაესროლა. ღამის სიჩუმეში ქუსლების კაკუნით თანდათან უფრო ახლოვდებოდა. პალიკო ფეხზე ადგა, იარაღი ამოიღო და გადატენა. ხელი უკანკალდებოდა. აი, დადგა ის ნანატრი მომენტი, რომელსაც ამდენი ხანი ელოდებოდა და ახლა თითქოს შიშმა აიტანა, შეძლებს კი? ესვრის კი? ნუთუ პალიკოს შეუძლია კაცის მოკლა? კაცის გონებაში ათასი ეჭვი და ფიქრი ირეოდა, ფეხის ხმა კი უფრო და უფრო ახლოვდებოდა. როგორც იქნა გამოჩნდა ქალის სილუეტიც. ქალმა უცრად შორიასხლოს მდგომი პალიკო შენიშნა და ადგილზე გაქვავდა. კაცმა იარაღი მიუშვია. ქალმა შეპკივლა და გაიქცა. პალიკოც უკან გაყვა. თანდათან უფრო და უფრო ნელდებოდა ქუსლების კაკუნის რიტმი. ბოლოს ქალი გაჩერდა და კედელს მიეყრდნო. კაცმა მკლავში ხელი მოკიდა, თავისკენ შემოაბრუნა და შუბლზე იარაღი დაადო. კაცი ერთიანად კანკალდებოდა, კანკალდებოდა ქალიც, რომლის თვალებშიც შიში, სიძულვილი და სინანული ერთიანად ირეკლებოდა. შემდეგ თითქოს მოწყდა, პალიკოს ხელს ჩამოეკიდა და ამოიღულულდა:

— მიდი...

მთავარი პროკურორის პირველი მოადგილე, 41 წლის პალიკო ყორას ძე კირთაძე, რამდენიმე თვის დანიშნული იყო, რომ უკვე მთელი სამსახური მის უფშურ ხასიათზე ლაპარაკობდა. გაუგებარი იყო, რა მოხსონდა ან უყვარდა ამ კაცს, რომელსაც მუდამ ერთნაირი ცივი და არაფისმთქმელი სიფათი ჰქონდა. მასზე ბევრს ლაპარაკობდნენ და არასოდეს კარგს. დერეფანში რომ გამოჩნდებოდა, კუთხეში მოსაწევად და სალაყბოდ შეკერებოდა თანამშრომლები ან ჩუმდებოდნენ, ან სასწრაფოდ საკუთარ სამუშაო ადგილებზე უბრუნდებოდნენ. მეგობრები არ ჰყავდა, შაბათ-კვირას ისევე სამსახურში ატარებდა, ძველ საქმეებს გადმოიღებდა და გულისყურით ჩაჰკირკიტებდა, ეს იყო მისი ერთადერთი თავშესაქცევი. ცხოვრება უცნაურად წაუვიდა, ვერაფერი იფიქრებდა, თვითონ პალიკოც, რომ ოდესმე ასეთ კარიერას გაიკეთებდა. ძალიან საშუალოდ სწავლობდა, შემდეგ უნივერსიტეტის თვითმმართველობაში ამოყო თავი, ისეთ საქმეებს ავალებდნენ, რისი კეთებაც სხვებს ეთაჟილებოდათ. არჩევნების დროს თვითმმართველობაში ერთ-ერთი ოპოზიციურ პარტიას ლიდ დაუჭირა მხარი, პალიკო მაშინ დააკავეს, როდესაც სააგიტაციო პოსტერებს აკრავდა შინაგან საქმეთა სამინისტროს კედელზე. რამდენიმე დღე ვირის

აბანოშიც კი მოუწია ყურყუტი. სამაგიეროდ, როდესაც ოპოზიციური პარტია ხელისუფლებაში მოვიდა, ამაგი დაუფასდა და თავისი ვირული ენთუზიაზმითა და მწყობრი ნაბიჯებით ჯიუტად შეუდგა კარიერულ კიბეს.

იმ დილას ისევ ცუდი სიზმარი ნახა. ეს-იზმარა, ვითომ სანოლად ჩაყარდნილიყო და კვდებოდა, მთელი საანთესარი სანოლს წრეზე შემოსხდებოდა და ზუსტად ერთნაირი მზერით შეჰყურებდნენ. მომავლადევი პალიკო დასაკლავი ხბოს თვალებით ხან ერთს შეხედავდა, ხან მეორეს.

პალიკო არ მოკვდებოდა ბიჭო – ნაიტირებდნენ რეგრეგობით ნათესავები და მერე ხარხარებდნენ. თითქოს მათ მზერში ემაყოფილებას ხედავდა და საწვთარი თავის მიმართ სიბრალული ყელში ბურთივით ეჩხირებოდა. უშვილო და უშემკვიდრო პალიკოზე იყო ახლა დამოკიდებული თითოეული მათგანის მომავალი, ვინ განაგრძობდა სოფლად საქონლის დევნას და ვის ერგებოდა ქალაქის ცენტრში გარემონტებული სამოთხიანი ბინა. უნდოდა ნამომხტაროყო სანოლიდან და შეეძახა, არაფერიც არ მჭირს, ავადმყოფობა თქვენს გამოსაცდელად მოვიგონეო, მაგრამ არათუ ადგომის, ხელის აწევის ღონეც არ ჰქონდა, რომ ლოყავი ჩამოგორებული ცრემლი შეემშრალა, რომელიც ნიკაბთან შეჩერებულიყო და შემანუხებლად უღიტინებდა. ბედზე ეზოში უპატრონო ძაღლი ყურისნამდებლად აწყმუტუნდა და პალიკო გამოაღვიძა. სხვა დროს ძაღლზე გული მოუვიდოდა, მაგრამ ახლა, როდესაც ამ საზარელი სიზმრიდან თავი დააღწევინა, მისი მაღლიერი იყო. ინვა პალიკო და ფიქრობდა, ნუთუ ასე უნდა დაემთავრებინა ცხოვრება, იქნებ ეს სიზმარი კი არა, გაფრთხილება იყო, რომ რამეს თუ არ შეცვლიდა, სწორედ ასეთი დასასრულისთვის იყო განწინორული. უფემური ყავისა და ცივი შხაის შემდეგ, ქუჩაში გავიდა. მძლოლი არსად ჩანდა, არც ტელეფონზე პასუხობდა. მცირე ლოდინის შემდეგ გზას ფეხით გაუყვა. სამსახური არც



ისე შორს, ორიოდ კვარტლის მოშორებით იყო. ხალხი კანტიკუნტად დადიოდა ქუჩაში. მარცხნივ ახლადგაკეთებული ვერტიკალური ბალი ჩანდა, სადაც ტურისტები ხშირად იღებდნენ ფოტოებს. ბალის წინ ქალი იდგა ფოტოაპარატით ხელში და აქეთ-იქით იყურებოდა. პალიკოს დანახვისთანავე მისკენ დაიძრა. ქალი ბავშვობისდროინდელ მესხიერებაში ჩარჩენილი პლაკატებიდან გადმოსულ ვარსკვლავს ჰგავდა, არგენტინულ სერიალებში მთავარი როლის შემსრულებელს, ტრასას უზუცესების პასუხში აღწერილ ქალს, რომ ომი მის გამო ღირდა. ეს იყო ქალი, რომელზეც პალიკოს არასოდეს უოცნებია. რომელიც ახლა მისგან რამდენიმე ნაბიჯში იდგა და სამყაროში ყველაზე სახიფათოდ უღიმოდა. ქალმა ფოტოაპარატი გაუწოდა და სურათის გადაღება სთხოვა. პალიკომ ფოტოაპარატი დაბნეულად და ხმის ამოუღებლად ჩამოართვა, და რამდენჯერმე მექანიკურად ჩააჩსაკუნა. სწორედ ამ დროს, ქალს ტელეფონზე დაურეკეს, რამდენიმენაშინაი საუბრის შემდეგ მას სახე წაეშალა და თითქმის სირბილით გადაჭრა ქუჩა. კაცი ერთხანს დაბნეულად იდგა, შემდეგ სცადა დაწოდა და ფოტოაპარატი დაებრუნებინა, მაგრამ ნაძა ქუჩის მეორე მხარეს გადავიდოდა, ქალი გაჩერებულ ტაქსიში ჩავდა რომელიც ჩქარი სვლით გაუყვია გზას.

* * *

ასე შერჩა პალიკოს უცნობი ქალის ფოტოაპარატი. სხვა გზა არ იყო, თან უნდა წაეღო, და მოეფიქრებინა, როგორ დაებრუნებინა უკან. საღამოედგებოდა, როცა ძირითადი საქმეები მოამთავრა. სამუშაო მაგიდაზე დადებულმა ფოტოაპარატმა ისევ გაახსენა უცნობი ქალი. პალიკო ფოტოების დათვალიერებას შეუდგა, იმ იმედით, რომ ქალის შესახებ რამე შეეცხო. ან სახლი ამოეცნო, ან ვინმე ადამიანი, ვისი მეშვეობითაც შეძლებდა ქალის პოვნას, ან ვინაობის დადგენას. რამდენ რამეს ინახავენ ფოტოები, ფიქრობდა. შეგიძლია უყურო და ადამიანის მთელიცხოვრება დაგიდგეს თვალიწინ. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რომ დაუკითხავად სხვის ცხოვრებაში ჭჭურებთანადან იხედებოდა, მაგრამ თავს იმით იმართლებდა, რომ მისი ეს წამოწყება, მხოლოდ და მხოლოდ კეთილი ზრახვით იყო განპირობებული. სურათების თვალიერება თანდათან სახალისო თამაშს დაემსგავსა. მის თვალში გადაიშალა უცნობი ქალის ცხოვრების ფრაგმენტები. ცდილობდა გამოეცნო რას საქმიანობდა ქალი, როგორ ცხოვრობდა, რა მოსწონდა, რაზე ოცნებობდა. ცდილობდა დაენახა მისი სამყარო. როგორი ბავშვობა ჰქონდა, როგორი იყო მისი პირველი უიღბლო სიყვარული. აკვირდებოდა ყველა დეტალს, ტანისამოსს, სამკაულს, მაგიდაზე მდგარ სასმელს, იმ ადგილებს, სადაც ფოტოები იყო გადაღებული. როგორ იცვლებოდა ქალის გადაწყობები ამინდის მიხედვით. პალიკო აკვირდებოდა ქალის სახის გამომეტყველებას და თანდათან სიამოვნებას გრძნობდა. უცნობი ქალის მთელი ცხოვრება თითქმის ფიქლივით გადიოდა მის თვალწინ. ეჩვენებოდა, რომ გამოიცნა მისი ხასიათი, მისი შეგრძნებები, და ახლა მის პერსონაჟად იქცა. ახლა გონებაში ფოტოებს მოკლე ვიდეოებად აქცევდა, და თითოეულ ფოტოს სიუჟეტს უგონებდა. ისე გაერთიანა ფოტოების თვალღერებით, რომ ვერც

კი მიხვდა როგორ შემოაღამდა. საწლისკენ გზას ფეხით გაუყვია, და რა თქმა უნდა, ფოტოაპარატი თან წაიღო. სიამოვნებას გრძნობდა ის ფაქტი, რომ მთელი საღამო შექცელო ფოტოაპარატთან ერთად გაეტარებინა. თანდათან უფრო და უფრო მოსწონდა ის ისტორიები, რომელსაც ფოტოები უგონებდა.

განსაკუთრებულ სიამოვნებას ანიჭებდა წვიმაში მდგარი უცნობი ქალის ფოტოსესია, რომელსაც თეთრი კაბა მილიანად დასველებოდა. პალიკო დიდხანს მისჩერებოდა სველ კაბის მიღმა გარკვევით გამოხატულ მეკედს კერტებს. ასე გახდა ფოტოაპარატი მისი თავშესაქცევი. ყოველ საღამოს საწოლზე წამოწოლილი ქალის სურათებს ისტორიებსა და სიუჟეტებს უცვლიდა. ქალთან შეხვედრიდან, დაახლოებით ათიოდე დღის შემდეგ, სამსახურში მიმავალ გზაზე, უეცრად ავტომანქანის ფანჯრიდან ქუჩაში მიმავალ „უცნობ“ ქალს მოკრა თვალი. მძღოლს მანქანა გააჩერებინა, ერთხანს შეეკონდა, ვერ გადაეწყვიტა უნდოდა კი ქალისთვის ფოტოაპარატი დაბრუნება? ან უფრო უარესი, უნდოდა კი ქალის ნახვა, რომელიც შესაძლოა სულ სხვაგვარი ყოფილიყო სინამდვილეში, ვიდრე მის წარმოდგენაში იყო. ეწინოდა იმ პერსონაჟს დამსხვრევის, რომელსაც ყოველდღე გულდასმით იგონებდა და რომლის მიმართაც მესაკუთრეობით დამოკიდებულებას გრძნობდა. მცირე ყოყმანის შემდეგ, მანქანიდან გადმოვიდა და ქალს სწრაფი ნაბიჯით დაენია. დაილაყო ხანმოკლე იყო. ვინაიდან პალიკოს ფოტოაპარატი თან არ ჰქონდა და ქალთან კიდევ ერთი შეხვედრაც გარდაუვალი ჩანდა.

* * *


სამუშაო დღემ ისე გაიარა, საქმეს გული ვერ დაუღო. მის თავში ათასი ეჭვი და აზრი ირევდა. პირველი, რაც სახლში მისულმა გააკეთა – ფოტოები საკუთარ კომპიუტერში დადგენა. აფრთხობდა ქალთან დაგეგმილი შეხვედრა. რომ მის მიერ შექმნილი პერსონაჟი ხელეშში არ დამსხვრეოდა. და ქალის რეალურ სახეს, მის გინებაში შექმნილი ქალის იდეალი არ დაერქოდა. იქნებ სჯობდა მანქანიდან საერთოდ არ გადმოესულიყო? ვითომ ვერ დაინახა, ვითომ იმ დროს სხვა მხარეს იყურებოდა. არა, მაინც რა ჯანდაბად გადმოვიდა მანქანიდან? ნერვები მოეშალა საკუთარ საქციელზე. შეხვედრის დრო რომ მოახლოვდა, თითქმის გადაწყვიტა, რომ აღარ წასულიყო. თუმცა ბოლოს მიხვდა, რომ უკან

დასახევი გზა აღარ ჰქონდა. გადანწყობა ფოტოაპარატი გადევცა და სწრაფადვე წამოსულიყო. ვერ ხვდებოდა, რაზე უნდა ელაპარაკა ქალთან.

პალიკო სამსახურიდან ჯერ სახლში მივიდა, ცივი შხაბი გადაივლო, თმა საგულდაგულოდ დაივარცხნა და ბოლოს შარვალ-კოსტუმშიც შეძერა. ბარში თითქმის ნახევარი საათით აგრე მივიდა, ფოტოაპარატი მაგიდაზე დადო და მდებარეობა რამდენჯერმე შეუცვალა. მართალია სასმელს არასდროს ეტანებოდა, მაგრამ ნერვიულობის მოსახსნელად ერთი ჭიქის გადაკერა მაინც გადანწყობა და ოფიცინანტს ვისკი შეუყვება. ბარში ბევრი ხალხი ირეოდა. პირველი ჭიქას მეორე მიაყოლა. თვალს წამდაუნუნე კარისკენ აპარებდა, ერთი სული ჰქონდა, როდის მოვიდოდა უცნობი ნაცნობი ქალი. სცნიდან ჩახლენილი ხმით შესრულებული ნაცნობი სიმღერა ესმოდა. გრძნობდა, სასმელი და მუსიკის რიტმი როგორ სასიამოვნოდ დაუდოდა სხეულში. როგორც იქნა ქალიც მოვიდა. მუხლს ზემოთ მოტმასნილი შავი კაბითა და მალალქუსლიანი ფეხსაცმლით. გრძელი გამოლილი თმა მხრებზე დაყრდნობდა. ნელი ნაბიჯით და ტანის გამაღიზიანებელი რხევით პირდაპირ პალიკოსკენ დაიძრა. მიახლოებისთანავე სახიფათოდ გაუღიმა და მის გვერდით მდგომ ყველაზე ახლო სკამზე ჩამოჯდა. ქალმა სახელი ჰკითხა. პალიკოს მოეჩვენა, რომ ეს ხმა მასზე ისე მოქმედებდა, რომ მზად იყო ყველაფერი გაეკეთებინა, რასაც უკარნახებდა. აშკარა იყო, რომ ქალი დიალოგის გაბმას ცდილობდა, რომლისთვისაც პალიკო მზად არ იყო. კაცში რაღაც უცნაური იდგებოდა. ეს იყო ერთის მხრივ, პირველყოფილი ფინი, მე-საკუთრობითი და ყოვლად ველური დაუფლებების სურვილი, და ამასთანავე, სათუთად მზრუნველობის სურვილი. პალიკო ცდილობდა, როგორმე მთელი ყურადღება მიეკრიბა და ქალის მიერ წამოწყებული დიალოგი არ გაეფუჭებინა. ისინი სვამდნენ, სვამდნენ და იკინოდნენ, იკინოდნენ და სვამდნენ. გრძნობდა, როგორ დაყვებოდა სისხლს ძარღვებში ჯონი ვოლკერი. როგორ სასიამოვნოდ ტრიალებდა ბარი ატრაქციონივით, რომლებზეც ბავშვობის მერე არ მჯდარა. ტრიალებდა ქალის ირგვლივ, უაზროდ იღიმოდა და მის თვალებში საბედისწეროდ ირეკლებოდა ცხოვრებაში ყველაზე ლამაზი წუთები, რომელიც არ უნდოდა რომ დასრულებულიყო.

იფუფასიანი სასტუმროს ნომერში ქალმა სიგარეტს მოუკიდა და სანოლის მეორე მხარეს განთავსებულ შიშველ პალიკოს გახედა. ქალს სხეულზე ზენარი შემოეხვია და კედელზე ერთ წერტილს მისჩერებოდა. პალიკოს კი მიუღო სამყაროში, ყველაზე მშვიდად და ბედნიერად ეძინა. ის იყო თენდებოდა, როდესაც ქალი სანოლიდან წამოდგა, კაბა გადაიცვა, ჩანთა აიღო და გამოტოლ პალიკოს დახედა. „ნეტა როგორი იქნებოდა მისი ზეგლინდელი დღე“ გაფიქრა ქალმა. საფარაუდოდ, პალიკოს მეორე დღეს ტელეფონის გაბმული ზარი გამოავლინებდა და ასეთი დიალოგი ექმნებოდა

– პალიკო სად ხარ? ხო მშვიდობააო – ჰკითხავდა მთავარი პროკურორის ერთ-ერთი მოადგილე. და ეტყოდა, რომ მისმა მდივანმა დაურეკა შემფოთებული ხმით, რომ პალიკო,



რომელსაც ცხოვრებაში სამსახურში არ დაუგვიანია, არ მისულა და არც სახლის ტელეფონს პასუხობსო. პალიკო უპასუხებდა, რომ ყველაფერი რიგზეა და ალბათ ტელეფონს სჭირს რამეო. შემდეგ კი ძილის შებრუნებას შეეცდებოდა, მაგრამ თვალს გაახელდა და ელდა ეცემოდა. ეს არ იქნებოდა სახლი, რომელშიც აგრე უკვე მერამდენე ნელია ყოველდღივით იდგებოდა. ეს იქნებოდა ვიწრო ოთახი ორკაციანი სანოლით, პატარა ტუმბოთი და ძველი კარადით. შემფოთებული წამოხტებოდა და ჩაცმას შეუდგებოდა. საათს დახედავდა, თავში უამრავი ეჭვი და ფიქრი დაუწყებდა სიარულს. ჯერ გაისხენებდა, როგორ ან როდის აღმოჩნდა სასტუმროს ამ პატარა ნომერში, ვერც იმას, მარტო მოვიდა აქ თუ ვინმესთან ერთად. მერე ყველაფერი ერთად დაუტრიალდებოდა გონებაში. უცნობი ნაცნობი ქალი, ჯონი ვოლკერი და ერთხანს, სასიამოვნო გრძნობაც დაუფლევოდა. ნუთუ მასთან ერთად მოვიდა ამ ნომერში? ოთახის თვალიერებას შეუდგებოდა, საფერფლებში სიგარის ნამწვეზე წითელი პომადის ნაკვალევს ნახავდა და გული შეეკუმშებოდა, ნუთუ ეს მოხდა? ნუთუ მას ამ ქალთან... ის, რაც მის ცხოვრებაში ყველაზე სასიამოვნო წუთები უნდა ყოფილიყო, პალიკოს არ ემახსოვრებოდა, და საკუთარ თავზე მოეშლებოდა ნერვები. შემდეგ სანოლზე ჩამოჯდებოდა და შეეცდებოდა წარმოედგინა ყველაფერი, რაშიც მონაწილეობდა. თვალწინ დაუდგებოდა, როგორ უხსნიდა ქალს კაბის ღილებს. ნუთუ მან ეს გააკეთა? იქნებ ქალმა ღილები თვითონ შეიხსნა? ნუთუ ისინი შიშველები იწვნენ აქ,



ამ სანოლზე, ნეტა ტურეზე თუ შეეხო? პალიკო ყველაფერს გაიღებდა, ოღონდაც გაეცხენებინა, თუნდაც ცალი თვლით დაენახა. სანოლზე გადაყვებოდა და სამოვების ღიმილი დაუწყებდა სახეზე თამაშს. ნუთუ ქალი ისე წავდა, რომ ვერ გაიგო? ნეტა ერექცია თუ ჰქონდა? იქნებ სულაც იმიტომ წავიდა ქალი მის გაღვიძებამდე, რომ მთვრალ პალიკოს არაფრის თავი არ ჰქონდა? ...ძალიან შერცხვებოდა, სანოლს გადახედავდა, არ რამე კვალი აღმოეჩინა, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს წამოდგებოდა, შეეცდებოდა შეუშინებლად გასულიყო სასტუმროდან. ნომრის კარს ოდნე შეაღებდა და დერეფანში მალულად მიმოიხედავდა, შემდეგ ფრთხილად გამოვიდოდა და უხმაუროდ დაეშვებოდა კიბეზე. საკუთარი მანქანა, რა თქმა უნდა, არ დახვდებოდა და პირველივე ტაქსი ჩახტებოდა. მაგრამ ეს მეორე დღეს. ახლა კი გდია სიხველი პალიკო სანოლზე, გდია და ახალმოპოვებული ძინავს. მშვენიერ კამოფლაგად დასთამაშებს და ქვეყნად ყველაზე სასურველ სიზმრებში ფარფატებს.

ქალმა ჩანთიდან ნაჭერი ამოიღო და ტუმბოზე და კარის სახელურზე ნათითურები წაშალა. შემდეგ პალიკოს მიუახლოვდა, ფანჯრიდან მზის პირველი სხივები შემოდიოდა. ქალმა ფანჯარას ფარდა ჩამოაფარა.

ქალმა ფეხაკრეფით ჩაუარა სასტუმროს ფოიეში მაგიდაზე ჩამოძინებულ ადმინისტრატორს. რამდენიმე კვარტალი ფეხით გაიარა, კორპუსის სადარბაზო გადაჭრა და მოპირდაპირე ქუჩაზე გავიდა. ტელეფონი ამოიღო, ნომერი აკრიფა და სულ ორი სიტყვა თქვა: „მზად არის“. რამდენიმე წუთის შემდეგ მის წინ მანქანა გაჩერდა. ქალი მანქანაში ჩაჯდა რომელიც ჯერ კიდევ მძინარე ქუჩას, ბლილით გაუყვია.

უცნობი ქალი 29 წლის მარიამი იყო და დასაწყისისთვის რისი თქმაც შეიძლება, ის არის, რომ იტალიურ ეზოში მარტო ცხოვრობდა. მისი სახლის ასახელები ხის კიბე ძელი იყო და მესამე და მეხუთე საფეხური ფეხის დაბჯენისას ისეთ ჭრიჩას გამოსცემდა, გამთენიისას ნახევარ ეზოს გააღვიძებდა. მარიამს უკვე გამოუმუშავებული ჰქონდა კიბეზე ასვლის ტექნოლოგია და ფეხები უკვე მქაქიკურად ტოვებდნენ ხმაურის საფეხურებს.

მარიამი ოთახში შევიდა და სანოლზე ჩაცმული დაემხო. ოთახი ვიწრო და ნესტიანი იყო. სანოლი, მაგინა და ერთი სკამი ისეთ გადაბტვირთულობის შგერძნებას ქმნიდნენ, სუნთქვა გაუჭირებოდა დადიმას. დაბნეული კედლები ნესტისგან გამაჟღერებელიყვნენ. ქალი მაგიდაზე ჩარჩოში ჩასმულ სურათს მიაჩერდა. სურათში გაზაფხული იდგა, მარიამს ყვითელი მოზღაღდე კაბა ეცვა და გვერდით მდგომ ბიჭს უღიმოდა. ბიჭს მოკლე მავთი ჰქონდა, გაცრეცილი ჯინსი, თეთრი კედები და მისური ეცვა, წარწერით „let it be.“ მარიამი უყურებდა ფოტოში მდგომ მარიამს, რომელიც თავის მხრივ გვერდით მდგომ ბიჭს უყურებდა, რომელიც თავის მხრივ, სანოლზე მწოლიარე მარიამისკენ იყურებოდა. და ასე იკვრებოდა მხერგების სამკუთხედი, სანამ ქალს არ ჩაეძინა.

მარიამს ავტომანქანის ფანჯრიდან ხელი ჰქონდა გადაყოფილი და პაერის ტალღებს ეთამაშებოდა, შეტყუპულ თითებს ხან შლიდა, რომ ჰპარის წინააღმდეგობა ეგრძნო, ხან გადმოაბრუნებდა და ხელის მტევნით, ჰორიზონტალურად სერავდა პაერს. ქალს თვალები დაეხუჭა. რატომღაც ვერაფრით იხსენებდა ვინ იჯდა საჭესთან. თვალი გაახილა, დინახა, როგორ ჩაუარა სატვირთო მანქანამ, რომელიც რატომღაც ძალიან ეცნობოდა. სატვირთოს უკანა დამტვრეული კარები ერთმანეთს ეხებოდა, თითქოს უქნიდან დიდი სისწრაფით მიძებოდა მანქანის დაჯახების კვალი აჩნდა. გონებაში ისევ გაჩნდა კითხვის ნიშანი, ვინ იჯდა საჭეთან. თავი მარცხნივ შემოაბრუნა და ელდა ეცა: საჭესთან არავინ იყო. ქალმა შეჰკივლა. ხედავდა, როგორ დაიმსხვრა სატვირთო, საშინელმა ხმაურმა ყურები დაუფუზა, შენელებული კადრით ხედავდა საკუთარი სხეულის მოძრაობას, რომელსაც თვითონ ვეღარ აკონტროლებდა და რომელიც ცეკვას ჰგავდა, მისი სხეული ჯერ სავარძელს მიბეჯინა, შემდეგ კი საპირისპირო მიმართულებით დაიწყო მოძრაობა. უკან გაიარა სატვირთო მინის ნამსკერეკებში და სატვირთო მანქანის კარს ჯერ თავით შეეხო, შემდეგ მხრებით, ფილტვები ჟანგისა და დამაპალი ხის სუნით ავესო. შემდეგ იყო ქვევით ვარდნა, და გზა უკან საქარე მინიდან ვეჭომანქანის საღიშამდე. მარიამმა თვალი გაახილა, ხელები უკანკალბდა, სხეულს ვერ გრძნობდა, უნდოდა ეყვირა და შველა ეთხოვა, მაგრამ ეშინოდა, რომ ხმა არ დემოჩრილებოდა. სხეული მთლიანად სველი ჰქონდა. მაგრამ ეს არ იყო სისხლი, ცივ ოფლში ცურავდა. რამდენიმე წამის შემდეგ მიხვდა რომ სანოლში იწვა. ხელით კედელს შეეხო, სადაც ჩამრთველი ეგულბოდა და როგორც იქნა სინათლე აანთო. სანოლთან დაგდებული ჩანთიდან სიგარეტი ამოიღო და აკანკალებული ხელით მოუკლდა. არ იყო მზე ფანჯარაში. ელექტროგანათება ეცემოდა ნესტიანი ოთახის ყველა მხარეს. მზერა ოთახის ერთი კუთხიდან მეორეზე გადაჰქონდა. მისი გონება ძველი კომპიუტერის პროცესორით გამობობდა, რამდენიმე ბრძანების ერთდროულად მიცემისას რომ იჭედებდა. ოთახში წარსლის ფრაგმენტები წნდებოდნენ. თეთრბალათიანები, პოლიციელები, ყურებში სურნის ხმა ჩაესმოდა, თვალებს ლურჯი და წითელი განათება მონაცვლეობით ჭრიდა. ეს ყველაფერი გვერდულად დაყირავებულ კადრად ედგა თვალწინ,

როგორც მინაზე მწოლიარე ადამიანი დაინახავდა. მოპირდაპირე მხარეს მინაზე დაყრილ თეთრ კედებს ხედავდა, ბოლო კადრი, რომლითაც წარსულთან ბმას აკეთებდა, სატყეოთი მანქანა იყო, რომელმაც დიდი სისწრაფით ჩაურა და ფანჯარაში გაყოფილი ხელი შიგნით შემოაყოფინა. შემდეგ ტურქებთან სისხლის სუნი და გემო იგრძნო, ასფალტზე დამდგარი გუბე თანდათან ფარითფებოდა და მისი ტურქებისკენ მიიწვდებოდა. თავის განევა უნდოდა, მაგრამ არ შეეძლო. სიგარეტის ნამწი საფერფლეს ჩააჭყლიდა და მეორე ღერს მოუკიდა. იხსენებდა, როგორ მოვიდა გონზე და როგორ ვერ აუკრებდნენ, რომ კაცი იც გადაარჩა. კაცს 7 თვე დასჭირდა, რომ სიარული ხელახლა ესწავლა. თითქოს გაუმართლათ, ყველას უკვირდა ასეთი ავადრის შემდეგ როგორ გადარჩნენ. ქალმა ბევრი სისხლი დაკარგა, სიტუაციას ართულებდა ისიც, რომ მეოთხე უარყოფითი ჯგუფის სისხლი ჰქონდა და დონორის პოვნა ძალიან გაჭირდა. 6 თვის შემდეგ მარიამი გაიგებს რომ აივ დადგებიოთა. კაცის საავადმყოფოდან გამოწერამდე რამდენიმე დღით ადრე. კაცი ვერასდროს გაიგებს ამას, ვერც იმას, რატომ მიატოვა ის ქალმა, რომელსაც სიცოცხლეზე მეტად უყვარდა. მარიამმა მეორე ნამწივც ჩააჭყლიტა საფერფლეს და კედლისკენ გადაბრუნდა.

მაგიდასთან ორნი ისხდნენ, მარიამი ეწეოდა, მეორე დაბალ ხმაზე ლაპარაკობდა. 40 წელს გადაცილებული ტანმორჩილი, თვალეზრაცევილი, მელოტი კაცი, რომელიც მეტი დამაჯერებლობისთვის, დროდადრო საუბარში ხელებს რთავდა. თითები კოტიტა ჰქონდა, მარჯვენა ხელზე ბჭედის კვალს ეტყობოდა, მარიამი ხშირად უყურებდა ამ თითს და ფიქრობდა, როგორი იყო ამ ბჭედის მოხსნის ისტორია, თუმცა არასდროს უკითხავს. კაცს ისეთი ნაკვთები ჰქონდა, ნდობას რომ არ იმსახურებდა და არანაირ პოზიტივს რომ არ აღძრავდა. ბუნებას ის არც მოხდენილი გარეგნობით დაეჯილდოებინა და არც სასიამოვნო ხმის ტემბრით. ის იმ კატეგორიას განეკუთვნებოდა, სხვადასხვა შესაძლებლობის მქონე ადამიანებს რომ ერთმანეთთან აკავშირებს. მარიამი ძალიან ამსგავსებდა კაცს ბებერ ზაზუნას.

ქალმა ჭიქაში დარჩენილი ყავის ბოლო ნვეთები მოსვა და სიგარის ნამწი საფერფლეში ჩააგდო. ის ბებერ ზაზუნას ყოველთვის ამ კაფეში ხვდებოდა და ყოველთვის დღის ამ მოწინავეთში, ვინაიდან ასეთ დროს კაფეში ხალხი თითქმის არასდროს იყო. შეხვედრების სცენარი ყოველთვის უცვლელი იყო, კაცი ქალს კონვერტს აძლევდა, სადაც ან განუვლი სამუშაოს ჰქონდა იდო, ან ახალი დაეალებოდა. შეხვედრაც ათ წუთზე მეტ ხანს არასდროს გასტანდა ხოლმე. კაცმა კოსტუმის შიდა ჯიბიდან, დაჭმუჭნული კონვერტი ამოაძვრინა, მერე ხელი რამდენჯერმე გადაუსვა გასასწორებლად, კონვერტი მაგიდაზე დადო და ხელის მარტყვი მოძრაობით მარიამისკენ მიწია.

„ეს რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაკეთდეს“, – თქვა კაცმა, ჭიქა ალუბლის წვენიდან გაათავისუფლა და შუბლიდან ოფლი მოიწმინდა.

„პირობები უნდა შეიცვალოს“, თქვა მარიამმა და კაცს აუღელვებელი სახით შეხედა, თითქოს უნდოდა მიეხვედრებინა,

რომ შეკამათებას აზრი არ ჰქონდა.

„რა პირობები?“ სკამზე აცმუჭდა ქაჯი და სცადა ხელის დახმარებით მოკლედ დაეკრძა ბარძაყი მეორე ბარძაყზე გადაედო, მაგრამ ვერ მოახერხა და თავი დაანება.

„მიზეზი უნდა ვიცოდე“, – თქვა მარიამმა და სიგარით და ასანთი ჩანთაში ჩაყარა.

– ეგ რად გინდა? რაში გჭირდება მაგის ცოდნა? ფულს იმაში გიხდები, რო შედგეტი კითხვები არ დასვა, – სცადა კაცმა სიკაცურე შეეტანა ხმაში, მაგრამ მარიამი მასში მხოლოდ ფუმფულა ბებერ ზაზუნას ხედავდა, რომელიც მასზე ზემოქმედების მოხდენას ცდილობდა.

„მაშინ სხვა მოძებნეთ“, – თქვა ქალმა, და კარსკენ წავიდა.

კაცი არ ელოდა მარიამისგან ასეთ კატეგორიულ ქცევას, ელვის სისწრაფით შეიცვალა ტონი და სცადა თავი მოესანჯლებინა.


„ხო იცი, რო მეც არ ვიცი“

მარიამი ისე მიდიოდა, თითქოს არც ესმოდა კაცის სიტყვები.

„დაველაპარაკებო გესმის? აუცილებლად დაველაპარაკებო და დაგირეკავ“, მიაძახა კაცმა. მარიამმა კარი გამოღო და ქუჩაში გავიდა.

კაცმა შუბლიდან კიდევ ერთხელ მოიწმინდა ოფლი, შემდეგ მაგიდის მეორე მხარეს დადებული კონვერტი სასწრაფოდ უკან, პიჯაკის შიდა ჯიბეში ჩაიკუჭა და აქეთ-იქით მიმოიხედა. ჯიბიდან ტელეფონი ამოიღო და დარეკა.

„აუცილებლად უნდა შეგხვდეთ, პრობლემა წარმოიშვა.“



მას შემდეგ რაც მარიამმა ავადმყოფობის შესახებ შეიტყო, სახლი იქირავა და მთელ დროს ფიქრში ატარებდა. ფიქრობდა ყველაფერზე, რაზეც უნდა ეფიქრა, ან არ უნდა ეფიქრა ადამიანის მის მდგომარეობაში. იხსენებდა იმას, რაც იყო მის ცხოვრებაში, ხანდახან იმასაც წარმოიდგენდა, რაც უნდა ყოფილიყო. მორჩილად დადიოდა სამკურნალოდ. თითქმის არ ლაპარაკობდა. არავისთან კონტაქტობდა. მთელ დღეს სახლში ატარებდა და ერთიადიმავე კითხვას სვამდა, რატომ მოხდა ის, რაც მოხდა და რატომ მოხდა მაინცდამაინც მის თავს. დროდადრო საკუთარი თავი ებრალებოდა, თავზე ხელს უსვამდა, უნდოდა თავი სივრცეში მკერდზე თავი დაედო და ისე ექვითინა. ფიქრობდა, რომ ის, რასაც ცხოვრება ერქვა, დამთავრდა. დასრულდა სწორედ მაშინ, როდესაც უნდა დაწყებულიყო. მარიამი მისჩერებოდა, როგორ მოეცაღებინა მზის სხივები საწოლისკენ და მერე როგორ ბრუნდებოდნენ უკან. ასე გრძელდებოდა, სანამ ერთ საღამოს კარზე არ დააკაკუნეს. მარიამი ერთხანს გაუწივრელად იწვა და ადგომას არ აპირებდა, მაგრამ კარზე კაკუნს ჯიშტივად აფიქრებდნენ. ქალი ძლივს ადგა, სხეულში სისუსტეს გრძნობდა, უმოძრაობისგან კიდურები დაბუჟებოდა, კარამდე ძლივს მიაღწია და არც უკითხავს ვინ იყო, ისე გააღო.

კარს მიღმა დაბალი, მსუქანი და უსიამოვნო 40 წლამდე კაცი იდგა. პირველი, რაც მარიამს კაცის დანახვისას თავში მოუვიდა, ის იყო, თუ როგორ შავდა კაცი ბებერ ზაზუნას.

– თქვენ მარიამი ხართ ხომ? შეიძლება შემოვიდეთ?

მარიამი საწოლისკენ წავიდა და დაწვა. კაცი ოთახში შემოვიდა, სკამი მარიამის საწოლთან მიაჩოჩა და ზედ მოკალათდა.

– მე თქვენთან საქმიანი შემოთავაზება მაქვს.

მარიამი ხმის ამოუღებლად უყურებდა კაცს, რომელიც მიხვდა, რომ საუბარი უნდა გაეგრძელებინა.

– მე თქვენ გიცნობთ... უფრო სწორად, ვიცი თქვენ შესახებ... მესმის, რომ თქვენ გიკვირთ ჩემი ვიზიტი, ასე შეიძლება კითხვაც გაგიჩნდეთ, საიდან ვიცი, ან რატომ უნდა მეცნოდეთ... აბსოლუტურად მესმის... დღევანდელ დღეს ასე ადვილი არ არის ენდო ადამიანს, – აგრძელებდა კაცი.

– რა საქმე გავს? – გააწყვეტინა მარიამმა.

– ახლავთ აგისონით ვეფხეაფერს, მე ვიცი, რომ თქვენ შიდასი გაქვთ და სამსახური მინდა შემოგთავაზოთ. მე თქვენს დასახმარებლად ვარ მოსული, ვიცი, რომ თავს ცუდად გრძნობთ, ძალიან ცუდად, წარმოდგენაც კი არ მინდა საკუთარ თავზე, – თქვა კაცმა და პირველად გადაინერა. ალბათ რა საშინლად განიცადეთ, როცა შეიტყვეთ, მაგრამ... ყველაფერს აქვს თავისი დადებითი მხარე, აი თუნდაც იმას, რომ თქვენ შიდასი გაქვთ.

მარიამი ვერ ხვდებოდა, რა უნდოდა კაცს. მაგრამ ადამიანის საუბარი იმდენი ხანი იყო არ გაეგონა, რომ ახლა, როდესაც კაცს უშენებდა, კომუნიკაციის ასეთი საშუალება ძალიან მოუხერხებლად ეჩვენებოდა. სიტყვები, რომელსაც ის მთელი ცხოვრება სხვაანირი მნიშვნელობით იყენებდა, უეცრად თითქმის ერთი ფერის საღებავში ამოავლეს და ყველაანირი მნიშვნელობა დაუკარგეს. ფიქრობდა, რომ უმჯობესი იქნებო-

და კაცი გააჩუმებულიყო, სკამზე დამჯდარიყო და საკუთარ ფიქრებს მისცემოდა. ასე უფრო მოსახერხებელი იქნებოდა, ის არ ეჩვენებოდა მარტო, და თან ხელსაც არ შეუშლიდა.

– თვითონ ის ფაქტი, რომ თქვენ შიდასი გაქვთ, ეს ჩვენთვის ძალიან საინტერესოა და სწორედ ამიტომ ვარ ახლა თქვენთან. როგორც უკვე გითხარით, მინდა სამსახური შემოგთავაზოთ, დამიჯერეთ, ძალიან კარგად გადაგახდით, ძალიან! თან ასე ვთქვათ, ერთგვარად შესაძლოა საკუთარ ყოფაში ახალი დანიშნულებაც აღმოაჩინოთ, ახალი მისია!

ჩვენ ვიცი, თქვენ როგორ დანიშნავდით, ვიცი, რომ უკვე დიდი ხანი სახლიდან არ გადისხართ, არავისთან კონტაქტობთ, თქვენ აღარაფერი გაქვთ დასაკარგი, არადა ადამიანები რომ იმისთვის ცხოვრობენ, რომ სწორედ ისეთი ხომ შეიძინონ, რის დაკარგვასაც ვერ გადაიტანენ და შემდეგ ეს რაღაცა განსაზღვრავს უკვე მათ ცხოვრებას. ყველაანირ კომპრომისზე მიდინა, პრინციპის, იდეის, მორალის, ღირსების ეს რაღაც არ დაზარალდეს. და იმას მოგახსენებდით რომ, თქვენ დასრულებთ, მორჩა, თქვენ უკვე მორჩით ცხოვრებას. აი, ეს თქვენი ბოლოა, და თქვენ თავად გახდით საკუთარი ცხოვრების დასასრულის მომსწრე. მაგრამ ღმერთს თქვენ არ მიუტოვებხართ და აი, მეც აქ ვარ, რადგან თქვენ აღჭურვილი ხართ რაღაც ისეთით, რასაც უღიდეხი ძალა აქვს, ხვდებით ხომ? აცნობიერეთ? თქვენ, ასეთი ახალგაზრდა, ასეთი გარეგნობის მქონე ქალი, თანაც დასაკარგი რომ არაფერი აქვს, თქვენ იარაღი ხართ! ყველაზე სახიფათო იარაღი!

მარიამი უსმენდა კაცს, რომელიც ისეთ ემზში იყო შესული, რომ ლაპარაკით გართული სკამიდან წამოშორდებოდა და ოთახში ხელების ქნევით მიდი-მოდიოდა. კაცის საუბრისა და მოლოდინი ნაწილ ფრაზებს იჭერდა, კაცი ატყობდა ამას და ამიტომ ასხსნა განაგრძობდა.

– თქვენ მსხვერპლი ხართ, თქვენ ხართ უპასუხისმგებლო ადამიანის მსხვერპლი, რომელსაც საკუთარი კეთილდღეობის გამო ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა არავითარ მიზეზით, ის სისხლი, რომელიც თქვენ გადაგისხეს, ის ინვიციტირებული სისხლი, თავის დროზე რომ შემოწმებინათ, თქვენ ახლა ხომ ასე არ იქნებოდით. მაგრამ დაზარათ, ყურადღება არ მიაქციეს, ფეხებზე დაიკიდეს, იმიტომ რომ ეს მათ არ ეხებოდათ პირადად, გესმით? რომ შეგძლოთ, დასჯიდით მას, ვინც ამ დღეში ჩაგვადგით? როგორ მოექცეოდით? განა სიამონებას არ მოგანიჭებდა, მისი დასჯა? მისი

ტანჯვა? რომ თავებდი ეწყევლა იმისათვის რაც ჩაიდინა? და ასეთებს, ვინც სხვა ადამიანებს ექცევა ისე, როგორც თქვენ მოგექცნენ, როდესაც ცხოვრებას უნგრევენი, სიცოცხლის აზრს უკარგავენ და თან მაშინ, როცა თითქოს ყველაფერი ახლა უნდა დაწყებულიყო. მიპასუხეთ! როგორ მოექცეოდით ასეთ ადამიანს? – კაცი ერთხანს გაჩუმდა, თითქოს მარიამის პასუხს ელოდა, შემდეგ კი გახანგრძლი.

ჩვენ ამაში ძალიან დაგვიხანებო! თქვენ გადაგიხდინა, ძალიან კარგად გადაგიხდინა!

კაცმა ჯიბიდან სავიზიტო ბარათი ამოიღო და მაგიდაზე დადო.

– ეს ჩემი ნომერია, დამირეკეთ, როდესაც გადწყვეტთ, რომ მზად ხართ ახალი ცხოვრება დაიწყეთ, მზად ხართ შურისძიებისთვის და იმისთვის, რომ სხვა ადამიანები გადაარჩინოთ, რათა ისინი თქვენს დღეში არ ჩავარდნენ.

კაცი ოთახიდან გავიდა და კარი გაიხურა. მარიამი დიდხანს მისჩერებოდა ერთ წერტილს, თავში ათასი აზრი უტრიალებდა, უცნობი კაცის სიტყვები ერთდროულად უსიამოვნებასა და სიამოვნებას გვირგვინ, თითქოს ახალ სტიმული მიეცა, რომ ვიღაცას ის რამეში სჭირდება, რაღაცისთვის ჯერ ისევ გამოსადეგია და შეუძლია რამე მნიშვნელოვანი გააკეთოს, თან მაშინ, როდესაც თითქოს ყველაფერი დამთავრდა.

შესაძლებელია თუ არა სხვისი ცოდვების საკუთარ თავზე ალება, როგორც ეს ქრისტემ გააკეთა დავითთან, ჩემს გზაზე იარეთო, – ლულუღებდა მარიამი. მაგრამ თუკი სხვისი ცოდვების საკუთარ თავზე ალებას ცოდვის ჩადენა სჭირდება, მაშინ? შევძლებ კი ამას? ცდილობდა წარმოედგინა რას უპასუხებდა ღმერთი. ენეოდა და დროდადრო ლულუღებდა. ნეტა კი მასთან საუბარი შეძლებდა. ნეტა კი რამე ნიშანი მიეცა, როგორ მოქცეულიყო. ერთხანს ასე ირწეოდა სანოლზე წამომჯდარი, შემდეგ კი ამოიფლულა „მე აღარ მაქვს არაფერი არც მოსათმენი არც დასაქარგი...“ „ამ სხეულში სიკვდილი უფრო მეტია, ვიდრე სიცოცხლე...“ „სული შენია, და შეცილებას არც ვაპირებ...“

მარიამის პირველი მსხვერპლი მოსამართლე ისიდორე პავლეს ძე სტალინსკი გახლდათ. თავისი ორმოცდახუთი წლის ცხოვრებიდან თერამეტი წელი მოსამართლის მანქანაში გაეტარებინა. მის სახელს უკამრავლებოდა არაერთი გახმაურებული განაჩენი, ზოგიერთი იმასაც ამბობდნენ, რომ თითქოს პავლეს ძე სტალინსკი პოლიტიკურ დაკვეთებს ასრულებდა. ვინაიდან ისიდორე ძალიან უფრთხილდებოდა საკუთარ სახელს, საჭირო იყო მარიამთან მისი გაცნობის ისე მოწყობა, რომ ამ უკანასკნელს ეჭვი არ აეღო. უფრო მეტიც, მარიამთან დაახლოება საკუთარ ინიციატივად უნდა ჩაეთვალა. მარიამი ოსტატურად გაგროვა ასფალტზე, როდესაც ისიდორე მუხრუჭის პედალს რაც ძალი და ღონე ჰქონდა ფეხი დააჭირა. მოსამართლე მანქანიდან მკვირცხლად გადმოხტა და დაზარალებულს მივარდა, თუმცა მის გონებაში უკვე ლაგდებოდა

თავის გასამართლებელი სიტყვები, რომლებიც დაზარალებულად სწორედ მას აცხადებდნენ, ვინაიდან ქალი ჰქნას იმ დროს კვლავ არცაა როცა სამანქანო მოძრაობა დაშვებული იყო. როდესაც ისიდორე დარწმუნდა, რომ სამიში არაფერი იყო, ქალს წამოდგომაში დაეხმარა და პროფილაქტიკის მიზნით საავადმყოფოში გადაყვანაც შესთავაზა. მარიამმა ჯერ ოუარა, თუმცა მოსამართლემ კარგად დათვალეირების შემდეგ დახმარება უფრო დაუწყებით შესთავაზა. და ქალიც დამორჩილდა. ერთიერთი ფლორტის შემდეგ მარიამმა მოსამართლეს განაჩენი გამოუტანა. ქალი იმდენად შეიჭრა როლში, რომ რამდენჯერმე ისიც კი იფიქრა, დროებითი ურთიერთობა ხომ არ გავგრძელდებინა, თუმცა 40 წელს გადაცილებულმა ზაზუნამ მარიამს გარეგნობის მკაცრი პროტოკოლი რამდენჯერმე შეასხენა.

ეს მისი სახლი არ არის, მხოლოდ ამ შეხვედრისთვის არის ნაქირავები, უთხრა ზაზუნამ მარიამს იმ ქალის გასაგონად, რომელმაც კარი გააღო. ქალმა სტუმრები სასტუმრო ოთახში შეიყვანა.

ყავას ამ ჩაის ხომ არ დალევთ? – იკითხა ქალმა, შემდეგ ხელები მოიფშვნიტა და სცადა ნერვიულობა შეენეცვია. მარიამი ქალს სახეში მისჩერებოდა, რომელსაც ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ეს-ეს არის დანაშაულები წაასწრესო.

– ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ ასეთ რამეს გავაკეთებდი, თქვა ქალმა, ვერც იმას, რომ ასეთი რამე საერთოდ აზრად მომივიდოდა, და თვალებიდან ცრემლები წამოუვიდა. „არაა საჭირო ამის ასხნა, მხოლოდ საქმის არსი რომ გავგაცნო მოკლედ, რამე მდგომარეობს“ – საუბარში ჩაერთო ზაზუნა.

– რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, – ამოიზღუტუნა ქალმა და თვალბინიდან ცრემლები მოწმინდა. მარიამის დაკვირვებით ქალი 40 წელს გადაცილებული უნდა ყოფილიყო, სახეზე ნაოჭები გასწერნოდა და თვალები ჩაცვენილი ჰქონდა. ეტყობოდა, რომ სხეულის ფორმები დიდი ხანია დაკარგული ჰქონდა და თავის მოვლის ელემენტარულ საშუალებებსაც კი არ მიმართავდა.

სამი შვილი გავუზარდე, არაფერი არ დამიკლია, როდესაც მიმძილსგან სული გვეძვრებოდა, მორჩილად მასთან ერთად წელზე ფეხს ვიდგამდი, ნაცხვრებს ვაცხობდი და მალაზიაში ვაპარებდი, შეკვეთებს ვიღებდი, ვკერავდი,

ოჯახს მართო ვარჩენილი.“ ქალმა ცრემლები შეიმშრალა და ცხვირი ხელით მოიწმინდა.

ათასი მოთხოვნელი მყავდა, მაგრამ სიყვარულით გაეთხოვდი. — იქნებ უფრო მოკლედ გვიამბოთ, ახლა რატომ გადაწყვიტეთ — გააწყვეტინა ზაზუნამ, რომელიც აშკარად ჩქარობდა ნასვლას და ერთი სული ჰქონდა, შეხვედრა როდის გათავდებოდა.

— ბიზნესი ჩემი შობილების დალუპვის შემდეგ დაიწყო, მათი სახლი რო გაყვიდეთ, იმ ფულით. სახლში სულ აგვიანებდა, ამბობდა ბევრი სამუშაოა, საქმე თანდათან კარგად წაუვიდა... მერე კი გავიგე რომ საყვარელი ყავდა... ვიცოდი რომ სკანდალი რომ მომეცნო, მაშინვე მიმატოვებდა. ჯერ ვიფიქრე არ შემეშინია, იქნებ მობეზრებოდა და მიეტოვებინა. მაგრამ პირიქით მოხდა... თავდათან სულ უფრო და უფრო აღარ მოსდის გული სახლში. ბავშვები უფვე წამოიზარდნენ და ხვდებიან რაღაცებს. მათ თვლებში სიბრაზის ეგრძნობ ჩემს მიმართ. თუ სახლში მოდის, ჩემს გვერდითაც კი აღარ ნეხება. ის სულ თავის ტყუაზე ატრიალებს, რასაც შუილობს, იმას ახარჯავს... ბოლოს გამომიყვანდა, უნდა განვეჭოწმინდე.

— ქალმა მაგიაზე ქმრის და მისი საყვარლის სურათები დააწყო.

თავიდან მხოლოდ იმ ქალის დასჯა მინდოდა, მაგრამ ახლა ფიქრობ, რატომაც არა? ორივეს მინდა ცხოვრება გაუმწარდეთ, ჯერ ჩემი ქმარი დაინფიცირდეს და მერე იმასაც გადას-ლოს. ქალმა მარიამს დამნაშავესავით შეხედა და ცრემლნარევი ხმით ამოილაღლა. „ამას ჩვენი სიყვარულისთვის ვაკეთებ, რომელსაც მან უღალატა“.

ქუჩაში მიმავალი მარიამი ფიქრობდა ქალზე, რომლის მთელი მიზანიც ქმრის დასჯა იყო. მაგრამ ქალს შვილები ჰყავდა, შეძლო მათით ეცხოვრა, მათი ბედნიერების მოზიარე გამხდარიყო. მარიამი კი მარტოობისთვის იყო განწირული. განა გაშორების შემდეგ ეს კაცი ბავშვებსაც მიატოვებდა? განა მათზე მაინც არ იზრუნებდა? ნუთუ ქალისთვის შურისძიება უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ის, რომ შვილებს მამა ჰყოლოდათ, რომელიც რამეში მაინც დაეხმარებოდა. მარიამი ხვდებოდა რომ საერთოდ არ ესმოდა ამ ქალის. ფიქრობდა, რა ადვილად ხდებოდა ადამიანები მკვლელები, და როგორი განსხვავებული მიზეზები ჰყოფნიათ ამისთვის. განა ეს ქალი მკვლეელი არ იყო? მერე რა, რომ თავად არ გამოკრავდა ჩახმახს ხელს, მით უარესი, მკვლელობის ჩადენასაც ხომ გამებდაობა სჭირდება. მაგრამ ისე უნდათ ამის გაკეთება, რომ თან ხელ-ბიძგ არ დაისვარონ სისხლით. მარიამი გრძნობდა, რომ ქალის მიმართ სიძულვილს გრძნობდა. ეზიზღებოდა ქალის სისუსტე, რომელსაც გამებდაობა არ ჰყოფინდა, რომ თვითონ გამოე-ტანა ქმრისთვის განაჩენი. და კიდევ უფრო აშკარად იმისთვის, რომ ამ კაცის გარეშე ქალს თავი იმდენად არარაობად მიაჩნდა, რომ მისი მოკვლა გადაეწყვიტა. რა უსამართლოა ცხოვრება, ფიქრობდა მარიამი. რომელსაც ჩვენი ადამიანები ექმნით. რომელიც ჩვენი თავებიც იცავს. გარეთ უცვლე-ლი პროცესია, რომელზეც ემოქმედებთ და ვცვლით. და სამ-ყარო არის ჩვენი დამოკიდებულებები ამ პროცესის მიმართ, სამართლიანობა, ცუდი და კარგი, ეს პირობითობები, და ამ

ცნებების მიმართ ამდენი განსხვავებული მოკიდებულება, რომელიც პასუხად გვაქვს დამარჯვებულის. ის, რასაც ჩვენი თვითონ ვახდენთ, ბუმერანგივით უკან გვიბრუნდება და ჩვენს ყოველდღიურობას განსაზღვრავს. მარი-ამი ჩაფიქრებული მიდიოდა, უეცრად ხელზე შეხება იგრძნო, შემობრუნდა და ნაცნობი ბარ-მენი დაინახა. „გეძებენ, ჩვენთან იყო ის კაცი მოსული, ადრე რო გყავდა ბარში მოყვანილი, ძალიან გაგიფიქვლია, არ ვიცი რითი გაამწარა და არც მაინტერესებს, მაგრამ ფრთხილად იყავი,“ უთხრა ბიჭმა. მარიამი მიხვდა, რომ ეს კაცი პალიკო იყო, ამ ბარში მხოლოდ მასთან ერთად იყო მისი ული. იმასაც ეხებოდა, რომ პა-ლიკომ უფვე იცოდა, მაგრამ არ ესმოდა რატომ იყო დარწმუნებული კაცი, რომ მაინცდამაინც მარიამისგან დაინფიცირდა. ნუთუ სხვა არა-ნამც ჰყავდა... ან ყველა დანარჩენ ვერსიას ასე ეატყვოროვლად რატო გამოირიცხებდა...

* * *

მას შემდეგ, რაც მარიამმა პალიკო სასტუმ-როს ნომერში დატოვა, პალიკო გამუდმებით ფიქრობდა მასზე. როგორი იმედი ჰქონდა, რომ ამ ურთიერთობიდან რამე გამოვიდოდა, როგორ კარგად ატყუო ყველაფერი, თითქმის ბუნების კანონზომიერება იყო, თითქმის ამ შეხ-ვედრას უნდა შეეცვალა მისი ცხოვრება. ვე-რაფრით სხნდა რატომ გაჰყავა ქალი სასტუმ-როში, ან რატომ გაუჩინარდა მოლოდინულად. იჯდა პალიკო ყოველ საღამოს და ათვალთვ-რებდა ქალის ფოტოებს. და ერთხელაც ელდა ეცა. ქალს ყველა ფოტოზე ერთხენა ხელზე, ერთნაირი ნითელი ნაკანრი ჰქონდა. პალიკომ რამდენჯერმე გადაათვალთვრა ყველა ფოტო, და უკლებლივ ყველა სურათში ქალის მარცხე-და ხელზე იკვეთებოდა ერთი და იგივე ნითელი ნაკანრი. ნუთუ ეს ნაკანრი არ უნდა მორჩენო-და? ეს ფოტოები ხომ მისი ცხოვრების სხვა-დასხვა პერიოდშია გადაღებული... ადგილებიც ხომ სხვადასხვა... პალიკო მიხვდა, რომ ქალის ყველა ფოტო, რამდენიმე დღეში იყო გადაღე-ბული, განგებ, მისთვის. ხვდებოდა, რომ ნარ-მოდგენი, რომელიც ქალზე შეექმნა, სინამდ-ვილეში კარგად დაგეგმილი საქმეაქალი იყო და მეტი არაფერი. მაგრამ ვერაფრით სხნდა, ვის ან რაში უნდა დასჭირებოდა ამის გაკეთება?

მას შემდეგ, რაც პალიკო დაავადება დაუდგინეს, სამსახურში სიარული შეწყვიტა. მიზეზი არავისთვის უთქვამს. ან ვისთვის და როგორ უნდა ეთქვა, ეს ხომ მისთვის ცხოვრე-ბის დასასრულს ნიშნავდა. ერთადერთი, რაც



ამ დაავადების შესახებ იცოდა, ის იყო, რომ მალე მოკვდებოდა და ვერაფრის შეცვლას შეძლებდა. მიუხედავად ექიმის დიდი მცდელობისა, მკურნალობა დაენყო. დეპრესიაში ჩავარდა. უკვე ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ამაში დამნაშავე უცნობი ქალი იყო. აღარც მისი გაუჩინარება იყო ამოუხსნელი. თთქის ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. ერთადერთი, რისი სურვილიც ჰქონდა, ეპოვნა ქალი, და შური ეძია. პალიკომ პირადი დაურეკა ქალაქის პოლიციის უფროსს, და უცნობი ქალის სურათიც გადასცა. რამდენიმე საათში ქალის ბინის მისამართი უკვე მაგიდაზე ედო.

უკვე ღამე იყო, როდესაც პალიკომ მარიამის სახლის კარზე დააკაკუნა. როდესაც დარწმუნდა, რომ სახლში არავინ იყო, მოპირდაპირე სახლის კიბეებზე ჩამოჯდა და ელოდა, როდის დაბრუნდებოდა ქალი.

ის-ის იყო თენდებოდა, როცა პალიკოს ფეხის ხმა მოესმა. ხელით მოისინჯა ქამარში გაჩრილი იარაღი, რომელიც პირველად უნდა გაესროლა. ღამის სიჩუმეში ქუსლების კაკუნითანდათან უფრო ახლოვდებოდა. პალიკო ფეხზე ადგა, იარაღი ამოიღო და გადატენა. ხელი უკანკალებდა. აი, დადგა ის ნანატრი მომენტი, რომელსაც ამდენი ხანი ელოდებოდა და ახლა თითქოს შიშმა აიტანა, შეძლებს კი? ესერის კი? ნუთუ პალიკოს შეუძლია კაცის მოკლა? კაცის გონებაში ათასი ეჭვი და ფიქრი ირეოდა, ფეხის ხმა კი უფრო და უფრო ახლოვდებოდა. როგორც იქნა გამორჩა ქალის სილუეტით. ქალმა უეცრად შორიასხლოს მდგომი პალიკო შენიშნა და ადგილზე გაქვავდა. კაცმა იარაღი მიუშვირა. ქალმა შეჰკივლა და გაიქცა. პალიკოც უკან გაჰყვა. თანდათან უფრო და უფრო ნელდებოდა ქუსლების კაკუნის რიტმი. ბოლოს ქალი გაჩერდა და კედელს მიეყრდნო. კაცმა მკლავეში ხელი მოკიდა, თავისკენ შემოაბრუნა და შუბლზე იარაღი დაადო. კაცი ერთიანად კანკალებდა,

კანკალებდა ქალიც, რომლის თვალებშიც შიშმა სიძულვილი და სინანული ერთიანად ერეკლათ. შემდეგ თითქოს მონაცდა, პალიკოს ხელს ჩამოეკიდა და ამოილულულა:

– მიდი...

კაცი

ხელები სველი მაქ. ეს არ არის გარედან დასველებული ხელები, შენი წელი თბილია, შენი მუცელი იბერება და იჩუტება ჩემი ხელის ქვეშ. მე ვიცი, ეს როგორ დამთავრდება. მაგრამ არ ვიცი, როგორ უნდა გაგრძელდეს. შენ სველი ხარ ფეხებს შორის. ეს არ არის ჩემი ხელის სისველის ბრალი. შენ არ დასველებულხარ გარედან. ყველაფერი ისე არ მიდის, როგორც ხდება ხოლმე. მოუხერხებელი ვარ. შარვალს ვიხსნი. ვეძებ, საიდან შემოვიდე. შენ არ მეხმარები. ეს არ არის სექსი, ეს აღსარებაა, სიკვდილის წინ სინანულით ამოთქმული. უმისამართოდ ნაძებნი თანაგრძნობის ფაზა. ცერა თითს ხორხზე ვადებ, ვიცი რომ მტკრუნავდა. ვფიქრობ, როგორი ხმა ექნება, რომ დავანე. ვფიქრობ, როგორ მოგკლავდი, რო არ მეძინოდეს მარტოობის. კისერთან ვადებ ნიკას, ეს თვითგადარჩენაა, ეს არის ჩემი პასუხი სამყაროს, გავათავე. შარვალი ჩამდის ფეხსაცმლამდე. გოცინი კისერზე. არ ვიცი ახლა როგორ მოვიქცე. ღმერთო, შენ მაინც იყო, გილოცებდი.

ქალი

ფეხები მტკივა სირბილისგან. სუნთქვა მჭირს. სხეული ცივ კედელზე მაქვს მიბჯნული, ყელზე ხელის დანოლას ვგრძნობ. მის მიმართ შიში რაღაც ახლობლურმა გრძნობამ შეცვალა, ვდგავარ გაუძნრეველად. ის მესება წელზე, მკერდზე, მუცელზე. ხელს მიცურებს ფეხებსშორის. მე თვალებს ვხუჭავ და თავს უკან ვხრი. არ ვუნეც ნინალმდეგობას. ყველაფერისთვის მზად ვარ, რომ მოხდეს, ამის გარდა. ვფიქრობ რომ ამაზე მართალი ალბათ არაფერი ხდება ახლა სამყაროში. ყელში ბურთი მეჩხირება. უამრავი შეგრძნება დამიდის ტანზე: ტკივილი, ადამიანური სითბო, სინანული, სიამოვნება, ახლა ვიცი, როგორები ვყვლივართ ადამიანები. მინდა რო არ დამტოვოს, როცა გაათავებს.



4

ჯეოგრაფია & სტატისტიკა





წუთიერი შიხიბა ზიჰვალ ავტორთა

ელა კოდალაშვილი

გიორგი ლობჟინძე ერთ დროს ლექსიკა და ლექს კორექტული იყო. ეს შეიძლება პოეზიის მიმართ ბავშვური კრძაღვითაც აიხსნას, როცა ჯერ ძალიან პატარა ხარ და ფრთხილად – ზედმეტ ხმაურსა და აჟიოტაჟს უფრთხილ... მერე და მერე, როცა მან მთარგმნელობით საქმიანობას მოჰყიდა ხელი, კორექტულობის შენარჩუნება აღმოსავლური კლასიკის იმ ნაწილთან თანაზიარობამაც განაპირობა, რომელთანაც მას შეხება უნდებოდა. არიან პოეტები, რომლებიც სანცის ტაბაზე ცდილობენ, გამომწვევები იყვნენ, რათა საზოგადოებას თავი დამამასოვრონ, გამოირჩნენ... ისინი ლამობენ, შექმნან სტილი, ქვემომდინარეობა, დიდი ხის რომელიც ტოტის პატარა ყლორტი მაინც. გიორგიმ კი თავიდანვე ამ ხის მერქნის ნაწილად ყოფნა არჩია, მასთან ერთად იზრდებოდა და ასე უფრო დაეცულად გრძნობდა თავს, რადგან, როგორც ზემოთ თქვეი, „ყვირილი“ და „ახალი ყლორტი“ იმიჯზე ზრუნვა უბრალოდ მის ბუნებაში არ იჯდა. მისი ლექსები მისავე ცხოვრების წესს ნაგავდა; იმ ცხოვრების წესს, რომელიც არანაირად არ ჰგავდა პოეტის ჩვენში დამკვიდრებულ ბოჰემურ ხატს არეული დღის რეჟიმით, არასტაბილური სამსახურით, პალტოზე აწყვეტილი ლლით და პერიოდულად ალკოჰოლის მძაფრი ლაიტ-მოტივით. ცხადია, მე მხოლოდ კატეგორიების დიფერენცირებას ვცდილობ და არავითარ შემთხვევაში არ ვაძლევ შეფასებას პოეტის ან ერთ და ან მეორე ტიპს. არადა, ჩვენში სწორედ უმართებულო გამოჩენვა ხდება ხოლმე. ერთნი ბოჰემური, მეორენი კი აკადემიური სტილის შემოქმედების მიმართ არიან ხოლმე სიმპათიით განწყობილნი, რაც არასწორი მეორია, რადგან ავტორი რა ფასადს მოითვებს და გაითავისებს, ეს მხოლოდ შემოქმედების ერთგვარი Modus operandi-ია, ხოლო არსი, სანავი მაინც მასში ნიჭიერი სანყისია.

დავუბრუნდები დასაწყისში ნათქვამს, კერძოდ კი იმას, რომ გიორგი ლობჟინძე ერთ დროს ლექსიკა და ლექს კორექტული იყო. მოგვიანებით, თითქმის ერთბაშად მოხდა გარდატეხა, ან, უბრალოდ, მე შევამჩნიე ერთ კონკრეტულ პუბლიკაციას ცვლილებები, მაშინ, როცა რომელიც პერიოდულ გამოცემაში მისი ლექსი, „არაბულის მასწავლებელი“ გამოქვეყნდა... და ეს შემთხვევითი რომ არ იყო, მერე და მერე, სხვა ლექსებსაც დაეტყუ. როგორც მუსიკოსი, რომელიც წლების მანძილზე ნოტებით უკრავდა, ერთხელაც კი გადაწყვიტა, ნოტები გვერდზე გადაედო და მხოლოდ

საკუთარი ინტუიციით და იმპროვიზაციით შეესრულებინა ნაწარმოებები, გიორგიმაც სწორედ ასე, მანამდე არსებული რაღაც „წესი“ მოიცილა, დაარღვია და თავისუფლების სხვა ხარისხის კალაპოტის ძეხნა დაიწყო.

სწორედ „არაბულის მასწავლებელი“ ჰქვია მისი ლექსების კრებულს, რომელიც გამოქვეყნდება „საუნჯემ“ გამოსცა და, თუ არ ვცდები, დამატებითი ტირაჟიც დაბეჭდა, რადგან წიგნის პირველი ნაკადი, რა გასაოცარიც არ უნდა იყოს დღევანდელი წიგნის ბაზრისთვის, მალევე გაქრა მაღაზიებიდან. გასაოცარი იმიტომ, რომ პოეზიას დღეს ნაკლებად სწყალობს ფართო მომხმარებელი, თუკი რამე „მოულოდნელი და უჩვეულო“ არ ხდება.

მაშ, რამ გაყიდა გიორგის წიგნი? გასაგებია, რომ ის ძალიან პოპულარულია, გნებავთ, როგორც პოეტი და როგორც მთარგმნელი, არაბისტი და ირანისტი; ის „უნივერსიტეტში კითხულობს ლექციებს და ესეც ზრდის მის „ელექტორატს“, ხოლო ფეისბუქზე მისი ფრენდების რაოდენობა ხუთიათასს აღწევს. ეს მიზეზები, ალბათ, რაღაც დონეზე მისაღებია, თუმცა, რამ ვიტყვი, რომ მთავარი მაინც სხვა რამ იყო, რამაც „არაბულის მასწავლებელი“ დახლებიდან გააქრო. და ესაა თავისუფლების ხარისხი იმ ავტორისგან, რომელიც ერთდროულად აკადემიური იმიჯის მქონეა, რაღაც გაგებით ნაუტრადიცოვლებს კიდევ, ხოლო მისი ეს წიგნი ჩვენი საუკუნის მამაკაცის სულიერი ექსპიზიციონიზმის, ტოტალური სიმარტოვის, სასაზღვრევილი ადამიანის სახეს გვიხატავს ყოველგვარი გრადაციული ფერთა კომბინაციების, პოეტური გარდასახვებისა და კეკლეულობის გარეშე.

რა სჭირდება პოეზიისგან დღევანდელ ადამიანს, თვითონაც სასაზღვრევილი და მარტოვლი? ალბათ უმალ მეორე ადამიანში თანაზიარობის მომენტის დაჭერა, სიმარტოვისგან გაქცევის ილუზიის შექმნა, საკუთარი „სიშიშვლის“ ნუთიერი შეხება ასევე „შიშველ“ ავტორთან. ამ სიშიშვლესთან შეხების საიმედოება ალბათ პოეზიის აღქმაც და ამიტომაც, რომ ჩვენ, მკითხველებსა თუ ლიტერატორებს, სწორედ ე.წ. გულწრფელობა მიგვანჩია ხოლმე ერთ-ერთ მთავარ კრიტერიუმად ნაწარმოების შეფასებისას.

დავუბრუნდები სათქმელს. რამ გაყიდა გიორგი ლობჟინძის წიგნი?.. სწორედ სიშიშვლის დიდმა დოზამ, სწორედ იმის სურვილმა ავტორის მხრიდან, რომ რაც შეიძლება ახლოს ეგრძნო მკითხველს მისი სათქმელი, შეხებოდა მას და ამ შეხებით მოეტანა

სრულფასოვნებისა და სიამის ორმხრივი განცდა, რაც ალბათ, ყველაზე თავისებურად მხოლოდ პოეზიას შეუძლია...

არადა, საქმე ცუდდაა – ადამიანების, ურთიერთობების მთავარი პრობლემა ისაა, რომ ერთმანეთთან სასაუბრო ენა არ არსებობს. არ არსებობს პოეზიის ენა. საკომუნიკაციო ველი თითქოს მოისრა. ყველანი სიტყვაუხვები გახვდით – სიტყვაუხვები და გრძობამაცირენი. მრავალსიტყვანობა კი უძლურია, ის გადმოსცეს, რაც ჩაფიქრებელი აქვს. განმარტებითი ლექსიკონი ემოციებს ვერ იტევს, სიტყვა ჩარჩოში ჩაკეტილა და მთქმელის იმედია აქვს, იქნებ გამოხატვის რამე სხვა ინსტრუმენტი შეგვაშველოსო. გიორგი ლოზიანიძე კი წერს:

„რად დახურე ეს სამყარო სინმინდებებით?
სადაც ყველაფერს მუდამ ერთი მნიშვნელობა აქვს,
ხოლო ენად სინონიმთა ენა მომეცი,
რომელიც მუდამ გაიღება ნიახსისკენ
სათქმელისა და არსის უკეთ გამოსახატად.
განა ფანჯარა
სრულად იტევს მზეს და სინათლეს,
განა სიტყვა უკვე მტკიცე ჩარჩო არ არის,
რომელიც საზღვრავს, აფასებს და განიკითხავს
სოფელს, შენ რომ უსაზღვროდ შექმენ...“

დეტალებისკენ გაღებული ენა, ანუ სიტყვა, რომელიც სათქმელსა და არსს უკეთ გამოხატავს და რომლის იმედი აქვს გიორგის, სამყაროს უსაზღვრობას კალაპოტში აქცევს და ნიუანსებად იტოვება მაინც განწირული ისეთივე უსაზღვრობისთვის, როგორიც მხოლოდ სიტყვაში საბადოების მაძიებლებს თუ აუხელს თვალს, რათა ყველა მონათხრობი ბოლომდე შეიმცნოს.

არ მიყვარს ცალკეული ლექსის ამომწურავი გარჩევა და გაანალიზება, სასკოლო თემას მაგონებს ამგვარი მსჯელობა. მაგრამ გვერდს ვერ აუვლი, ვერ შევძლებ გამოკვეთილად არ შევხვი ლექსს „ერთბუნე მხოლოდ, ისიც ძილში“, სადაც ვინმე თამარზე იწყებს თხრობას ავტორი, და სადაც ტრაგიზმისა და კომიზმის იშვიათი შერწყმა მოცემული. ლექსის პერსონაჟი უზნის ჭორიკანაა, გარდაცვლილი სატრფოს გლოვაში ქალწულად დაბრუნებული; ანუ „დამცველი ხალხის წნეობისა, თვით ქალიშვილი, მინის რუხი მკლავებისათვის საიმედოდ თავშენახული“. მერე კი ამბობს „უზანია მისი უდაბნო. აქ შეაყენა დიდმა ძალამ მქადაგებლად“, რადგან ვერდაბრუნებული სატრფოს სევდამ გააანწილა, გააბოროტა, ერთადერთი, ფანჯარა მისი ადგილი და ბრძოლის ველი, საიდანაც დანარჩენ სამყაროს ემიჯნება, წყევლა-კრულვას უგზავნის, მე-19 საუკუნის კლასიკოსების ციტატებით ამკობს თავის ქადაგებებს.

„მოოცეც უყვარს: „სისხლო ჩემო, სად არ დაღვრილო“...
„როცა კითხულობს, თვალზე მუდამ ცრემლი ადგება,
რადგან იქ დაღვრილ სისხლის გამო აქ მისი სისხლი
თავის ერთადერთ ბრძოლის ველზე ვერ დაიღვარა,
ნლები წავიდა

და ამ სისხლმა ვერჩამოღვრილმა
თეთრი თმიდან გაბოსყონა
ბრიალ-ბრიალით...“

იშვიათია, ასე კომპაქტურად გააერთიანოს ავტორმა ქალისადმი თანაგრძნობა და ირონიული ხითხითი. და კიდევ უფრო იშვიათია, ამ პერსონაჟის ომიდან ვერდაბრუნებული შეყვარებული სამშობლოდ მოგვანდოს, დამარცხებულ სამშობლოდ და ბოლოს ასე შემოპარული, სულ სხვა აქცენტებზე აპულგობით სამშობლოს სატყეოვართან დატოვოს მკითხველი, რომელიც ჭორიკანა დედაკაცის ამბის დასასრულს ელოდა და თვითონაც ჭორიკანასავით გაყურებული იყო. და სწორედ ამ დროს უბრუნებს პოეტი ვექტორს დამაცნინებელი მიწიერებიდან ზოგადსაკაცობრიოსკენ.

ეროტიკული პასაჟები, მიუხედავად იმისა, რომ მცირე დოზითაა თითქმის ამ კრებულში, ისეთი ზუსტი დარტყმის მქონე და მძაფრია, შეუძლებელია, გვერდი აუარო და ემოციის გარეშე წაიკითხო. აბანოს ოხმივარი, ამ ლექსიდან მოდინილი, ნესტოებს გითუთქავს და გულს გიჩქარებს.

„კუნთებიდან უსხტტებოდან ტანის ხაზები
და ვეება ლაყვებიდან ამდგარი სიტყვი
ხორცშესხმული ენებასავით იზლანებოდა.“

ეს ლექსი აბანოში გამოჩენილ ბოშა ბიჭებზეა, რომელთა თვალთახედვის არეში მოხვედრა, ბოშურ ენაზე მეტყველება, მოძრაობა – ყველაფერი ეს მხოლოდ ლტოლვის ერთადერთობას გვაგრძნობინებს. სადაც ენება ასაკის და სექსის ნაშთულია. რა არის პოეზია, იქნებ მხოლოდ ემოცია, ასეთი ფორმით გადმოცემული, როცა ქრება შენი მენტალობა, არსი, მსოფლმხედველობა და მხოლოდ იმ სტრუქტურის სინამდვილეთი აზროვნებ, რომელიც ეს-ესაა ნაკითხი.

ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელოები ხშირად ფილოსოფოსების, თეოლოგების, ისტორიკოსების ნაშრომების განხილვას უთმობენ ხოლმე ადგილს. მაგალითად, ინგლისის ლიტერატურის ისტორიაში ბერკლისა და ადამ სმიტის შემოქმედებაზეც კი არის საუბარი. ისინი დალიქმებიან მოაზროვნეებად, რომელთა შემოქმედებაც აზროვნების პროდუქტია პოეტის ტექსტისთვისგან განსხვავებით, სადაც ძირითადად ესთეტიკურ ღირებულებებზე, ლიტერატურულ მიმდინარე-

ობეზზე თუ საუბრობენ და რატომღაც იშვიათად მოსდით აზრად, რომ მიიღონ ლექსი, როგორც ამა თუ იმ საკითხის ფორმულირება, ჩათვალონ, რომ ლექსის კითხვის პროცესი ერთგვარი კომპლატორია, რომელიც არამკითხველს უნდა შეიჭრას მის სტრუქტურაში და იქიდან მეტი და მეტი „ამოიღოს“, რადგან პოეტის ენა ინერტული მასალა არ არის. მას ლიტერატურული, ყოვლიანი და მეცნიერული ფუნქციაც კი შეიძლება ჰქონდეს ერთდროულად. ღვთისადმი რწმენის ერთი, ასე ვთქვათ, სახეობა, რომელსაც ადამიანები ათასგვარი ვრცელი წინადადებებით განმარტავენ ხოლმე, მარტივად, რამდენიმე სტრიქონით არის თავგართმეული გიორგის ლექსში „სამარადისო ნეტარება“:

„ნეტარ არიან ურწმუნონი, რამეთუ ღმერთი დამლახუჭას ეთამაშებათ, თავის შიგნივთე ემაღებათ, რაც იმას ნიშნავს, რომ სიკეთე შეუძლიათ უანგაროდ გააკეთონ და საზღაურს არ დაელოდონ.“

სწორედ ამგვარი ფორმულირებებითაა საინტერესო პოეზია, რადგან აქ არა ხარ იძულებული, მოისმინო რთული ქვეყნობილი წინადადებებით შეკონსტრუირებული კიდევ უფრო რთული მეცნიერული მსჯელობა, ერთი ისაა, პოეტთან ანალიზურ თანმიმდევრულობას არ უნდა ელოდო. ერთი მხრივ, ის სამყაროს ალაგებს და იდეალურ წესრიგს ესწრაფვის. მეორე მხრივ კი არც ის უჭირს, რომ ბრძნულ და კორექტულ სტრიქონებს რეფერენციით გააღვენოს სასონარკვეთილი დასკვნა: „სინამდვილე კი, დედაჩენი, ჭკუაზე შეცდა“.

მისი სიყვარულიც ხან ირანული ხალიჩასავით ჭრელია და გადაფენილი სხვათა თვალისთვის დასანახად, აღსაქმელია, დაუფარავი. ხან კი „უპასუხო, უხერხული, დასამალავია“. აი, სწორედ ამ „ალოგიკურობის“ გამო არ განიხილავენ პოეტის შემოქმედებას, როგორც აზროვნების პროდუქტს. თუმცა კი, იქნებ სწორედ ასეთივე ცვალებადია სამყაროც და ადამიანიც, როგორადაც ეს პოეტის შემოქმედებაში აირეკლება. ხოლო სტატისტიკური თეორიები კი სცოდავენ როგორც რეალობის, ასევე პოეზიის წინაშე... ლობჯანიძის ლექსები იშვიათად „იმტვრევა“ ნაწილებად. ჭრის სტრიქონების ამორჩევა, ციტირება... როცა რამის თქმა გინდა, ლამისაა, მთლიანი ტექსტის ციტირება გინევს, რადგან უმეტესად ნარატივის ვანყდებით. ეს ან ადამიანის თავგადასავალია, ან თვალსაზრისის, იდეის, ცნების, რომელსაც თავად აგნებს ავტორი და შემდეგ მისი ერთგვარი დასაბუთებითაა გართული. იშვიათად „ისერის“ მოკლე განმარტებებსა თუ მოსხვილ მეტაფორებს. უფრო ტრადიციული ლექსის სტრუქტურას იცავს – მზარდი მუხტითა და ემოციური ფინალით.

თუ მაინცდამაინც გავლენებზე უნდა ვთქვა რამე, ალბათ ყველაზე სწორი იქნება, დავუშვა, რომ მასთან მეტაფორათა ადმოსაგლური ესთეტიკა სჭარბობს. მაგალითად, „წყალმა უკვე აიკეცა მფითის კალთები“. ალბათ სწორედ ეს გავლენაა, რაც განსხვავებული ფერებით ავსებს ლობჯანიძის ლექსებს

და არ ჩანს ის საერთო-საყოველთაო გამა, რაც ჩვენი პოეტების უდიდეს ნაწილს ერთმანეთს და მხოლოდ ერთმანეთს ამსგავსებს. ლობჯანიძის ნერილის დასაწყისში გიორგი ლობჯანიძის პოეტური ლექსიკა და მისი კორექტულობა ვახსენე. მიუხედავად თავისუფლების დიდი ხარისხისა, რომელიც ბოლო წლების ლექსებში აქვს, ის მაინც ბოლომდე ერთგული დარჩა რამდენიმე ათწლეულის წინანდელი სიტყვათმარაგის მიმართ, რაც, მე ვფიქრობ, რომ გადახალისებას საჭიროებს. მაგალითად, „ხელში აპარატი ეყრა“ ან, „ვით მუსიკოსის გრძელი თითები“ და ა.შ. ამგვარ ყავვალასულ სიტყვებს ხანდახან ვანყდები გიორგის ლექსებში და ვფიქრობ, რომ ეს ალბათ იმის გამოა, რომ უფრო მეტად ლიტერატურასთან იხსენება, ვიდრე გარშემოყვებითან. და სიტყვებსაც უფრო მეტად იქიდან იღებს, ვიდრე თანამედროვე ადამიანისგან. ფაქტი ისაა, რომ ამ უცნაური ეკლექტიკით ახალი სამყარო იქმნება – გენმოდიფიცირებული ლექსი – ძველისძველი სიტყვების ახალი სუნთქვით.



გიორგი ლობჯანიძე
არაბულის
მასწავლებელი



„ცრემლიანი სათვალე“ უცრემლოდ

ვეკა ქვენიშვილი

ბოლო ორი კვირაა, გოგი გვახარია „ცრემლიანი სათვალეს“ ვკითხულობ. ამდენ ხანს წიგნის კითხვა ორ შემთხვევაში მიგრძელდება ხოლმე – როცა მინდა, საკითხავი მალე არ „გამომელიოს“ და უბრალოდ, უდროობის გამო, რადგან მე ამ ბოლო დროს სულ მეტროში ვკითხულობ – სამსახურისკენ მიმავალ გზაზე და უკან. ეს დრო კი სულ 40 წუთია აქეთ-იქით. ეტყობა, ჩემი რეაქციები ამ წიგნის კითხვისას იმდენად შესამჩნევია, რომ მგზავრები კისრებს წაიგრძელებენ ხოლმე და ცდილობენ, ჩემი წიგნის ყდას მოჰკრან თვალი. ძირითადად უფრო ვიცინი, რადგან ის ამბები, რაც გოგიმ ამ წიგნში მოგვითხრო, დღეს უფრო სიცილს და რაღაცნაირ შორეულ სევდას იწვევს.

„ცრემლიანი სათვალე“ ჟურნალ „ცხელ შოკოლადში“ წერილების სახით ქვეყნდებოდა რამდენიმე წლის განმავლობაში და როცა გადავანწყებოდი, ვკითხულობდი, თუმცა, „ბაკურ სულაკაურის გამოცემლობაში“ ყველა ეს წერილი-ესე ერთ წიგნში გაერთიანა და ფიქრული, დოკუმენტური პროზის ერთ-ერთი საუკეთესო კრებული გამოვიდა. ზუსტადაც დოკუმენტური პროზის. კი ხშირად ამბობს ავტორი, მწერალი არ ვარ, ამას ისე ვერ აღვწერ და იმას ისე ვერ აღვწერო, მაგრამ ჩემი აზრით ბერძენი ე.წ. მწერალი ვერ დაუდგება კინოცოდნე, ჟურნალისტ გოგი გვახარიას გვერდით. სუბიექტური შეფასებაა, ცხადია, მაგრამ ამ დასკვნამდე რომ მიხვიდეთ, ეს წიგნი ხელში უნდა ჩაიკიდოთ.


როგორი წიგნია იცით, ეს „ცრემლიანი სათვალე“? ყველა რომ შიგნითაა. ბებო და ბაბუა, მათი თაობა, დედ-მამა ძველ ფოტოალბომში შემონახული მათი მეგობრებით, ჯინსებით და მოკლე კაბებით, შენც ხარ ცოტათი... შენ, ანუ თუ იმ დროს დაიბადე, როცა მე... 1979

წელს. და ცოტა მერეც თუ დაიბადე, ასე 1989 წლამდე, მაინც იქნები ამ წიგნში. ხან გეტყვება და ხან გეცინება. ხან ირონიულად გელიმება, ხან თავი გეცოდება, რომ ამ ყველაფრის ნაწილი იყავი. გოგიმ შეძლო სულმოუთქმელად წაგვეკითხა ის, რაც წესით უნდა გეჭულდეს და შეძლო იმიტომ, რომ ზუსტად ისე მოყვა ის ამბები, როგორც ხდებოდა + მისი განუშლურებელი თვითირონიაც. ერთი, რაზეც ვფიქრობდი, რამ დაამახსოვრებინა ამდენი სახელი და ამდენი ფაქტი, ვითომ ჩანაწერებს აკეთებდა? არ ვიცი.

კიდევ „ცრემლიანი სათვალე“ ის წიგნია, რომელიც საქართველოს უახლეს ისტორიას ხან სადღაც, ელიტარულ ბანაკ „არტეკში“ მყოფი ავტორის პირადი თავგადასავლების ფონზე გვიყვება, ხან ბიჭვინთის პლაჟზე აღმოჩნდები, სადაც ჯერ არ ვიცით, როდის ჩავლენ კიდევ ქართველები, ხან პირდაპირ რომელიმე კინოფილმში გიკრავს თავს და იქიდან გაჟურებიანებს, მაგალითად, როგორი ინგრევა საბჭოთა იმპერია და ა.შ. ქართველ სნობებს და „ინწილიგენციას“ შეგახედებს, გაჩვენებს, როგორ იცვლებოდა გემოვნება, ვის რა მოსწონდა, ვინ რას უსმენდა და რა თვლებოდა სირცხვილად და რა ვიცი, ასე ბოლომდე, 399-ე გვერდამდე.

ხო, და კიდევ ერთი მიზეზი, რატომაც არ წავიკითხე „ცრემლიანი სათვალე“ ორ დღეში – ეს არ არის ფინალის წიგნი. აქ ყველა ფურცელი ფინალისთვის კი არა, თავისი თავისთვის არსებობს და არსად გაჩქარებს.

მე კი მიყვარს, როცა სიამოვნება დიდხანს გრძელდება.



იკოპე უენი „უუჟა“

ნინო ხარატიშვილის „უუჟა“ 2010 წლის გერმანულენოვანი წიგნების საუკეთესო ოცეულშია შესული და ამავე წელს ბუდენბროკჰაუსის ლიტერატურული პრემიის მფლობელიცაა. როცა გამოცემლობა „ინტელექტმა“ ქართულად გადმოთარგმნა რომანი თბილისის წიგნის ფესტივალზე პირველად წარუდგინა ქართველ მკითხველს, მაშინ არაერთხელ თქვეს, რომ ნინო გერმანიაში მოღვაწე ქართველი მწერალია. როცა „უუჟა“ წავიკითხე, მაშინვე ის გავიფიქრე, რომ ნინო უკვე დიდი ხანია გერმანული კულტურის ნაწილია. ქართულად მისი ეს რომანი მანანა თანდაშვილმა, ნატალია ნადირაშვილმა და ეკატერინე რაისენერმა თარგმნეს და რომანის კითხვის პროცესში სულ მქონდა განცდა, რომ უცხოურ ლიტერატურას ვკითხულობდი.

„უუჟა“ ჩემთვის „ფინალის“ რომანია, რომლის ყველა გვერდი წავიკითხე იმიტომ, რომ ბოლო, 347-ე გვერდზე მოვხვედრილიყავი და გამეგო, ვინ იყო უუჟა და რა უნდოდა მას. ფინალამდე ვერც კი მივხვდი. რომანის გმირების სხვადასხვანაირი ისტორია და ამ ისტორიების განვითარება შიგადაშიგ კინოსცენარისაღ მავონებდა. ამ წიგნის მიხედვით რომ კინო გადაიქცეოდა, ალბათ, ასეთი იქნებოდა – ბევრი დამოუკიდებელი ნოველა ერთი საერთო ხაზით, რომელიც ფინალში იკრებოდა.

ეს ის რომანია, რომლის კონტექსტიც უნდა იცოდე – „უუჟას“ დაწერას წინ კონკრეტული ამბავიც უძლია. ნინომ თავად მომითხრო, 1950-იან წლებში პარიზში ცხოვრობდა ერთი გოგო, დანიელ სარერა, რომელიც

თურმე ასევე წერდა და რომელმაც 17 წლის ასაკში თავი მოიკლა, მატარებელს შეუფარდა. მისი დღიურები, ათი წლის დავიანებით, მოხვდა ერთ-ერთი მემარცხენე იდეების მქონე გამოცემლობაში და ისინი წიგნად გამოსცეს, რამაც ძალიან დიდი აუიოტაჟი გამოიწვია. საინტერესო ამ ამბავში ის იყო, რომ ეს თვითმკვლელობა, ამ წიგნის გამოსვლის მერე 14-მა ქალმა გაიმეორა. ნინო ამ ამბის დეტალების შეგროვებას შეუდგა. აღმოჩნდა, რომ ბევრი რამ ნამდვილად მომხდარი ფაქტი იყო, მაგრამ ბევრი რამ იყო ისეთი, რასაც ვერაფრით გადაამოწმებდი. ასე იყო თუ ისე, ერთწლიანი კვლევის შედეგად ბევრი მასალა დაგროვდა და „უუჟაც“ დაიწერა. სარერა კი წიგნში სარედ იქცა და მთელი რომანის გმირების ბედი მისი ფატალური ჩანაწერების გარშემო დატრიალდა. ადამიანებისა – სხვადასხვა ქალაქებიდან, კულტურებიდან, სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ეს ხალხი თითქოს სარეს ამბით შეწყობილია და ყველა თავისთვის ცდილობს მიაკვლიოს, ვინ იყო სარე სინამდვილეში, ვინ იყო ის, ვინც ეს საბედისწერო წიგნი დაწერა, რამაც რამდენიმე ქალის სიცოცხლე შეინარა. ამბავიც ამ ძებნა-ძიებაში ვითარდება.

„უუჟა“ კი, როგორც ყველა ამბის გამაერთიანებელი, მხოლოდ რომანის ბოლო ფურცელზე გამოჩნდება და ის ადამიანი აღმოჩნდება, „რომლისთვისაც ღირს ცხოვრება, რომელიც ღირსია, რომ გიყვარდეს და უყვარდე“. და თუ ეს ადამიანი არსებობს, მაშინ გადარჩენაც შესაძლებელია.

„მეც ხომ შემიძლია ვილაღისთვის ისევ გავხვედე უუჟა“, წერს ავტორის ერთ-ერთი გმირი, სახელად „მე“. თუ სურვილია, ალბათ კი. ალბათ კი არა, აუცილებლად.



ოქტაი ქაზუმოვი

ნიკოლო მინიშვილის წერილისა („ფიქრები საქართველოზე“) და ამ წერილზე გამოთქმული მოსაზრებების გაცნობის შემდეგ ერთგვარი უზერეულობის დაძლევის და გამბედაობის შემომატების განწყობილება იჩენს თავს. ეს უზერეულობა ყოველთვის თან ახლავს ისეთი მოსაზრებების გამოთქმას, რომელიც ეხება ეროვნული ენერგიის ავ-კარგანობაზე ერთგვარი დასკვნის გამოტანას – თუ მთლად კარგა იტყვი, მიკრობიოლოგიაში ჩამოგერთმევა, ანდა ობიექტურად ვერ ასცდები პათეტიკას. ამგვარი რამ არც ყველაფრის გამოაშაი ნაკლებ-მოცემული, პირიქით, ერთგვარი ეპატაჟურობითაცაა დაღადაბული. გამოსავალი არც წმინდად მეცნიერულ მსჯელობა-ანალიზშია, რადგან ისიც ე.წ. „მტყუნ-მართლის“ გამოძიებას თუ გააჟვება (და გააჟვება კიდევაც ძალაუფლებურად) საბოლოოდ სასამართლო გადაწყვეტილების მხვას დასკვნას გამოიტანს და მაინც არ იქნება კმასაყოფელი (ეთქვით დაადგინა, რომ ქართველი ერი უნიათო ყოფილა – მერე? ან არ ყოფილა-მერე?)

ის განწყობილებები, რაც ასახულია ნ. მინიშვილის წერილში, იმდროინდელ საქართველოში არახალი რამ იყო. ეს სკეპსისი საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის რუსეთის მიერ ანექსიამ რომ დაკვება, საყოველთაოდ ცნობილია. თუ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ამგვარი ანექსია დროების მუხთლობად იქნა მიჩნეული და აწმყოს გმობის ფონზე წარსულის დიდებულებას შეესხა ზოტბა, მეოცე საუკუნის რეალიზმგამოვლილ მოაზროვნე-შემოქმედებით წრეებში ე.წ. „დაღლილი სისხლის“ კონცეფციამ იჩინა თავი (ამაზე ძალიან კარგად წერს აკ. ბაქრაძე „მწერლობის მოთვინიერებაში“), გამოსავალი კი სხვა, შედარებით „ახალგაზრდა“ ნაციის წარმომადგენლებთან შეუღლებაში დაიგზნა. „ახალი სისხლი“ არა გადაგვარებას, არამედ „ახალ ენერგიას“, ახალ იდეებს, ახალ თვალსაზიერს გულისხმობდა (მთლად მეოცე საუკუნეში თუ არა, „ახალ სისხლზე“ გ. ქიქოძე და გ. რობაქიძე წერდნენ). დღეისათვის ეს „ახალი სისხლი“ რომელიმე განვითარებული თუ მაღალგანვითარებული ქვეყნის გამოქრებებიდან რაღაცის გადმოღებაა ისე, რომ ის „რაღაც“ მაინც უცხოხულად და უცხოხსეულად რჩება ჩვენივის, ე.ი. უზეზად რომ ვთქვათ, „არ მთაოებს“, რასაც შედეგად ჩვენს „ჩამოჩენილობაზე“ მოთმავოღება მოჰყვება და ისევ სკეპსისი დაგვრევს ხელს...

ნიკოლო მინიშვილის უსასიოზა – რაიმე სასიკეთოსი – ვერც თანადროულ ხანაში, ვერც მომავალში

დაგულებამ გამოიწვია და ვერც წარსულმა მოუფონა გულს რაიმე დასაიმედებელით, რადგან მისი აზრით, წარსულში რომ ყოფილიყო რაიმე თვითკმარი (და არა გარედან თავსმოხვეულ-ძულეული), გააზრებულ მოქმედება, მაშინ ლოგიკურად დღეისათვის ასეთი შედეგი არ უნდა გვეწონოდა – როცა კი ვისაც მოესურვება, მაშინ იტაცებს ჩვენს მიწა-წყალს და თან ისე, რომ არც გვეკითხება. აქედან კი ის დასკვნა გამოაქვს, რომ ჩვენი არსებობა შემთხვევითია და სპონტანური, ჩვენ მხოლოდ გადარჩენისათვის ვიბრძვით და კულტურაც შესაბამისად შეზღუდული გვაქვს.

ნიკოლო მინიშვილის „ფიქრები საქართველოზე“ დღესაც არ კარგავს თავის აქტუალურობას. თუმცა, ბევრად თუ არა, მდგომარეობა და ვითარება მაშინდელთან შედარებით უფრო მეტ შესაძლებლობას გვაძლევს. ოღონდ ეგ არის, რამდენად შევძლებთ ახლა უკვე დასავლეთისადმი პროვინციალურად მისწრაფებისაგან (და არა მის უარყოფას) თავის დაღწევას. ჯეშალ ქარჩახდის შეფასებით: „პროვინციალობა, ყოველ შემთხვევაში მისი ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანი, ისაა, კაცს რომ თავისი მოდელი ეთაქილება და სხვისი მოდელიც ცდილობს იცხოვროს“ („ქარაჯანი“ გვ. 406, ქარჩახდის გამოცემლობა, 2013 წ. ო. ქ.).

საკუთარი მოდელის შექმნა კი სულაც არ არის ადვილი, რადგან ამისათვის ფილოსოფიური საფუძვლები უნდა შემზადდეს, ფილოსოფიურ საფუძვლებს კი ზოგადად მსოფლმხედველობა და ამ მსოფლმხედველობის გაფილოსოფიურება ესაჭიროება. ხოლო იმისათვის, რომ ეს ფილოსოფია სიცოცხლურად განვიფინოს, პარალელურად ეკონომიკა უნდა უმაგრებდეს ზურგს. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ისეთი მოდელის და მისგან ბიძგმცემული ისეთი კულტურის შექმნა, რომელიც სხვასაც დაინტერესებს ე.ი. საერთაშორისო გახდება (თუკი კულტურა მაინცდამაინც ამისთვის გვინდა). ერს, რომელსაც საკუთარი მოდელი არ გააჩნია, რა გასაკვირია, რომ სხვისი მოდელით ცდილობდეს ცხოვრებას (ილია ჭავჭავაძე აქტიურად ცდილობდა ასეთი მოდელის შექმნას).

საყოველთაოდ ცნობილია, რომ კულტურა იმდენად ძლიერი, რამდენადაც მომცველობითია. მომცველობითია მაშინ, როცა ეთნიკური ჩარჩოებიდან გავლას და სხვა ერთა აზროვნებაზე გარკვეული გავლენის მოხდენას ახერხებს. ქართული კულტურის ისტორიიდან მრავალი ფაქტის დასახელება შეიძლება,

როცა სხვადასხვა კულტურები ახდენდნენ მასზე გავლენას და პირიქით? აქ მხოლოდ ჰიპოთეზებიან და საუკეთესო შემთხვევაში ერთი-ორი მაგალითის დასახელება შეგვიძლია (აქ არამცდარაზმაც არ იგულისხმებოდა წამოშობით ქართველები, რომლებიც სხვა კულტურებს მსახურობდნენ და მანდ შეჰქონდათ რაღაც ქართული, რადგან ეს არსებითად სხვა მოვლენაა). რატომ? მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ რომ საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ უფრო სხვა ენიდან თარგმნიდნენ ნიგნებს, ვინემ პირუკუ. საინტერესოა, რატომ არ ითარგმნებოდა პარალელურად უცხოურ ენებზე იგივე ქართული ჰაგიოგრაფიის მარგალიტები? („შუშანიკის წამება“ გასაგებ მიზეზთა გამო სომხურად კია ნათარგმნი ძველთაგანვე, მაგრამ ეს ამინდს ვერ ქმნის).

დღეს ქართული ჰაგიოგრაფია მსოფლიოს დანარჩენ ენებზე რომც ითარგმნოს, საეკლესიოების გარდა არავის ყურადღებას არ მიიქცევს (მას საამისოდ თავის დრო ჰქონდა), რადგან თანამედროვე მკითხველი უკვე სხვაგვარ ტექსტებს კითხულობს, ხოლო ჩვენი თანამედროვე მწერლობა მას სათანადო დონეზე არ, ანდა ვერ პასუხობს, იმის გამოისობით, რომ „საკუთარი მოდელი“ ჯერ არ შეუმუშავებია. და მაინც რას მოვიპოვებ „საკუთარ მოდელში“? „საკუთარი მოდელი“ არამც და არამც არ გულისხმობს სხვა მოდელის ნინააღმდეგ გალაშქრებას, გმობასა და მიუთმეტეს გადამტერებას. ეს ერთგვარი გამოცდილებაა, ასე ვთქვათ, ერთგვარი სამყაროული ხედვა და ამ ხედვისკენ ცნობიერი მისწრაფება, რაშიც ერის ინტელექტუალური კონტიგენტი მთლიანად უნდა ჩაერთოს. საქართველოში ასეთ კონსოლიდაციას ვერ ვხედავთ, მხოლოდ სურვილია ილანდება აქა-იქ, რაც უფრო პოლიტიკოსებისაგან გვესმის და ისიც პათეტიკას არ სცილდება. რადგან და ვინაიდან „მოდელზე“ ვლაპარაკობთ, მაშინ ერის იმ თავისებურებებზეც უნდა ვფიქროთ, რომელმაც უნდა დაწერგოს იგი. თუ ერზე ვლაპარაკობთ, მაშინ უნდა დავაზუსტოთ, რას ვგულისხმობთ მასში – მხოლოდ ეთნიკურ ქართველებს? თუ საქართველოს მოქალაქეებს? საქართველოში ურად მხოლოდ ეთნიკური ქართველები ან ქართველად გვარ-სახელგადაკეთებულები მიიჩნევიან, დანარჩენები კი „ეროვნულ უმცირესობად“ აღიქმებიან, რაც მათივე ზრუნვას კი ნიშნავს, მაგრამ ფართო გაგებით შესუდგავა. შესუდგავა იმ გაგებით, რომ მფორეხარისხოვან მოქალაქეებად გრძნობენ თავს, რაც ინტეგრაციისთვის ხელისშემშლელ უშთავრეს ფაქტორთაგანია. ადამიანმა თავი საკუთარ სამშობლოში თუ არ იგრძნო, ის ვერასოდეს გამოადგება მას, ვერ მიიღებს მონაწილეობას მის კულტურულ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ ცხოვრებაში (ყოველთვის ეტყვიან, შენ გაჩუმიდი, აქ ეთნიკური უმრავლესობა (და არა ეროვნული უმრავლესობა) იღებს გადაწყვეტილებას).



ნიკოლოზ მინიშვილი

ევროპულ ფასეულობათაგან ერთ-ერთიც ქვეყნის მოქალაქის იმ ქვეყნის ნაციის წარმომადგენლად (და არა მხოლოდ მოქალაქედ) მიჩნევაა, სადაც შობილა, გაზრდილა და ახლაც ცხოვრობს, მიუხედავად ეთნიკური წარმომავლობისა, მრწამსისა და კანის ფერისა. შესაბამისად, საქართველოში მცხოვრები ყველა ეთნოსი ეროვნებით ქართველი უნდა იყოს (ამ საკითხზე თავის დროზე მწვავე დებატები იმართებოდა, კერძოდ, ჩანერდილი თუ არა პირადობის მონწილეობა ეროვნება). დღეისათვის არც პირადობის მონწილეობა და შესაბამისად არც პასპორტში ეროვნება მითითებული არ არის მეტად საინტერესო ვითარების გამო: 1) ეთნიკური წარმომავლობის მითითება დისკრიმინაციად მიიჩნეის და 2) ყველას ქართველად „მონათველ“ უეზერხულათ საკუთარი ეთნიკური მსოფლმხედველობის ნინაშე. გამოსავლად საერთოდ ამ პუნქტის ამოღება დაიძებნა. შედეგად კი ისევ იმას ვიღებთ, რომ საქართველოს თანამედროვე ისტორიის, კულტურის შექმნაში ეთნიკურად არაქართველები სათანადოდ ვერ თანამონაწილეობენ, ხოლო ისტორიულად ვინც მონაწილეობდა ან სასხვათაშორისოდაა მოხსენიებული, ანდა საერთოდ მოქმედებდა არაიან.

ე.ი. საქართველოს ისტორია აქაც თავის მომცველობას კარგავს, რითაც ქართველობას არა ურად, არამედ ვინორ ეთნიკურ არტახებში განვიხილავთ და მერე გვიკვირს, საერთაშორისო დონის მწერლებით (ნობელიანტებით, ბესტსელერებით ავტორებით და

სხე.) რატომ ვერ ვინონებთ თავს. ამის საპირისპიროდ საქართველოში ინტელექტის ე.წ. გადინებამ დიდი ხანი კატასტროფულ ნიშნულს გადააჭარბა. ჩვენი ტელე-გადაცემები დიდი ხალხისთვის, საზემოდ, მაგალითად სახავენი მოსახლეობისთვის იმ ადამიანებს, რომლებიც ქვეყნიდან წავიდნენ და საზღვარგარეთ მიაღწიეს წარმატებას (არადა, ეს ხომ ტრადიციაა?). ამ პრიზმიდან თუ გავხედოთ, საქართველოს აზერბაიჯანელთა მდგომარეობას ორმაგად სავალალო ვითარება შეეგიძლია უწინდელი. საქართველოში გაზრდილმა ნიჭიერმა აზერბაიჯანელებმა ჯერ კიდევ კომუნისტების დროს დაბრუნეს აქაურობა და მესობელ სახელმწიფოებში განაგრძეს საქმიანობა. მეოცე საუკუნის აზერბაიჯანული კულტურის, ლიტერატურის, მეცნიერების, სპორტისა და პოლიტიკის ძირითადი განმაჯიბრებლები სწორედ ისინი არიან. მათი წასვლით საქართველოს აზერბაიჯანელობას ინტელექტუალურ-მორალური შუქურა გამოეცალა, ხოლო ქვეყანას ისეთი მოაზროვნეები, რომელთა მეშვეობითაც მყარი სახელმწიფოებრივი ცნობიერების შექმნა შეიძლებოდა ეთნიკურ აზერბაიჯანელებში და ინტეგრაციის ყბადაღებული საკითხიც დიდი ხნის განაჭრილი იქნებოდა.

სადღეისოდ, როცა ამო აუცილებლობა ვიგრძენით, განსაკუთრებით კი პოლიტიკაში, დავინყებთ არა მართლაც რომ მოაზროვნე ადამიანების მოძიება (მადლობა ღმერთს, საქართველოში სახელმწიფოებრივად მოაზროვნე აზერბაიჯანელთა რიცხვი დღითიდრე იმატებს), არამედ შევარდნაძის დროს წინ წამოწეულთა ნათესავებს ენიშნავთ შედარებით მაღალ თანამდებობრივ საფეხურებზე (არადა გვაკინებდა, რომ დავით აღმაშენებელმა არა ოჯახის, გვარმშვილობის მიხედვით, არამედ პროგრესული აზროვნებით გამორჩეული პირებით დააკომპლექტა სამოხელეო ინსტიტუტი და ასე მიაღწია წარმატებას).

ნათქვამის საილუსტრაციოდ საქართველოს პარლამენტიც შესანიშნავ მაგალითად გამოდგება. ყოველ არჩევნებზე რამდენიმე აზერბაიჯანელი დეპუტატი მაინც იღებს მანდალს ძირითადად სახელისუფლო პარტიის სიით. მაგრამ ძალზე კომიკური ვითარება კი იქმნება, კერძოდ, არც ერთმა მათგანმა არ იცის ქართული ენა (არსებობენ გამოანაკლებიც, მაგალითად, სამიდან მხოლოდ ერთი აზერბაიჯანული). ეს კი იმას ნიშნავს, რომ კანონების შემუშავებაში მათი უშუალო მონაწილეობა მხოლოდ ხმის მისაცემ პულტზე თითის მიჭერით ამოინერება (ალბათ იმასაც შორიდან ვიღაცა ანიშნებს „ახალა“). შესაბამისად მათი ამომრჩევლების ინტერესებიც არათუ დაცული, არამედ საერთოდ არცაა წარმოდგენილი უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში. ახლა ვიკითხოთ, ასეთ ადამიანებს რა უნდათ პარლამენტში, უფრო სწორედ ასეთები რატომ შეჰყავთ მანდ? – 1) ევროპული თუ საერთაშორისო კონვენციები ითხოვენ ეროვნულ უმ-

ცირესობათა წარმომადგენლების გაპარლამენტარებას და რა ვქნათ? 2) ირჩევენ იმას, ვისაც ფული უკმაყოფილო პირში წყალს დაიგუბებს და თვალში ხმარდება გამოგვეჩხრიტება. გამომდინარე ამ სამი პოსტულატიდან საქართველოს პარლამენტში აზერბაიჯანელი დეპუტატების დამატებით ერთი დანიშნულება კიდევ ენიჭებათ – ნოვრუზ ბაირამობაზე პრემიერ-მინისტრთან ერთად ე.წ. მარნეულში ზეიმზე გამოცხადება ან აზერბაიჯანის რესპუბლიკისთვის ღირსსახსოვარ დღეებში მონაწილეობა და აუცილებლად სიტყვით (სადღეგრძელოთი) გამოსვლა (მაშ როგორ?).

მაგრამ მოაზროვნე ადამიანი თავადაც მიხედება, რომ ეს აზერბაიჯანელი დეპუტატების ბრაზი არ არის. მათ სთავაზობენ და ისინიც ყაზოვდებიან (წინა პარლამენტში ერთი მარნეულელი ყასაბიც ყოფილა ნაციონალების სიაში, მაგრამ სიის თითქმის ბოლოში წერებულა და რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა პარლამენტში ნაციონალური პარტიის რამდენიმე წევრს რაღაც მიზეზით დეპუტატობა შეწყვეტილი, ამისი რიგი დამდგარა. როცა უცნობებით, კაცი იმ დროს დახლთან იდგა და ხორცს ყიდდა თურმე – სიხარულისაგან გული წასვლი).

ახლა ისმის კითხვა: ყოველივე ეს რისი ბრაზია? ისევ და ისევ „საკუთარი მოდელის“ უქონლობასთან მივდივართ და ასეთი სვლით ნიკოლოზ მინიშვილისეული დასკვნების გამოტანას კი წინ არაფერი უდგას.

„ახალი სიხლბი“ ჩემი არაერთ სადღაც წარასულში ან გარეთ საძიებელი კი არაა – საქართველოშია, უბრალოდ როცა ქართველობა ეროვნება გახდება და ამ სახელობს ქვეშ არაეთნიკური ქართველებიც შეძლებენ ქართულ კულტურასა და სახელმწიფოს თავიანთი ნიჭიერებით ემსახურონ და ეს სათანადოდ დაუფასდებათ (მაგალითად, არავის გაუცქირდება მათ მიერ ქართულის ბრწყინვალედ ცოდნა და „მიუხედავად მუსლიმობისა“ თუნდაც ძველი ქართული სულიერების კვლევა), მაშინ ქართული კულტურა ახალი ძალით მომძლავრდება (რადგან ყველა თავისი ეთნიკური კულტურიდან შემოიტანს რაღაც სახალსს) და მომცველობით გახდება. ყოველ შემთხვევაში, ბანიაში კასიმოვის ძალზე საყურადღებო ნათქვამს: „ქართული კულტურა ისეთივე მშობლიური კულტურაა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისთვის, როგორც მათივე ეთნიკური კულტურა“ მხოლოდ იმას დაუუმატებდით რომ – ჯერ არ არის და იმედია, მაღლ იქნება.

ნიკოლოზ მინიშვილმა წერილით „ფიქრები საქართველოზე“ ერთგვარი „საჯილდო კვა“ მოგვცა, რომელსაც ყოველ ათწლიწინაში ერთხელ მაინც უნდა ვუბრუნდებოდეთ და ვებჭოდეთ მასზე.

დეტალის ეშმაკი

(მოკლე კომენტარი ლექსო დორეულის წერილზე „დაჯექი, მკითხველო!“)

პაატა შამუგია

წავიკითხე ჟურნალ „ახალ საუნჯეში“ დაბეჭდილი წერილი „დაჯექი, მკითხველო!“ (ავტორი ლექსო დორეული). ბევრი თვალსაზრისით, საესე და შემოკლებული ტექსტით, თუმცა, რამდენიმე ფაქტობრივი უზუსტობაა „გაპარული“, რაც, ღირს, რომ „დაფიქსირდეს“. ცხადია, ამის აღუნიშნაობით არც წერილის ავტორს ემატება რამე და არც მე მაკლდება, მაგრამ, ვფიქრობ, საქმეში ჩაუხედავი მკითხველისთვის მცირე განმარტება მაინც საჭიროა.

მესმის, რომ წერილი აგებულია გავრცელებული დისკურსების ირონიულ-პაროდულ გადათამაშებაზე (თავად ჩემი ტექნიკაც ასეთ ინსტრუმენტალიზებაზე გულისხმობს), მაგრამ თამაში უქმდება, თუ სამუშაო კოდებს ერთმანეთში ავურევთ (ამის გასაგებად ვიტყვნე შტაინის „ფილოსოფიური გამოკვლევების“ დამოწმება სულაც არაა საჭირო).

თავის მხრივ, კრებული „დაუჯდომელი“ ინტერპრეტაციებისადმი ღიაა, მაგრამ ის არაა ღია უზუსტობებისადმი, ფაქტობრივი შეცდომებისადმი.

ფაქტობრივი შეცდომა №1:

„როცა ქვების აცდენას ვისწავლი და ჩემკენ ნასროლი ლოდებისგან ტაძარს ავაგებ“. პერსპექტივა კი, რომ ის ამას ოდესმე შეძლებს, მეტად საეჭვოა. სამაგიეროდ, მშენებლობის პროცესი უკვე დაუწყია და მას შესაშური წარმატებითაც უძლებს ჩვენი დიდი პოეტიკ-პარაზიტი სევერიონ ნადირაძე: „და მოშურნეთა ნასროლი ქვებით შენდება ჩემი ციხე-სიმაგრე“.

წერილის ავტორი არც ამას სჯერდება და მეტი დამაჯერებლობისთვის სქოლიოში განმარტავს: „დაე, რომელიმე ღვთისნიერმა ბუღალტერმა იმტვიროს იმაზე თავი, რომლის – პაატასა თუ სევერიონის – თავში ჩაისახა პირველად „მტრისგან ნასროლი“ ლოდებითა თუ ქვებით ქართული სურთომოდრეული მემკვიდრეობის გაბედრების ზეიდაისტური იდეა“.

სამწესბაოა, მაგრამ წერილის ავტორმა არ იცის, რომ ეს „მშენებლობა“ ქართული წარმოებისა არაა და ინტერნეტში რომ დაეძებნა, იმდენ „ფირმა“ ავტოს იპოვდა, თითებიც არ ეყოფოდა სათვლელად, სულ რომ ოთხხელა ბრაჰმა ყოფილიყო. ნასროლი „ლოდებისგან ციხესიმაგრის აგება“ ცნობილი ფრთხილი ფრაზაა, იმდენად ცნობილი, რომ ფეხბურთის მწვრთნელი მავანი ხოსე მაურინიოც კი იყენებს ინტერვიუში. „build a Castle with all the stones being thrown at me“ – უცხოელ მწერლებში

ამ ფრაზას უამრავგან ნახავთ სხვადასხვა ვარიანტით, მათ შორის, ქართულად თარგმნილ ავტორებშიც მემშვედრია ოდნავ სახეცვლილად. ამ გაცვეთილი ფრაზის შემოტანა (ლოდისგან ციხესიმაგრის, ჩემს შემთხვევაში – ტაძრის აგება), ცხადია, გარკვეულ კონცეფციას ემსახურება, თუმცა, აქ საკუთარი ლექსის სტრუქტურალისტურ ანალიზს არ გავყვები.

ფაქტობრივი შეცდომა №2:

„თომას იკოსი 4“ კი, სადაც პაატა შამუგია მაღლობს უზბის უფალს იმისთვის, რომ „თეოსოფიამ დაამტკიცა, რომ უფალი არ არსებობს“ ასევე ნასესხებია. ეს წინააღმდეგობრივ-ირონიული იდეა ოდნავი ლინგვისტური სახეცვლილებით აქვს გამოთქმული ლუის ბუნუელს სიტყვებით: „მაღლობა მღერის, ათეისტი ვარ“.

ისევ ფაქტობრივი უზუსტობა: სამწესბაოა, რომ ავტორი ჟურნალური ფრაზით მსჯელობს. სინამდვილეში, ეს არის ბერნარდ შოუს საეიზიჭო ფრაზა და არა ლუის ბუნუელის (სულ მცირე, ნახევარი საუკუნით დაასწრო ბუნუელს). ბუნუელმა ის, უბრალოდ, გამოიყენა, ისევე, როგორც მე.

ფაქტობრივი შეცდომა №3:

„ნიგნის სათაური სრულიად შეუსაბამოა მის ფორმა-შინაართან: „აკათისტო“ (ბერძ. Akathistos), ანუ დაუჯდომელი აუცილებლად გულისხმობს კონკრეტულად ღვთისმშობლის მავედრებელ ხოტბას და მის კრებულს (იხ. რამაზ ჭილაი „ლიტერატურათმცოდნეობა“).

ის, რომ „დაუჯდომელი აუცილებლად გულისხმობს კონკრეტულად ღვთისმშობლის მავედრებელ ხოტბას და მის კრებულს“ – შეცდომაა! პირველი დაუჯდომელი მემშვედრე საუკუნეში შეიქმნა და დაიხავე, ღვთისმშობელს ეძღვნებოდა, მაგრამ მის შემდეგ უამრავი კანონიკური დაუჯდომელია დაწერილი. არსებობს იესოს დაუჯდომელი, მეფე თამარის დაუჯდომელი, წმინდა ნიკოლოზის დაუჯდომელი, პეტრეს და პავლეს დაუჯდომელი და ა.შ.

კიდევ არის სხვა წერილმანი შეცდომებიც, მაგრამ მათ აღარ შევყვები. მეტიც: ვფიქრობ, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, ეს ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო წერილია, რაც ჩემზე დაწერილია (თუ ამ უზუსტობებს არ ჩავთვლით) და სიამოვნებითაც ჩავიკითხე თავის დროზე. უბრალოდ, მეტი ყურადღება წერილმანებს. გშაბკი, როგორც ბრძენი ქართველი პოლიტიკოსი, ცნობილი გამოთქმის კვალდაკვალ, იტყოდა, დეტალეზშია.

ჟან ჟენეს გზა

ბეჭე ყორობა



„ფრენის ციხე, 1942“ – ასე მთავრდება ჟან ჟენეს სადებიუტო რომანი „ნოტრ-დამ-დე-ფლერი“, რომელიც ქართულად დავით კახაბერმა თარგმნა. ამ ნაწარმოებმა საზოგადოების მყისიერი რეაქცია გამოიწვია. „ნოტრ-დამ-დე-ფლერი“ გალხლავთ ფრანგული ტრანსგრესიული არტის ერთ-ერთი გამორჩეული ნიმუში. მისი თვითრეფლექსიური ბუნება უახლოვდება პოსტსტრუქტურალისტურ სანყისებს. შეიძლება დადასტურებით ითქვას, რომ ჟან ჟენე არის ბერნარ მაზოს, პიერ ტილმანის, ოლივიე პერელეს და მე-20 საუკუნის სხვა მნიშვნელოვანი არტისტების წინამორბედი. ამ ნაწარმოების გამოქვეყნების შემდეგ საზოგადოების აზრი ორად გაიყო: ერთნი თვლიდნენ, რომ ჟენე გარყვნილი, ამაზრზენი და უნიჭო ეპატიჟისტია, რომელმაც გადაწყვიტა სოციალური გაღიზიანებით პოპულარიზების მოპოვება. ამ აზრს თავიდანვე უარყოფდნენ და საპირისპიროს დამტკიცებას ცდილობდნენ ჟ. კოქტო და ჟან პოლ სარტრი, კოქტომ ჟენეს თანამედროვეობის მნიშვნელოვანი მწერალიც კი უწოდა.

ლაფორგი „ნოტრ-დამ-დე-ფლერის“ ფაბულაში გამოყოფს ოთხ მნიშვნელოვან ელემენტს 1) სურვილის პოეტურობა 2) სიუჟეტის იგავურობა 3) ეროსის გრამატიკა 4) ჰაგიოგრაფია და პოეზია. ნაწარმოები გაშუქებულია ინტროსპექტიული, თვითდაკვირვებისა და თვითანალიზის რაკურსით.

ჟან ჟენე პირველად მისი მინი-პოემა „სიკვდილისჯილი“ გავიყვანი. ეს პოეტური ტექსტი მან თავისი მეგობრის, მორის პილორჟის, ოცი წლის მკვლელის სსოგნას მიუძღვნა, რომელიც სიკვდილით დასაჯეს. „სიკვდილ-

ისჯილი“ ქართულად ვასილ გულეერმა და თამარ კოტრიკაძემ თარგმნეს (იხ. „ახალი საუწყვე“ N1(9), მარტი, 2014 წ.). ჟენე ამ პოემაშიც თავისი ტრადიციული თემატიკის ერთგული რჩება და მწვეფედ სვამს სექსუალური იდენტობის საკითხს. როგორც ჩანს, მორის პილორჟისადმი მისი დამოკიდებულება, მხოლოდ მეგობრობით არ შემოიფარგლებოდა:

„არ მეშინია, ბატონებო! სულ მალე, ვატყობ შენს თავთან ერთად გააგორებს ჩემს თავს ჯალათი, ის ბედნიერი ჩაგორდება შენთან კალათში, მოგეხუტება მხრებზე, ჩემო პატარა ბარტყო.“

და შემდეგ:

„დაე, აჟღერდეს სიმღერები, ხელი არ ახლო, შენს ბოშურ გულში; მინყალობე თუნდ ერთი კოცნა... ო, ღმერთო, სული ამოხდება იმ წუთში, როცა ვერ მიგიხუტებ გულთან ან ჩემს ასოსთან ახლოს!“

„სიკვდილისჯილი“, ჩემი აზრით, ტრადიციული დატვირთვის პოეზიის რეკონსტრუირებული ვერსიაა. ავტორი ისე შეუმჩნევლად გადადის სარკასტულ-ირონიული ტონიდან ტრაგიკულ პასაჟებზე, რომ რთულია მათ შორის ზღვარის გავლება. ჟან ჟენე თვლიდა, რომ ჰომოსექსუალიზმი ბუნებრივი მოვლენაა, და, რომ არაფერია მასში განსაკუთრებული, მით უმეტეს პერვერსიული. „მე ჰომოსექსუალი ვარ. რატომ და როგორ? – უაზრო კითხვებია. ეს იგივეა, იკითხო, რატომ მაქვს მწვანე თვალები? – ამბობდა ჟენე. ვფიქრობ, სწორედ ესაა მისი შემოქმედების ქვეყნუფიდი, მისი ინდივიდუალობის მთავარი განმსაზღვრელი წინაპირობა.

„ქარების ვარდი ამ კედელზე ვინ ამოკანრა? უნგრეთის მხრიდან, ვინ ხედავდა ჩემს სახლში სიზმრებს? ვინ წრიალებდა დამპალ თოვის პატარა ზეინზე, გაღვიძებისას მეგობრები რომ ედგა თვალწინ?“

ბოდაში შეეცმნი ჯოჯოხეთის ლამაზ სანახებს, ჯარისკაცებით დასახლებულს, ჩემდა ნუგეზად, ნელამდე მიშვლებს, ყვავილები შარვლის უბეში რომ გაეზრდებათ და სურნელით თავბრუს დამახვევს."

ჟენე ყოველთვის ტოვებს მკითხველისთვის თავისუფალ საარსებო სივრცეს, რათა ამ უკანასკნელმაც მიიღოს მონაწილეობა ნაწარმოების ქმნალობის პროცესში, გახდეს კონცენიალური. ვფიქრობ, არაფერია გასაკვირი იმაში, რომ მკითხველმა „სიკვდილისჯილს“ სწორი რაკურსით ვერ შეხედოს, რადგან ავტორის მიერ მამაკაცური სიყვარულის მსგავსი ქება და შემდეგ მისი მკვეთრი და ნათელი ეროტიული სიუჟეტებით გადმოცემა, ცოტა არ იყოს უცხოა და მიუღებელი, თუნდაც ისეთ ტოლერანტული საზოგადოების მქონე ქვეყანაში, როგორიც საფრანგეთია. ქართულ ლიტერატურულ სივრცეში კი ეს თემატიკა დიდი ხანია სხვა თემებისგან ტრანსცენდენტულად დგას და შეიძლება ითქვას, ტაბუდადებულიც კია.

ჩემთვის ძალიან საინტერესო აღმოჩნდა ჟენეს ერთი მოკლემეტრაჟიანი ფილმი „Un chant d'amour“, ანუ „სიყვარულის სიმღერა“. ამ ფილმმა ცენზურის „წყალობით“ ფართო მასებამდე ვერ მიაღწია. ეს არის 25 წუთიანი ჰორნოგრაფიული ფილმი. ჩემი აზრით, „სიკვდილისჯილს“ და ამ ფილმს ერთი ძირითადი ფაბულა აქვთ, ანუ ჩონჩხი, რომელზეც შემდეგ სიუჟეტი დაშენდა. „სიყვარულის სიმღერაში“ მოქმედება ვითარდება ციხეში. ამ ფილმის გადაღებაში დიდი წვლილი მიუძღვით ჟან კოკტოს, სიმონ ფიშერ-ტურნერსა და ნიკოლას პაპატაკისის. ფილმში ნაჩვენებია ჟან ჟენეს ერთ-ერთი რეალური ისტორია. ორ გვერდიგვერდ არსებულ საკანში ორი ჰომოსექსუალი დამნაშავეა, აქედან ერთ-ერთი ჟან ჟენე, მეორე კი თუნისელი ემიგრანტი. ერთ-ერთ კადრში ჟენე კედელზე რამდენჯერმე აკაკუნებს, ის ამით თავის თუნისელ რჩეულს რაღაცას ანიშნებს. ხმის გაგონებისთანავე თუნისელი მიდის კედელთან და მას ზაგვითი ეხება. ამ დროს მათ

კარის ჭჭურუტანიდან ბადრავი უთვალისწინებლად, ის ხან ჟენეს საკანს აკვირდება, ხან თუნისელი ემიგრანტისას. ჟენე ჩაღობს „მიღწეს“ კედლის მცირე ხვრელში აძვრენს, სივრცეს ნაუკიდებს და ამ მილის დახმარებით მსუბუქ „ნაფაზებს“ თუნისელს უგზავნის, ისიც თავის მხრივ იგივეს აკეთებს. ეს არის მათი ურთიერთობის ერთადერთი საშუალება:

„სერიოზული და მდუმარე სახით, მოდიან შენთან, ბავშვო, რომ გამოსტაცონ

შენს ზაგეს ერთი სურნელოვანი, ერთი ყლუპი, ან ორი წვეთი შენი ენიდან ჩამოღერილი ხვეული კვამლის“

ჟენესა და ტუნისელი ემიგრანტის სექსუალური ფანტაზიები ერთმანეთს ემთხვევა, თითქმის მათ ერთმანეთის გონებაში შავლენისო. ფილმში საგულისხმოა, „ყვავილების თაიგულის“ სიუჟეტი, რომელიც პატიმრებს შორის არსებული უკმარი ურთიერთობის მეტონიმიური სახეა. ხის ტოტზე ასხმული პატარა, თეთრი ყვავილები შავ ფონზე ნელა ირნევა, კადრში ჩანს ხელი, რომელიც მის დაჭერას ამაოდ ცდილობს და ყოველ ჯერზე ის უსხლტება. ფილმის საფინალო სცენაში კი ზემომოთყვანილი სიუჟეტი იხსნება – ორი მეზობელი საკნიდან პატიმრების ხელებია გამოშვებული, ერთ-ერთს ხელში სწორედ ეს ყვავილები თაიგული უჭირავს და გვერდითა საკნისკენ იწვდის და მეორე პატიმარს გადასცემს. ესეც, როგორც „ნაფაზების“ გაცვლის სიუჟეტი, ფიზიკური ურთიერთობის ალტერნატივად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

ჟან ჟენეს რომანი „ნოტრ-დამ-დე-ფლერიც“ მორის პილონეს ეძღვნება. „მორის პილონეი რომ არ ყოფილიყო, რომლის სიკვდილმაც საბოლოოდ გამიმწარა სიცოცხლე, ამ წიგნს არასოდეს დავენდრი. იგი მის სსოვნას ეძღვნება“ – წერს ჟან ჟენე. ეს არის პოეტური რომანი, რომელიც მნიშვნელოვანწილად ავტობიოგრაფიულია, აღწერილია პარიზელ მარგინალთა, კრიმინალთა ყოფა-ცხოვრება, დანახული 16 წლის მოზარდის თვალთ, რომელიც ქურდობისთვის იყო გასამართლებული. სარტრმა ამ ნაწარმოებს „მასტურბაციის ეპიკა“ უწოდა. ნაწარმოების სიუჟეტი იმდენად რთული და ჩახლართულია, რომ მარტივი ნამდვილად არ არის, მკითხველმა სინქრონულად მიადევნოს თვალი განვითარებულ მოვლენებს. ხშირად მინედა ან უკვე ნაკითხულ





ჟან ჟენე და ალენ გინსბერგი

გვერდებს თავიდან მიგრუნებოდი, რათა კა-
ზუსური მდგომარეობიდან გამოვსულიყავი.

ნანარმოებში რამდენიმე მთავარი პერსონ-
აჟია, მათ შორის დივინი (ფრ. ლეოპოლდოვი).
ის ერთი ძველი სახლის სხვენზე ცხოვრობს,
რომელიც მონმარტრის სასაფლაოს გადაჰყუ-
რებს. „ამ მონმარტრული დიდი მანსარდის
პატარა ფანჯრიდან, საკუთარი ხელით შეკ-
ერილი მუსლინის ფარდებს შუა დარჩენილი
ღრიჭოდან დივინი თვალს ადევნებს მშვიდი
და ლურჯი ზღვის ზედაპირზე მოტივტივე
თეთრ აკვნებს...“ დივინი აქ ხშირად ერთობა
უცხო მამაკაცებთან ერთად. ერთ-ერთი მათ-
განი არის მინიონი, რომელსაც დივინი ყვე-
ლაზე კარგად შეეწყო. ავტორი მინიონს ვა-
ცლავ ნიჟინსკის ადარებს, რუს მოცეკვავესა
და ბალეტმეისტერს. ერთ დღესაც მინიონს
სახლში ნოტრ-დამ-დე-ფლერი, ახალგაზრდა
მკვლელი მოჰყავს და დივინს აცნობს. სწორედ
მათ შორის დამყარებულ ურთიერთობებზეა
ნანარმოები აგებული.

ნოტრ-დამ-დე ფლერი მკვლელია, რომელ-
იც ციხეში მოხუცი კაცის მკვლელობის
გამო მოხვდა. ჟან ჟენე ხატავს „ყვავილების
ღვთისმშობლის“ ფსიქოლოგიურ პორტრეტს,
როცა მას უკვე მოკლული ჰყავს მოხუცი კაცი
და ჯერ კიდევ აფექტურ მდგომარეობაშია,
გულის რევის შეგრძნება აქვს, ფიზიკურ ზიზ-
ღს გრძნობს, ისეთს, ჩვეულებრივი მკვლე-
ლები რომ განიცდიან ხოლმე თავისი მსხვერპ-
ლის მიმართ მკვლელობის პირველ საათებში –
„მკვდარი ძლიერია. თქვენი მკვდარი თქვენში
შემოვიდა: თქვენს სისხლს შეერია, თქვენს
ძარღვებში ჩქეფს; თქვენი კანის ფორებიდან
ჟონავს, თქვენი გული მისით ისე იკვებება,
როგორც მიცვალებულთა გვამებიდან აღ-
მოცენებული სასაფლაოს ყვავილები...“

„ნოტრ-დამ-დე-ფლერი“ პოეტური პრო-
ზაა. ჟენეს მიერ დახატული თითოეული კადრი
მკითხველის ფანტაზიაში ცოცხლდება. ჟენეს
ამ ნანარმოებში მკითხველამდე იმ ბინძური
და ამაზრზენი რეალობის მიტანა სურდა,
რომელშიც მას უწევდა არსებობა: – „სევდა,
რომელიც კვალდაკვალ მომდევს, ბევრი რამ-
ით იმ ადამიანს მამსგავსებს, გემის დაღუპვი-
სას ცოცხალი რომ დარჩა. დაინახავს თუ არა
იალქანს პორიზონტზე, თავი უკვე გადარჩე-
ნილი ჰგონია, მაგრამ უცბად გაახსენდება,
რომ მისი ჭოგრიტის მინას დეფექტი აქვს –
დაორთქლილი ადგილი ზუსტად იმ იალქნის
ზომისაა, რომელიც მოეჩვენა, რომ დაინახა“.



კადრები ფილმიდან „სიყვარულის სიმღერა“

5

ახალი თარგმანები



იმპერატორული უწყება

ფრანც კაკა

იმპერატორმა – თქმულებაში ასეა ნათქვამი – შენ – ერთეულს, შენ – უბადრუკ ქვეშევრდომს, შენ – იმპერატორულ მზეს უშორესში განრიდებულ პანანინა ჩრდილს – სწორედ რომ შენ გამოგზავნა იმპერატორმა უწყება სასიკვდილო სარეცელიდან. მაცნე საწოლის წინ დააჩოქა და შენზედ საუწყებელი ყურში ძალიან ჩუმად ჩაუზურჩულა. ეს იმდენად მნიშვნელოვანი იყო მისთვის, რომ მოსმენილი მაცნეს ისევ ყურთანვე გაამეორებინა. თავის დაკვრით დაუშონმა ნათქვამის სისწორე. და თავისი სიკვდილის დამსწრე მაყურებელთა მთელი ერთობის თვალწინ – ყველა ხელისშემშლელი კედელი ჩამოშლილ იქნა და სულ ერთიანად აზანზარებულ კიბეებზე რკალად იმპერიის დიდებულინი განლაგდნენ – მათ ყველას თვალწინ დაითხოვა იმპერატორმა მაცნე. მაცნე კი უმაღლესად გახდა; ღონიერი, დაუღალავი კაცი; ხან ერთი, ხანაც მეორე წინ გაშვერილი მკლავით მიიკვლევს გზას ზღვა ხალხში; წინააღმდეგობას როცა აწყდება, თავის მკერდზე გამოსახულ მზის ნიშანზე მიუთითებს; მასავით იოლად ვერავინ გაიკვლევს გზას; მაგრამ დიდია რიცხვი მოსახლეობისა; ბოლო არ უნახა მათ საცხოვრისებს. მის წინ თავისუფალი სივრცე რომ გაშლილიყო, გამოფორინდებოდა შენსკენ და მალე კიდევ გაიგონებდი მისი მუშტების აბრეშოვითფანებელ დარტყმებს შენ კარზე; მაგრამ, ნაცვლად ამისა, როგორ უშედეგოდ ირჯება ის. ჯერაც ყველაზე შიგნით მდებარე სასახლის ოთახებში მიიკვლევს გზას. ვერასოდეს გადავა ის ამ ოთახებს; და თუ გამოუვა მას ეს ყველაფერი, ამით ზომ მაინც ჯერ არაფერი იქნება მიღწეული. ქვევითკენ კიბეები ექნებოდა დასაძლევით – და რომც დაძლიოს, ეს მაინც არას არგებს, რადგანაც ეზოები ხალხით იქნებოდა ძალიან გადაჭედილი. ეზოების შემდეგ კი მეორე, გარე სასახლე; და კვლავაც კიბეები და ეზოები; და კიდევ ერთი სასახლე და ასე – უსასრულო ათასწლეულების მანძილზე; და მოხდა ისე, რომ ბოლოს და ბოლოს გაძვრა ყველაზე გარეთ მდებარე კარიბჭები – მაგრამ ეს ვერც ვერასოდეს, ვერასოდეს მოხდება – მის წინაშე სატახტო ქალაქია განფენილი – სამყაროს შუაგული, თავიდან ბოლომდე თავის ლექში რომ ჩაძირულა. აქ ვერავინ გაიკვლევს გზას, მით უფრო მკვდრის უწყებით – შენ კი ზიხარ შენი ფანჯრის წინ და შენ კი ზიხარ შენი ფანჯრის წინ და ის [უწყება] გეიმედება, როცა საღამო დგება.

კანონის წინ

კანონის წინ დგას კარის მცველი. კარის ამ მცველ-თან მოღის ერთი კაცი სოფლიდან და სიბოვს კანონთან შეუშვას. მაგრამ კარის მცველი კაცს ეუბნება, რომ ამ დროისთვის მისი იქ შემგება ვერ მოხერხდება. კაცი მოი-ფიქრებს და მცველს ჰკითხავს, შესაძლებელი თუ იქნე-ბოდა მისი იქ მოგვანებით და შესება. „შესაძლებელია“ – მოუცხვს კარის მცველი – „მხოლოდ ახლა არა“. კარიბჭე კანონისკენ მიმავალ გზაზე როგორც ყოველთვის ღიაა და როცა მცველი გვერდზე გაიწევა, კაცი ნაიხრება, რომ შიგნით შეიხედოს. კარის მცველი შენიშნავს კაცის ამ ქმედებას, სიცოცხლის იწყებს და მიმართავს – „შენ თუ ეს ასე გიზიდავს, სცადე და შედი შიგნით, მოუხედავად ჩემი აკრძალვისა, მაგრამ გაითვალისწინე – მე ძალაუ-ფლებით ვარ სახეს. და მე ყველაზე უკან მდგომარ კარის მცველი ვარ. დარბაზიდან დარბაზში დგანან სხვა კარის მცველები, ერთიმეორეზე უფრო ყოვლისშემძლეები. უკვე მესამე მცველს კი მეც ვერ ვესწორებ თვალს.“ ასეთ სიტყვებს თუ წაანგდებოდა, სოფლიდან მოსულ კაცს ნამდვილად არ ეგონა. კანონი ხომ ყოველთვის და ყველასთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი – ფიქრობს ის; მაგრამ ახლა უკვე, როცა ის მცველს ქურჭზე აკვირდე-ბა, აკვირდება მის დიდ, წვეტიან ცხვირს, გრძელ, თხელ, შავ ტარტაროზულ წვერს, გადანყვეტს, უმჯობესია დაიცადოს იმ დრომდე, სანამ შესვლაზე ნებართვას არ მიიღებს. კარის მცველი მას ტაბურეტს გასწვამებს და კართან დასვამს. იქ ზის ის მრავალი წლის განმავლობა-ში. მცველობებს არ აკლებს, რომ იქნებ როგორღაც შე-ვიდნენ ბოგნით და მცველს დაღლაზედ ემუდარებოდა. მცვე-ლი არცერთ ისე იმეითადა ბატარა დაკითხვებს უწყობს; გამოკითხავს მის სამშობლოზე და ბევრ სხვაზე; მაგრამ შეკითხვები სულ არ ჰგავს ისეთ შეკითხვებს, რომლებ-საც დიადი ბატონები იძლევიან ხოლმე. სულ ბოლოს-თვის კი მცველი კაცს ყოველთვის ეუბნება, რომ მას მისი კანონთან შეშვება არ შეუძლია. კაცი, რომელსაც რაღა არ ნაშეუღია თან სამგზავროდ, ყველაფერს დიწ-ბულის გამოყენებას ცდილობს, რათა იქნებ როგორღაც მოქრთამოს კარის მცველი. ეს უკანასკნელი კი იღებს ყველაფერს და თან ეუბნება – „მე ამას მხოლოდ იმი-ტომ ვიღებ, რომ შენ არ გეგონოს, ძალისხმევა დააკე-ლო.“ წლების განმავლობაში აკვირდება კაცი მცველს; თითქმის თვალმოუცილებლად ადევნებს თვალიყურს. ის ივიწყებს ყველა იმ დანარჩენ კარის მცველს და ეს ერთი ჰგონია ერთადერთი დამოკლები კანონისკენ მიმავალ გზაზე. პირველ წლებში ხმამაღლა და ანგარიშგაუწე-ლად შეარჩევნებს უიღბლო შემთხვევითობას, შემდეგ კი როცა უკვე თანდათან ხანში შედის, მხოლოდღა ბურ-ტყუნებს თავისთვის რაღაცებს. სრულიად ბავშვური ხდება, როცა მცველზე დიდი ხნის დაკვირვების შემ-დეგ ის მისი ქურქის საყელიზე რწყილებს შენიშნავს და ახლა უკვე რწყილებს ევედრება, რომ როგორღაც იქნებ

დაიყოლიონ მცველი. ბოლოს მისი მხედველობა ძალიან სუსტდება და უკვე აღარც კი იცის, მის გარშემო მჭრელ-ლა ჩამოწვება ხოლმე ბინდი თუ ეს მისი დაქვეითებული მხედველობის ბრალია. მაგრამ ახლა უკვე წყვილადმე ის ნათლად შეიცნობს კარიდან გამომავალ ჩაუქმრალ ბრწყინვალეებს. დიდხანს ვეღარც ცოცხლობს. სიკვდი-ლამდე კი ყველა ის შეკითხვა იყრის თავს მის გონებაში, რომლებიც კარის მცველისთვის აქამდე არც დაუსვამს. სუსტად იმეზუმნება მცველის მიმართულებით, რად-გან უკვე აღარ ძალუძს თავისი გამუმეზუბული სხეულის ნამომართვა. კარის მცველს მისკენ დახრა უღდება, რად-გან სხვაობა მათ სხეულებს შორის არასასარბილოდ კაცისად მომხდარა. „ახლა კიდევ რაღა გინდა, რომ იცოდე?“ ეკითხება მცველი. „შენ, ხომ ვერაფერზე და-გამაყოფილა.“ ყველაზე ხომ კანონისკენ მიიღვითან“ – ამბობს კაცი „და როგორ ხდება, რომ ამდენი წლის განმავლობაში ჩემ გარდა არავის უთხოვია იქ შესვლა?“ კარის მცველი შენიშნავს სა, რომ კაცი უკვე სულს და-ფავს და რათა სანამ ცნობიერება დაუკარგავს მას ხმა მიანდვინოს, იბღაულებს რაც ძალი და ღონე აქვს – „აქ არც არავის შეეძლო, რომ შესულყოფი, რადგან ეს შესასვლელი მხოლოდ შენთვის იყო გამიზნული. ახლა კი მივალ და ჩაერბაზე მას.“

მე მიცვალებულებთან ვიყავი სტუმრად

მე მიცვალებულებთან ვიყავი სტუმრად. ეს იყო უზარმაზარი, უხადლოდ დასუფთავებული ძვალთ-შესალაგი. რამდენიმე კუბო უკვე მიეტანათ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც იყო იქ ბევრი თავისუფალი ადგილი დარჩენილი. ორი სასახლე ღია მოჩანდა. ორივე ისე გამოიყურებოდა, როგორც თეთრეულაშლილი სა-წოლები, რომლებიდანაც ეს-ესაა წამომდგომიყვინენ. ცოტა სხვა მხარეს საწერი მაგიდა იჯდა, ის, რომ მე ის იმ წამზე არ შემიშინავს. ერთი კაცი, ღონიერი სხ-ეულით, იჯდა ამ მაგიდის უკან. მარჯვენა ხელში ბუშ-ბული მოემგებებინა. ჩანდა, რაღაცის წერა დაწერე-და სწორედ რომ ახლახან შეწყვეტა. მარჯვენა ხელს თილეტზე დაათამაშებდა, რომელზეც ჯიბის საათის ძე-წკვი უღლავდა. თავი კი მაგიდასთან, ქვევით დაეხარა. იქვე მოსამსახურე ქალბატონი ხვეტდა, თუმცა გა-მოსახებტ არაფერი იყო. რაღაც ცნობისმოყვარეობა შემიპყრო და მოსამსახურეს თავსაბურაზე მოვქაჩე, რომელიც მას სახეს მთლიანად უჩრდილავდა. მხოლოდ ახლა მომიცა საშუალება მეხილა იგი სრულიად. ის იყო ერთი ებრაელი გოგონა, რომელსაც, იყო დრო, ვიც-ნობდი. გოგოს მრავალი, თეთრი პირისაზე ჰქონდა და ვინრო, შეუქი თვალები. როცა გოგონამ სახეზე შემო-ხვეული ძონძებიდან გამიღიმა, ავდექი და მივმართე:

– თქვენ აქ რაღაცას მასხარაობთ, არა?
– „დაიხ“ – იყო პასუხი. – „ცოტათი! ხომ ხედავ კიდევ?“ – მითხრა მან და თან მაგიდასთან მჯდომ კაცზე მიმითითა – ესლა კი მიდი და მიესალმე იმ კაცს. ის ბატონია აქ. სანამ შენ მას არ მისალმებიხარ, კაცმა რომ თქვას, მე არც მაქვს უფლება შენთან საუბრის.

– მერე არის ის? – ვიკითხე ხმადაბლა.
– ერთი ფრანგი დიდგვაროვანია – მითხრა გოგომ – „dePoitin“ ჰქვია.

– აქ საიდან გაჩნდა?
– არ ვიცი – თქვა გოგომ. – ჩვენთან რაღაც უსაშველო არეულობაა. ჩვენ ველოდებით ისეთს, ვისაც ყველაფრის ნესრიგში მოყვანა შეუძლია. ხარ შენ ასეთი?

– არა, არა – ვთქვი მე.
– მეტად ჭკვიანურია – აღნიშნა გოგომ – ჰო, კარგი. ახლა კი მიდი ბატონთან და მიესალმე მას.

მე მივედი კაცთან და ქედი მოვიხარე მის წინაშე. მას თავი მაღლა არც აუწევია. მე კი მხოლოდ მისი გაჩეჩილი თმის დანახვა შევეძლო.

„საღამო მშვიდობისა“ – მივესალმე, მაგრამ ის აღგოლიდან მაინც არ იძროდა.

უცბად პატარა კატამ დაიწყო ბზრილი მაგიდის კიდეებთან. ის ფორმით ბატონის კალთიდან გადმოხტარს უფრო ჰგავდა და ნამსევი საღვაც გაუჩინარდა. იქნებ კაციც აქ პაციონდებოდა საათის ძენკვს, არამედ მზერა მაგიდის ქვეშ მიეპარათა.

მე კი ეს-ესაა უნდა დამეწყო იმის ახსნა, თუ რა მიზეზით ვიყავი იქ მისული, რომ ჩემმა ნაცნობმა გოგონამ სამოსზე მომიქაჩა და ჩაიწურა: „კარგი, გეყოფათ, საკმარისია“.

ამით მე ძალიან ეპაყოფილი დავრჩი, შეგვტრიალდი მისკენ და ჩვენ ხელიხელაკიდებულეებმა განვაგრძეთ გზა მიცვალებულთა საუფლოში.

ცოცხი მანუხებდა.

– „მოიშორე ეგ ცოცხი“ – ვუთხარი მე.

„ო, არა, გთხოვ“ – შემეხვენა გოგო – „გთხოვ, დამრთე ნება მქონდეს ის მე. ვერ ამჩნევ, რომ აქაურობის სისუფთავეში მოყვანა საერთოდ არ მიძნელებს? ის კი არა და მე ამისგან გარკვეულ დადებით შედეგებსაც კი ვიღებ, რაზეც უარს ვერ ვიტყვი. საერთოდაც, დარჩები შენ აქ?“ – შემეკითხა გოგონა, რათა იქნებ ჩემი ყურადღება სხვა რამეზე გადაეტანა.

მე გავი საამოვნებით ვრჩები – მიუგე ნელა.

ერთმანეთს მხრებით ვეკროდი და ისე, როგორც რომელიმე შეყვარებული წყვილი, განვაგრძობდით სვლას.

– დარჩი, გთხოვ, დარჩი – ამბობდა გოგო – როგორ მენატრებოდა მე შენ. იცი, აქ ისეთი ცუდიც არაა, შენ რომ ფიქრობ და იქნებ გემინია კიდევ. რაში გვადარდებს, როგორი იქნება ჩვენ ირგვლივ გარემო.

ცოტა ხანი მივიდიოდით მდუმარედ. მერე ერთმანეთს გადავეჭედეთ.

სვლა მთავარი გზით განვაგრძეთ. მარჯვნივ და მარცხნივ სასახლეები ელაგა. სივრცე, სადაც ჩვენ მივედით აბიჯებდით ძალიან დიდი იყო, ყოველ შემთხვევაში ძალიან გრძელი.

სიბნელე იყო, მაგრამ არა სრულიად. ბინდებუნი მცირედზე განათებულია ხოლმე იქ, სადაც ჩვენ ვიყავით და პატარა წრეს ქმნიდა ჩვენ ირგვლივ.

უეცრად გოგონა შედგა და ასეთი რამ თქვა:

– მიდი, მე შენ ჩემს კუბოს გაჩვენებ.

ამ ნათქვამზე გამაოცა.

– შენ ხომ კვდარი არ ხარ – ვუთხარი მე.

– არა – იყო პასუხი. – მაგრამ სიმართლე რომ ვთქვა, მე აქ ვერაფერში ვერკვევი – თქვა მან – ამიტომაც ვარ მე მოხარული, მიხარია, შენ რომ მოხვედი. სულ ცოტა ხანში ყველაფერს თავად მიხვდები. ახლა კი, უკვე, შენ ალბათ ყველაფერს უფრო ნათლად ხედავ ვიდრე მე. მოკლედ რომ ვთქვათ – ასეა თუ ისე – მე ჩასასვენებლად მიქვს.

მარჯვნივ მხარეს გადავუხვიეთ და სხვა გზას დავადექით – კვლავ სასახლეებს შორის გვიხდებოდა სვლა. ეს ყველაფერი მაგონებდა ლენის სარდაფს, რომელიც ერთხელ ვიხილე.

არსებულ გზაზე ჩვენ ერთ პატარა, ალბათ სულ რაღაც ერთი მეტრი სიგანის, ჩქარა მორაკრავე ნაკადულს გადავწყდით. შემდეგ კი, მალევე, გოგონას ჩასასვენებლთან აღმოჩენილ კუბო ძალიან ლამაზი, მაქსანეინი ბალიშებით იყო განწყობილი.

გოგონა მიჩაგა და არა თუ ზედაპირითი საჩვენებელი თითით, მან მე თავისკენ მხარით უფრო მიმოიხიდა. საყვარელო გოგონავ – თქვი მე, თავსაბურავი გადავუწიე და ხელი ფაფუკ თმებში შევეცურე. მე ჯერ არ შემიძლია შენთან დარჩენა. ამ საუფლოში ერთი ისეთი ვიღაც არის, ვისთანაც უნდა დავილაპარაკო. გინდა, დამეხმარე. ერთად მოვეძებნით ის.

– შენ მას უნდა ელაპარაკო? აქ ხომ არანაირი ვალდებულება არ არსებობს ამის გაკეთების?

– კი მაგრამ, მე აქაური არ ვარ.

– გნამს, რომ შენ ამ საქმეში წარმატება გექნება?

– რა თქმა უნდა – ვთქვი მე.

– მით უფრო არ უნდა დაკარგო მაშინ დრო – მითხრა გოგომ.

შემდეგ ბალიშის ქვეშ ხელი შეყო და იქიდან პერანგი გამოაძვრინა.

ეს ჩემი კვართია, მითხრა და თვალწინ ამიფრიალა.

– მაგრამ მე არ ვატარებ მას.



¹ თარგმანი ფრანგულიდან: მთავრის ნათებთ

უკედურად ყოფნა

როცა ყოფა უკვე აუტანელი გახდა – საღამოსკენ, ერთხელ, ნოემბერში. როცა ოთახში, მე ვინრო ფარდაგზე ისე, როგორც სარბენ ბლიკზე აქეთ-იქეთ დარბობდი – შემინებული, გაჩირალდებული ქუჩის შემხედვარე; ისევ მოგბრუნდი და სარკეში არეკოლლ ოთახის სიღრმეში ახალი მიზანი დავისახე და მთელი არსებით ვიყვირო, რომ მხოლოდ ყვირილი გამეგონა, რომელსაც არაფერი ეპასუხება, რომელსაც არაფერი ახშობს, რომელიც ზევით მიწიწევს მიუხედავად მოქმედი საპირწონე ძალისა და არც ჩერდება, მაშინაც კი, როცა ის მიიჩქმალება კიდევ; სწორედ მაშინ, პირდაპირ კედლიდან გამოიღო კარი, ისე ნარქარევად, რადგან სიჩქარე ასე საჭირო იყო და თავად ეტელე შებმული ცხენებიც კი ქვევით, ქვევნილად, ისე, როგორც გააფთხებულები რომელიმე ორთაბრძოლაში, გლანდებგადმოგდებულები ფეხზე წამოიყალყნენ.

მოდოდა ბავშვი, როგორც პატარა მოჩვენება, სრულიად ჩაბნელებულ კორიდორში, სადაც სანათი ჯერ კიდევ არ აენითოთ და უეცრად თითისწვერებით შეშტა თითქმის შეუმჩნეველად ამოძრავებულ, ხის ფიჭრულ იატაკზე. ოთახიდან გამოსულმა დაისის ნათებაში გააბაო სიბნელე და წამით მას თვალში მოსჭრა. ის-ის იყო სახე ხელებში უნდა ჩაერგო, რომ მოულოდნელად დაშმუშდნა, როცა ფანჯარას თვალი მოჰქრა და დაინახა, თუ როგორი შიანთია, როგორც ექნა, წვედიადმა ქუჩის ნისლეული ნათელი. ლანდი მარჯვენა იდაყვით კედელს მიყრდნობილი დადგა ღია კართან და გარედან მონახერ სის წვივები, ყელი და საფეთქლები ნახად მოუშვია.

მე მას გავხედე, შემდეგ მივსალამე – „გამარჯობა!“ და იქვე ბუზრის წინ მიფენილ ჩემს ტანისამოსს დავწვდი, რადგან არ მინდოდა ნახევრად შიშველი ვმდგარიყავი იქ. წამით პირი გავაღე, რათა ალელეგება პირიდან გამომეშვა. ცული გემო მქონდა ჩარჩენილი; სახეზე, თვალებთან ნაწმამები მიცახცახებდა. მოკლედ რომ ვთქვათ, ახლა აღარაფერი მაკლდა გარდა ამ სტუმრობისა, რომელიც ყველანაირად ვიცოდი, რომ შედგებოდა.

ბავშვი კიდევ კედელთან იდგა – ისევ იმ ადგილას. მარჯვენა ხელით კედელს აკეროდა და სიამოვნებისგან ლოყებმეფაკლული, თეთრად შებათქაშებული კედლის ხორკლიან ზედაპირს თითის წვერებით ეხებოდა.

– თქვენ ჩემთან უნდა მოსულიყავით? რაიმე შეცდომა ხომ არ არის? შეცდომები ამ დიდ სახლში ხშირად ხდება. მე მქვია ესა და ეს. მესამე სართულზე ვცხოვრობ. ანუ ის ვარ, ვინც თქვენ უნდა გენახათ? – ვიკითხე მე.

– წყნარად, წყნარად! – ჩალაპარაკა ზურგს უკან ბავშვმა. – ყველაფერი ზუსტად ისეა, როგორც უნდა იყოს.

– შემოდით მაშინ შიგნით, ოთახში. კარი მინდა ჩაკეცო.

– კარი ეს-ესაა დაკეცილ. არ შეწუხდით. და საერთოდ დაეშმუშდით რა.

– სხვანაირად არ გამოვიტო – ვთქვი მე უკვე წინააღმდეგობაზე ბევრი ადამიანი ცხოვრობს; რა თქმა უნდა, ყველანი ჩემი ნაცნობები არიან. ბევრი მათგანი ახლა სამსახურიდან ბრუნდება. როცა ისინი ოთახში ლაპარაკს გაიგონებენ, მოადგებიან და ჰგონიათ, უფლებათა აქეთ გამოსხსნან კარი და შემოიხედონ შიგნით, რათა გააჩვიონ ოთახში რა ხდება. ერთხელ უკვე მოხდა ასე. ამ ხალხს ყოველდღიური სამუშაო მომთავერებული აქვს, საღამოს კი ვის უნდა გაუწიონ კონტროლი? თქვენც ხომ იცით, რა და როგორ ხდება. დამახურონით რა კარი.

– რა ხდება, რა ამბავია? ჩემ გამო, ახლა აქ, მთელი სამოსახლო მოვა? და კიდევ ერთხელ გიმეორებთ: კარი უკვე დაკეცილ. არ გჯერათ? თუ გგონიათ, მარტო თქვენ შეგიძლიათ კარის დახურვა? ის კი არა და საკეცითაც კი ჩაფარა თქვენ.

– მაშინ კარგია. მეტი მეც არაფერი მინდოდა. საკეცით ჩაკეცვა კი არც იყო საჭირო და ახლა, რადგანაც მოხვედით, მოეწყვეთ თქვენს გემოზე. თქვენ ჩემი სტუმარი ხართ. სრულიად მომენდით. შიშის გარეშე მომინაურდით. მე თქვენ ძალას არ დაგატანთ – არც აქ დარჩენას გაიძულებთ და არც აქედან წასვლას. რა, ეს ყველაფერი მაინცადამაინც უნდა მეთქვა? ასე ცუდად მიცნობთ?


– არა, თქვენ ეს, რა თქმა უნდა, არ უნდა გეთქვათ. მეტიც: საერთოდ არც იყავით ვალდებული, რომ რაიმე გეთქვათ. მე ბავშვი ვარ. ამდენ ახსნა-განმარტებას რატომ იძლევი?

– ეს ძალიან ცუდიც არაა ალბათ. ბავშვი? ჰო, ბავშვი. მაგრამ ისე პატარაც არ ხართ. უკვე გაზრდილხართ კიდევ. უფრო მოზრდილი გოგონა რომ ყოფილიყავით, ასე იოლად არც უნდა გამოკეტილიყავით ჩემთან ერთად ოთახში.

– მაგ საკითხზე ფიქრით თავს ნუ შევიწუხებთ. ერთს ვიტყვით: ის ფაქტი, რომ მე თქვენ კარგად გიცნობთ, ისეთს არაფერს განაპირობებს. უბრალოდ, ალბათ, ცო-



ფრანც კაფკას სახლ-მუზეუმი პრაღაში



ტაოდენ ნაგვრთმევით იმის სურვილი, რომ მე რაღაც მომატყურო; მაგრამ მიუხედავად ამ ყველაფრისა, თქვენ მაინც დგახართ და მამკობთ ქაინაურუბით. მიატოვეთ ეს ქმედება, მე მოვითხოვ ამას თქვენგან – მიატოვეთ! მე ალბათ თქვენ კარგად ვერ მცნობიხართ, მით უფრო, ამ წყვილადიძე ველარ გარჩეეთ. უმჯობესი იქნებოდა ოთახი გაგნათეგინათ. ისე, არც ეგ არის საჭირო. მე ისედაც უკვე ვიგრძენი, რომ თქვენ მე მემუტყრებით.

– რა? კარგი რა, რა მუქარა?! ისე მოხარული ვარ, რომ თქვენ როგორც იქნა აქ ხართ. მე ვამბობ „როგორც იქნა“, რადგან ეს უკვე ისე დაგვიანებულია. მე ისიც არ მესმის, რატომ მოხვედით ასე დაგვიანებით. შესაძლოა, სიხარულისგან არეულად გელაპარაკეთ და თქვენც ეს პირდაპირ ასე გავიგეთ. მე ვაღიარებ, იქნებ გემუტყრებოდით კიდევ, იყოს ასე. მაგრამ ღვთის გულისათვის – ოღონდ არ ვიხსუბით! ისე, როგორ შეგეძლოთ ეს დაგეგმვებინათ? როგორ შეგეძლოთ თქვენ ჩემთვის გული მოგეტყუათ? რატომ გინდათ ეს თქვენი, სულ მცირე ხნით აქ ყოფნა, ყველანაირად ჩამაშაშაოთ? უცხო ადამიანი უფრო მოწყალე იქნებოდა, ვიდრე ეს თქვენ ხართ.

– ასეც ვიცოდეთ, სიბრძნის არანაირი ნიშანწყალი რომ არ გაგაჩნდიათ. მე მთელი ჩემი ბუნებით უფრო ახლოს ვარ თქვენთან, ვიდრე ვინმე უცხო, სხვა. ეს თქვენც იცით და რაღას მოსთქვამთ? თქვით, რომ ახლა აქ კომედიის გათამაშებას ათერბთ და სპექტაკლს დგამთ და მე თვალის დახამამებაში გაგბუნდები აქედან.“

– ასე ხომ? ანუ ამის თქვასაც შეეძათ თქვენ ჩემთვის, ასე უტყობდრ? თქვენ რაღაც ძალიან გამითამამდით. სხვა თუ არაფერი, თქვენ ჩემს ოთახში ხართ. საკუთარ თითს ჩემს კედელზე, როგორც შეშლილი, ისე დაატარებთ. ეს ჩემი ოთახია, ეს ჩემი კედელია. და კიდევ, რასაც თქვენ ამბობთ ეს არა მარტო სამარცხვინო, – სასაცილოცაა. თქვენ იტყვით, ეს თქვენმა ბუნებამ გაიტყუათ, ასე გელაპარაკეთ ჩემთან, ხომ? მართლა? ეს თქვენი ბუნება გაიტყულებთ ამას? სასიამოვნოა თქვენი ბუნებისგან! თქვენი ბუნება ხომ იგივე ჩემი ბუნებაა და თუ მე მეგობრულად, თავაზიანად მოგექცევით, თქვენც სხვანაირი არ უნდა იყოთ.

– ეს თავაზიანი საქციელია?
– მე წინანდელზე გეუბნებით.
– იცით კი, მე როგორი გავხდები, დრო რომ გავა?
– არაფერი არ ვიცი.

ვთქვ და სიბნელეში მაგიდასთან მივედი. სანთელი ავანთე.

მაშინ არც გახი, არც ელექტრონათება არ მქონდა ოთახში. რამდენიმე ხანი მაგიდასთან ვიჯექი, სანამ ჯდომისგან არ დავიღალე. მოსასხამი მოვიტვი, სავარძლოდან ქუდი ავიღე, სანთელი ჩავაქრე და გარეთეკნ გავემართე. გასვლისას სავარძლის ფეხს წამოვედი.

გარეთ, კიბეზე, ჩემივე სართლის მდგომარე შევხედი.

– ისეც სადღაც მიყიალებთ, არაფრის მაქნისო? –

თქვა მან, თან კიბეზე გაჩაჩხულ ფეხებს დავეყრდნო და ცოლად დაისვენა.

– განა რას მიბრძანებთ, რა უნდა მექნა? – გასცხა.

– თქვენ ამას ისეთი უკმაყოფილებით მეუბნებით, თითქოს წვინაში თმა გეპოვნოთ.

– თქვენც გეხუმრებთ, მაგრამ არ იცით, მოჩვენებაცაა და მოჩვენებაც.

– სრული სიმართლეა. მაგრამ რას იტყვით მაშინ, თუ მოჩვენებების არ მჯერა?

– თქვენ რა, გგონიათ, მე მჯერა? მაგრამ ეს არდაჯერებაც რამეში ნამადგება?

– კი, რა თქმა უნდა. ეცდებით დაძლიოთ შიში, თუ მოჩვენება თქვენთან ნამდვილად მოვა.

– ჰო, მაგრამ ეგ შიში უკვე ნამდვილი შიში აღარ იქნება, ის იქნება მეორეხარისხოვანი. საერთოდ, რეალური შიში მოვლენის ქმედებისგანა განპირობებული. და ასეთი შიში დიდხანს აღარ გტოვებს. სწორედაც რომ მაგ შიშით ვარ ახლა მე მთლიანად მოცული – ვთქვი ეს და თან ნერვიულობისგან ყველა ჯიბის გადასინჯვა დავიწყე.

– აჰ, მაშინ თუ თქვენ თავად ამ მოვლენისგან შიში არ დაგუფლებიათ, შეგეძლოთ მშვიდად გეკითხათ, თუ რატომ იყო ის აქ საერთოდ მოსული!

– გატყობთ, თქვენ არასდროს გილაპარაკებთ მოჩვენებასთან. მისგან სიმართლეს ადამიანი ვერასდროს შეიტყობს. ისინი განუწყვეტლოდ იხრებიან ხან იქით, ხან აქეთ. ეგ მოჩვენებით თავიანთ არსებობაში მგონი ჩვენზე უფრო მეტადაც კი ორჭოფობენ.

– მე მსმენია, რომ მათი გამოკვება შეიძლება.

– სწორად გსმენიათ. შესაძლებელია; მაგრამ ეგეთ რამეს ვინ გააკეთებს?

– რატომაც არა? თუ მოჩვენება მაგალითად მდებრობითი სქესისა... – თქვა მან და ერთი კიბით ზევით ავიდა.

– ჰო, არა? მაგრამ მაგ შემთხვევაშიც არ ღირს – ვუთხარი მე.

უცბად გამოვერკევი. ჩემი ნაცნობი უკვე ისე ზევით ასულიყო, რომ ჩემს დასანახად სადარბაზოს მოაჯირზე უნდა გადამოედგა უფრო.

– და მიუხედავად ამ ყველაფრისა, – ვიყვირე მე, – თუ თქვენ იქ, მაღლა, ჩემს მოჩვენებას დააფრთხოთ, ჩვენ შორის ურთიერთობა სამუდამოდ გაწყდება.

– ეს მხოლოდ ხუმრობა იყო – თქვა მან და თავი ჩაულა.

– მაშინ, ძალიან კარგი – მივუხე მე.

ახლა უკვე მშვიდად შემეძლო სასიყვრონოდ ნასვლა, მაგრამ რადგან თავს ასე უღალად ვგრძნობდი, ვამჯობინე – ნავედი ზევით და დასაძინებლად დავნექი.

გერმანულიდან თარგმნა დავით კირკიტაძემ

ლექსები ნიგნიდან

„ყვავი. მისი ცხოვრება და სიმღერები“

ტედ ჰიუზი (1930 – 1998), გასული საუკუნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინგლისელი პოეტი, ოცამდე პოეტური კრებულის ავტორია, თუმცა მის ყველაზე კითხვად წიგნად დღემდე რჩება 1970 წელს გამოცემული „ყვავი. მისი ცხოვრება და სიმღერები“ (Crow: From the life and the songs of the crow).



ნიგნის პირველი ცამეტი ლექსი ამერიკელი სკულპტორისა და მხატვრის, ლეონარდ ბასკინის თხოვნით დაიწერა, რომელმაც 1965 წელს შექმნა გრაფიკული ნამუშევრების ციკლი „ყვავი“. ეს იყო მელნითა და ტუშით შესრულებული ცამეტი ნახატი, ყვავის ცამეტი პოზა – ცამეტი სხვადასხვა რაკურსით. იდეა ნასაზრდოები იყო ამერიკელი პოეტის, უოლეს სტივენსის ქრესტომათიული ლექსით *Thirteen ways of looking at a blackbird* (ცამეტნაირად დანახული შავი).

ბასკინს უნდოდა, ჰიუზს თითოეული ნახატისათვის შეეთხზა ერთგვარი ტექსტური ილუსტრაცია, თუმცა შედეგი – პოეტის მიერ დაწერილი ლექსები – მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა მხატვრის პირვანდელი ჩანაფიქრისგან. ეს იყო არა უბრალოდ ამა თუ იმ ნახატის პოეტურ-მექანიკური კომენტარი, არამედ ცამეტი სრულფასოვანი ლექსი, თავისი სათაურითა და სიუჟეტით, რომლებსაც, გარდა საზიარო პერსონაჟისა, არაფერი ჰქონდათ საერთო ბასკინის ნახატებთან.

სწორედ ამ პროექტმა მისცა ბიძგი ვრცელი ეპიკური ნარატივის იდეას, უჩვეულო ლირიკული იგავების ციკლს, რომლის ცენტრალური პერსონაჟიცა და ფაბულაც იგივეა, რაც ბასკინთან: ყვავი – სხვადასხვა რაკურსით; თუმცა ტექსტში, ნახატებისგან განსხვავებით, ეიზულური რაკურსი, ხედვის კუთხე, ჩანაცვლებულია რელიგიური, ფილოსოფიური და ისტორიული კონტექსტებით.

ცალკეული ლექსებით თითქმის შეუძლებელია თუნდაც მიახლოებითი შთაბეჭდილების შექმნა ამ ნიგნის შესახებ. მითუმეტეს, რომ თითქმის ყოველი ლექსი საგანგებო განმარტებებს საჭიროებს. თავად ჰიუზი ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა „ყვავის“ კომენტარებული გამოცემის იდეას. მიუხედავად ამისა, XX საუკუნეში იმეათათა პოეტური კრებული, რომელსაც იმდენი კვლევა თუ მონოგრაფია მიეძღვნა, რამდენიც „ყვავს“.

P.S.: მზადდება ნიგნის სრული თარგმანი, რომელსაც, წინასწარი შეთანხმებით, 2015 წელს გამოსცემს გამომცემლობა „ინტელექტი“.



პირველად იყო ჩხავილი
რომელმაც შვა სისხლი
რომელმაც შვა თვალი
რომელმაც შვა შიში
რომელმაც შვა ძვალი
რომელმაც შვა გრანიტი
რომელმაც შვა ია
რომელმაც შვა გიტარა
რომელმაც შვა ოფლი
რომელმაც შვა ადამი
რომელმაც შვა მარიამი
რომელმაც შვა ღმერთი
რომელმაც შვა არაფერი
რომელმაც შვა არასოდეს
არასოდეს არასოდეს არასოდეს

რომელმაც შვა ყვავი

რომელიც მისჩხავის სისხლს
მატლებს, პურის ნაფშენებს
ყველაფერს

მოცახცახე უბუმბულო იდაყვები სკლინტიან ბუდეში



გამოცდა საშვილოსნოს კართან

ვის ეკუთვნის ეს გალუული პატარა ფეხები? სიკვდილს.
ვის ეკუთვნის ეს გაღინდლული დამწვარი სახე? სიკვდილს.
ვის ეკუთვნის ეს ჯერ კიდევ მომუშავე ფილტვები? სიკვდილს.
ვის ეკუთვნის ეს მოქნილი კუნთები? სიკვდილს.
ვის ეკუთვნის ეს საზარელი ნაწლავები? სიკვდილს.
ვის ეკუთვნის ეს საეჭვო გონება? სიკვდილს.
ეს უწმინდური სისხლი? სიკვდილს.
ეს ახლომხედველი თვალები? სიკვდილს.
ეს ღვარძლიანი პატარა ენა? სიკვდილს.
ეს მუდმივი უძილობა? სიკვდილს.

გებოდა თუ მოიპარე, თუ სარგებლობ დროებით?
დროებით.

ვის ეკუთვნის ნაწივმარი, ქვიანი მიწა? სიკვდილს.
ვის ეკუთვნის სამყარო? სიკვდილს.

ვინ არის იმედზე ძლიერი? სიკვდილი.
ვინ არის ნებისყოფაზე ძლიერი? სიკვდილი.
სიყვარულზე ძლიერი? სიკვდილი.
სიცოცხლეზე ძლიერი? სიკვდილი.

მაგრამ ვინ არის სიკვდილზე ძლიერი?
მე, ცხადია.

მიბრძანდი, ყვაგო.

გაგვური ცეცხლი

ქალის და კაცის სხეულები იწვნენ უძრავად.
უსაქმობისგან ამთენარებდნენ, თვალეზს უმიზნოდ აცეცებდნენ, უსურვილონი
იწვნენ ედემის ყვავილნარში.
ღმერთი ფიქრობდა.

პრობლემა იყო ისე დიდი, რომ ღმერთს ჩასთვლიმა.

ყვავს გაეცინა.
მან გახლიჩა ჭიანჭველა, ერთადერთი ძე ღმერთისა,
ორ ნაწილად, და ორივე იკლაკნებოდა.

კაცს ჩაუწერგა უკანა ნაწილი
კუდით შიგნით, ნახლეჩით გარეთ.

წინა ნაწილი, თავით შიგნით, ქალს ჩაუწერგა.
ის შესრიალდა ღრმად და ზემოთ,
რათა მისი თვალებიდან გამოეხედა
და მეორე ნახევრისთვის დაეძახა: ჩქარა, ჩქარა,
მე აქ ამტკიცდა.

კაცს გაეღვიძა, და მას რაღაც მიათრევდა ბალახებში.
ქალს გაეღვიძა, რომ ეხილა მისი მოსულა.
რაღაც უკვე მომხდარიყო. რა, არ იცოდნენ.

ღმერთი თვლემდა.

ყვაგი იცინოდა.



ყვავის პირველი გაგვითილი

ღმერთს უნდოდა, ესწავლებინა ყვავისთვის სიტყვები.
„სიყვარული“ – ბრძანა ღმერთმა – „თქვი, სიყვარული“.
ყვავმა დაიჩხავლა, თეთრი ზვიგენი ჩაჰვარდა ზღვაში
და დაეშვა ფსკერისაკენ საკუთარი სიღრმის საკვლევად.

„არა, არა“ – ბრძანა ღმერთმა – „მოინდომე. თქვი, სიყვარული“.
ყვავმა დაიჩხავლა, და ქინქლი, ცეცე, კოლო
დაპატარავდნენ და ჩაცვივდნენ
მოშიშხინე ხორცის ტაფებში.

„ბოლო ცდაა“ – ბრძანა ღმერთმა – „მიდი, სიყვარული“.
ყვაგი მოიკუნტა, დაიჩხავლა, არწყია

და გიგანტური კაცის თავი, უტანო, თვალეზადამბული,
ამოგორდა მინიდან ბოლქვევით,
უკმაყოფილოდ მობუზლუნე –

ყვავმა არწყია მეორევერ, ვიდრე ღმერთი მოასწრებდა მის შეჩერებას.
ქალის ვულვა შემოეჭდო კაცის კისერს და დავიწროვდა.
და გაჩაღდა მათშორის ბრძოლა.
ღმერთი ცდილობდა გაშეელებას, ლანძღავდა, მოსთქვამდა –

დარცხენილი ყვავი გაფრინდა.

ყვავი ყვავა

ყვავმა დაინახა მთების ჯოგი, რომელსაც ორთქლი სდიოდა დილით.
და დაინახა ბნელი ხორკლი
ზღვის, რომელსაც დედამიწა მოექცია თავის მარყუჟში.
დაინახა ვარსკვლავები, მათი კვამლი სიმაღლეში, გამქრალი ტყის სოკოები,
ღრუბლისფერი მათი სპორები, ღმერთის
ვირუსი.

ქმნილებით თავზარდაცემული, აკანკალდა.

პალუცინაციურ, შემზარავ ხილვებში
მან დაინახა ფეხსაცმელი ლანჩის გარეშე, წვიმით გაჟღენთილი –
ის ეგდო ჭაობში.
დაინახა სანაგვე ურნა, ჟანგისაგან შეჭმული ფსკერით,
ქარის სათამაშო, ტალახში ჩაფლული.

და შავი პალტო ბნელი სახლის ბნელ ოთახში, ბნელ კარადაში.
და დაინახა კაცის სახე სიგარეტით, ბნელ ფანჯარასთან.
ფანჯრის გარეთ მზე ქრებოდა, შიგნით – ღუმელი.

სახესთან ხელი, უმოძრაო.

ხელთან – ფინჯანი.

ყვავმა თვლები დახუჭა და გაახილა. არაფერი შეიცვალა.

ის სამხილებს დაჰყურებდა.

არაფერი გამქრალიყო (ვერც გაქრებოდა).



ყვავის ესიის ბუდის კაპუნი პარზი

ყვავიმა გახედა დედამინას, მთაგრეხილების გროვას.
და ახედა ჭუჭყიან ზეცას, რომელიც ილტვოდა
საკუთარი საზღვრების მიღმა.
დახედა ფერხითი პატარა ლელეს,
სათადარიგო მოტორივით მოთუხთუხეს,
მარადისობის მექანიზმზე მიერთებულს.

წარმოიდგინა ურთულესი ინჟინერია
დანადგარის, მისი მართვის, მომსახურების –
და თავი იგრძნო უსუსურად.

მან მოწყვითა ბალახი და დააჩერდა,
ელოდა პირველ მითითებებს.
მან შეისწავლა ქვა ლელეში.
იპოვა მკვდარი თხუნელა და დაანანევრა,
დააჩერდა მისი ხორცის დაფლეთებს და თავი იგრძნო უსუსურად.
ის დადიოდა, დადიოდა
და ვარსკვლავებით მოჭდილი გამჭვირვალე სივრცეები
ყალბად წუოდნენ მის ყურებში.

მაგრამ წინასწარმეტყველება იყო მასში და ამტკიცებდა:
მე ამ ყველაფერს გაეზომავე და ყველაფერზე გაეზატონდები
და მის შიგნით აღმოვჩნდები
როგორც ჩემივე სიცილის შიგნით
აღარ ვუყურებ მას გარედან
ჩემი თვალების გათოშილი სატუსალოს კედლებიდან
სისხლიანი სიშავის საკნიდან

რადგან წინასწარმეტყველება იყო მასში, როგორც ზამბარა,
და თანდათან იშლებოდნენ ბედისწერის ხვეულები.

ყვავის დაცემა


როცა ყვავი იყო თეთრი, მან დაასკვნა, რომ მზე იყო ზედმეტად თეთრი.
მან დაასკვნა, რომ მზე ბრწყინავს ზედმეტად თეთრად.
მან გადაწყვიტა თავდასხმა და გამარჯვება.

მან მოიკრიბა მთელი ძალა და ბრწყინვალება.
მან კლანჭებში მოიქცია საკუთარი მრისხანება და ზემოთ ატყორცნა.
მან დაუმიზნა ნისკარტი მზეს.

მან სიცილით აღიგზნო გული

და შეუტია.

მისი საბრძოლო ყიჟინისგან ხეები დაბერდნენ,
გაბრტყელდნენ ჩრდილები.



In the little girl's angry gaze
Crows lost every feather
In the little boy's wandering eyes
Crows were sailing
In the little girl's passion
Crows' bowsels set in the dust
In the little boy's hair crows
Crows became an unrecognizable egg
Crows got under the bareness, capitulated
To nothingness eyes closed
Let these infants not grow through the Universe

მზე კი ბრწყინავდა –
და დაბრუნდა ყვავი უკან, ოღონდ შავი, როგორც ნახშირი.

პირი დაალო, და მისი ხმაც იყო შავი, როგორც ნახშირი.

„ჰეი თქვენ, ზემოთ“, დაიჩხავლა,
„სადაც თეთრი შავია და შავი – თეთრი, მე გავიმარჯვე“.

უბედურება

აღწევდნენ ახალ-ახალი ამბები სიტყვაზე.
ყვავი ხედავდა, რომ ის კლავდა ადამიანებს. მაღიანად მიირთმევდა.
ხედავდა, როგორ ასწორებდა
მინასთან ქალაქებს. ისევ და ისევ მაღიანად მიირთმევდა.
ყვავი თვალს არ აშორებდა.
ხედავდა, სიტყვის ცხელი სუნთქვა როგორ წვავდა სახელმწიფოებს
და მხოლოდ ფერფლი რჩებოდა მათგან.
ახლოს მიფრინდა, რათა უკეთ დაენახა.

სიტყვა, ნერწყვებდადენილი ვეება პირი,
უყურებო და უთვალეზო.
ყვავი ხედავდა, როგორ წოვდა იგი ქალაქებს,
ლოღინდა, როგორც ღორის ძუძუებს.
როგორ შთანთქავდა ადამიანებს,
ვიდრე ყველას შეირგებდა,
ვიდრე ყველას მოინელებდა.

გაუმადლარი, ის ცდილობდა ვეება პირში
მოექცია დედამინა, როგორც გიგანტურ სალამურას,
და ეცადა მისი ჩაყლაპვა.

მაგრამ თანდათან სუსტდებოდა.
ხალხის გარდა, ველარაფერს ინელებდა.
მოიკუწდა, დანაოჭდა, გამოიფიტა,
ჩანვა –
როგორც დამპალი სოკო.
როგორც გუბე, დარჩენილი დამშრალი ტბიდან.
დასრულდა მისი ბატონობა.
დარჩა უდაბნო, ხრიოკი და მოფენილი
დედამინის ბინადართა კაშკაშა ძვლებით,

რომელთა შორის დადის ყვავი, შთაგონებული.



ყვავის თეოლოგია

ყვავი დარწმუნდა, რომ ღმერთს უყვარს.
თორემ აქამდე მოკვდებოდა.
ეს დამტკიცდა.

ყოფს უგდებდა, მონუსხული, თავის გულისცემას.

ყვავი დარწმუნდა, რომ ღმერთი მეტყველებს ყვავით –
ყოველივე არსებული მისით ითქმება.

მაგრამ

რალაცას უყვარდა ქვებიც, და მეტყველებდა ქვებით.
აკი ისინიც არსებობდნენ.

რალაც უთუოდ მეტყველებდა უცნაური დუმილით, რომელიც
მოსდევდა მისი კლანჭების ფხაჭუნს.

ან რას უნდა ყვარებოდა ის გილზეები,
რომლებიც ცვიოდნენ სხვა ყვავების ფიტულებიდან?
რა მეტყველებდა ტყვიის დუმილით?

ყვავი მიხვდა, რომ არსებობს ორი ღმერთი –

ერთი მათგანი მეორეზე ბევრად დიდია,
რომელსაც უყვარს თავისი მტრები,
რომელიც ფლობს ყველა იარაღს.

ყვავი მიდის სანადიროდ

ყვავმა

გადაწყვიტა, ეცადა სიტყვები.

წარმოიდგინა რამდენიმე სიტყვა საქმისთვის, მშენიერი არჩევანი –
თვალნათელები, ჟღერადები, დამჯერებები,
ჯანმრთელი კბილებით.
მათზე ჯიშინს ვერც ინატრებდი.

მან მოუთითა კურდღლისაკენ და სიტყვები დაედევნენ კურდღელს
ყოფინით.

ყვავი, ცხადია, იყო ყვავი, და რა იყო მაშინ კურდღელი?

მან თავი იქცია ბეტონის ბუნკერად.

სიტყვებმა ალყა შემოარტყეს, უკმაყოფილება გამოთქვეს ყოფინით.

ყვავმა აქცია სიტყვები ბომბებად, და მათ ბუნკერი ააფეთქეს.
ბუნკერის ნამსხვრევები, ცაში ატყორცნილნი, იქცნენ შოშიებად.

ყვავმა აქცია სიტყვები თოფებად, მათ დახოცეს შოშიები.
ჩამოცვენილი შოშიები იქცნენ წვიმად.



ყვავმა აქცია სიტყვები აუზად, რომ ეგროვებინათ წყალი.
წყალი მინისძვრად გადაიქცა და შთანთქა აუზი.

მინისძვრა კურდღლად გადაიქცა და გაიქცა ბორცვისაკენ,
გამაძლარი ყვავის სიტყვებით.

ყვავი დიდხანს უყურებდა გაქცეულ კურდღელს,
ალტაცებისგან ენაჩაგარდნილი.

ყვავი შავია, როგორც არასდროს

როცა ღმერთი, რომელსაც შეზიზღდა კაცი,
მიბრუნდა ცისკენ,
და კაცი, რომელსაც შეზიზღდა ღმერთი,
მიბრუნდა ევასკენ,
თითქოს ყველაფერმა დაიწყო რღვევა.

და ყვავმა ყვავმა
ყვავმა შეძლო მთლიანობის შენარჩუნება,
როცა ბრწყალებით ერთმანეთზე მიაკერა მიწა და ზეცა.

კაცმა იყვირა, ოღონდ ღმერთის ხმით.
ღმერთს წასკდა სისხლი, კაცის სისხლი.

შემდეგ მოიღრეა ზეცისა და მიწის ნაკერი,
იქცა განგრენად და აყროლდა,
დაიწყო გამოსუსიდეველი საშინელება.

აგონია არ კლებულობს.

კაცი კაცი ველარ არის და ღმერთი ღმერთი.

აგონია

ძლიერდება.


ყვავი

ქირქილით

ჩხავის: „ეს ჩემი ქმნილებაა“

და აფრიალებს თავისთავის შავ დროშას ყვავი.




ინგლისურიდან თარგმნა ზვიად რატიანმა



პუბლიკაცია გაფორმებულია ლეონარდ ბასკინის
ნამუშევრებით სერიიდან „ყვავი“

6

არტი



ილუსტრაციები: ზურა აფხაზი. Own LHC. სერია. შერეული ტექნიკა. © გალა გალერეა

ხათუნა ხაბულიანი

ზურა აფხაზის (აფხაზაშვილი) ნამუშევრები თბილისურ გამოფენებზე რამდენიმე წლის წინ გამოჩნდა როგორც იმედის მომცემი ახალგაზრდა მხატვრის საინტერესო ექსპერიმენტები, სადაც შთაბეჭდილებას ახდენდა ექსპრესია, მხატვრის თავისუფალი მიდგომა მასშტაბებისა და მასალისადმი. ასეთ შემთხვევებში რთულად პროგნოზირებადია ხოლმე, როგორ განვითარდება ხელოვანის გზა, მიუა ის საკუთარ ხელოვნებასთან, თუ მოგვიანებით მას გაიხსენებენ, როგორც ნიჭიერი დასაწყისის მქონეს, რომელიც დასაწყისად დარჩა. გალერეების აუდიტორია დიდხანს ატარებდა ამ ორაზროვან დამოკიდებულებას ზურა აფხაზის მიმართ. აშკარა იყო ავტორის ტალანტი, თუმცა ის თავს ჯერ სრულად არ აცლენდა. სერია "Own LHC" უკვე სხვა ეტაპია, ამჯერად ფორმირების დასრულებული პროექტის შედეგი, რომელმაც ზურა აფხაზი სერიოზულ მხატვრად წარმოადგინა, მხატვრული აზროვნების სიღრმე და მკაფიოდ განსაზღვრული სტილი აჩვენა.

ზურა აფხაზის ნამუშევრების განსაკუთრებულობას დიდწილად განსაზღვრავს მათი შექმნის რთული პროცედურა. თითოეული მათგანის აგება თავდასავალიეთი მიმდინარეობს, სადაც ნებისმიერი ცნობილი და მხატვრობისთვის ტრადიციული ტექნოლოგიური ხერხი ხელახლა აღმოჩენილი და თავისებურად შეცვლილია, იქნება ეს დაფეკილი ჭვარტლისგან მიღებული პიგმენტი, თუ შოლოკოვარფის ტექნიკის თავისებური გამოყენება. სერია "Own LHC" თავისი ეფექტური გამოსახულებებით, ტექნიკური პროგრესით და ფიზიკური კოსმოლოგიით არის ინსპირირებული და ბოთკული კვლევების ლაბორატორიის არტისტულ ვერსიას ქმნის. ძირითადი მიმართება კი, რა თქმა უნდა, ისეთი მარადიულად ამაღლებული თემაა, როგორიცაა ადამიანის მუდმივი მიჯაჭვულობა შეუცნობელ კოსმოსთან, მისი მუდმივი მოწესრიგება ცის სიღრმითა და მასში შეღწევის ვნებით. აქ ენერგიის ტრანსფორმაციაზე მომუშავე გიგანტური აგრეგატები თვითონ ემსგავსებიან კოსმოსურ ამოუცნო სხეულებსა თუ სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრის ფილმებში წაჩენებ უცნობი დანიშნულების ხომალდების ინტერიერებს. სერიის მთავარი თემა სივრცე და უსასრულობაა, არცერთი გამოსახული ობიექტი დასრულებულ კომპოზიციურ განლაგებად არ გამოისახება კონკრეტულ სივრცეში, ფონი აქ ყველგან ღია და თავისუფალი სივრცეა, თითქოს ფრაგმენტი ვრცელი და უსასრულო სურათიდან. სერია


„გალა გალერეაში“ იყო წაჩენები და ცალკე აღნიშვნის ღირსია ექსპოზიცია, რომელიც ამ გალერეის სპეციფიური სივრცის ნიუანსებით გააზრებით აიგო. მართალია, იმავე სერიის რამდენიმე ძალანდ საინტერესო ნამუშევარი აქ ვეღარ მოთავსდა, მაგრამ იდეისა და მხატვრული დინამიკის სრულად ჩვენებისათვის ამას ხელი არ შეუშლია. ექსპოზიციამ განსაკუთრებული ადგილი დაეთმო დიდი ფორმატის (300X215) შავ ტილოს, რომელიც მონოქრომულად აღიქმება ცენტრში განათებული ერთი აქცენტით, რომელიც აწონიშნავს კოსმოსის სხეულის ელიფსურ ორბიტას ემსგავსებად ბრუნვის ილუზიას ქმნის. თუმცა ეს ნამუშევარი არ არის მონოქრომული პირდაპირი გაგებით, აქ ერთი დომინანტური ფერისწორხაზოვნად არ არის გამოყენებული. როგორც მონოქრომული მხატვრობის საუკეთესო ნიმუშების შემთხვევაში ხდება, აქაც მთავარია ზედაპირის სიღრმე და მოცულობა, ტექნიკური შესრულებაც საკმაოდ რთულია, მაგრამ გააზრებულად ოსმომდგრეული. ზედაპირი დაფარულია დაახლოებით A4 ფორმატის პერგამენტის ქაღალდით და შემდეგ დამუშავებულია საღებავით. პერგამენტის ფურცლების ბაზა ქმნის გაბუნდოვებულ ბაღეს, რომლის გრაფიკული ფონი ცენტრში უფრო მკაფიოა და კიდევებისკენ ნაკლებად გარჩევადი. ამ ფენებით აგებული „კოსმოსური“ სიღრმის მოცულობა ილუზორულად კიდევ უფრო გაზრდილია. ცენტრში მყოფი განათებული ორბიტა და მთლიანად ასევე ნათელი წერტილებით დაფარული ფართობი გამოსახულებას ზეგერმნობელობით აპარატურით დაფიქსირებულ კოსმოსის სურათს ამსგავსებს. ეს არის სივრცე მხოლოდ ციური სხეულებითა და უსასრულობით, ადამიანის გარეშე, თუმცა ადამიანის მიერ აღქმული და მუდმივი ფიქრისა და შემეცნების საგნად მყოფი. გალერეის იმავე სემენტში თეთრი-მონაცრისფრო გრადაციების ნამუშევარია, ასევე გაფანტული ნაწილაკებით აგებული მოცულობა, ამჯერად უკვე გეომეტრიული ფორმისა და პირობითად მანქანური დეტალი, დიაგნალურად შეჭრილი სივრცეში.

ექსპოზიციით განვითარებული ადამიანისა და სივრცის ურთიერთობა სკულპტურულ ობიექტში გავრცელდა, რომელიც სარკის პორზონტალური ფონი იკვლავს მასზე დადებულ მეორე გამჭვირვალე ფირფიტაზე გამოსახულ შავ სილუეტს. ეს ობიექტი გალერეის ინტერიერის სახასიათო დეტალს ითვალისწინებს, — ამ სივრცეში იატაკის ორი დონეა და ესა

ექსპონატიც ზუსტად მათ საზღვარზეა დამონტაჟებული, როგორც სერიის ნაწილების იდეური მაკავშირებელი. ეს ადამიანის ერთადერთი გამოსახულებაა მთელ სერიაში და სიმბოლურად იკითხება, როგორც უსასრულო სამყაროში ლევიტაციურ მდგომარეობაში მყოფი არსება მყარი საყრდენების გარეშე და გარემოცული საკუთარი ძიების შედეგად მიღებული კონსტრუქციებითა და ამოუცნობი და არაპირგნოზიზრებადი სივრცით.

ექსპოზიციის მეორე ნაწილს დაახლოებით ერთი ფორმატის, საშუალო ზომის (160 X135 ან 150X130) ნამუშევრები შეადგენს. – მანდალას მოტივი და ინდუსტრიული ინტერიერები.

წრიული ფორმის ძრავის აბსტრაგირებული, უტრირებული გამოსახულება ტრადიციული მანდალას განცენებული და კონცენტრირებულად ინტენსიური ენერგიის ილუსტრაციებია. ფაქტურული დამუშავებით გამორჩეული ტილო ცენტრიდან კიდევსკენ წამოსული სხივებით (150 X125) ისევე შავ-ნაცრისფერია, როგორც მთლიანად სერია, თუმცა განსაკუთრებული აქ შავის ის ხარისხი და სიღრმეა, რასაც ეს ხავერდისებური, თითქოს მოცულობითიანი „ჭვავტლი“ ქმნის. სხივების ნაკადი უიღღრესად ინტენსიურია და ოპტიკური ილუზიის პრინციპზე აგებული ნამუშევრების მსგავსად უსასრულო მოძრაობად აღიქმება. ამ შეთხვევაში დინამიკა ცენტრიდან კიდევსკენ, შმის სხივების იმიტაციით გამოისახება. ასევე მოძრაობის ილუზორული ეფექტისა კომპოზიციები, სადაც ირიბად შეჭრილი ბორბლები უსასრულო ბრუნვის შიბაბეჭდილებას ქმნიან. ტექნიკური მესრულების თავისებურება გამოარჩევს ინდუსტრიული ნაგებობის განზოგადებულ ინტერიერებს, სადაც თეთრი აგურის კედლების ფონი და მის ფონზე მოცულობაში აგებული საინჟინრო კონსტრუქციებია. მხატვარი კონცეფციამ განმარტავს, რომ მისი ინტერესი წარმოიშვა Cern-ის ლაბორატორიის როგორც იმიჯებითა და კონსტრუქციებით, ასევე ზოგადად კვლევების მასშტაბებით, მიზნებით და ა.შ. „გამოფენის სახელწოდებაში გამოყენებული აბრევიატურა, ერთი მხრივ, ავტორის შთაბრძნობის წყაროზე მიანიშნებს, მეორე მხრივ კი ავტორის ერთგვარი თამაშია, რომელიც კოსმოსის ან კონკრეტული ლაბორატორიის კვლევების გაცნობას ან ილუსტრირებას კი არ ისახავს მიზნად, არამედ საკუთარ ლაბორატორიას, სამყაროს გეტავაზობს, სადაც უკვე ნაცნობი იმიჯები ახლებურ ურთიერთმომართებაშია და თითოეულ ადამიანს საკუთარი ინტერპრეტაციის, ნაკითხვის საშუალებას სთავაზობს.“ მისი ინდივიდუალური მიდგომა შავ-თეთრის განსაკუთრებული ურთიერთმომართების, ამ კლასიკური კონტრასტის თავისებური გააზრების შედეგად ახის ჩამოყალიბებული. ამ ორი ფაქტის კონტრასტულობა კონფლიქტურად არ იკითხება, ნაცრისფერი თავისი მრავალნაირი ტონალური გრადაციით და ზოგან გაზე-



ზურა აფხაზია

თის ბეჭდური ეფექტის გამოყენებით, დოკუმენტური გამოსახულების შთაბეჭდილებას ერთგვარად უმატებს ფსევდო არქივის საიდუმლო მასალების ასოციაციებს. სერია ზოგადად იმგვარად აღიქმება, თითქოს რომელიმე კონკრეტული მხატვრული ტექსტის ილუსტრაციები იყოს, ან ხელოვნური ინტელექტის თემით განსაზღვრული ფილმის კადრირება. რა თქმა უნდა, თემა არ არის ახალი და ახლის არის პოპულარული ფანტასტიკის ჟანრის დასურათებასთან, მაგრამ ორიგინალურად განისაზღვრება მხატვრის სრულიად განსხვავებული და თვითმყოფადი ხედვით. ზურა აფხაზაშვილის მხატვრობა აბსტრაქციის განსაკუთრებული ფორმაა, სადაც ფიგურატიული ელემენტები მკაფიო აქცენტებად ჩნდებიან და არტისტის ნება მუშაობს სივრცის ნებასთან. მასშტაბური აგრეგატების გამოსახვით მიღწეული ეფექტი ერთგვარად ენათესავება ბერნად და ჰილა ბესერების ცნობილ პროექტს, სადაც ისინი გერმანიის ინდუსტრიული არქიტექტურის გაქრობის გზაზე მყოფ ნაშთებს აფიქსირებდნენ და მათი ფოტოგრაფიების კომპოზიციური პრინციპი უცნაური ფორმის კონსტრუქციების მასალის სიმძიმესა და სიდიდეს ეყრდნობოდა. მასშტაბი და კოსმოსური ხომალდების ესთეტიკა თავისთავად გულისხმობს მასიურობასაც, თუმცა, მხატვრის აქ განხილულ ნამუშევრებში მასა ცენტრალური განმსაზღვრელი არ არის, ის თითქოს უწინადადობს მდგომარეობაშია და სერიის მნიშვნელოვანი მახასიათებელიც იმ სივრცის ეფექტია, სადაც გრავიტაცია არ მუშაობს.

ვისთვისაც ნაცნობია ზურა აფხაზაშვილის წინა პერიოდის ნამუშევრები, ადვილად დაინახავს მისი, როგორც მხატვრის, განვითარების გზას. პირველივე გამოფენიდან ის გამოჩნდა როგორც ექსპერიმენტატორი მუდმივი ძიების პროცესში, სერია „Own LHC“ კი ყოველმხრივ გააზრებული პროექტია, სადაც კონცეპტუალური მხარე სრულად ეთანხმება და რეალურდება ვიზუალურ შედეგებში.

ფეხენი - პარალელური ხელოვნება


დავით ჩიხლაძე

საქართველოში სუბკულტურაზე საუბარი მართლაც წარმოუდგენლად უნდა ჩანდეს. პირველ რიგში იმ გასაგები მიზეზით რომ, თუმცა კი ყოველთვის ვითვლებოდათ ჩვენს რეგიონში, ამიერკავკასიაში ტონის მიმცემ ქალაქად, მაინც თბილისი არასოდეს ყოფილა მეგაპოლისის ტიპის ადგილი, სადაც შეიძლება ან დღეს შეიძლება ისეთი ურბანული კულტურების გაჩენა, როგორიცაა, თუნდაც ჰიპების, პანკების, პიპსტერების, გოთების და სხვა კომუნები და, მითუმეტეს, ინფრასტრუქტურები. მეორე მიზეზი კი ისაა, რომ თბილისი, სინამდვილეში, არასოდეს ყოფილა ექსპერიმენტების და, მითუმეტეს, რადიკალურის მომხრე და აქ ადრეც და დღესაც ჯაზს ყოველთვის ამჯობინებდნენ არათუ ავანგარდულ მუსიკას, თვით როკსაც კი და კომფორტული პრესტიჟულობა ყოველთვის უფრო წინ იდგა, ვიდრე სიახლის განცდის უშუალობა. მესამე მიზეზიც არსებობს, რაც შეიძლება ტავტოლოგიაა, მაგრამ როგორც ყველამ ვიცით, აქ ყველა ყველას იცნობს და თუნდაც ყოველთვის მრავალენიჭიკურ, მაგრამ ოჯახურ გარემოში ესთეტიკური იდეოლოგიური პროტესტი მაინც არასოდეს იქნეს საზოგადოებრივად აქტუალურის სახეს.

სწორედ აქედან გამომდინარე, ახალგაზრდა ქართველი კომპოზიტორის, არჩილ გიორგობიანის მოსმენა „მეცცოს“ ტელეარხზე შეგვიძლია, თბილისის მუსიკალური არეალის ფარგლებში კი არა მგონია, რომ მასთან ანდა ქართული ავანგარდული მუსიკის მსგავს პროცესებთან საჯარო გადაკვეთები რეალურად მოქმედი ფორმატის იყოს. ისევ აქედან გამომდინარე, გვაქვს რა ქართველი სიმბოლისტების, „ცის-ფერყანწელების“ და ავანგარდისტების შესანიშნავი და უკვე საუკუნოვანი ტრადიცია, გადაწყვეტით, სუბკულტურების ნიშნები ისევ ხელოვნების ტერიტორიაზე მოგვცემბან, რაც უმედგოდ ნამდვილად არ უნდა დამთავრებულიყო.

როგორც გასული საუკუნის დასაწყისის ავანგარდი უკვე დიდი ხანია მხოლოდ ისტორიაა, ასეთივე ბედი ეწია მის პერსპექტივისდროინდელ გამოძახილს – მეოცე საუკუნის დასასრულის ტრანსავანგარდს: დღეს ის ნამდვილად აღარ არსებობს არც ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და არც საქართველოში.

თანამედროვე ან ავანგარდული ხელოვნებიდან ერთადერთი, რაზედაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში, ასე თუ ისე, საზოგადოებრივი დაკვეთა გააჩნია, დღეს მხოლოდ ავანგარდული მოდა შეიძლება აღმოჩნდეს. სხვა დანარჩენი, რაც ამ ნიშნით ვლინდება, არის მხოლოდ ისევ მოდერნისტული ფერწერა და მეტყ არაფერი. არც ვიდეო, არც ფოტო



კატია რიკოვა. ჯგუფი „სვერ“

და არც პერფორმანსი, სრული პასუხისმგებლობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ აქ არანაირ ოფიციალურ კულტურულ ღირებულებას არ წარმოადგენს – მაგრამ სწორედ ამ კომპონენტებისგან არის შედგენილი თანამედროვე ხელოვნების ყანობრივი შინაარსი.

თანამედროვე ხელოვნება, რომელიც სულ ახლახან, მეოცე საუკუნის ბოლის გაფორმდა, საკმაოდ ადრე, ჯერ კიდევ მოდერნიზმის საწყის პერიოდში იქნა განპირობებული ფოტოგრაფიის გაჩენით. მხატვრობამ, გათავისუფლდა რა რეალისტური ასახვის აუცილებლობისგან, სინამდვილესთან დამოკიდებულების ახალი პარადიგმების წარმოქმნას დაუდო სათავე. სწორედ ამ გზით თანამედროვე ვიზუალური ხელოვნება გათავისუფლდა ნახატისგან, როგორც აუცილებელი ატრიბუტისგან და მისი დისკურსის ყურადღებაც სხვადასხვა მეთოდასა და სისტემების გადაკვეთებისკენ გადავიდა.

ამდენად, საქართველოს დღევანდელი კულტურა, ერთი მხრივ, მთლიანად მოწყვეტილია საერთაშორისო კონტექსტს. პერფორმანსის დროს, მაშინ, როდესაც საბჭოთა

კავშირის დაშლასთან დაკავშირებული პოლიტიკური ძვრები ხდებოდა, ქართულ ავანგარდულ მხატვრობას (რუსული მხატვრობის პარალელურად და ნაკლები მასშტაბით, ცხადია) ნამდვილად გააჩნდა ასეთი კონტექსტი. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოშიც და რუსეთშიც ის პირველი მედროშეც აღმოჩნდა ამ პოლიტიკურ გადაღაგებებში, როგორც ლიბერალიზმის და დემოკრატიის პირველი სიგნალი. თუ დასავლეთის ლირებულებებთან ინტეგრაციაში საქართველოს რამე წარმოაჩენდა, ეს, უნინარეს ყოვლისა, თანამედროვე ხელოვნება იყო, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლამდე საკმაოდ ადრე ოპერირებდა მსოფლიო სტანდარტებისთვის მისაღები ენით. მაგრამ დღეს არ შეიძლება მხოლოდ ძველი დიდებით ვიცხოვროთ და თვალი არ გავუსწოროთ დღევანდელ სინამდვილეს. იმ დროს, 90-იანი წლების დასაწყისში, კარლო კაჭარავა გამოიმყვება წერდა ასეთ თემაზე, რომ თანამედროვე ხელოვნების მსოფლიო რუკაზე საქართველო ნამდვილად არ არის. მაგრამ დღეს შეგვიძლია უკვე სრულიად დავეთანხმეთ ამ დაკვირვებას.

ავანგარდული ხელოვნება თანამედროვე დასავლეთში ისევე არის ბურჟუაზიის ნაწილი, როგორც ნებისმიერი ცნობილი ბრენდი რომელიმე სამომხმარებლო პროდუქციის. ცხადია, იქ არსებობს ასეთივე ხარისხიანი ანდერგრაუნდიც, მაგრამ ყველაფერს აკადემიური სახე აქვს მიცემული, ერთადერთი მიზნით, რომ ის სამომხმარებლო პროდუქტად იქცეს; და არა მხოლოდ კომერციული მოგების თვალსაზრისით. შეი-

ძლება ითქვას, რომ ეს უფრო რეალური კომუნიკაციის საკითხია კულტურის მწარმოებელსა და მის მომხმარებელს შორის – ნებისმიერი წარმანი, მასზე საზოგადოებრივი დაკავების წარმოსაქმნელად იძულებულია აკმაყოფილებდეს პირველ რიგში კომფორტის სტანდარტებს. ეს არის მთავარი გამსაზღვრელი კრიტერიუმი დასავლურ კომუნიკაციებში, რაც აღმოსავლეთისთვისაც, ცხადია, სულაც არ არის მიუღებელი. ავანგარდული ხელოვნება, როგორც თავისუფლებისკენ სწრაფვის სიმბოლო და მისი გამომხატველი საშუალება, მხოლოდ გაიკვეთა პერიოდებში თუ შეიძლება გააქტიურდეს და ეს, ძირითადად, პოლიტიკურ დაკვეთას წარმოადგენს. ასეთი პოლიტიკური დაკვეთა დღეს საქართველოსაც, ცხადია, იმდენად აღარ გააჩნია, როგორც ეს სსრკ-ს დაშლის დროს იყო. როგორც ყველა დროის მოწინავე ხელოვნება საბოლოოდ რჩებოდა მხოლოდ ბურჟუაზიული და სხვა იმპერიების მონაპოვრად – გასული საუკუნის ავანგარდი საბოლოოდ დარჩა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

როდესაც 1989 წელს თბილისში მსოფლიოს კრიტიკოსთა ასოციაციის „AICA“-ს კონფერენცია მოეწყო, მაშინ ჩვენი სტუმარი მსოფლიო არტის არაერთი გამოკვეთილი ფიგურა აღმოჩნდა, როგორცაა კიმ ლევინი და ვირჯილ ჰამოკი. სწორედ ვირჯილ ჰამოკმა გადმოშვა კანადური ჟურნალის „პარალელოგრამის“ (რედაქტორი ტანია მარსი) ნომრები, როგორც თბილისში „ალტერნატიული ხელოვნების გალერეის“ ხელმძღვანელს, რაც იმ დროს აიდანა სალახოვას მოსკოვის გალერეასთან ერთად უზრეველდნო მოვლენა იყო, თან ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის დროს. სწორედ ეს ჟურნალები პირველი პრაქტიკული გზამკვლევი გახდა ჩემთვის მსოფლიო თანამედროვე ხელოვნების იმ რეალური კონტექსტისკენ, რაც სტანდარტული კომერციული დისკურსის მიღმა იყო დარჩენილი, მაგრამ მის ძირითად საფუძველს კი წარმოადგენდა.

თუ მაშინ, პერესტროიკის პერიოდის გარეშე, თანამედროვე ხელოვნება მართლაც გულისხმობდა პერფორმანს-არტს, ინსტალაციას, ვიდეოს და ობიექტის ხელოვნებას, დღეს უკვე ასე აღარაა. ერთი მხრივ ქართულმა სალონურმა თუ აკადემიურმა ფერწერამ უკვე დიდი ხანია რევენმის აღება დაიწყო, იმ მარტივი მიზეზით, რომ მასზე მოთხოვნაა და კომერციული ადგილობრივ



ჯავახი „სვერ“

ბაზარზე; მეორე მხრივ კი ყველაფერ ექსპერიმენტულს თითქოს სასწავლო ცენტრების ყალობაში უნდა გადაენაცვლა, მაგრამ არც ეს მოხდა ასე – ყოველგვარი საშუალო, რაც ასეთი ფორმით ჩატარებული საქართველოში ან ტარდება, უმეტესწილად ფასადურია, არ წარმოქმნის ავტორის ღირებულებას და არც ასეთი ნამუშევრებზე მოთხოვნას აჩენს. უფრო მეტიც, ცნობიერების არაღივსება გაზრდასაც კი ვერ ემსახურება, რომ თუნდაც ფართო პუბლიკისთვის საინტერესო გახდეს თანამედროვე ხელოვნების ფორმები. ყველაფერი იკეტება ვიწრო წრეში, სადაც ისედაც არანაირი პერსპექტივა განვითარებისა არ არის, სწორედ იგივე მიზეზით, რომ საზოგადოებრივი დაკვეთის ჩამოყალიბების დაწყებას არაფერ აქცევს ყურადღებას. აქ საქართველო ზოგადად ვახსენეთ, რადგან ყველა ეს იზოლირებული საქმიანობა თბილისის ფარგლებსაც არ სცდება. დეცენტრალიზაციის ერთადერთი მცდელობა, რამდენადაც მე მახსოვს, იყო „არტაქტივის“ თანამედროვე ხელოვნების ფესტივალი ფოთში, რომელიც სამჯერ ჩატარდა (სამწუხაროდ, მისი გაგრძელების პერსპექტივა ვერცხვარობით არ ჩანს).

მოუხედავად ასეთი სალონური დესტრუქციებისა, მაინც დარჩა პარალელური კულტურა და ის, პარადოქსულად, ყველაზე სალონური ტრიტორიაზე განხორციელდა. თანახმაა იმ ნებისა, რომ გამოსავალი ხშირად პარადოქსულია ხოლმე, ქართულმა ავანგარდულმა მოდამ მართლაც შექმნა საკუთარი ფართო სუბკულტურა, სადაც პროცესი უკვე დიდი ხანია თვითრეგულირებადია. მისი სათავე ისევ 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან იწყება, როდესაც თბილისში სამი გრანდიოზული საერთაშორისო ფესტივალი გაიმართა ავანგარდული მოდის ასამბლეის სახელწოდებით. დღეს, როდესაც ავანგარდული მოდა უკვე შეინსტრირდა იქცა და FTV-ს უმეტესი, თუ ყველა არა, კოლექცია სწორედ ამ კრიტიკულუმიტით იქმნება, თბილისში, ისევე როგორც მოსკოვსა თუ ნიუ იორკში, ის მაინც ინარჩუნებს სუბკულტურის ცოცხალი ორგანიზმის სტატუსს, სადაც საკმაოდ ბევრი დიზაინერი სიმოვნებით იწყებს ან აგრძელებს მუშაობას.

რატომ არის ავანგარდული მოდა სუბკულტურა? როგორც poète maudit, ე.წ. დაწყევლილი (სოციალური კლიშეებისთვის არაკომფორტული) პოეტი – არტურ რემბო, სტეფან მალარმე, შარლ ბოდლერი ან ფრანსუა ვიიონი

– მოდაც ასევე განწირულია უსასრულო და, უმეტესწილად, არაპრაქტიკული, გამოუყენებადი ლაპარაკისთვის: და ამ საზღვრის, რომ მოდა უფრო პოეზიაა, ვიდრე ბიზნესი, ყველა ჩამოყალიბებული დიზაინერი გულახდილი საუბრისას ადრე თუ გვიან აუცილებლად გაგიმტვრევს („და ნუთუ დიზაინერები არ არიან პოეტები, რომლებიც წლიდან წლამდე, სტროფიდან სტროფში უძღვნიან ჰიმნს ქალის სხეულს?“ – როლან ბარტი). ყოველ შემთხვევაში, თუ დიდი ხნის წინ ჯერ კიდევ ტანსაცმელზე იყო აქცენტი, დღეს ხაზგასმა მთლიანად კონტექსტებისა და სინტაგმების პროცესზე დგას. ის დაუღელვად გადანერს და თავიდან გვიყვება ერთსა და იმავე ისტორიებს სხვადასხვა თვალსაზრისიდან და სოფისტიკური დეკორატიული და აქრობატული გაფორმებით და ეს არავის მოეზრდება.

ნუთუ ტანსაცმელმა შეიძლება ჩაანაცვლოს პოეზია? მოდა, როგორც ლიტერატურა, ფრანგული სემიოტიკისთვის სულაც არაა უცხო, ქვეყნისთვის, სადაც ეს ორივე უმარი საკუთარ სერუბულურ მოწვევებს აღწევდა ყოველთვის. და თუ როლან ბარტის მიხედვით ავტორი დიდი ხანია მოკვდა, ეს ყველაზე კარგად სწორედ თანამედროვე მოდის ფონზე ჩანს, სადაც პირველ რიგში გამახსოვრდება მხოლოდ ალესიო ზომიერი ნაკადი, ზოგადი ჰარმონია და უკეთეს და იშვიათ შემთხვევაში, რომელიმე ახალი „კონს“ მანეკენი მანათობელი და სრულყოფილი ლეგიონიდან. ფორმისა ცვალებადობა შეიძლება ძილისმომგვრელიც გახდეს, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ყველაფერი ერთი მონოტონური უნიფორმაა, რაიმე სასიამოვნო ილუზიაა თავის შესაქცევად. მაშინ კი ჩვენ ნამდვილად გავინდებდა იდუმალი ცდუნება, გავხდეთ თანავატორი, ვიყუთ თანამონაწილე მოდის თავისმომჭყდელი პროცესისა უზრალოდ იმის საშუალებით, რომ მხოლოდ კომფორტული ინტერესით ვუყუროთ მის პოდიუმს და მასზე მიმდინარე უსასრულო კონვეიერის ნაკადს.

მოდა და სტილი უშუალო კავშირშია ისტორიასთან და დროსთან. არა მხოლოდ როგორც ტანსაცმლის არქივთან, არამედ ცოცხალ ისტორიულ მონაკვეთებთან, მის დიალექტიკასთან. მაგრამ დღეს პოსტმოდერნიზმის კონტექსტში რამდენიმე კულტუროლოგიური პრობლემაც შეიძლება წარმოიქმნას:

70-80-იანი წლების მიჯნაზე, მოდერნიზმის დასასრულთან ერთად, როგორც ტანსაცმელთან და სტილთან მჭიდრო კავშირში მყოფ მოდების ბრტყელ მუსიკალურ სუბკულტურას, ასევე მოდასაც აღარ უნდა ჰქონოდა პერსპექტივა. შემდეგ, 2000-იანებიდან, როდესაც თეთრი სახლის იაპონელი ფილოსოფოსის ფრენსის ფუკუიამას „ისტორიის დასასრულის“ გარდაუვალობაში დაგრწმუნდით, უკვე ისიც ხილული უნდა გამხდარიყო ჩვენთვის, რომ სივრცობრივი, ჟანრული, გეოგრაფიული ან კულტუროლოგიური დაყოფაც გაუქმებულია და, ვთქვათ, ანდერგრაუნდის, სუბკულტურის, რეგონალურის, ლოკალურისა და გლობალურის აღნიშვნები მხოლოდლა აბსტრაქციებია. მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ არის. საზღვრები – თუნდაც იმპერიული ან საგალერეო – და მათი გადალახვის ინტერესები, ცხადია, მაინც ძალაში რჩება.

სინამდვილეში კი ერთადერთი, რაც რეალურად შეიცვალა, არის ის, რომ ჩვენ, უბრალოდ, მეტი ლეგიტიმაცია მივიღეთ საკუთარ ილუზიებზე და ასევე, წარმოსახვაზე და მის ელექტროკურ გამოყენებაზე.

როდესაც 1995 წელს ავანგარდული მოდის ასამბლეა დაარსდა თბილისში გელა კუპრაშვილის ინიციატივით, მაშინ აღენიშნე ჩვენს სამუშაო კონცეფციამ, რომ უნიფორმები ერთადერთი გამოსავალი იქნებოდა მოდის დომინაციისა და ფაშიზმისგან (ფაშიო, ფასონი, ფეშენი, ფაშიზმი) თავისდასახსნელად. ეს უნიფორმები გარკვეულწილად გაიზარდა კიდევ პირველ ასამბლეაზე და შემდგომშიც, როდესაც იაპონიიდან ლეგენდარული არტისტი მოზო შიამაოტო და მისი ახალგაზრდა კოლეგა ქალი ლოკო პიროკო უსუი, მოსკოვიდან კი ანდრე ბარტენევი, პეტლიურა და „ტანსაცმლის თეატრი“ ჩამოვიდნენ. საერთოდ, მთელი ალტერნატიული მოდის ნაკადი მთლიანად უნიფორმას წარმოადგენს კიდევ, რამდენადაც ის ხაზგასმით ეწინააღმდეგება ტანსაცმლის, გასაყიდი სეზონური სტილისა და მანეკენის დომინაციას და წინ წამოწევს ტანსაცმლის გამოყენების, ალტერნატიული მასალების, პარადის (ქეთოვლიკა, დეფოლეს), ინსტალაციის და მედია/პერფორმანსის ცოცხალ სანახაობრივ ხარისხს. გარკვეულწილად, აქედან მოდის „მის ალტერნატივას“ ტრადიციაც და სხვა არტ-მოდის გადაკეთების ფესვებიც და შეკრებები.

მიღმა გეოგრაფიული და დროითი ლოკალიზაციისა ავანგარდული მოდის პლატფორმა წარმოადგენს ახალ ინტერდისციპლინარულ და ინტერკულტურულ არენას დიზაინერებისა და მოდელბისთვის, ფოტოგრაფებისთვის, ვიზუალური არტისტებისთვის, ქორეოგრაფებისთვის, მოცეკვავეებისთვის, მიმოშილველებისა და ფართო პუბლიკისათვის. აქ დასაშვებია რელატივიზმი, კოლექტიურობა, კორპორატიულობა, პას-ტიმი, ირონიული პლაგიატი, ტრიუკი, თვითრეფლექსია, ანტი-ინდივიდუალიზმი და ელექტივიზმი – ეს მხოლოდ უმნიშვნელო ჩამონათვალია პოსტმოდერნისტული არსენალიდან, რასაც ავანგარდული მოდის ესთეტიკა ყოველთვის მიმართავს და როგორც პარადოქსი, აქ ამით არ იკარგება ინდივიდუალიზმი, პირიქით, ის მხოლოდ მეტად სცილდება ვადაგასულ ჩარჩოებს და უფრო ადაპტირებადი ვხდებით დღევანდელი ყოველდღიური ცხოვრების სიმბოლოებთან და კოლექტიურ ქვეცნობიერთან. მეორე პარადოქსი კი ის არის, რომ მიუხედავად ექსპერიმენტი უკიდურესად სანახაობრივი და, ამდენად, მომხმარებლისთვის კომფორტულია.

ერთ-ერთ ასამბლეაზე ჩამოსული იყო რუსული პერფორმანსის ჯგუფი „სევერ“, რომელიც რუსული შამანური ტრადიციების, ტანსაცმლის დიზაინის და ელექტრონული მუსიკის გადაკეთებაზე მუშაობს, მსგავსად ანგურასი – იაპონური ანდერგრაუნდის და შემდეგ უკვე ბუტოს საერთაშორისო მიმართულების, სადაც რეალიტატივით გაუკეთდა კლასიკური კაბუკისა და ნოს თეატრების აქამდე ყველასთვის დასაცინ ტრადიციას, როდესაც სპექტაკლები მკვდართა სულებისთვის იმართებოდა. ეს დაცინა კი სწორედ პოსტმოდერნიზმის ეპოქაში იწყებს გაუქმებას.

ამგვარად, ავანგარდული მოდის სუბკულტურა წარმოიქმნება, როგორც „პერიფერიაში“ დიკსონების გენერირების მექანიზმი ტანსაცმლის ბიზნესის იზოლირებული წარატყვების სანაცვლოდ.

შეიძლება თანამედროვე ხელოვნება, არტი, როგორც მოკლედ უწოდებენ, 2000-იანებში მთლიანად გასართობი და თერაპიულ თამაშებად დარჩება და აღარ იარსებებს საავტორო უფლებებიც; ყველა დამთვალეირებელს შეეძლება საკუთარი ძალისხმევით მიმავლება, დაიბა, თანამედროვე ხელოვნება წარმატებით შეიძლება შეერწყას მედიცინას, უფრო კი ფსიქიატრიას. მეორე, მხრივ, მისი ამბიციი იმაშია, რომ ამბიცი არ უნდა გააჩნდეს. ამითთვის კი საჭიროა, რომ სულ ცოტა მაღლა იდგე, ვიდრე დანარჩენი სამყარო, თუნდაც ტანსაცმლის რომელიმე ბაზრობა და ასეთი უწყინარი ირონით მათთვის კიდევ რამის შეთავაზება შეძლო.

ქვეყანაში, სადაც გლამურული ჟურნალები და ფეშვებელური კაფეების ბუმი, საინტერესოა, რა მდგომარეობაში არიან ამ სფეროს მთავარი დემიურგები და ინსპირატორები – მოდის დიზაინერები. ფეშენ უიქების დროს ჩვენ ტელევიზიით ხშირად ვხვდეთ ახალგაზრდა ქართველი დიზაინერების კოლექციებს, მაგრამ მასმედიაში მათი რეიტინგი მაინც დაბალია, თუნდაც ქართული ესტრადის ვარსკვლავების ფონზე, რომ ისევ ჩვენს მოსაზრებას ადასტურებს, რომ ფეშენი აქ უკომპრომისო ავანგარდად გადაიქცა.

თბილისის, ბათუმის და ქუთაისის ქუჩები და შერბილი რესტავრაციის შემდეგ ოქტომბრის რევოლუციამდე სხვის ესეიზ იბრუნებს და სადარბაზოების თავზე, ფასადებზე ანტიკურ სიმბოლიკას სულ უფრო გამოკვეთილად ვამჩნევთ. ქვაში ჩაბუდებული ბერძნული და რომაული მითოლოგიის ეს სახეები თითქმის გვახსენებენ, როგორც პლატონი იტყოდა, რომ ადამიანში მთავარი თავია, მთელი დანარჩენი სხეული კი მხოლოდ მას ემსახურება. ანდა, უბრალოდ, ვგიმორებენ, რომ კლასიკა და ანტიკური არქიტექტურა მთავარი. მაგრამ რა ვუყთ დღევანდელ დღეს?

ახალგაზრდა ქართველი დიზაინერები კი სანაცვლოდ წილბეზის მსგავს სიმბოლიკას სულ უფრო ხშირად იყენებენ საკუთარ კოლექციებში და კეკლუცი მოდელების სახის დაფარვას ცდილობენ კოსტიუმების თუ ადამიანთა ზოგადობის წარმოსაჩვენად. პირ-

ველი, ვინც სახისა და მოდელის დაფარვის და გამარუდების მცდელობით მიიქცია ჩემი ყურადღება, იყო ახალგაზრდა დიზაინერი თამარა კოპალიანი, რომელიც საქართველოშიც და საერთაშორისო არენაზეც არაერთი წარმატებული განხორციელებით არის ცნობილი. რამდენიმე წლის წინ მეორე ასევე უაღრესად საინტერესო ახალგაზრდა დიზაინერთან გოლა ზუმბულიძესთან ერთად ის მონაწილეობდა ავსტრიის ფეშენ ვიკე კულტურის სამინისტროს დაფინანსებით. ამ კოლექციებმა ავსტრიელების დიდი მონონება დაიმსახურა. კოლექციები შოუ რუმშიც პოპულარობით სარგებლობდა და ბევრი რამ გაიყიდა.

ნიღბების შესახებ თამარა კოპალიანი თვითონ გვასაუბრება: „ეს ნიღბები გასაყიდად კი არა, სანახაობისთვის და ხედვის საზგასმისთვის იქმნება. მე ეს კოლექცია ლეფლექტორ კონკურსზე Be Next-ზე შექმნა გატანილი, სადაც ხედვა უფრო აინტერესებთ. ხანდახან დიზაინერებს გვინდა, რომ მოდელს ერთნაირი სახე ჰქონდეთ და ამისთვის ნიღბს ვიყენებთ. მიგაჩნია, რომ კოსტიუმი მაქსიმალურად უნდა იყოს სავსე და დატვირთული, უფრო გასაგებად გადმოიცეს დიზაინერის ჩანაფიქრი. მოდელის ხასიათს დიდი მნიშვნელობა აქვს. უმეტესად განსხვავებულები არიან და ამიტომაც მათი გაერთიანების სურვილი გვიჩნდება. ამისთვის ხან ნიღბს ვიყენებთ და ხანდახან ძლიერ მაკიაჟს. კოლექციის კონცეფცია ყოველთვის სხვადასხვაგვარად მოდის და ეს ინდივიდუალურია. ამ კოლექციის მთავარი თემა იყო ანარეკლი, ადამიანი ირეკლავს განწყობილებებს, თუნდაც ამინდს.“

პერფორმანსის და კონცეფციის თვალსაზრისით მეორე მხრივ არის გიორგი ქეჟურია, საკუთარი არქიტექტურული ფეშენის ტენდენციის - მისი შთამბეჭდავი კოლექცია თითქმის დემონოლოგიის სასწავლო დისციპლინის დამხმარე ილუსტრაცია.

მანამდე ახლო შემოქმედებითი ურთიერთობა მაკავშირებდა უტა ბუქაიასთან, უკვე დიდი ხანია ნიუ იორკში რომ აგრძელებს წარმატებულ მოღვაწეობას და თავიდანვე გამოირჩეოდა თეატრალიზებული მითოლოგიით და პერფორმანსის აქცენტით ფეშენის ბაზისზე. ის ყოველთვის სტუმრობს თბილისის ფეშენებს. თბილისის დიზაინის სცენაზე ჯერ კიდევ 90-იანი წლების შუა პერიოდიდან გამორჩნდა, როდესაც ავანგარდული მოდის ასამბლეა იმართებოდა და კლუბი „აურა“



თამარა კოპალიანი

პირველ ჩვენებებს აწყობდა. მეგობრობდა ზალიკო ბერგერთან, გელა კუპრაშვილთან, გიორგი ნადირაძესთან - ვინც იმ დროს თბილისის ფეშენს აყალიბებდა და ახალი ინტერესი და რიტმი მოჰქონდა ჩვენი ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში. მალე ამერიკაში გადასახლდა და ნიუ იორკის ექსპერიმენტულ თეატრებში აფორმებდა სცენებს, ქმნიდა კოსტიუმებს. ამასწინანდელი სტუმრობისას „კაფე-გალერეაში“ უტას კოლექცია საკმაოდ ხელმისაწვდომ ფასად იყიდებოდა. კოსტიუმების საშუალო ფასი 300 ლარი იყო.

უტა ბუქაია - მორჩენია, არ ვიმუშაო მოდელბთან და ვიმუშაო ხალხთან, რომელიც არის უფრო მოძრავი და საინტერესო - ვისაც მეტი რამის გაკეთება შეუძლია.

- ის, რაც თბილისში ავანგარდული მოდის ასამბლეაზე კეთდებოდა, ნიუ იორკში თუ არსებობს?

- ნიუ იორკში არ არის. ავანგარდული მოდის ჩვენებები არის კანადაში, ტორონტოში. ნიუ იორკში მოდა დიდი ფულის კეთების უბრალო და სერიოზული კომერციაა. ამერიკაში მოდა არ არის ადგილობრივ ხელოვნება, ის ძალიან მდიდარი ბიზნესია.

დღეს საკუთარი პოპ-არტისტული და მხიარული ესთეტიკით ახალგაზრდა დიზაინერი სპაკი სირაძე-თხუპნიაძე სულ უფრო იქცევს საზოგადოებრივ ყურადღებას და დიდი მასი აქვს, საკუთარი ხელწერილიდან გამომდინარე, ეს ავანგარდისტული ცოცხალი და მხიარული ძიებები მეინსტრიმისთვის გასაგებ და მისაღებ ფორმად აქციოს. მას აქვს უნიკალური გადაკვეთა ნაპოვნი, როდესაც მისი ნამუშევრები თანაბრად მისაღებია შეიძლება იყოს თანამედროვე ხელოვნების გალერეისთვის, შუადღის სატელევიზიო გადაცემისთვის და თინიჯერების (ტკბილი) პოპის ფართისთვის.

ფეშენთან ერთად მეორე ჟანრი, რომელიც შეიძლება ავანგარდის დარჩენილ ტერიტორიად განვიხილოთ, არის ვიდეო-არტი. რა თქმა უნდა, ის იმდენად არ ექცევა საზოგადოების ყურადღების არეალში, რამდენადაც ფეშენი, მაგრამ ჩვენი დღევანდელი საგალერეო პოლიტიკის ფონზე სუბკულტურის კრიტიკიუმებს ნამდვილად აკმაყოფილებს.

ქარვაპი არაკლილი ირონია

(საუბარი ირყი მენცელთან)

იკონიკური
გაზეთი



თათია კუხალაშვილი

პრალაში ექვსი წელი ვიცხოვრე. ბოლოსკენ გამიჩნდა მოთხოვნები ჩეხური პროექტი გამეკეთებინა, რომელშიც ფორმას მივცემდი, სახელს დავარქმევდი ჩემს დაკვირვებებს, რომლებიც ჩეხეთთან შეხებაში აღძრა. ცხადია, მადლიერების გრძნობაც მამოძრავებდა იმ დაცულობის და სამოქალაქო კომფორტის გამო, რომელსაც ეს ქვეყანა უზრუნველყოფდა ქართველი სტუდენტის მიმართ მთელი ამ ხნის განმავლობაში. ისიც მესმოდა, რომ ჩანაფიქრი ძალიან საპასუხისმგებლო იყო. ქართველებს ხშირად გვტყენია გული, როცა სტერეოტიპულად გვაფასებენ, და ყველაზე მეტად ამის მეშინოდა. მე-20 საუკუნის უდიდესი ჩეხი მწერლის, ბოჰუმლ ჰრბალის რომანის „ვემსახურებდი ინგლისის მეფეს“ ეკრანიზაციის ნახვის შემდეგ გადავწყვიტე, ჩემი პასუხისმგებლობა ირყი მენცელისთვის გამეყო. მისი ეს ფილმი და მთელი შემოქმედება ჩეხურობის კონცენტრატია, მასში ჩეხური ხასიათის რთულ, ზოგჯერ კი სრულიად მოუხელთებელ ფენომენზე, ჩემს ყველაზე ბუნდოვან რეფლექსიებზეც კი ვიპოვე პასუხი.

ირყი მენცელი – ჩეხური კინოს ლეგენდა, ჩეხური „ახალი ტალღის“ ერთ-ერთი ლიდერი, გაუტყებელი ჩეხების ბრწყინვალე თანავარსკვლავედის წევრია, რომლებმაც თავიანთი ქვეყანას მსოფლიო სახელი მოუტანეს. ის არის მფლობელი „ოსკარის“, ბერლინის „ოქროს დათვის“, BAFTA-ს, მონრეალის, მოსკოვის, მანჰეიმ-ჰეიდელბერგის, კარლოვი-ვარის საერთაშორისო ფესტივალების უმაღლესი ჯილდოების, აკირა კუროსავას პრიზის – მსოფლიო კინოს განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის (1990), „ჩეხური ლომის“ – სამამულო კინოს განვითარებაში ღვაწლისთვის (1996). ჩვენი საუბარი პრალაში შედგა – მან სახლში მიგვიღო: მე, ჩემი ვიეტნამელი ფოტოგრაფი და უკრაინელი თარჯიმანი (ინგლისური და რუსული ესმის, მაგრამ მეტი სიზუსტისთვის მაინც ჩეხურად არჩია საუბარი).

უკიდურესი ჩეხი, ექსცენტრიული, ჰეროვნად არტისტული, ღვთაებრივი გახსნილობის პიროვნება დიდი ესთეტიკის და დიდი ჰუმანისტის რენეტიკის მზერით, – ასეთია პან მენცელი. ამ მზერის და ექსცენტრიზმის წინაშე შეიძლება კიდევაც დაიბნეს ადამიანი, მაგრამ, მისივე ფორმულის პერიფრაზი რომ გამოვიყენო, მე ქართველი ვარ და ეს მაძლევდა ძალას. ჩემმა მასპინძელმა საგანგებოდ შექმნა საამისო გარემო. მადლობა მას ამისთვის.

თ.კ.: პან მენცელ, ჩეხეთი საკმაოდ ქარიზმატული ქვეყანაა ქართველებისთვის. თუ მოეინდობებ, ბევრი ისტორიული პარალელის დაძვებაც შეიძლება: ურთიერთობა იმპერიალთან (არა ერთთა, არამედ რამდენიმესთან), ძლიერ მოპოვებული დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის მარცხი, კომუნისტური იმპერიის უღელი, მისი სამხედრო ექვეუცემობა, ხელახლა მოპოვებული დამოუკიდებლობა და ჰუმანიტარი-დისიდენტი პრეზიდენტი, განვითარების დასავლური პრიორიტეტები, NATO-სკენ მისწრაფება (თქვენთვის უკვე რეალიზებული)... ცხადია, ბევრ ქართველს ჰქონდა ბედნიერება ტურისტული ვიზიტით მოგზაურობისა თქვენი ქვეყანა და დარწმუნებულიყ მიხ ვანუშვიორელობაში, შეიძლება, ზოგიერთები ჩეხურ ნიგნებსაც იცნობენ, მაგრამ ჩეხური სულის თქვენი რანგის ექსპერტთან პერსონალური საუბრის შესაძლებლობა ხშირად არ გვეძლევა. ჩვენ, ქართველები კი, აუთენტურობის დიდი დამფასებლები ვართ...

ი.მ.: საქართველო ჩემთვის ყოველთვის საინტერესო ქვეყანა იყო, ის შორსაა რუსეთისგან...

თ.კ.: თუ ნებას მომცემთ, უახლოესი წარსულით დავიწყებ, ახლახან შედგა თქვენი ახალი ფილმი „დრო ჟუანების“ პრემიერა. მას-მე დაკავებულ რამდენიმე მსახიობს კარგად იცნობენ ჩვენს ქვეყანაში... დასრულებული ნაწარმოები ხშირად ავტორის რაღაც შინაგან გამოწვევაზე პასუხია. რა გამოწვევის თუ ავტორის პასუხად გადაიღეთ ეს ფილმი?

ი.მ.: ასეთი კითხვები ჩემთვის სასაცილოცაა და სატირაიც. მე ამას ისე არ აღვიქვამ, თითქოს რაღაც შინაგანი უაღიდეგლობა მქონდეს. ისე ვუყურებ, როგორც სამუშაოს, საქმეს, ჩემს პროფესიას. ხელოვნების ხალხი ხშირად ფიქრობს, რომ სხვებზე საინტერესო-ნი, უკეთესი არიან, რომ რაღაცების სხვებზე უკეთ გამოხატვა შეუძლიათ, მაგრამ, მგონია, ასე არ არის. ფარსია ეს. მათი შინაგანი მოთხოვნილება უმეტესად ფულის გაკეთებაა. და ყოველთვის სახ იყო. ხელოვნებას ადამიანები აკეთებდნენ როგორც თავიანი ხელობას. მხოლოდ ზოგიერთი ამ მცდელობიდან იშვას ხელოვნების ნამდვილი ნიმუში. ეს ფილმი იმიტომ გადავიღე, რომ მოთხოვს. ფილმი იმაზე არ გადაიღია, რაც მაინტერესებდა.

თ.კ.: დონ ჟუანი დროში მდგრადი ფსიქოტიპია. ამიტომაც იქცა მთარალი სოუჟეტის საფუძვლად. მსოფლიო ლიტერატურა არაერთ მთარულ სოუჟეტს იცნობს. მათ შორის ფაუსტის ისტორია ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭ-

დავია. არ გაგჩენიათ სურვილი, მისთვის ხელი მოგვეკიდოთ? არ ეჭვიანობდით, რომ პრადის მკვიდრის ამბავს ასე განაგრძებთ თუ ამუშავებდნენ უცხოეთში? სცენაზე ხომ არ დაგვიდგამთ? პო პატარა ადამიანზე სპეციალიზებულს ფაუსტი პათოსურ გმირად მიგაჩნიათ?

ი.მ.: „ფაუსტი“ თეატრში დავდეგი, მაგრამ მთლად ჩვეულებრივი ფაუსტი არ იყო. ეს ერთგვარი პოეტური აღქმა იყო ფაუსტის. ეს გახლდათ ფაუსტი, რომელსაც იმის გაგება სცე-უროდა, თუ რა იქნებოდა 500 წლის მერე და ასე აღმოჩნდა 1945 წლის პრადში, სწორედ იმ სახლში, კარლოსის მოედანზე რომაა. მაშინ, როცა მას ბოძი დაეცა. პრადში გერმანელ-ებმა სულ ორი ბოძი ჩამოადგეს და ერთი სწორედ ფაუსტის სახლს დაეცა. პოეტმა ირყი სუნიმ ამ ფაქტზე პიესა დაწერა და მე დავდეგი. განსხვავებით გოეთეს ფაუსტისგან, რომელიც შემეცნების და შემოქმედებისკენ ისწრაფოდა, ჩვენს ფაუსტს გოგოები უყვარდა. და ნამი, რომლის შერეობაც მას სურდა, ეს სიყვარულის ბედნიერების წამი იყო. ძალიან სევდიანი გმირი გამოვიდა.

თ.კ.: მილომ ფორმანმა, რომელიც თქვენსავით ლეგენდარული ფაშუს (პრადის საშემსრულებლო ხელოვნებათა აკადემიის კინოფაულტეტი, - თ.კ.) კურსდამთავრებული და ასევე თქვენსავით ჩხურთი „ახალი ტალღის“ საკანაო ფიგურა იყო, თავის დროზე პოლიუფდმი გადასვლის მანსი გამოიყენა. 28 წლისა თქვენ უკვე „ოსკარის“ მფლობელი იყავით და სათანამშრომლოდ კარს გიღებდათ სტუდია „Universal“. უარი თქვით - ჯერ კიდევ ვალი მაქვს ჩეხური კულტურისო. როგორ განიხილებოდა კულტურული მემკვიდრეობითობის საკითხი მათ მიერ, ვისაც თქვენ მასწავლებლებად მიიჩნევთ (იან კადარი, ირყი კრეჩიკი...)? რას ფიქრობდა ამის თაობაზე მამათქვენი, ცნობილი მწერალი იოზეფ მენცელი? ცნობილია, რომ მის აზრს დიდად აფასებდით.

ი.მ.: „ოსკარი“ ავიღე, როცა 30 წლის ვიყავი. ფილმი გადავიღე 28 წლისამ. ჩეხური კულტურისგან რომ დიდად დავაღუბული ვარ, მართალია. ჩემს მთავარ მასწავლებლად მე მაინც ოტაკარ ვავრას ვთვლი. იან კადარი სწორედაც რომ წავიდა ემიგრაციაში. მაშინვე კი ემიგრაციაზე ჩემთან არასოდეს არაფერი უთქვამს. სალაპარაკოც არაფერი იყო. თავად აღმოჩნდა მსგავსი სიტუაცია, როცა მეორე მსოფლიო ომი დაიწყო და ხელისუფლება გერმანელებმა მიიტაცეს. მაშინ ინგლისელებმა შესთავაზეს პოლიტიკური თავშესაფარი. ეს ჯერ კიდევ ომამდე იყო. მაგრამ მაშინვე „უარი თქვა. იმიტომ, რომ ჩეხი იყო! ჩემთვისაც ასეთი მიდგომაა ბუნებრივი. ერთხელ, 68-ში ერთ მუსიკოს მეგობარს ვესაუბრებოდი ამ თემაზე. მაშინ საზღვრები ღია იყო - რუსებმა განგებ გახსნეს, რეჟიმის მოწინააღმდეგეებისთვის გახსნეს საშუალება რომ მიეცათ. პრადამ მეგობარმა კარგად მითხრა: კი ბატონო, მილიონი კაცი გაიქცევა ახლა უცხოეთში, მაგრამ დარჩენილ 14 მილიონს რა ეშველება? ივით, პატივს ვცემ ადამიანებს, ვინც რაღაცის გასაქცეობლად წავიდა ემიგრაციაში. პატივს ვცემ მილომ ფორმანს. მაგრამ იმათ არ ვცემ პატივს, ვინც მანქანის მარკის გასაუმჯობესებლად წავიდა.

თ.კ.: სკოლაში მიღან კუნდერა გასწავლიდათ. ლიტერატურ-

რას, როგორც ვხედავთ. რა დაგამახსოვრდეთ მისი მაშინდელი შეხედულებებიდან, აზრებიდან?

ი.მ.: კუნდერა ძალიან ნაკითხი იყო. ის მოგვცა, რასაც სკოლა ვერ გვაძლევდა. მან დაიწყო ჩეხური ლიტერატურის შედარება დასავლურ ლიტერატურასთან. არადა, გიმნაზიაში მარტო რუსულ და ჩეხურ ლიტერატურას გვასწავლიდნენ. არაფერი ვიცოდით შექსპირზე, გოლდონიზე... მან აგვისსა, რომ მაშინ როცა ვრბოდიკი გვყავდა, საფრანგეთში უკვე ბოდლერი იყო. ჩვენი კლასიკოსები იყვნენ მხატვრები მიკოლამ ალემი, იოზეფ მანესი... მათ დროს საფრანგეთში კი უკვე იმპრესიონისტები იყვნენ.

თ.კ.: მოდით, მაღალი აკორდი ავიღოთ: გენიალობაზე ვისაუბროთ. ზოგისთვის ის საკუთარი ორიგინალური სამყაროს მოდელირების გმირობაა, ზოგისთვის – პიროვნების უსაზღვრო გაფართოება, ზოგიც მას საკუთარი ზღვრების ზუსტ შეცნობაში ხედავს... დღევანდლობაში შეიმჩნევა ერთგვარი გაუფასურება გენიალობის იდეის, თავად ცნების... თუ გამოყენებაშია, ისიც რაღაც ცალკეული ნიჭების და ტალანტების მიმართ, მისი ჰუმანისტური შინაარსისგან დაშორებით...

ი.მ.: ამაზე არაფრის თქმა არ შემიძლია. ეს მეცნიერების მიერ განსახილველი საკითხია, ბევრი უნდა თხარონ... იმაში მართალი ხართ, რომ ძალიან ადვილია ამ სიტყვის არასწორად ხმარება. მე მინაზე ვდგავარ. ვაკეთებ იმას, რაც ვიცი და რაც კარგად გამომდის. და თუ ვინმე მეტყვის, რომ გენიალურია ის, რასაც ვაკეთებ, ვეტყვი, რომ სულელია.

თ.კ.: ეს თქვენი პასუხისმგებლობის მაღალ გრძნობაზე მეტყველებს.

ი.მ.: იცით, რა? გენიალობა – ეს სამუშაოა. ვიღაც უკეთ ასრულებს მას, ვიღაც – უარესად. დაზუსტებით ერთადერთი რამის თქმა შემიძლია, თქვენ გენიალური თმა გაქვთ (იცინის).

თ.კ.: შეუშალა თუ არა ხელი ფრანც კავკას მისმა გერმანულენოვანებმა გამხდარიყო ჩეხური ეროვნული გენია? ითვლება, რომ მისმა შემოქმედებამ დიდი გავლენა იქონია ჩეხური კინოს ახალ ტალღაზე. როგორი იყო ამ გავლენის ნიშნები, ზოგადად, და, კერძოდ, თქვენს შემოქმედებაზე?

ი.მ.: კავკას პრადელი ერთადელია. ლაპარაკობდა და ნერდა გერმანულად, მაგრამ ებრაელი იყო. დიას, მაშინ ბევრი ასეთი ებრაელი იყო. მაგრამ ჩეხიც ბევრი იყო, ვინც გერმანულად ლაპარაკობდა. მაგრამ კულტურა განსხვავებული გვქონდა, თუმცა ერთად ცხოვრობდით. სამწუხაროა, რომ ასე აღარ გავგრძელება. მაგარი იყო – სამი კულტურა ერთ ქალაქში. კავკასზე ვერ ვიტყვით, რომ გერმანელი მწერალია. ვერც იმას ვიტყვით, რომ ჩეხია. ჩეხი მწერალი იქიდან ამოიზრდებოდა, რაც მის ნინამორბედ ჩეხ მწერლებს გაუკეთებიათ მანამდე. მიუხედავად ამისა, მისი გავლენა შემდგომ ჩეხურ ლიტერატურაზე ძალზე დიდია. მაგრამ ჩემს შემოქმედებაზე მას გავლენა არ მოუხდენია. შეიძლება იან ნემცოზე. მაგრამ არც ფორმანზე, არც ჩემზე და არც ევალდ შრომზე.

თ.კ.: მომეჩვენა, რომ კავკას გავლენა მაინც ჟონავს თქვენს ოსკაროსან ფილმში „საგანგებო მეთავალსურეობის მატარებელი“. მილოშ ჰრმა – სტაჟირი-მეისონ თავისი ზემოქმედებით, რეალური სამყაროს წინაშე დაბნეულობით, არაამეცენი-



ოსკარის გადაცემა

ური, ამ ცხოვრების გერის თვალებით თითქმის კავკური პერსონაჟია. თქვენი ირონია კი ამ ფილმში ყველაზე სევდიანია. სევდიანია რაღაც კავკური – მკაცრი, უპიროვნო სევდიანობა.

ი.მ.: არა, არა. ეს პატარა ადამიანია. ეს არაა კავკას ადამიანი. ესაა იან ნერუდას, კარელ ჩაპეკის ადამიანი. ეს მოდის ჩეხური ლიტერატურისგან, რომელიც ბოურგუზობაზე მოგვიტოვებს, პატარა ადამიანებზე. და მასში ბევრი იუმორია... კავკას... კავკას ცოტა სხვა-ნაირია... ეს ჰრბაღის სულია...

თ.კ.: მაგრამ ოპერატორიც ზოგან თითქმის კავკას თვალთი დაატარებს კამერას... მოგვიყვით ორი სიტყვით იარომირ შოფრთან თქვენს თანამშრომლობაზე. რატომ გრძელდება ის ამდენი ხნის განმავლობაში და რატომაც ასე ეფექტური, ლეგენდარული ფილმის „ვემ-სახურებოდი ინგლისის მეფეს“ ულტრათანამედროვე, მაგრამ სტილისტიკით მაინც არაპოლი-უდური ოპერატორული ილიეთების ჩათვლით.

ი.მ.: თქვენ ახლა მხოლოდ ერთი ფილმით მსჯელობთ, შეიძლება იმიტომ, რომ „მატარებლები“ შავ-თეთრია... სხვადასხვა ფილმში შოფრის ხელნერა განსხვავებულია. კავკას მასზე ნამდვილად არ უმოქმედია. შოფრთან ერთად 50 წელია ვუშაობ. ალბათ მეტიც, კონსერვატიული ვარ. არ მიყვარს ახალ ადამიანებთან ტყულება. მაღლიერი ვარ მისი ყველაფრისთვის, რაც გააკეთა. ძალიან ინტელიგენტური ადამიანია. ძალიან მიყვარს, მაგრამ იმ კვრების გან-

მავლობაში არა, როცა ფილმს ვიღებთ. მაშინ მზად ვარ, მოვალა ხოლმე.

ტ.კ.: პროფესიონალები აბსოლუტური გემოვნების მქონე რეჟისორად გაღიარებენ. როგორია თქვენი ვიზუალური ესთეტიკის ძირეული პრინციპები? რას არ დაუშვებს არასოდეს კადრში თქვენი გემოვნება?

ი.მ.: არ ფიქრობ მამაზე... სიმართლე ისაა, რომ მამაჩემის და მისი ვეგეტარიანული ბილიოთეკის წყალბოთი ძალზე კულტურულ გარემოში გაიზარდე და ამან მომცა იმის გაგება, რა არის სილამაზე და რა არა. არ მიყვარს ჩემს თავზე ლაპარაკი, მაგრამ ინტელიგენტი ვარ (ემპატიურად ილიმება).

ტ.კ.: წამოიხსავს ახალ ტალღაზე ჰემინგუეის გავლენის თაობაზეც. ასე აშკარად თქვენს ფილმებში ვერც ის აღმოვაჩინე. რასაკვირველია, თუ არ ვიგულისხმებთ თხრობის ლაკონურობას, ოსტატურ ქვეტექსტებს...

ი.მ.: მართალი გითხრა, ჰემინგუეის ბევრს ვკითხულობდი. ის გენიალურია იმაში, რომ მოკლედ და ნათლად შეუძლია აზრის გამოხატვა. ტყუილად არ ყმდობს. ეს იგივეა, როცა რეჟისორი მხოლოდ საჭირო კადრებს იღებს. ასე იყენებს ისიც სიტყვებს და წინადადებებს. ძალზე ფრთხილად ექცევა სიტყვებს.

ტ.კ.: ანა ახმატოვა ამბობდა, რომ ადამიანი პასუხისმგებელია საკუთარ სახეზე, მის თითოეულ ნაოჭზე. ფიზიოლოგიები ამტკიცებენ, რომ ასაკთან ერთად ადამიანს უჭირს მიმიკური ნაოჭებით მანიპულირება და მის სახეზე ჯოჯოვად იწყებს გამოსვლას მისი წამდელი არსი. ნება მომეცით, ქედი მოვიხაოთ თქვენი სახის წინაშე: მასზე ადამიანის სიამაყე და პიროვნების თავისუფლება დომინირებს! რა გიყვართ ადამიანთა სახეებში? რა ასაკში მიხვდით, რომ თქვენი გამჭოლ მზერის შემუშნეველი არაფერია?

ი.მ.: გამაღლობთ. გამჭოლობის რა მოგახსენით, მაგრამ სკოლაში რომ ვსწავლობდი, ტრამაიდან ადამიანებზე დაკვირვება მიყვარდა, იმის გამოცნობა, თუ ვინ ვინაა. ვცდილობდი გამეგო, რა აქცევს ადამიანს საინტერესოდ. ვინაყბთ თვალდები... მერე პირს ვუყურებდი... გოგოებს, ცხადია, უფრო წერილად ვაკვირდები... როგორც ჩანს, უკვე რაღაც გემი განმითარდა, და ვხვდები, რომელი ადამიანი ატარებს რაიმე საინტერესოს თავის თავში, ასეთ ადამიანებთან მერე ვთანამშრომლობ.

ტ.კ.: თქვენი ქართული თაყვანისმცემლებსაც მოუყვით ბოჰემილ პრბალები. როგორ დაიწყო თქვენი თანამშრომლობა, რომელიც 6

ფილმს თივლის? როგორ მოგენდით? როგორ აფასებთ მის წვლილს ჩვერ კულტურაში? რა გააკეთა მან ისე, ვერაფერ სხვა რომ ვერ შეძლებდა?

ი.მ.: მე გამიმართლა... ნიგნების კითხვა მიყვარდა და როცა ჟურნალებში პირველად გამოჩნდა ჰრბაბლის ნანარობები, მაშინვე დავეწაფე. ჰრბაბლს დიდხანს არ ბეჭდავდნენ, მისი ნიგნები კომუნიტური რეჟიმისთვის მიუღებელი იყო. გიხაროდეთ, რომ ბრეჟნევის დროს არ ცხოვრობდით. არის რაღაცები, რის გაგებასაც ვერ შეძლებთ. ლიტერატურა ხელფეხებოქილი იყო. მიელიკულტურა. „ოსტებელის“ დროს, როცა რეჟიმონდა შერბილდა, ჰრბაბლის ბეჭდვა დაიწყეს. თავიდანვე შემეყვარდა. ნერუდა, ჩაპეკი, შაპეკი... ის ამთავრებს იმას, რაც მანამდე იყო. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ასეა. ყველაფერს მოიძიებდი მისას, რაც სცადასხვა გამოცემაში იბეჭდებოდა. მაგრამ ასეთ დღეში მარტო მე არ ვიყავი. მან მთელი ჩვენი თაობა მოხიზლა. ერთხელაც ჩემმა კოლეგებმა (თითოეულ მათგანს უკვე თითო დიდი ფილმი მაინც ჰქონდა გაკეთებული) გად-ანწყვიტეს ჰრბაბლის მოთხრობების კრებულის „მარგალიტები ფსკერზე“ მიხედვით ფილმის გადაღება. მეც მიმინეის, ჯერ კიდევ ახალბედა. ამ პროექტის წყალობით გავიცანი პან ჰრბალი. ჩემი კინოსტორია გამოძიდა. ამის მერე უკვე „საგანებო მეთვალყურეობის მატარებლების“ გადაღება მანდეს.

ტ.კ.: ჰრბაბლის სიკვდილმა შემძრა! ზუსტად ასევე, მეოთხე სართულად, საავადმყოფოს პალატის ფანჯრიდან გადმოვარდა მეოცე საუკუნის უდიდესი ქართველი პოეტი გალაკტიონ ტაბიძე. და ჩვენ, ქართველები, აგერ უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია ვეკითხებით: იყო ეს თვითმკვლელობა თუ არა?.. ამბობენ, ბოჰემილ ჰრბაბლი იმ დროს მტრედებს აჭმევდაო...

ი.მ.: ალბათ. გერე იქნებოდა...

ტ.კ.: „მატარებლების“ ყურებისას ყურადღება მივაქციე საოცარ სცენას, როგორ აჭმევს სადგურის უფროსი მტრედებს და რა საყვარლად ესაუბრება მათ... ეს იყო ჰრბაბლის ტექსტში?

ი.მ.: დიახ, ეს არის მის ნიგნში. პან ჰრბაბლს ძალიან უყვარდა ცხოველები, კატებს აჭმევდა ხოლმე. ძალიან ადამიანური იყო და ბუნება უყვარდა.

ტ.კ.: რა იფიქრეთ, როცა მისი სიკვდილის შესახებ შეიტყვეთ?

ი.მ.: სიხარული ვიგრძენი. ძალიან იტანჯებოდა ბოლოს. მთელი სხეული სტიკად, ფეხები. ასე ავარიის მერე იყო. მისთვის შეება იყო სიკვდილი. მას აღარ უნდოდა სიცოცხლე.

ტ.კ.: საზოგადოდ, როგორია ჩეხების დამოკიდებულება სიკვდილის მიმართ? მას ორდინალურს ვერაფრით დაარქმევს კაცი, ყოველ შემთხვევაში, 1870 წლიდან მოყოლებული. მხედველობაში მაქვს ჩეხების ყველაზე შემადრწუნებელი ღირსშესანიშნაობა, ყველა წმინდანის სახელობის სამლოცველო კუტანა ჰორანა, 70 კილომეტრში პრალიდან აღმოსავლეთით. 1870 წელს ადგილობრივი მეჩუქრთმის ფრანტიმეკ რინდელ დაავალეს (ვინ - დღემდე უცნობია) გარდაცვალითა ძვლებით „მოერთო“ სამლოცველოს ინტერიერი. ასე გაჩნდა მასში ძვლის: ჭადი, ლარნაკები, ქანდაკებები, გიროლიანები და თვად შევრცნებრგათა ძვლებიცაა აგებული მათივე საგვარეულო ღერძი. ამ უპრეცედენტო პროექტისთვის 40 000 ჩონჩხი იქნა შენუხებული. ხომ



კადრი ფილმიდან „ვემსახურებოდი ინგლისის მეფეს“

ვერ ხედავთ სიკვდილის ამგვარ უტილიზაციას, მისდამი ასეთი ამჩატებულ დამოკიდებულებაში ირონიას? რალაცნაირ მიმეც, შავს, მაგრამ მაინც ირონიას?

ი.მ.: მე ვიტყვით, რომ სხვადასხვანაირი. ძირითადად, ჩვენ კათოლიკები ვართ და არ გვიყვარს სიკვდილი. რალაც ჩხარუნა სათამაშოებიც გვაქვს, ბავშვებს ვაჩვენებთ... ველოთ, რომ სიკვდილის მერე სასუფეველი, მარადიული სიცოცხლე გველის... ნებისმიერი რელიგია რალაცას ჰპირდება ადამიანს სიკვდილის მერე... ასე იმიტომ, რომ მას სიკვდილის არ ეშინოდეს. მაგრამ ჩეხების უმრავლესობას ღმერთის არ სწამს. ზოგი ალბათ ფიქრობს, რომ სადღაც რალაც არის. რაციონალური ადამიანი ეტყვის საკუთარ თავს, რომ სიკვდილის მერე რჩება გვამი, რომელსაც მატლები დახრავენ, შვილები და ის, რაც მას შეუქმნია. ამ საძეაღეების შეფასებისას სიფრთხილეა საჭირო. ბაროკოს ეპოქაში შათ ბევრ ქვეყანაში აშენებდნენ. მეტიც, ვიტყვი, რომ ძველ რელიგიაშია ამგვარი ტრადიცია.

ტ.კ.: დიახ, მაგრამ ბევრებისგან გაკეთებულ ჭაღებს ყველგან ვერ შეხვდები...

ი.მ.: მიყვარს შავი ოუმორი, მაგრამ ადამიანის ძვლებისგან არტეფაქტის შექმნა სასაცილოდ არ მიმაჩნია. სულ არაა სამხიარულო საქმე.

ტ.კ.: თუმცა, კუტნა ჰორას საძეაღისადმი მიძღვნილ თავის მოკლემეტრაჟიან ფილმში ცნობილი ჩეხი ანიმატორი იან შვანკ-მაიერი აშკარად ხუმრობს. ირონიულია საკმაოდ მოთამაშე ჯაზური კომპოზიციის ფონიც და მისი თითქმის სახუმარო ტექსტიც ჩიტუა - სულზე, რომელიც შემოქმედებითი სანყისის სიმბოლად უნდა გავიგოთ...

ი.მ.: შვანკმაიერი შვანკმაიერია, მე - მე ვარ.

ტ.კ.: ამ ყველაფერს იმიტომ გეუბნებით, რომ მიღებულია, განსაკუთრებით, დასავლურ პრესაში, ჩეხური ირონიის გადამბა პროლად გაზაფხულთან, 1968 წლის მოვლენებთან. შეიძლება ამ პერიოდში ის მართლაც გაიფურჩქნა, მაგრამ ამგვარი მიდგომა მაინც ზედპირულად მიმაჩნია. ფიქრობ, ირონია ვენეტიკურად ზის ჩეხურ ხასიათში. 6 წელი ეცხოვრებოდი პრაღაში და საშუალება მქონდა ეს თავად შემიგვრძო. ამიტომ საინტერესოა ამ ფენომენის უფრო სიღმისეულად გამოკვლევა თქვენთან ერთად. თქვენ ხომ ერთ-ერთი იმ შემოქმედთაგანი

ხართ, ვინც ირონია ჩეხურ ბრენდად ავიცია. ძველბერძნულ ლიტერატურულ ტრადიციებში ირონია განისაზღვრება, როგორც *ἰσχυρὰ* (ძალად) შარკვეთის ფორმა. ამ ფორმულას სხირად იფორებდა იოსიფ ბროდსკიც - ისიც მსხვერპლი იმ ავადსახსენებელი ტოტალიტარული რეჟიმის. მაინც რაშია ჩეხების სასონარკვეთა? შეიძლება ამის გამოკვეთა ისტორიულ პერსპექტივაში? ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ თქვენ იზიარებთ ბერძნების დეფინიციას.

ი.მ.: ჩეხეთში ასე არაა. ირონია და ოუმორი სასონარკვეთის მდგომარეობები კი არა, ნუგეშია. რალაცის შეცვლა თუ არ შეიძლება, უბრალოდ გავიცინებ ამაზე... და, რასაკვირველია, ამის ძირები პრაღის გაზაფხულზე, პრაღის ძველ დროშია საძებელი... ეს რალაც წინააღმდეგობის, დაუმორჩილებლობის გამოვლენებაა. ეს შიშის დაძლევის გზაა. ყველაფერზე გუშმრობთ. მაგალითის ფუნქციით. გერმანიაში ვიყავი, ჩერნობილის კატასტროფა რომ მოხდა. მთელი ევროპა პანიკაში იყო. ხალხს ქუჩაში გამოსვლის უნებრად. დაბერუნდი ჩეხეთში და მოვისმინე უამრავი ანეკდოტი ჩერნობილის თემაზე. ერთი ახლაც მასსოვს: რუსებს ახალი სუპერბომბი აქვთ - ჩერნობილის კარიკა.

ტ.კ.: სატირას თქვენ პლაკატს ეძახით. თქვენი აზრით, ვინაა იაროსლავ ჰაშეკი - პლაკატისტი თუ ირონისტი, ანარქისტ-ფელეტონისტი თუ დიდი შემოქმედი?

ი.მ.: პლაკატები მძულს. ჰაშეკი პირველ რიგში ლოთი იყო. მაგრამ ირონიის თანდაყოლილი განცდა ჰქონდა და გენიალურად წერდა.

ტ.კ.: რატომ გიყვებოდა მასზე ჩეხეთში, ფასებენ გერმანიაში და საერთოდ არ იცნობენ ინგლისურ და ფრანგულენოვან სამყაროში?

ი.მ.: შეიძლება, უბრალოდ არ ესმით. ეს უდიდესი იმპერიებია, რომელთათვისაც სრულად უცხოა ის წინააღმდეგობის გრძნობა. თუმცა, რუსებს საოცარი ოუმორი აქვთ. და იცით, რატომ? იმიტომ, რომ მათაც ავინოებენ. ებრაელებს არ ოუმორი აქვთ, ჩეხებს!

ტ.კ.: მსმენია გამოთქმა „შევიკოვინა“. ეს რალაც პავლის „ახსურდისტანის“ მსგავსია?

ი.მ.: არა. ქვეშიდან გამოძრომას ნიშნავს, საშუალოგან, მოვალეობებისგან თავის დაძრომას.

ტ.კ.: გასული საუკუნის 50-იანი წლები. მეტალურგიული კომბინატი. ბურჟუაზიული წარმოშობის „ყოველის“ პროლეტარული შრომით გამომსყიდველი ჰინდრები - ყოფილი: ფილოსოფიის პროფესორი, პროკურორი, მენარმე, დალაქი, საქსოფონისტი, მერძვე, მზა-

რეული... ესაა თქვენი „ძაფზე ჩამოშვადარი ტორლოების“ ატმოსფერო... აბსურდისტანის უფრო თვალსაჩინო მოდელი წარმოუდგენელია. ეს ფილმი (კვლავ პრაბალის მიხედვით) ბერლინის „ოქროს დათვის“ 1990 წლის გამარჯვებული, 24 წელი იყო თაროზე შემოდებული. ვფიქრობ, თქვენი ინტონაცია მასში ყველაზე ახლოა სატირასთან. თავად რა ადგილი მიაკუთვნებთ მას თქვენს შემოქმედებით ბიოგრაფიაში?

ი.მ.: მე ტარკოვსკი არა ვარ. ის ძალიან ბევრს ფიქრობდა საკუთარ თავზე. ამით არ ვარ დაკავებული. მისარია, რომ ეს ფილმი გადავიღე. მისარია, რომ მას ჩავენებენ. მიყვარს მუშაობის პროცესის გასასვენება: როგორ ვწვდით მე და პრაბალი სცენარს, როგორ ვიღებთ მეგობრების კომპანიათაან ერთად... როგორ უნდოდა ყველას, რომ მალე დაგვემთავრებინა... არა, ეს სატირა არაა. სატირა გრიმასაა. პრაბალმა კი ირონიული ლიმილით დაწერა. პარალელის სახით დედაჩემს გავისხენე. როცა ჩემი დასჯა უნდოდა, ყოველთვის კეთილად აკეთებდა ამას. ეს ძალიან მოქმედებდა ჩემზე. როცა რამეს ვაფუჭებდი, იმის ნაცვლად, რომ დავეტუქსე, მეუბნებოდა: აი, ეს კარგად გამოგივიდა, ჩემო ბიჭო! და მაშინ ჩადენილის კიდევ უფრო მრცხენოდა.

ტ.კ.: ფილმი „ვემსახურებოდი ინგლისის მეფეს“, თქვენი თქმით, ჩვენთვის ისტორიის თქვენი უდიდესი გააზრების ცდაა. როგორ გვხვდება, მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის გარეგანი პრაბალი. **ი.მ.:** ტექსტი პრაბალისაა. ეს მისი ხედვაა ისტორიის. ფილმში ნაჩვენებია ჩეხურ-გერმანულ ურთიერთობათა მთელი სირთულე. ეს ძალზე მტკივნეული საკითხია. მასზე საუბარი შორს ნაცუყვანს.

ტ.კ.: ფაშიზმი და არიული ბოდვა რაც არის, გასაგებია. მაგრამ რას ნიშნავს თქვენთვის „პირველი რესპუბლიკის“ დეკალაბი? როგორ ავსებთ ტომას გარიგ მასარიკის პიროვნებას? ჩები მოსახლეობის სოციალურ გამოკითხვებში, თუ ვინ არის ყველაზე დიდი ჩეხი, მასარიკს ყოველთვის მეორე ადგილს მიაკუთვნებენ იმპერატორ კარლოს IV-ის შემდეგ.

ი.მ.: ეს ანექტოდს დიდი სისულელეა. მასარიკის კომუნისტებს ძალიან ეწინააღმდეგებოდა, იმიტომ რომ იდეალისტი იყო. კომუნისტებს კი ეგ არ უყვართ. კარლოს IV... რა შეიძლება მასზე ითქვას. პირველ ყოვლისა, ის არ იყო ჩეხი. ლუქსემბურგელი იყო (იციან).

ტ.კ.: მაგრამ კარლოსმა პრალა წმინდა რომის იმპერიის დედაქალაქად აქცია, ამ მოვლენით პრალის ოქროს ხანას დაელოდა დასაბამი, წმ. ვიტის ტაძარი ააშენა, გრანდიოზული ზიდი ააგო, რომელსაც საუკუნეების მერე თვით დელაი-ლამამ სამყაროს ენერგეტიკული ცენტრი უწოდა, ცენტრალურ ევროპაში პირველი უნივერსიტეტი დააარსა... და მაინც, ხომ არ ნიშნავს იმ ანექტოდს მისი პირველი ადგილი იმას, რომ ჩეხების კოლექტიურ ქვეცნობიერებაში იმპერიალი ამაბიჯა არსებობს? და თუ ასეა, ვლინდება თუ არა ის ცნობიერება და რა ფორმით?

ი.მ.: ჰო, ეს ჩეხების სპეციფიკაა. ჩვენს ჩეხურ ქვაბში ხარშვისას წარმოვიდგინეთ, რომ ყველაზე მაგრები ვართ, სხვებზე უკეთესები, მაგრამ ეს იმიტომ, რომ მოშორებით, მთებს გადაღმა რა ხდება, არ გვინდა დავინახოთ. კარლოსს იმპერია არ დაუპყრია, უბრალოდ ოთხჯერ სარფიანად იქორწინა. სწორად არჩევა გოგოებს. თითოეულმა თითო მინა მოუტანა მზითვეში. ჭკვიანური ხერხია! (იციან). კარლოსი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში იყო იმპერატორი. მანამდე იმპერიას ფრანგები, გერმანელები, იტალიელები მართავდნენ... დელაი-ლამას კი უნდოდა თავზაზიანი ყოფილიყო და დააბრუნებოდა, რა, რაღაცა... ყველაზე დიდი ჩეხი კი არც კარლოსია და არც მასარიკი. ეს იარა ციმერმანი (იციან). აი, ვინ იყო გენიოსი. ეს ფიქტორი, მოგონილი ადამიანია (ჩეხი მწერლების იყოი შეზანეის, ლადისლავ სმოლიკის დაზხვლე სვერაკის მიერ, - ტ.კ.), რომელმაც ყველაფერი აღმოაჩინა, ათასი რამე, მაგრამ ამ აღმოჩენების დაპატენტება სულ ავციანდებოდა. თეატრალურ პიესებსაც წერდა. მათ დღემდე დგამენ და აჩვენებენ. იარა ციმერმანზე უამრავი გამოკვლევა დაწერილი. ჩვენ ის ძალიან გვიყვარს! რა უფროი აქვს! ამაშია ჩეხების არსი. არც პოლონელებმა, არც უნგრელებმა არ იციან ასეთი ზუმრობა, საკუთარი თავის ასე გაღადავება.

ტ.კ.: 2012 წელს 150 წელი შესრულდა მიროსლავ ტირმის (სხვათაშორის ის გერმანულენოვანი ოჯახიდან იყო) მიერ ჩეხური ფიზკულტურული მოძრაობის „სოკოლის“ დაარსების დღი-დან. ამ მოძრაობამ დიდი წვლილი შეიტანა ჩეხების ეროვნული

თვითცნობიერების გაღვიძების საქმეში. რა როლს თამაშობდა ის პირველი რესპუბლიკის დროს? დასამახსოვრებელია სცენა „ინგლისის მეფეში“, როგორ სხიდან ძალადობრივად სოკოლულები გერმანელებს თეთრ გოლფებს. შეიძლება ჩაითვალოს, რომ მაშინ „სოკოლი“ კონტროლიდან იყო გასული?

ი.მ.: როცა გერმანია ძლიერი სახელმწიფო გახდა, გერმანელებმა ჩვენში ძალიან თავხედურად დაიწყეს მოქცევა. ისინი უმცირესობას წარმოადგენდნენ, მაგრამ იგონეს, რომ დიდი გერმანია მათ მხარს უჭერდა. ამტიკცებდნენ, რომ პრალა გერმანული ქალაქი იყო. გამომწვევად იცვამდნენ, როგორც ტიროლის ალაბებში – თეთრი გოლფებით სიარული დაიწყეს(ამის გამო „ცისფერებსაც“ კი ვეძახდით, ასეთი დრო იყო). მათთვის ამ გოლფების გახდა და წართმევა ჩვენი წინააღმდეგობის ხერხი იყო. და, ცხადია, ჩხუბის წამოღობების საბაბიც. მოკლედ, ასეთი გოლფის დათრევა ტროფად წინააღმდეგობის სიმბოლოს წარმოადგენდა.

თ.კ.: დღეს 1990 წელს აღდგენილი „სოკოლი“ 190 000 წევრს ითვლის ჩეტეთში და მის გარეთ. ამბობენ, ნაციონალური სახელმწიფოების ეპოქა მიდისო. როგორ გგონიათ, დღევანდელი „სოკოლი“ აღუდგება ამ პროცესს?

ი.მ.: „სოკოლი“ დღეს უფრო ფიზიკულტურული ორგანიზაციაა. თანაც ნაციონალიზმის და ჩხუბობის აქცენტირება ჩვენში მოდური აღარაა. ცოტა გერცხვენია ჩვენი ნაციონალიზმის. ამერიკელებს ყველგან დროშები უკიდიათ. ჰიმნს რომ მღერიან, გულზე ხელს იდებენ... ჩვენთვის ეს უკვე სასაცილოა, არაუტყუალურია. მაგრამ ეს შეცდომაა. იმიტომ, რომ ადამიანმა უნდა იცოდეს, რას ეკუთვნის. მე ჩეხი ვარ და ეს მაძლევს ძალას! და არა იმგვარად, რომ ვარ ვიღაც საიდნელაც.

თ.კ.: თქვენ აზერეთაზის აღგენიწნავეთ, რომ დღევანდელი ჩეხები დეზორიენტირებული არიან. რაში ხედავთ ამ დეზორიენტაციის მიზეზებს: ლოკალური წარმოშობისა, თუ გლობალური ტენდენციების გამოძახილია?

ი.მ.: ლოკალური მასიათისა. მთავარი პრობლემა იმაშია, რომ ჩვენ არ გვაქვს ნაციონალური იდეა. ჩვენ ერთად ვცხოვრობთ იმიტომ, რომ ასე მოგვინია, ასეთია მოცემულობა. ჩვენი თავისუფლებისთვის არ გვიბრძოლია. ის უზრალოდ მოგვეცა. ჯერ 1918 წელს, მერე 1945-ში. ხავერდოვანი რევოლუციის დროსაც კი არ იყო მსხვერპლი – უბრალოდ საბჭოთა კავშირი დაიშალა. უკვე თავისუფალი გახდით. და ჩვენმა უმრავლესობამ ეს მიიღო, როგორც რაღაც კუთვნილი. არ არიან ამის მაღლიერნი...

თ.კ.: მინდა გკითხოთ ბოჰუმლი პრბაღლის რომანისა და თქვენი ფილმის „ვემსახურებოდი ინგლისის მეფეს“ სათაურის თაობაზე. რა მოტივია ეს სხვისი – ინგლისის, ამისინის – მეფის მომსახურება? უკავშირდება ეს რაღაცდაგვარად თქვენს მონოდეგას ჩეხების მიმართ, ხარისხიანი განათლების გზით გამოძიკონ ქვეშევრდომის, დამოუკიდებლობის არქონისა და ადამუწყვეტებლობის სინდრომი თავიანთ თავში?

ი.მ.: მოდიოთ, ასე ვთქვათ: ჩვენ პატარა სახელმწიფო ვართ. ცხადია, პროვინციალიზმის გამოვლენაა, როცა ყველაფერი უცხოური საკუთარზე ფასეული და მნიშვნელოვანი გგონია. ესაა დამოუკიდებლობის არქონის დემონსტრირება, ნამდ-



ვილი სიამაყის განცდის უცოდინარობა. ეს იმ ხელმწირობას ჰგავს, როცა ადამიანს თავი მით მოაქვს, რომ ვიღაც ცნობილს შეხვდა. ამერიკელებისთვის კი სულერთია ვინმე ჩეხს თუ გაიცნობს. ფილმში ის მთავარი ოფიციატი იმით ვერ დაიტრბაბებს, რომ თავადა მეფე. ამიტომ ამბობს, რომ ინგლისის მეფეს ემსახურებოდა. ეტყობა კარლოვი ვარში იყო მაშინ, როცა მას ინგლისის პრინცი სტუმრობდა, რომელიც მერე მეფე გახდა. და ესაა სული მისი სიამაყე. მე ვუდი აღენს ჩამოვლილი ხელი, ამით თავი მომაქვს. მაგრამ ვერასოდეს წარმოვიდგენ, რომ ვუდი აღენსაც მოუვა თავში ამით იამაყოს... პრბაღლმა ამაზე ისე დაწერა, როგორც არის, ყოველგვარი განსჯის და გაკილვის გარეშე. ამაში მხოლოდ მისი ირონიაა. ჩვენი მეფეები არ გვეყავს, ამიტომაც ასე შევცნოვინებთ სხვის მეფეებს. სხვათა შორის, ერთი ფოტო მაქვს, რომელზეც ინგლისის დედოფალს ვარიმეც ხელს.

თ.კ.: იან დიტე („ვემსახურებოდი ინგლისის მეფეს“) მთავარი გმირი – თ.კ. – „წვრილფეხა წვრილფეხათა შორის!“ რა შემოქმედებით კომ-

ფორტს შეიცავს თქვენთვის, როგორც რეჟისორისთვის, პატარა ადამიანის გამოსახვა? რატომ მოერგო ასე კარგად ის თქვენს თვით-გამოხატვას?

ი.მ.: მთელი ჩეხური კულტურა, ლიტერატურა პატარა ადამიანებზეა. ჩვენ არ გვაქვს დიდი თემა. დიხა, ჩვენ მოვკლეთ რენეზარდ ჰეიდრიხი (1942 წ., ფაშისტური გერმანიის პროტექტორი ჩეხეთში, - თ.კ.). იან პალახმაც დანაშაუნი თავი ვიცავდას მოედანზე (1969 წ., ჩეხი სტუდენტი, პროტესტი საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ, - თ.კ.). მაგრამ დიდი თემა მაინც არ გვაქვს. ჩვენ გვანიჭრეს უზრალო ადამიანების ცხოვრება. ხოლო თუ დიდ პროვოკაციას ვუბრუნებ, მაშინ ის გვიანტერესებს, როგორ სიცვალს ატარებს, როგორ გამოიყურება ის ჩვეულებრივ ცხოვრებაში. ასეთი სათაურის ჩეხური კომედია კი არსებობს: „დიდი ბატონი ხალაში“.

თ.კ.: რელიგიურ ადამიანად თვლით თავს?

ი.მ.: მონათლული არ ვარ. მაგრამ ვცხოვრობდი ქვეყანაში, რომელშიც ქრისტიანული კულტურა დომინირებს. ჩემი წინაპრები მორწმუნე პროტესტანტები იყვნენ. დედა კათოლიკე იყო. მამა ომის მერე გავიდა ეკლესიიდან და აღარ მოიხდენდა, რომ მოევნათყოფა. მითხრეს, რომ მერე ნაწილად ამას. მაგრამ არა იმიტომ, რომ მორწმუნეები არ გავხდით, არამედ იმიტომ რომ რელიგიის გაკვეთილებზე უარის თქმით ჩვენს განათლებას ქრისტიანული კულტურის საფუძვლების ცოდნა დააკლდა.

თ.კ.: თქვენთვის ეკლესია და რელიგიურობა ერთი რიგის ცნებებია?

ი.მ.: ეკლესია ორგანიზაციაა. რელიგია კი ყოველი ჩვენგანის პირადი საქმე. პატივს ვცემ პროტესტანტებს იმის გამო, რომ ეკლესია, როგორც ასეთი, არ სჭირდებათ. მათი სწავლებით, ასე უფრო ახლოა ღმერთთან. თავად არიან საკუთარი თავის ღმერთები. და ეს იდეალური დემოკრატიზაცია ჩემთვის. თავად არ აძლევ საკუთარ თავს რაღაცების უფლებას. კეთილი ხარ არა იმიტომ, რომ გემშინა, არამედ იმიტომ, რომ ასეა სწორი.

თ.კ.: თქვენ 70-ზე მეტ - საკუთარსა თუ სხვების - ფილმში მონაწილეობთ მსახიობის ამპლუაში. ამბობთ, რომ ყოველთვის გაინტერესებდათ, როგორ მუშაობდნენ თქვენი კოლეგები-რეჟისორები. ისინი უბერხულად არ გრძნობდნენ თავს, მეტრისთვის რომ უნდა ეკარნახათ თავიანთი ნესები?

ი.მ.: ჩვენ კოლეგები ვართ. ჩემს ფილმებშიც უთამაშიათ რეჟისორები. მაგრამ როცა მე ვარ

რეჟისორი, ცხადია, არ მიყვარს შენიშვნებს რომ მაძლევან და ხელს იმიშლიან უშუალოდ.

თ.კ.: თავად როგორი დამოკიდებულება გაქვთ მსახიობების მიმართ? ცნობილ ქართველ რეჟისორს ოთარ იოსელიანს, მაგალითად, ასეთი თეორია აქვს: არ ღირს ფილმში დიდი მსახიობების მიწვევა, მხოლოდ აფუჭებენ როლს. ამ ლოგიკით, რუდოლფ ჰრუშინსკი, ვაცლავ ნეცკარჟი, მარტინ ჰუბა ვერასოდეს მოხვდებოდნენ თქვენს ფილმებში. როგორია კადრს მიღმა თქვენი ურთიერთობა მსახიობებთან?

ი.მ.: იოსელიანი ორიგინალურია. ისეთი მსახიობების გარეშე, როგორებიც არიან ჰრუშინსკი, ვაშარიოვა ჩემი ფილმები სულ სხვანაირი იქნებოდა. საერთოდ, არაა აუცილებელი ადამიანი მსახიობი იყოს პროფესიით, ის საინტერესო უნდა იყოს. იაი, საათნახვარი რომ უყურებ და კიდევ რომ გინდა უყურო, გესმით?! მსახიობებთან ვემგობრობ. პან ჰრუშინსკი და მე ახლო მეგობრები ვიყავით, აგარაკზეც ერთად ვისვენებდით ხოლმე. იოზეფ აბრჰამთანც მთელი ცხოვრება ვემგობრობ.

თ.კ.: ქართველი რეჟისორების ნამუშევრები იცნობთ? ან პირადად რომელიმე მათგანს?

ი.მ.: მომწონს ქართული ფილმები. იტალიას მაგონებენ. ადამიანებიც ასეთები არიან თითქმის - მხიარულები, ცელქები. საქართველოში ორჯერ ვარ ნამყოფი ძალიან დიდი ხნის წინათ. თქვენთან ის არ იგრძნობოდა, რაც რუსეთში. ვიცნობდი ახულაქეს, რომელმაც „მონანიება“ გადაიღო.

თ.კ.: თქვენი „ივან ჩონკი“ გონიოების მიხედვით ადასტურებს, რომ მშვენივრად იცნობთ საბჭოთა ისტორიულ და კულტურულ რეალობებს. რუსული ტანკები და რუსული კულტურა... ჩვენში დღემდე არსებობს მითი „ორ რუსეთი“. რაღაც ამდგავარი თქვენი ახალი პრეზიდენტის, მილოზ ზემანის სიტყვებშიც იკითხება: „რუსეთი ჩვენ უნდა აღვიქვათ როგორც დოსტოევსკის, ტურგენევის, სოლჟენიცინის, ჩაიკოვსკის, რეპინის ქვეყანა...“ რას ფიქრობთ ამაზე? დაასახელოთ თქვენთვის საყვარელი რუსი ავტორები ან ნაწარმოები.

ი.მ.: ტანკების ამბავი გასაგებია. რაც შეეხება რუსულ კულტურას... ჩემი თვალსაზრისით, საქართველო დიდი კულტურის ქვეყანაა... ის დიდი ხანი იყო რუსეთის გავლენის ქვეშ, მაგრამ თავისი კულტურა მაინც შეინარჩუნა. რუსეთი კი ძალიან უბედური ქვეყანაა. მიყვარს ჩეხოვი. ტოლსტოი, გოგოლი, ილფი და პეტროვი, ზომჩენკო... მაგრამ ეს სულ სხვა რუსეთია. ეს ძალიან თხელი ფენაა. არისტოკრატია, კლასიკური ავტორი გენიალურები არიან, მაგრამ ისინი დანარჩენი ხალხისგან შორს დგანან. ხალხი მართლმადიდებელია... პირველად ისეა, ბევრს რეალურად მივიღო ქართველები. მაგრამ უმასხისმგებლობით არიან, ჭეჭყანია ფეხსაცმლით დადიან... ძალადობის მოთხოვნილება აქვთ. მანდ არ შეიძლება იყოს დემოკრატია. ერთმანეთს დაჭამენ დემოკრატიის პირობებში.

თ.კ.: 1968 - ალექსანდრ დუბნეკის რეჟისორების - „პრალული გაზაფხული“ - მარცხი, საბჭოთა და ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების ტანკების ინტერვენცია ჩეხოსლოვაკიაში, აგვისტოს ტრაგედია... მერე კ.თქვენთვის სიტყვებით, დედაბა „ხანა საშუალოთა ამბობსა, როცა სუსტი ნებისყოფის მქონენი იწყებენ იმათ ლიკვიდაციას, ვისაც ძლიერი ხასიათი ჰქონდა“. და

ეს საკმარისად დიდხანს გრძელდებოდა იმისათვის, რომ ბევრი წყენა და ბოღმა დაგროვილიყო. არ ვიცი, თქვენთან როგორაა, მაგრამ პოსტაბათია სიერცემში 90-იანებიდან მეშუაწლი ლიტერატურის ნიადაგი ჩამოვიდა. როგორ უყურებთ ამ სუბ-იექტურ ჟანრს? რას ფიქრობთ ლუსტრაციაზე?

ი.მ.: ახლახან დავამთავრე წიგნის წერა, რომელშიც მეც ვარკვევ კომუნისტურ რეჟიმთან ჩემს ურთიერთობას. ლუსტრაცია ახლა უკვე ისეთი მნიშვნელოვანი აღარაა. მოსახლეობის უმრავლესობა რეჟიმის გადაყარვის შემდეგ გაიზარდა და ფორმირდა. მათ, ვინც ახლა 35 წლისაა, ის დრო აღარ ახსოვთ. მათ პოლიციაში არავინ უბეზღობთ.

თ.კ.: ჩეხებისგან ხშირად ვერ გაიგებ ტერმინს „ხავერდოვანი რევოლუცია“. ეს უფრო საერთაშორისო შტამპია? პირობითობა?

ი.მ.: არა, რატომ? რეალურად არ იყო ძალადობის პრეტენდენტი. არ ვიცი, როგორ იყო გერმანიასა და პოლონეთში, მაგრამ აქ ჯერ კიდევ რევოლუციამდე დიდი ხალხმრავლობები იყო. ზღვა ხალხი გამოდიოდა, მაგრამ ფეხი არავის დაუბიჯებია ბაღახზე. ამისათვის მოუდანი იყო და არავინ გადადიოდა გაზონის ხაზს. სასწაული იყო. არავის უსროლია ქვები. არანაირი ძალადობა. თუმცა ისიც ფაქტია, რომ სხვა ქვეყნებში რომ არაფერი მომხდარიყო, არავითარი რევოლუცია არ იქნებოდა ჩვენთანაც.

თ.კ.: ამბობენ, ვაცლავ შაველი თავიდან ძალიან უხერხულად გრძნობდა თავს პრეზიდენტის როლში, ლამის თვითმარქვდა. „რაც უფრო მაღალა მდგომარეობა, რომელიც მიჭირავს, მით უფრო მტკიცედია ჩემში ეჭვი, რომ რაღაც შეცდომას აქვს ადგილი“, — ეს ამონარიდი მისი იერუსალიმური სიტყვიდან, იერუსალიმიდან მცირე ხნის მერე. მოგვიანებით მას საკმაოდ თავში დარწმუნებულ პოლიტიკოსად თვლიდნენ. მისი პიესები? მოგწონდათ ისინი დასადგმელად? ვერსად ამოვიკითხე — ისარგებლა თუ არა შაველმა რესტიტუციის კანონით ჩეხეთის მთავარი კინოსტუდიის „ბარანდოვის“ მიმართ — ის ხომ პირველი რესპუბლიკის დროს მისი ოჯახის საკუთრება იყო? ალბათ აქედან მომდინარეობდა მისი ოცნება გადაეღო საკუთარი მხატვრული ფილმი, რაც მაინც განახორციელა სიკვდილის წინ? როგორც პროფესიონალი, როგორ აფასებთ მის ფილმს „ნასელა“?

ი.მ.: მისი სამი პიესა დაედგი თეატრის სცენაზე. ძალიან რთული იყო. პირველი ორი კომედია იყო და შედარებით გამიართვდა. რასაც ვერ ვიტყვი „აუდიენციაზე“. ფილმი „ნასელა“ არ განსხვავდება სხვათა დებიუტებისგან. ცუდია, რომ მის სახელთანაერთიანებენ მას. არ იყო ცუდი ფილმი (სახელმწიფო კინოსტუდია „ბარანდოვ“ ხავერდოვანი რევოლუციის შემდეგ შაველებს დაუბრუნდათ, — თ.კ.).

თ.კ.: ცნობილია, რომ ჩეხებს უყვართ და პატივს სცემენ თავიანთ კინოს. ვფიქრობ, მათ დაიმსახურეს ისეთი მშვენიერი ფილმი ჩეხური კინემატოგრაფის დაბადებაზე, როგორიცაა თქვენი „კინოკამერაინი ბრწყინვალე მამაკაცები“, რომელმაც სხვა ღირსებათა შორის მუწვი კინოს ვირტუოზული სტილისტური მისტიფიკატორის სახელიც მოგიტანათ. თქვენ ძალიან დახვეწილად შეასრულეთ ჩეხური კინოს პიონერის, არქიტექტ-

ტორისა და ენთუზიასტის იან სკრპიშეჩეკის როლი. თქვენი ინტერპრეტაციით ის უჩვეულოდ კანონდება მითად ჩეხური კულტურისთვის. საძიებლებში ამ ფილმის ჟანრად ტრაგიკომედიაა მიითვლება. ალბათ ყველა დროში კინემატოგრაფისტის ტრაგედია ჩანაფიქრის განსახორციელებლად საჭირო ფინანსების მოძიების სირთულეშია. როგორ შოულობთ თქვენი ფილმებისთვის საჭირო თანხებს? როგორ იყო ადრე? როგორაა ახლა? ჩეხეთში არსებობს კულტურტრეგერული ამბიცია კინოს მიმართ? თუ ეს ვარდისფერი ოცნებაა?

ი.მ.: ჩეხეთში კინოსადმი დამოკიდებულება ისეთია, როგორც დედინაცვლისა — გერმანიაში. პოლონეთსა და უნგრეთში გაცილებით უკეთესი სიტუაციაა. ჩვენი ყოფილი პრეზიდენტი ვაცლავ კლაუსი ბრძანებდა, რომ კინო არაფრით გამოირჩევა სხვა ხელოვნებისგან. ადრე სახელმწიფო კინოგაქირავების მოგება ჩეხური ფილმების წარმოებას ხმარდებოდა. ბლოკბასტერებს ვერ ვიღებდით, მაგრამ კარგ საშუალობოუფლებიან ფილმებზე ყველას ყოფნიდა.

თ.კ.: „კინოკამერაინი ბრწყინვალე მამაკაცები“ ვერსიით, პირველი ჩეხური მხატვრული ფილმი მთავრის ასულ ლიბუშეს მიერ პრაღის მომავალი დიდების წინასწარმეტყველების ინსცენირებას წარმოადგენდა. ფილმის





კადრი ფილმიდან „საგანგებო მეთელაფურების მატარებლები“

სიუჟეტით პრადის პრადედან და პრეფისლო-
იჩების დინასტიის დამწყებს თეატრის პენსი-
აზე გასული დევა თამაშობს. სინამდვილეში,
ანუ ლეგენდის თანახმად, ლიბუმე ნორჩია და
ლამაზი. ის ჩეხების ბელადის, ვიშეგრადელი
კროკის მემკვიდრე იყო. ნინასარმტყველების
ნიჭით და სიბრძნით დაჯილდოებულმა მოსა-
მართლეობის უფლება მოიპოვა თავის ხალხში.
მაგრამ კაცები აუჯანყდნენ: არაა ლამაზი ჩეხ-
ები ქალის ჭკუაზე დაედოდეო. მათი პრო-
ტესტი ლიბუმემ ლეთაბრიე ნიშნად მიიღო
და ქვეშევრდომები თავის ცხენს დაადევნა იმ
მინათმოქმედი გლეხის საძებნელად, რომელიც
prah-ს, სახლის ზღურბლს, აშენებდა nove mes-
to-ს, ახალი ქალაქისთვის. ცხენი მინათმოქმედი
პრეფისლოს ნინ გაჩერდა, რომელიც ლიბუმეს
ქმარი და ჩეხების მმართველი გახდა. ეს მითის
ყველაზე გაერცელებული ვარიანტია. ცხადია,
ის ქართველი მკითხველისთვის მოეყვები. მა-
გრამ მაინტერესებს, თქვენ როგორ ხსნით მის
საკრალურ მინაარსს? ან უბრალოდ რა აზრის
ხართ მასზე?

ი.მ.: ამ მითისადმი არავითარი განსაკუთრე-
ბული დამოკიდებულება არ მაქვს. ფილმში კი
ეს ირონია – ადრე იღებდნენ ფილმებს ჩეხეთის
დიდებაზე. ძალიან მიუღია იყო ეგ თემა ძველ
რეჟისორებში. თუმცა ვერ გხვდები, რატომ. მე
ამაში აზრს ვერ ვხედავ. ჰო, ლიბუმეზე ფილმის
გადაღება ნაციონალ-პატრიოტული ამბავი იყო
მაშინ. და ჩვენ ირონია გავუშვით ამ თემაზე.
ძველი ფილმების ყველა სხვა ნიმუშიც ფილმში
მეოცე საუკუნის დამდეგის კინომოდის ჩვენეუ-
ლი სტილიზაცია.

თ.კ.: თქვენს ფილმებში, როგორც წესი,
ქვეყნის ულამაზესი ქალები თამაშობენ. მაგრამ
მარიჩკა „დალალებიდან“ ყველაზე დაუფინარ-
ია. დარწმუნებული ვარ, მსოფლიო კინემატო-
გრაფში არ არსებობს ეკუთვნი ქალის ასეთი
ორიგინალური ტიპაჟი. საერთოდ, ფილმი
სრულყოფილია – მარტო ღორის ხორცის და
შეგნეულობის პოტიზაცია რად ღირს – ალ-
ქიმიამ წამდგომი! რა მოსაზრებით დაამტკი-
ვთ მაგდა ვაბარიოვა ამ როლზე?

ი.მ.: ის ამ როლისთვის დაიბადა. პრაბალ-
მა ჩინებულად დაწერა ეს პერსონაჟი. ახლა
მოგიყვებით ფილმის მომზადების ისტორიას.
როგორ ვეძებდით მთავარი როლის შემსრულე-
ბელ ქალს. მაგდა ჩეხი არაა, სლოვაკია. ადრე
უზღებდნენ თამაშობდა, ფეროებს, იმიტომ
რომ პატარა იყო და გამხდარი. მაგრამ როცა
სინჯებზე მოვიდა, მასში უკვე ზრდასრული
ქალი დავინახე და ვიფიქრე, რომ შეძლებ-

და მარიშკას თამაშს. ვკითხე, წინგი თუ ჰქონდა წაკითხული.
არაო. უცებ თავში მომივიდა წიგნების მაღაზიაში გავქვეულო-
ყავი და „დალალები“ მეყიდა მისთვის. ვუთხარი, რომ მას გხე-
დავ ამ როლში. ამ დროს პროდიუსერმა თავი გაიციჟა, მაგდას
გრაფის ვერაფრით მოვერგებეთო. პრადელ მსახიობ ქალს
მთავაზობდნენ. რა მექნა. წავედი მაგდასთან დასარეკად, რომ
არ განწყობილიყო როლისთვის. ჩემი ხმის გაგონებისთანავე
მკითხა, მივიღე თუ არა მისი წერილი. ვუთხარი, რომ უარ-
ის სათქმელად ვურეკავდი. გასაგებაი, ჩემს წერილსაც კი არ
კითხულობო. მერე ის წერილი ვნახე და, იცით, რას მწერდა?
ირკო, წინგი დაეასრულე თუ არა, ყველაფერი გადავჩაბე, რაც
მაცივარში იყო. იმნამვე გადავწყვიტე, რომ ის ითამაშებდა
ამ როლს. გადაღებების დროს ძალიან ბევრს ჭამდა, მაგრამ
ფიგურაზე არ დასცყობია. მაგდა და პან ჰრუშინსკი რომ არა,
ფილმიც არ იქნებოდა, არამედ მხოლოდ რაღაც ამბავი. ამიტომ
ვცემ პატივს მსახიობებს.

თ.კ.: როგორ უყურებთ ერთსქესიან სიყვარულს როგორც
ადამიანი და როგორც მოქალაქე?

ი.მ.: ერთნაირად ვუყურებ როგორც ადამიანი და როგორც
მოქალაქე. თექვსმეტი წლის ვიყავი, როცა გავიგე, რომ ჰო-
მოსექსუალიზმი არსებობს. ასეთი რამ არ წარმომედგინა, ვერ
ვიგებდი. და დიდხანს ვფიქრობდი, რომ საზიზღრობაა. მაგრამ
დროთა განმავლობაში მივხვდი, რომ ასე არაა, რომ ყველა ადა-
მიანშია რაღაც ქალის და რაღაც კაცის. და რომ ზოგჯერ სული
შეიძლება იმ სხეულში არ იყოს მთაბერილი, სადაც საჭირო
იყო. და რომ ეს უნდა მივიღოთ. მაგრამ მაინც ცოტათი მე-
ბრალეზიან, მათ არ იცნავენ წამდგომი სილამაზე.

თ.კ.: ფილმის „გემსახურებოდი ინგლისის მეფეს“ ფორუმზე
ვილატამ მას „ყოფიერების ასატანი სიმსუბუქე“ უწოდა. ვი-
ფიქრე, რომ ინგრედიენტი, რომელიც ყოფიერების სიმსუბუქეს
ასატანს ხდის, იქნებ სწორედ ის ქარვისფერი სასმელია, „ლუდს“
რომ უფხადის. პროტიკინის, ვოდინანის, პლენის, ნიმფურკის
თუ კრუშოვიცკის? თქვენი ფილმის პერსონაჟები ვერ თანხმ-



დებიან ლუდის ამ სახეობათაგან რომელია უმჯობესი. თქვენ რომელს არჩევდით? ეს სახელები რომ სწორად წარმოთქმება, „ინოსტრანაია ლიტერატურას“ 1990 წლის პირველი ნომრიდან ამოვიწერე, პრბაალის რომანის მეორე გვერდიდან. საოჯახო ბიბლიოთეკაში გვაქვს.

ი.მ.: კარგად უსულა ერ ერეკვეი ლუდის სახეობებში. ლუდი როგორ ისარგებლა მაშინ შევისწავლე, როცა „დალალებისთვის“ ვემზადებოდი. მაგრამ ლუდი არ მიყვარს. იმიტომ რომ ლუდი სკდებაინ. ლვინო მირჩენია, მას აჭაშნიკებენ და მხირთმევენ.

თ.კ.: ერთ რუსულ გამოკვლევაში ნათქვამია ჩეხებზე: „ლუდის სმით ბევრს ვერ იომებ. ამიტომაც, რა გასაკვირიც, რომ ერმა, რომელიც ამ სასმელითა ნაზარდი, ბოლოს 400 წლის წინ იომა საკუთარი თავისთვის... ალბათ ლუდის თანხლებით, ზესახელმწიფო ვერ აშენდება, მაგრამ წყნარი, მყუდრო ცხოვრების მონაცა კი შესაძლებელია... ნუთუ ეს მოსაზრება შეიძლება ჩაითვალოს იან დიტეს ცნობილი რეპლიკის გასაღებად: „ჩვენ, ჩეხები, არ ვიომობთ!“

ი.მ.: ზუსტად ასეა. ამიტომაც დავშორდით სლოვაკებს მშვიდობიანად (1993 წ. – თ.კ.). ძალიან კარგად ვიცოდით, რომ მაინც ვერ მოვიგებდით. უნგრელებისგან და პოლონელები-სიგან განსხვავებით, ჩვენ არ გავაჩნია საბრძოლო ღირსება და შემართება. უნგრელებმა 56-ში სისხლი ღვარეს თავისუფლებისათვის, პოლონელები კი გერმანელებს ებრძოდნენ, თუმცა, მაშინ არ იცოდნენ, რომ ბეჭენი მათზე ძლიერი იყო. ჩვენ ყოველთვის მოლაპარაკებას ვცდილობთ.

თ.კ.: რას იტყვით პრადულ ლუდხანებზე, როგორც ერთგვარ კლუბებზე, რომლებშიც ისტორიულად საზოგადოებრივი აზრი იქმნებოდა. ამბობენ, პრუიზდენტ მასარკიც კი რევოლუციურულად სტუმრობდა მათ ხალხის და ოპოზიციის განწყობილებების გასაგებად.

ი.მ.: არ დავდივარ ლუდხანებში. საუკეთესო ლუდხანა ჩემთვის აქაა, ჩემს სახლში. სახლში მიყვარს სმა. იმიტომ, რომ ახე უფრო ახლია მერე სანოლთან.

თ.კ.: ცხადია, ერთ საუბარში შეუძლებელია ყველა სასურველი თემის წამოწევა, მაგრამ უსამართლოდ მეჩვენება სულ არ ვასენით ექსტრავაგანტური გვირგვინოსანი, ატრონომების ტიპო ბრავესა და იოჰან კეპლერის მფარველი, ასევე ათასი ჯულის თაღლითის სპონსორი, ფარულ მოძღვრებათა მცოდნე, კაბალის საკითხებზე თავად გოგონის შემქმნელ რაბბი ლეთან მოკამათე, იმპერატორი რუდოლფი. ის რომ „ცხოვრების წარმატებით მონუსხული და გარდაუვალ სიკვდილზე ფიქრით ნატანჯი ეჭვიანი მელანქოლიკი და პარანოიკი“ (ჯ. ბენილი) არ ყოფილიყო, პრდაა ალბათ ვერ გახდებოდა ევროპული ოკულტიზმის ცენტრი მაშინ და არ იარსებებდა მისი მაგიური ხიბლი დღეს. რამდენად ცრუმორწმუნეი არიან ჩეხები? ბევრს იტაცებს ეზოთიკა?

ი.მ.: ჩეხები უფრო რაციონალისტები არიან. თქვენ რასაც ყვებით, ეგ წარსულია. მაგრამ ისინიც გიყვები იყვენ.

თ.კ.: თავად თუ გქონიათ მისტორიის სწავლებებით გატაცების პერიოდი?

ი.მ.: სკოლაში რომ ვსწავლობდი, ძალიან ცნობისმოყვარე ვიყავი. და მაშინ, როცა არავინ არაფერი იცოდა ეგეთ რამე-

ბზე, მე იოვას სახელმძღვანელოებს ვიკითხებოდი. სუნთქვას ვსწავლობდი. თავზე დგომა ვიცი. მაგრამ მერე ვაგანზე თავი, ინტერესი დავკარგე. ზარმაცი ვარ.




თ.კ.: როგორ ხსნით ზღაპრის ჟანრის მაღალ განვითარებას ჩეხურ ლიტერატურასა და კინოში?

ი.მ.: მე მაქვს თეორია, რომ ფილმი რეალისტური უნდა იყოს. ერთი შეხედვით, აქედან ის გამომდინარეობს, რომ ის ზუსტად უნდა ასახავდეს სინამდვილეს. მაგრამ პირველი ფილმები, ფრანგულები, სიზმრები იყო. ზღაპრები არა, მაგრამ მათი მოქმედება მაინც რაღაც სხვა, იდუმალ პარალელურ სამყაროში ვითარდებოდა. მუდამ ვამბობ, რომ ფილმები, რომლებსაც მე ვიღებ, იმაზე კი არაა, როგორია სამყარო, არამედ იმაზეა, თუ როგორი შეიძლება ის იყოს. რეალობას მხოლოდ მაშინ ვიგებთ, როცა იმას ვნეგდებით, რაც მის საზღვრებს მიღმაა.

თ.კ.: იმპერატორ რუდოლფის ამქარს წელს გიყვით უწოდებ. მაგრამ სხვათა თვალსაზრისით არსებობს, რომ „ალქიმიკოსების ურდო“, რომელიც ვიკარშკას შესახვევის ლაბორატორიებში იყო დასაქმებული, მათი ნაგები კი არა, თანამედროვე კვანძური ფიზიკოსების წინაპრები იყვნენ. და მართლაც, ძალიან ბევრი იმდროინდელი იდეათაგან დღევანდელი მეცნიერების მიერ სრულად ხორცშესხულია. მისრუ შრმა ბაბუა თქვენს „მატარებლებში“ ცდილობდა ფიქრის ძალით შეეჩერებინა გერმანელთა ტანკები და მან მარცხი განიცადა. მაგრამ დღეს მსოფლიოს წამყვანი მეცნიერები პროგნოზირებენ, რომ ფიქრით მართული რეალობა და მატერიალიზებული ტელეპათია ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება საუკუნის ბოლოს. მეტიც, წინასწარმეტყველებას ადამიანის ევოლუციურ სახეცვლილებას – მას გაკბორგებას სიცოცხლის უსასრულო განახლებების მიზნით... საოცარია, რომ ძველი ჩეხური კვლევების ნიაღში ამ იდეების პირველსახეების დაქვანა შეიძლება... თქვენ სიახლისადმი ღია პიროვნების შთაბეჭდილებას ტყვებთ. რას ურჩევდით ახალგაზრდობას, რომელსაც დაქარბული ტექნოლოგიური პროგრესის ძალზე რთული გამოწვევების ვითარებაში უწევს ცხოვრება?

ი.მ.: ტექნოლოგიები უნდა დაინერგოს, ისინი გამოყენებულ უნდა იქნას, რადგან სიცოცხლის ახანგრძლივებზე. მაგრამ ადამიანმა თავისი მთავარი ღირსებები არ უნდა დაკარგოს: სირცხვილი, თანაგრძნობა, სინდისი. ეს მოძველებული სიტყვებია.

გამომცემლობა „საუნჯის“ ახალი წიგნები





ახალი

საზოგადოებრივი

NEW